

659 /
1962 / 2



3
1962

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო



საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის აპარის განყოფილების
ორბანო

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ურსნალი

აჭარა

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის აპარის განყოფილების
ორბანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

ნ. მალაზონია — ლექსები 8

ზრ. ხალვაში — კაცის დღე (მოთხრობა). 5

პ. რურუბ — ლექსები 11

პ. ვახუშტაძე — ლექსები 18

ი. ყაზბეგის ძე — პალადიონი (მოთხრობა). 15

შ. შუბლაძე — ლექსები 25

ჯ. ჯაფარიძე — ლექსები 27

ბ. ჩხანიძე — ლექსები 28

დ. ხუროციანიძე — ვის ეკუთვნოდა ის ცრემლები...
(მოთხრობა) 29

ე. გორბილაძე — ლექსები 32

დ. ჯინჯიფიაძე — ლექსები 34

ს. არღვანიძე — აქარა... მხარე ჩემი ოცნების
(ლექსი) 35

ნ. ძირაძე — რას ჩურობს ნიაგი (მინია-
ტურა) 36

თ. რამიშვილი — უშვილონი (ლექსი) 38

დ. ანთონიძე — მეპაპიროსე, ძმობილო! (ლექსი). 39

ბ. ისახანიაძე — „მოთმინების ჩიბუხი“ (მოთხ-
რობა, სომხურიდან თარგმნა გრ. სარ-
ქიხიანმა) 40

კუბლიკაციის

ს. მგებელი — აქარას (ლექსი) 46

დღეები და აღმზინების

ალ. ჩხანიძე — პირველი ნაბიჯები 47

„პრამდის“ ორმოცდაათი წლისთავი

ბ. დოლიძე — საბჭოთა პრესის მედროსე 58

ლ. მხატვარი — „პრავდა“ და აქარის ბოლშევი-
კური პრესა 57


ბ. რამიშვილი — ბაბუა მათე (მოთხრობა, თარგმნა
ტ. ხინთიბიძემ) 62

8806

3

1962

**მ ა ი ს ი
ი ვ ნ ი ს ი**





პრიტიკა და კუბლიცისტიკა

- ბ. ბოლქვაძე — ბურჟუაზიული და რეფორმისტული ფილოსოფია იმპერიალიზმის იდეური იარაღია 68
- აღ. ჩავლიძე — ვამეხ გვირგვინიანის პროტოტიპის საკითხისათვის 73
- პ. ნაცვლიძე — ვალაკტიონ ტაბიძის ერთი ლექსის „მე და ღამე“ გამო 77
- მ. სინარულიძე — გაზეთი „სრომა“ და მისი თანამშრომელი 80
- ვ. ლორია — შანდორ პეტეფი და მისი ერთი ლექსი 85
- აღ. გობარნიძე — ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისათვის მებრძოლი პედაგოგი 87

ეკონომიურ თემაზე

- ბ. ბაბილოძე — მუშახელით მეჩაიობის კოლმეურნეობათა უზრუნველყოფის საკითხისათვის 90

წიგნის თარო

- ვ. მებუძე — მოთხრობები ჩვენს თანამედროვეობზე 93



რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია

ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი), პ. ლორია, აღ. ჩავლიძე, ფრ. ხალვაში.

ნესვორ მაღაზონია

გული ფართოდ გაუღილი

გვიმიზნებდა მტერი გულში,
ავი ჰქონდა ზრახვანი,
მოდოდა რკინის ქუსლით,
ულლითა და ლახვარით.
დეგმირებმა ჩემს მამულში
ხელთ აიღეს ფარ-ხმალი.

დაჰკარ! დაჰკარ! ქვა და გუნდა
მომხედურებს და მტარვალებს!
მამულს შვილი მისთვის უნდა —
მტერს მტერობას ანანებს.

ქულზე კაცი მტერს ებრძოდა,
არ გაუცვდა ჩაჩქანი,
დავიცავით ეს ეზო და
ბაეშის თბილი აკვანი.
და მიწაშიც გავახარეთ
ჩვენი მამა-პაპანი.

კვლავ თუ მოვა ქარიშხალი
უგულოდ და უხამსად,
შევაგებოთ ბასრი ხმალი,
ვჭეჭოთ „მუმლი მუხასა“.

დღეს გმირთა გზით ისევ ვიბრძვით,
რომ იხარონ ერებმა,
ჩვენი ყველა შრომის კერა
იქცეს შვების კერებად,
რომ დამკვიდრდეს კომუნისში —
ხალხთა ბედნიერება.
დაე, იყოს ერთა შორის
გული ფართოდ გაუღილი,
მეგობრობის, ძმობის, შრომის
და მშვიდობის კავშირი.

მამამ იცოდა შრომა უწყვეტი,
კუნთმაგარი და მკლავგაუცვეთი,
ოფლით აღნობდა თოვლსა და ყინვას,
ეჭიდებოდა ქვასა და რკინას.
შრომობდა კაცი
და მოსავალი
თითქმის მთლიანად მიჰქონდა ბატონს...
და ჰა, რომ წყდება გზა დასავალი,
გხედავ, ის მაინც სიცოცხლეს ნატრობს!..
ახლა
ნათელი გახდა მიდამო,
ბედნიერებით აივსო მიწა,
ბედი საერთო ღა სამუდამო
ქვეყნის მნათობელ შუქურად იქცა...
ჰოდა,
ქვეყანა რომ მიყვარს —
და ასე ძლიერ,
სამშობლო რომ მიყვარს —
და ასე ძლიერ,
სიცოცხლე რომ მიყვარს —
და ასე ძლიერ,
და უამათოდ გული ვერ თბება, —
თუ განშორების, შიში ვერ ვძლიე,
ეს ხომ სილაჩრედ არ ჩამეთვლება!

სათქმელი

საღლაც,
სიღრმეში გაჩნდა სათქმელი —
არც ცეცხლი აკლდა,
არც ფერი აკლდა.
თითქოს
ვერ უძლებს გულის სარქველი,
თითქოს
სამყარო აფორიაქდა.
სიტყვების მწკრივში
თრთოლვით და შიშით
გაჩაღდა ხმათა, ფერთა ჭიდილი.

ზოგი მადონებს,
დარდებს მაგონებს,
ზოგი ელურტულებს დედა ჩიტვიით.
ფიქრის და აზრის ორომტრიალში
ისმის განგავში,
ისმის გნისი.
...ლექსის ყინია გადაუჭრელი
ან აგონია.
ნუ მეშინია, გადაუვრჩები?
არა მგონია.



ზვიონე ხაჩვანი

კაცის დღე

მთელი ორი თვეა ლოგინიდან არ ამდგარა.

ბევრჯერ იფიქრა: ალბათ, ყველაფერი გათავდა, ბოლოს და ბოლოს, ოთხმოცისა ვარ... რაღას გავუძლებ ამდენ ავადმყოფობას.

მაგრამ ამ დღით ისე მუხის ნაკვერცხლივით გავღვივდა მზე, ისე ნაზად მოუთათუნა ფანჯარას გარედან მსხლის ხემ ახალამოდებული ფოთლები, ისე გულამომჯდარი ამოჩემებით ეძახის გუგულის, რომ მოხუცს მეტის მოთმენა აღარ შეუძლია. გარეთ უნდა გავიდეს.

ისეც ატყობს — წოლამ მთლად დაანგრია. ფეხები თითქოს მოეხარშა, დაუჭკნა, ხელები გაუთხელდა, დაუბილდა, გაუთეთრდა. თუთუნის მოუწყვლობამაც თითქოს ხასიათი მოუშალა, ჭირვეული გახადა, მოუსაყა.

რაღა დაუმალოს თავისთავს, — ატყობს, შინაურებსაც მობეზრდათ ბერიკაცის ამდენი ბუზღუნე, ყვირილი, ყეიდრება და განუწყვეტელი კვნესა-ჩივილი.

ეჰ, ამათ გონიათ თვითონ მას არ მობეზრდა. თუ...

მაგრამ რა ქნას. ღმერთმა აცოცხლოს ისინი. მათაც აღარსოს ოთხმოცი წელი და მაშინ მიხვდებიან, რაცაა სიბერე.

და თუ თვითონ ასე უნდა, სულ სეჭვს

მიკრული იყოს, ურჩევნია დღესვე... მაგრამ, ვინ იცის, იქნებ შეძლოს ერთ-ჯერ კიდევ აზიდოს თავისი გრძელი და მოღრეკილი ტანი და გაზაფხულის გრილ მიწას, მოხნულ მიწას, დააბიჯოს ეს დასიცხული, გაფშეკილი ფეხები.

„მოხნულ მიწას?“

„ეჰ, გაჩენის დღიდან, რაც ფეხი აიდგა, იმის მერე, მარტო ეს გაზაფხულია, რომ უღელში შებმული ხარები-სათვის არ შეუძახია — „ჰაიდა, ვოში, ხარო, ვოში!...“

რა იყო მაინც ის, — კალთაში რომ ჩაიყრიდა სისხლივით წითელ ალაზანას სიმიწის, ცერის ფრჩხილისიფართე კაკლები რომ აქვს, მარჯვენა პეშვით ამოიღებდა, შრიალით გადააპნევდა ერთ ნაპირს, გაჰყვებოდა, მოუქნევდა და მოუქნევდა...

ისე ჰქონდა ხელი შეჩვეული, რომ ოთოთ კაკალი თესლი საო უნდა დაცემულიყო, წინასწარ იცოდა. სიმეჩხრეს საკმარისს იცავდა, რომ მერე, თონისას ყანას არ დასჭირებოდა ზედმეტი მარგვლა: მაინც ძალიან ებრალებოდა მუხლზე მოყრილი დაყვერილი თართქალა სიმიწის დავლევა.

აჰა და, ხარმაც დაიზმულია ეზოში, ვიღაცამ უღელი სახლზე მიაყუდა, გუთანი ღობესთან მიტრიალდა და გაჩერდა.



ბიჭმა წნელი მოიქნია და ჰაერმა თითქოს აგერ, ავადმყოფის ყურთან დაიწვილა. რძალმა სათესლედ დაფშვნილი სიმინდის ნარჩენ ხვიტებს წვერები ჩამოფხვნა, ვარცლში ჩაყარა და ხარებს გაუტანა.

ისიც ესმის მოხუცს, როგორ მადიანად ახრამუნებენ ხარები სიმინდს, როგორ ურქენენ ერთმანეთს, როგორ ფშვინავენ მათი ცხელი ნესტოები, როგორ მოიქნევენ და აზიზიზიებულ მენჯისთავებზე ლაწანით დაირტყამენ ჯუნჯუღა ხოშორ კუდებს.

განა ეს სიცოცხლეა, — ამფერ ამინდში ლოგინში ეგდო, ტაბიკებს აპურები შენი ხელით ვერ გადაუტოვო, გუთანნი შენ ვერ მოუსო, კვალი ვერ გაიყვანო და მოხულ მიწას ფეხი ვერ დააბიჯო?

არა, მეტის მოთმენა აღარ შეუძლია. უნდა გავიდეს გარეთ.

ოდნავ წამოიწია, ხელი გაიწოდა, თითი ცალ ფანჯარას მიაჭირა. ვალო. მსხლის ტოტი მთლად შიგ შემოვარდა. ახლამოყრილი ქინქლიანი ფოთლები ერთი შეკანკალდნენ, რამდენიმე წვეთი ყვავი მოხუცის დაძარღვეულ ბაღნიან მკლავზე ჩამოყარეს და, გეგონებოდა სუნთქავენო, ნელა დაიწყეს აღმა-დაღმა რხევა.

ცივი ნამის შეხებამ სხეულის ყველა კუნტული გამოადვიდა, ისევ ერთად შეკრა დაღეწილ-დაუძღურებულ ტანო, გული ააჩქარა, მუხლებს ღონე ჩაუყენა და როგორღაც კაცი ფეხზე შეაყენა. ავადმყოფს კვნესა არ დასცდენია.

ახლა მოხუცს უფრო მაღალი მოეჩვენა თავისი თავი, ვიდრე ოდესმე. იმისი-მდლიდან დაპყურებდა ძირს, რომ კინაღამ შეშინდა.

ლურსმანზე ჩამოკიდებული დაკმუჭნილი შარვალი ჩამოიღო, დაუჯდომლად გაპყო ტოტში ფეხი. ღაზლის ზუბუნ გადაიცვა, თავზე დაქლექილი და შემბრეშებული ხელსახოცი მოიხვია და აივანზე ფეხშიშველა გავიდა.

შვილს ხარები ჭიშკრის ქვეშ ჩაყვანა და უღელს ადგამდა. ექვსი წლის ბიჭი, მოხუცის ბაღში, რქებში წაბმულ თოკს

ჩაქიდებოდა, თან მეორე ხელში თოლშერჩენილ წკეპლს ატრიალებდა. ბიჭის დედა სათესლე სიმინდს არჩევდა და ვედროში ყრიდა.

„ეს ქალების გამოგონილი სიბრძნეა, — ჩაეღიმა მოხუცს, — რკინის ჭურჭლიდან თუ დათესავ, მატლი ვეღარ გაჭრისო“.

კიბზე ჩასვლა ძალიან გაუჭირდა, მაგრამ თავსაც დაუმალა ეს და ძალისძივლად სიმშვიდე შეინარჩუნა. მზეს ეზო ისე გაეთბო, რომ მოხუცს მიწის ნამდვილი სიგრილე არც უგრძნია და ოდნავ კიდევაც ეწყინა.

ახალფეხადგმული ბავშვი რომ პირველად დამოუკიდებლად გაივლის კედლიდან კედლამდე და სიხარულით გადაიხრევა, ისე დაემართა ბერიაცსაც, კიბის ძირიდან ჭიშკრამდე ხელმოუკიდებლად რომ მივიდა.

ამ დროს შვილმა შემოხედა. ხარ-უღელი სწრაფად მიატოვა და მისკენ გამოიჭრა. მამას ღინჯად დაეწყო ხელები სახრის მისაწნელავ შიშველ ყეროზე და სიამით გადაპყურებდა სახნავს, საიდანაც ყვითელი გვირილების დამათრობელი სურნელი მოჰქროდა. იგი ხარბად სუნთქავდა ამ ნაცნობ და მონატრებულ ჰაერს და საოცრად არ უნდოდა რაიმეს დაერღვია იმ წუთის იღუმალი ბედნიერება. იმ გამთელებული ფიქრების თავბრუდამხვევი ფერხული.

— რა ქენი, ბაბავ. ასე ფეხშიშველაო რაფერ გამოი გარეთ. ვინდა შეგიქციოს? ჰაიდე. ჰაიდე! — მივარდა შვილი. წაავლო ხელი მხრებში და ოდისკენ მიაბრუნა.

მოხუცი მხრებში მოხრილიყო, მაგრამ მინც შვილზე მაღალი ჩანდა. არასოდეს არ მოსწონდა, შვილი რომ მასზე დაბალი იყო, მაგრამ ეგონა. გაიზრდება, დამეწევაო.

არ მობრუნდა, გაუჩქადა, თან რატომღაც ხარების წინ მდგომ ბაღში მიაშტერდა. ბიჭს მაღალ-მაღალი კანჭები ჰქონდა და ბაბუას ჩუმად უხაროდა, ბაღში, აღბათ, მაღალი გაიზრდება, განათლებული და ჭკვიანიც იქნებაო.



ეჭ, როგორ უნდოდა ბევრი ბადიში ჰყოლოდა. თავისთვისაც უნდოდა ბევრი ვაჟიშვილი, მაგრამ არ იქნა და არ აღირსა ღმერთმა. ექვსი გოგო ზედიზედ ეყოლა. ორმოცდათხუთმეტი წლის რომ შეიქნა თვითონ, მხოლოდ მაშინ დაებადა ვაჟი. აი, ეს, ახლა რომ მის წინაა და აძალებს შინ შედი და ჩაწევიო.

ქალიშვილები ყველანი დათხოვდნენ. ბოლოს მაინც ვაჟიშვილი შერჩა ხელში. ასეა, ძიავ... ეს იცოდა თავიდან, ამიტომ გაუხარდა, ბიჭის აკვანი რომ დაირწა სახლში.

საწყალი დედაბერი... (ასე ეძახდა ცოლს ახალგაზრდობიდან) თხუთმეტი წლის ბიჭი დატოვა და დახუჭა თვალი.

მერე მოხუცმა სველი თვალები ისევ ბადიშისკენ მიაბრუნა. ეჭ, როგორ უნდა ბევრი ბადიში!

გულში შვილსა და რძალზე ჯავრობდა, რატომ არ ჰყავთ ბევრი შვილიო. მერე ჯარში ყოფნა გაახსენდა შვილისა. ოთხი წელი ჯარმა წაართვა. ეს ოთხი ბადიშია, ძიავ. ჯანაბას ყველაფერი, ჯანაბას!

ისე უნდა ჩაძვრეს მიწაში, რომ ერთი არ ეღირსა ამ ჯარობის მოსპობა.

— ბაბავ, გეყურება? წამოი შინ, დაწევი, თვარა...

— გიმიშვი ხელი, შვილო... გიმიშვი და შენ და რძალი დღეს კოლექტივში წაით. ხარი მენა შავება.

— ფეხშიშველა მიწაზე რაფერ იქნება. ავთ ხარ, ბაბავ. — წუხდა და ეხვეწებოდა შვილი.

— გიმიშვი, ხელი, გებნევი. მე დღეს კარქათ ვარ, შვილო. ჰო, ჰო, დასტურ გებნევი. ძალიან მეხალისება გუთნის დაკავება... მე და ბიჭი მოვხნავთ, უჭირს კოლექტივს. თქვენ, შვილო, წაით, სანერგეში მიეხმარეთ ბრივადელს. დასტურ მაგრე ხომ არ იქნება! წაით, მე მარტვაინა ვხნა დღეს, ეს ყანა ახლოა, მეც მივერევი. ჰო, დიმიჯერე, შვილო, ძალიან კარქათ ვავხდი.

შვილმა ხელი გაუშვა და ორივე ნაფუძარში ჩავიდა.

რძალი თესლით საცხე ვედროსთან შეტრეხული იდგა და ფართოდ დაღებულ თვალებს პირდაპირ მამხალებივით აყრიდა ქმარს, უჯავრდებოდა: ხომ არ შეიშალე, ხელში რომ ჩაგვაკვდეს მამამთილი, სირცხვილს სად გაექცევიო.

შემდეგ ქალი გაიქცა და ერთ წუთში ძველი, დარღვეული წულები ჩამოუტანა მოხუცს, მაგრამ ფეხსაცმელი ტყუილად დარჩა, არ ჩაიცვა.

გუთანი თავისი ხელით შეათრია მოხუცმა ხარებს შორის და წირების დამბალი რგოლებით უღელს მიაბა.

— წაით-მეთქი... მე შიმიძლია, ვერ უყურებთ! — დაქინებით ეუბნებოდა რძალსა და შვილს.

ბოლოს, მართლაც დაუჯერეს, სანერგეში წავიდნენ.

ისე ძალიან ეეჭვებოდათ, რომ მამა ხარების გაბმას და გუთნის დაკავებას შეძლებდა.

პატარა ბიჭი ხარებს გაუძღვა. სიხარულით ღიღინებდა. ბაბუასთან ერთად ერჩია. ბაბუამ ბევრი საინტერესო ზღაპრის მოყრლა იცის.

მაგრამ დღეს ძალიან ცოტას ლაპარაკობს ბაბუა. რატომ ნეტავ?..

პირველი კვალის შემდეგ ხარებსაც გაუადვილდათ და მოხუცსაც. გადარბუნებული ბელტები მწყობრად და ხრიალით ეშვებოდა ერთმანეთში და მოხუცის სახეს თანდათან ემატებოდა ფერი, სინათლე და კმაყოფილება.

ბიჭი ხშირად იყურებოდა უკან.

— ბაბუ, თმები შენც შავი გქონდა როისმე?

— კი, შვილო, ახალგაზრდობაში, მამაშენის ხელა რომ ვიყავი...

— შენ როისმე ახალგაზრდა იყავი, ბაბუ?

— ჰო, შვილო, აბა რაი.

— მითხარი რამე მაშინდელი.

„მართლა სერიო იყო ახალგაზრდობა, — ფიქრობდა ბაბუა. — მაგრამ რა ვუთხრა ბაღანას, რას მიხვდება“.

ის ერთი ქორწილი ბარათაულში მამაც არ დაავიწყდება. „განდაგანას“ უკრავდა კიბონზე. გახურდა და გახურ-

და ცეკვა. მეორე ოთახის კარი უცებ გაიღო და ღია კარებს ქალები მოასკდნენ.

ქალები ცალკე იყვნენ და, ალბათ, ჭურჭრუტანიდან იცქირებოდნენ, მაგრამ კარმა ვეღარ გაუძლო მოწოლას. ერთმა ქალმა სხვანაირად მიატეხა თვალები მეჭიბონეს. დიდი, თეთრი სახე ჰქონდა. წაბლისფერი ნაწნავები და ჭრელ თავშალში ვარდისფერი ლოყები მოუჩანდა.

ჭიბონს გულაზე სარკე ჰქონდა ჩატანებული. სარკემ ფანჯრიდან სინათლე მოიტაცა, ქალიშვილისკენ გაისროლა და მის სახეზე აათამაშა. ეს სინათლე ვითომ მეჭიბონეს აღელვებული ხელი იყო. ისე სათუთად უვლიდა ყელს, შუბლს, ნაწნავებს, ლოყებს და ტუჩებს. არ შეიძლება კაცებში ცეკვა, მაგრამ იმ გოგოს ცეცხლი ეკიდებოდა, ისე უნდოდა ცეკვა სწორედ მაშინ, იმ ჭიბონის ხმაზე, იმის დაკრულზე.

ჭიბონი უფრო და უფრო ატირდა, აკვნესდა, გადაირია. გოგომ ვეღარ მოითმინა, უცებ თავშალი შემოიძრო, დააგორვალა, მეჭიბონეს ესროლა და წრეში გაიჭრა.

თავშალი მეჭიბონეს მხარზე შერჩა, ისიც აიჭრა და ქალიშვილთან ერთად დაუარა. თავშალს ნაწნავების სუნი შერჩენოდა და მეჭიბონე ცხელი ლოყით ეხებოდა მას.

იმ გოგოს ძმები და მამაც იქ იყვნენ. კინალამ გაგიჟდნენ ამაზე. როგორ იქნებოდა ქალს ჩადრი გადაეგდო და მამაკაცებში ასე შემოილივით ესამა. გადმოხტნენ, შეოკოეს ქალი, ასწიეს და გარეთ გააქანეს. ვილაცამ თავშალიც გააქოლა. ამის მერე ხალისი მოკვდა, ჭიბონი დაიჩუტა და გულმა უხილავი ტკივილი წამოიღო შინ.

ის მეჭიბონე თვითონ იყო, ბაბუ, მაგრამ როგორ უთხრას ეს ამბავი ბაღის.

ისე ვინ იცის, ის გოგო რომ შეერთო, შეიძლება ახლაც ცოცხალი ჰყოლოდა ცოლი და პირველი შვილებიც ვაყები ყოფილიყვნენ.

— ვოში, ხარო, ვოში!.. — შეუძახებდა ხანდახან მოხუცი.

„ჯანბას, — ფიქრობდა თანაც, — შეეძელი ერთხელ კიდევ „ვოში“ დამეძახა“.

ბაღში სულ ელოდებოდა, იქნება რამე მითხრასო.

მოხუცი გაჩუმებული მიაბიჯებდა გუთნის გვერდით და ბევრს ფიქრობდა. მთელი ცხოვრება აგონდებოდა, ყველა ნაცნობი, ყველა ამბავი. ხანდახან თავისთვის ჩაიღიმებდა. ეგონა, რასაც თავისთვის უყვებოდა, ბიჭსაც ესმოდა და უფრო კმაყოფილო იყო.

არა, ეს ბიჭი სხვაა. ის ნამდვილად ისეთი იქნება, მას რომ უნდა. შუბლზე ეტყობა.

— ვოში, ხარო, ვოში!..

ერთხელაც არ მოუქნევია ხარებისათვის წკებლა.

ძლიერ ეცოდებოდა ეს საწყალი ცხოველები, ათასობით წელიწადი რომ ემსახურებიან კაცს და მათი საშველი მაინც არაა. რა ქნას ამ მიწამ, — რადგან მიწდორი არაა, მანქანა არ უნდა ეღირსოს?

ხარები ღონივრები იყვნენ და ჰკვიანი, რადაცნაირი სევდიანი თვალები ჰქონდათ. მიდიოდნენ ნელა და ერთნაირად. არც „ვოშიზე“ აუჩქარებდნენ და არც მაშინ, ბიჭი რომ თოქს მოქაჩავდა.

— ბაბუ, მითხარი რამე. — ეხვეწებოდა შვილიშვილი.

არა, რამე მართლა უნდა ვუთხრა ბიჭს, მაგრამ მაგი ჯერ ვერ მიხვდება, იმ თავშლიანი გოგოს ძმებთან დაჯახების ამბავი რომ მოვუყვე, — ფიქრობდა ბაბუა.

არ მახსოვს, მერამდენე დღე იყო ქორწილიდან, ტყეში შემაზე რომ წავედი. ჭვრთი მომაქვს. ამ დროს უკნიდან მუპარებიან და კაჩაში რაღაცას მირტყამენ. ჯირკვები გადაყარე და მოვტრიალდი. გაშეშდნენ, ეგონათ, სასიკვდილოდ დამარტყეს. ეგონათ, იქვე წავიქცეოდი.

შეცდნენ. მაინც სხვანაირად მექავებოდა ხელები და ვეტაკე. ერთმანეთს ვაჯახებდი და ცხვირპირიდან სისხლს ვანთხევინებდი. მერე შერცხვით და გაიქცნენ. მეც შემრცხვა: როგორ ცვემე ისეთი გოგოს ძმებს-მეთქი. მაგრამ თურმე



სხვა საქმე იყო: მე ვერ მიცვნი, თორემ ის მეორე ძმა კი არა, საქმრო ყოფილა. ასე მცოდნოდა... თუმცა მაინც ვერ მოვიტყინდი. ჩემთან რა უნდოდათ, ჩემი ბრალი ხომ არ ყოფილა!

ხარებს ნესტოებზე პატარა თეთრი ქაფის ზოლი შენიშნა მოხუცმა და შეატყო, დასვენება უნდოდათ. კიდევ ორი კვალი, ნაპირიც გასწორდება და დაასვენებს.

მაგრამ ამ ბიჭს რა უყოს? იქნებ მაინც მოუყვეს რაიმე?

რა არ გაახსენდა, რაზე არ იფიქრა. მაგრამ ბიჭის საფერი თითქოს ვერაფერი მონახა.

მოგონებები სიმინდის ბრტყელი კაკლებივით ცვიოდა ბელტებქვეშ და მოხუცს ეგონა, რომ მთელ თავის ცხოვრებასაც ამ მიწაში თესავდა. მოსავალს ხომ ბიჭი აიღებს, — ინუგეშებდა გულს. ჰოდა, მიხვდება კიდევ, რა კაცაც ვიყავი.

ხარები წარსული გაზაფხულებით იცნობდნენ მოხუცს. იცნობდნენ იმიტომ, რომ მოხუცის საყანე მძიმე მიწა იყო და მოსახნავად ეს ოთხი წელია ისინი მოჰყავდათ. მაგრამ ასე ყინიანი, უთქმელი და მოუსვენარი ის ჯერ არ უნახავთ.

ბიჭი კი სრულებითაც არ დადლილა. ბოლოს მან თოკი სულ შეაგდო უღელზე, ტყუილად დახტოდა ხარების წინ და ხარებიც სრულებით აღარ აქცევდნებ ყურადღებას.

მეტი აღარ შეიძლებოდა. ახლა მართლაც უნდა დაესვენა, მაგრამ მოხუცს რატომღაც დასვენებისა ეშინოდა.

ფეხებიდან რაღაცნაირი ცივი მდინარე დაიძრა და მუხლებს ღონე გამოეცალა. ხელები გუთანს მაინც არ ეშვებოდნენ. მაგრამ ახლა ბერიკაცს კი არ ეჭირა გუთანი, არამედ გუთანი იკავებდა ბერიკაცს.

როცა ასეთი სისუსტე იგრძნო, ნებები სულ გაეფანტა და ახალგაზრდობის იმ მჩქეფარე ტალღებიდან დღევანდელ უღონო ყოფნას და იმ სიცარიელეს დაუბრუნდა, რომლის იქით, ალბათ, აღარც სიცარიელეა.

სითბო და სიცხე ორი თვის ავადმყოფობამ საშინლად მოაბეზრა და ახლა, დადლილობამ თუ რაღაც სხვა რამემ ყველაფერი ისევ რომ გაუხუტა, იფიქრა, ერთ დიდ გრილ გოროხს ავიღებ და მკერდზე გადავიფშვნიო.

მაგრამ ამისთვის ხომ უნდა შეჩერებულყო. შეჩერებისა კი ეშინოდა. ეშინოდა იმიტომ, რომ ხელმეორედ ადგილიდან დაძვრის იმედი აღარ ჰქონდა.

— ვოში, ვოში, ხარებო!.. — შესძახა, მაგრამ ძახილი არც თვითონ მას გაუგონია.

და შეცრად გული დაეწვა, რომ შვილი და რძალი გაუშვა. რა ქნა ეს, რა უჭკუობა ჩაიღინა. რაფერ შეიძლებოდა ნაფუძარში მისი ჩამოსვლა, მიწაზე ფეხშიშველა სიარული, გუთანზე გამოდევნება. არა, ალბათ, დღე დაეღია...

ჰოდა, თუ დღე დაეღია, შვილი არ უნდა ჰყავდეს აქ, გვერდით? მერე გული იმაზე ეტკინა, რომ შვილს ხმამაღლა უთხრა „...წადიო“, ალბათ, რძალსაც ეწყინებოდა. საერთოდ, შვილისა და რძლის ყველა წყენინება გაიხსენა, საკუთარი კი დაივიწყა და ჩუმად ინანა, რომ ზოგჯერ მეტად მწარე ენისა იყო. არა, ეს მაშინაც იცოდა — ბოლოს ვინანებო, მაგრამ რა ექნა. ვერ ითმენდა, მწარე რომ არ ეთქვა.

მთელი ეს ფიქრები ისეთ მოკლე დროში ჩაეტია, რომ ნახევარი კვლიც ვერ გაავლო. წინ მოჩანდა სახნისით გაჭრილი უსასრულო შავი ღარი, რომელშიც ქვედა ხარი ოთხივე ფეხით ჩამდგარიყო და ნელა, სულ ნელა მიაბიჯებდა.

მიაბიჯებდა?

არა, არა, ხარები უკვე შემდგარიყვენ და მხოლოდ კუდებს იქნევდნენ.

ბიჭს უხაროდა, რომ ბაბუ დაიღალა და შეიძლება მას დარჩეს მეგუთნობა დღეს. სალამოს მამას მიახარებს, ერთი ნაპირი მე დავხანო.

ჩუმად იჯდა ბიჭიც — ბაბუამ კარგად მოისვენოსო.

კარგა ხნის შემდეგ ვეღარ მოითმინა, ადგა და გუთანს დაეჭიდა, თან ხარებს შეუძახა.

ხარები უხალისოდ, ზღაზვნით დაიდრნენ და მოხუცის მისობილმა გუთანმა

გზა განაგრძო, ნელა გადააბრუნა რუხი ნესტიანი ბელტები.

ბიჭი სიხარულით ცას ეწია — ეგონა, ბაბუ უყურებდა და გულით აქებდა მის ვაჟკაცობას.

ბაბუა კი ზოლებად ჩაწყობილ ახალგადაბრუნებულ ბელტებზე, როგორც ზღვის ტალღებზე, პირაღმა იწვა და ღია თვალებით პირდაპირ ვაზაფხულის ვეებერთელა მზეს მისჩერებოდა, თითქოს ბუხარში ცეცხლმოდებულ მუხის ჯირკს ეცხუნებოდა, მაგრამ იმოდენა ელვარებისა და მხურვალებისაგან არც თვალს აფახულებდა, არც კურცხალი მოუჩანდა.



პაკმონ ჩაქაძე

ისევ ნორჩი ხარ...

ისევ ნორჩი ხარ, ახალგაზრდა, გიყვარს სიცოცხლე,
ღვახარ მიწაზე ფესვმაგარი, ვით ბერი მუხა!
ღღეგრძელი იყავ ქვეყანაზე, ჩემო სიცოცხლეც,
ქედმოუხრელი, მოუღლეელი ჭაბუკი მუღამ.

გმირი ის არის, ბრძოლის დროშა ვინც არ დახარა,
ვისაც ცრემლები არ დენია სიღაჩრით თვალზე!
ვინც უღმობელი ბოროტი მტრის სისხლი დაღვარა
კრწანისის ველზე, ასპინძა და ნარიყალაზე.

წნორის ხესავით არასოდეს გადაიღუნო,
გმირობა გმართებს გაფანტო და სძლიო უკუნი!
გმირობა გმართებს შეგიყვარონ და შეიყვარო,
რომ გულს ატკობდეს მარად შენი ჩანგის გუგუნი!

ი ე ბ ი

ისფერებით ცის ტატნობი შეიმოსება,
ისფერ კაბით გაზაფხული შემოვა ბალში!
ისფერებში დამკვიდრდება ჩემი ოცნება,
ისფერები საყვარელი ფერია ხალხში.

ამიტომ მიყვარს ყველა ფერზე მე ეს ფერები,
ამიტომ უყვარს ჩემსა თვალებს მათი დანახვა!
ამიტომ იებს მე აღარ ვწყვეტ და ვეფერები,
რადგან მე მათი სიყვარული თავიდან დამყვა.

იაიებო! გაზაფხული ამიფერადეთ,
იაიებო! გამახარეთ თქვენი ღიმილით!
იაიებო! თქვენი კალთა გადამაფარეთ,
რომ თქვენთან ერთად გავახილო თვალი მეც დილით!

წვეთები ზღვაში

ჩემი ლექსები წვეთებია ბობოქარ ზღვაში,
მაგრამ ის მაინც გაითქვიფოს არ მინდა სხვაში.
წყვედიად დამეში ანთებული, როგორც სანთელი,
იმგვარად უნდა ბნელს ჰფანტავდეს ლექსის ნათელი.
უნაყოფობა უმიზნობის შვილია მკვიდრი!
უწამლო უნდა, როცა ვენახს უჩნდება ფითრი.
აბა, რად მინდა ცარიელი სიტყვების ბოდვა!
ასეთი ლექსი, რომ დაიხრჩოს, არ არის ცოდვა.
გამარგლავ ყანას, მიიღება კარგი ნაყოფი,
ნერგი რად გინდა დარგო ცუდი და ავადმყოფი?
მე ამ სიტყვისთვის, ვიცი, ბევრი დამემდურება,
მაგრამ არ მიყვარს ლექსი, ნისლით რომ იბურება!



ვიქორ გახესკირია

მიხეილ შოლოხოვის

გეინდა ცოცხლობდი, მხნედ იყო დიდხანს,
გესურს უკვდავება შენ საქმემ ჰპოვოს,
რადგანაც იცით ზოგჯერ შეკითხვა:
„როგორ ხართ, ჩემო ქართველებოვ?“

კარგად ვართ, კარგად, ვიქნებით მხნელა!
თქვენთან სალამი სხვებმა მომასწერეს...
ან მას რა უჭირს, ვინაც შეხედავს
ლამით ანთებულ ჯვარის მონასტერს!

გაიბნა სევდა, როგორც ნაცარი,
რადგან სიმტკიცე გვახლდა მთებური...
ქართული სულიც იმ ტაძარივით
სიკეთით არის განათებული.

თქვენ ეს გიგრძნიათ; ასე ამბობდნენ,
რომ მოხიბლულხართ ჩვენი მთა-ბარით...
სხვის სიდიადით იხიბლებოდე, —
მხოლოდ დიდ ნიჭთა თვისება არი.

თქვენს სულში ჩამსხდარ ყველა ბუღბუღებს
სულ ევალობით! მათთვის ნუ მოთოვს!...
საქართველოზე შეყვარებულებს
მიმატებიხართ პუშკინს, ლერმონტოვს!

თბილისი, 1960 წელი.

ყვავილი ავღარში

ყვავილო ჩემო, როგორ, ქარი აღარ გასვენებს?
ფანჯრიდან გიციქერ, შენგან რა სურს, რატომ არ ცხრება?

ქარი ჩამდგარა, ახლა უკვე წვიმა გასველებს...
ვერა, ვერც წვიმა ვერ ახერხებს შენს დამარცხებას!

წვიმა ბათუმში

მტირალა ერქვა იმ მთას, დღეს კი ჰქვია ცისკარა,
ღრუბლები მაინც მივლენ მასთან — მისი ღებია!
ზოგჯერ წასკდებათ ცრემლი მათ და, ის მთა კი არა,
ბარში სახლები და ხეებიც ატირდებიან.

ბათუმის ბაღში

თეთრი ყვავილნი მაგნოლიის, კარგო გოგონავ,
მახსოვს გზიბლავდა, მათ უცქერდი, გიცემდა გული...
დღეს რატომ ვხედავ იმ ყვავილებს? — მე ხომ მეგონა,
რომ შენთვის იყვნენ ხეივანში განათებული.

ღრუბლები

ხშირად იარეთ ჩემს სამშობლოს ცაზე, ღრუბლებო,
იცოდეთ, თქვენ ხართ მუდამ მისი ტკბილი სტუმრები,
თქვენ მას ჩრდილებით ეფერებით, ხან კი, ობლებო,
ცრემლს ღვრით, ყუყუნა წვიმებითაც ესაუბრებით.



იუზა ყაჭიიშვილი

კალადიონი

მე ვიჯექი კანტორის წინ, ქვის მრგვალ მაგიდასთან. თემშარას გაყოლებით, თერთრად შეფეთქილი შენობების ჩრდილში, გლეხები ისხდნენ და საუბრობდნენ. ფოსტასთან მაღალი ტანის ბიჭს მოვკარი თვალი, მკერდზე ჟურნალ-გაზეთების დასტა აეხუტებინა და მოდიოდა. ფოსტალიონს ჰგავდა, მაგრამ უჩანთოდ იყო. ვერ ვიცანი. უწინ ცალხელა იავორა მუშაობდა ამ სოფელში ფოსტალიონად. უცნობმა დინჯად ჩამოუტირგა გლეხებს გაზეთები, თან პირში გაჩრილ პაპიროსს ატოკებდა. რალაცას ამბობდა, მაგრამ ჩემამდე არ აღწევდა ხმა. მაღაზიას რომ გაუსწორდა, ფანჯრიდან ნოქარმა გამოიხედა და ჰკითხა, ჩემი გაზეთი თუ არისო. ბიჭმა უხერხულად მოიფხანა კეფა.

— მამაშენმა მითხრა, თინიკო, მომიტანეო!

თინიკოს მამა, პახუმი, სოფლის დალაქია. სადალაქო კანტორის ეზოში დგას.

— მე მომიტანე, პო! — გასძახა პახუმმა. ის სადალაქოს წინ იჯდა და ქვაზე სამართებელს ლესავდა.

ფოსტალიონი ეზოში ჩამოვიდა. ეცვა ტილოს თეთრი შარვალი და ლურჯი ხალათი. ჩემკენ არ გამოუხედავს, ისე ჩამიარა გვერდი. დალაქს გაზეთი მისცა და გამოტრიალდა.

„პალადიონი ხომ არ არის?!“ — გავიფიქრე და გული ამიძგერდა.

პალადიონი ჩემი სკოლის მეგობარი იყო. მამა სამამულო ომში დაეღუპა, დედაც იმ ხანებში მოუყვდა ტიფით. ბებია ზრდიდა და ხელისშეწყობა აკლდა. ერთხელ კლასში დაგვიანებით შემოსული პალადიონი მასწავლებელმა უკანვე გააბრუნა — ჰკუთას ისწავლისო. იმ დღიდან სწავლას სულ მიანება თავი და სადღაც გაქრა. მეხსიერებაში ჩამრჩა კართან ატუზული პატარა ბიჭი, ქამარში გარჭობილი წიგნით და ტალახიანი ლეკურა წულეებით. გასვლისას დაგვეჭყანა და ენა გამოგვიყო.

მას აქეთ თორმეტი წელიწადი გავიდა. მე უკვე უმაღლესში ვსწავლობდი. ზაფხულობით ხშირად ჩავდიოდი სოფელში, მაგრამ პალადიონი აღარ შემხვედრია. ახლა ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ეს ბიჭი პალადიონი იყო.

— პალადიონ! — დავუძახე, თან ფეხზე წამოვდექი.

ზანტად მოაბრუნა თავი, შეჩერდა. პატარა ხანს გაკვირვებით მიყურა და მითხრა:

— გამარჯობა შენი.

გახარებულმა გულში. ჩავიკარი, გადავკოცნე. ის იდგა გაშტერებული და უკან-უკან იწევდა. მხარზე დავარტყი ხელი.

— პალადიონ, ველარ მიცანი?

— რავე ვერ გიცანი, თენგო ხარ! — დამთქნარა და ჩაყვითლებული კბილები გამოაჩინა. სახეზე შავ წერტილებად აჩნდა ფერისმკვამელები.

— რამდენი ხანია ერთმანეთი აღარ გვინახავს. — უფრო იმიტომ ვთქვი, თავისივე გულგრილობის რომ შერცხვენოდა.

— ოჰ, დიდი. მაშინ ომი იყო!

ძალიან შეცვლილი ჩანდა. ბავშვობისას უფრო ცოცხალი და ეშმაკი იყო. ყველაფერი მახსოვს: ხავერდის წითელი პალტო ჰქონდა და ყოველ ზამთარს იმას იცვამდა. პალტო ჯერ დიდი ჰქონდა, მერე თანდათან მოერგო ტანზე. ბოლოს, დაუშოკლდა და გაუცვდა, მაგრამ მაინც იცვამდა.

— სად იყავი, პალადიონ, რას აკეთებდი?

— რას ვაკეთებდი და იმას ავერ... — გაზეთები მარცხენა იდლიაში გადაიტანა და ალვის ხის კენწეროს მიაშტერდა. გაზეთებს ახალი ქაღალდის დამახასიათებელი სუნი უდიოდა.

— სოფელს როდის დაუბრუნდი?

— წელიწადზე მეტია.

— ქუთაისში იყავი, არა?

ვიცოდი, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მუშაობდა. ერთხელ ხმა დაყარეს — გვასახელა, რაღაც დაზგა გაუქმებიაო. ეს ხმა არ გამართლდა, მაგრამ სოფელში მაინც დიდ პატივს სცემდნენ.

არ შემოუხედავს, ისე დამიქნია თავი. კანტორის ჭიშკართან ვიდექით, მზეში. მზე ზენიტზე იდგა და შლაპის ჩრდილი მთლიანად უფარავდა სახეს. პირდაპირ სკოლის ეზო ჩანდა. გამახსენდა, რამდენს დავბოდიით იქ ბავშვობისას. ომობანას ვთამაშობდით სულ. ჩაყვრიდით ხოლმე ქაღალდში ნაცარს და ერთმანეთს ვესროდი. დაცემისას ქაღალდი იხეოდა და ისეთი კორიანტელი ღებოდა, მართლა ყუმბარის გავარდნას ჰგავდა.

— სკოლა კარგი იყო, პალადიონ, არა?

— კი, რა უჭირდა.

— სულ ერთად რომ ვიჯიყვებოდა სოფს.

— კი.

— ფოსტალიონობა დიდი ხანია დაიწყე?

უცმაყოფილოდ დაედრიჯა სახე, რასისულელეს მეკითხებო. გაზეთებს ისე დახედა, თითქოს არც ახსოვდა, ხელში თუ ეჭირა.

— აა, — თქვა და უგემურად გაიცინა. — ეს დროებით, იაგორა გახდა ცოტა ავად. — მკლავზე მომკიდა ხელი. — წამო, დავკდეთ სადმე ჩრდილში.

მიტრიალდა და სასადილოსკენ წავიდა. ხალათი ირიბად ჰქონდა უკან ჩახეული. ბეჭებზე თმა და ქერტილი ეყარა.

ხის მაღალი კიბით აივანზე ავედით. მარჯვნივ, კედელთან, ცარიელი ბოთლების სავსე ყუთები ეწყო. ბოძზე პირსახანი ეკიდა. პირსახნიდან წყალი მოწვევთავდა. პალადიონმა დაიბანა ხელი. გაიმშრალა და პირსახოცს ჭუჭყის შავი ლაქები დაამჩნია.

ფანჯარასთან მივუჯექით შიშველ მაგიდას. შლაპა სკამზე დადო და გამხდარი თითებით აიჩეჩა მოწითალო ფერის გადასლექილი თმა. ხალათის ქვეშ ცისფერი ჰალსტუკი ეკეთა. სანამ მაგიდა გაიწყობოდა, უხმოდ ვიჯექით. პალადიონი განზე იხედებოდა და ხელით უქშევდა ბუზებს. მერე მდიანად დაიწყო ჭამა. ღვინო დაასხა, გაგიმარჯოსო, თქვა და ჭიქა მომიჯახუნა.

— უმადლესი უკვე დაამთავრე?

— არა ჯერ, გაისად ვამთავრებ.

— ყველა ამთავრებს ახლა უმადლესს, — თქვა დამკინავად. ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო და მოუყიდა.

— შენ რა ქენი, სწავლას შეუბრუნდი?

თავი გაიქნია.

— ჩემით რაღაცებს ვკითხულობ და კიდო ვმუშაობ...

— ფოსტალიონად, არა?

უცებ ხველა აუტყდა. პირზე აიფარა ხელი და დაემსგავსა ბავშვს, რომელსაც ყვიანახველა ახრჩობს.

— მკლავს პაპიროსი, — თქვა ღიმი-
ლით.

შეგხედე მის ფერდაკარგულ სახეს და
შემეცოდა. თვითონ ისევე ილიმებოდა,
თითქოს ამაყობდა, ბევრს რომ ეწეოდა.

— მე გლახათ ვსწავლობდი?

— რას ამბობ, მშვენივრად სწავლობ-
დი!

მართლაც კარგად სწავლობდა. მასწავ-
ლებელს იშვიათად უსმენდა, მაგრამ მა-
ინც ახერხებდა გაკვეთილების მომზადე-
ბას. ხასიათი ჰქონდა უცნაური: ზოგჯერ,
მთელი ჯგუფი რომ გასუსული იჯდა, ის
ხმამაღლა გაიცინებდა. „რაცა გამახ-
სენდა“, — იმართლებდა მერე თავს.

— ვსწავლობდი აბა რა! ერთხელაც
არ დავრჩენილვარ!

სკამი ახლოს მივაჩოჩე მისკენ, ჭიქა
შეგვუსე ღვინით და მწვადი მივაწო-
ლე.

— ხორცს ვერ ვჭამ. — ლანგარი იქით
მისწია. — ავადმყოფი კაცი ვარ მე, ღვი-
ძლი მტკივა.

გარეთ თანდათან მატულობდა სიცხე.
შორიდან ყრუდ აღწევდა ნაწყვეტ-
ნაწყვეტი შეძახილები. გზაზე ჩაით და-
ტვირთულმა მანქანამ ჩაიარა. ძარას
მწვანე ბრეზენტი ჰქონდა გადაფარებუ-
ლი. მზით განათებულ აივანს მივაჩერ-
დი. იატაკზე აკაციის ჩრდილი ირწეოდა
და მომეჩვენა, თითქოს იატაკი ქანაობ-
და.

— თვითმფრინავი რო გვაკეთე, გახ-
სოვს? — მკითხა პალადიონმა.

ბავშვობისას გააკეთა თვითმფრინავის
მოდელი და იმაზე მეკითხებოდა. ანკა
ახლა რამ გაახსენა. საერთოდ ნიჭიერი
ბიჭი იყო, ლექსებსაც წერდა. ის თვით-
მფრინავი ფიზიკის მასწავლებელმა თბი-
ლისში გაგზავნა რომელიღაც გამოფენა-
ზე.

— მახსოვს. პალადიონ, მახსოვს. არ
უნდა გამოსულიყავი სკოლიდან.

— რა უჭირს მერე, ნიჭი მაინც თავი-
სას გაიტანს...

შევატყვე, რალაც უნდოდა ეთქვა და
დავეთანხმე — ნიჭი თავისას გაიტანს,
აბა რას იზამს-მეთქი. გაუხარდა და მისე-

ბურად ტუჩებით გაიცინა. სასადილოში
მარტო ჩვენ ვიყავით. ოფიციალტიკა
ზეთს კითხულობდა დახლონ. გაზეთი
პალადიონმა ათხოვა წელან. ახლა ჩაფი-
ქრებული იჯდა და ისეთი დაძაბული სა-
ხე ჰქონდა, როგორც ყრუ-მუნჯებს აქვთ
ხოლმე. მერე თავი ასწია და შემომხედა.

— მარადი ძრავა გავიგონია?

უცებ ვერ მივხვდი, რას მეკითხებო-
და.

— რა თუ გამიგონია?

— რა და მარადი ძრავა... ფიზიკის
წიგნში იყო დახატული.

— აა, ვიცი, მახსოვს.

— მე ვაკეთებ ახლა!

— მარად ძრავას?

— ხო, ბორბალს. დაატრიალებ ერთ-
ხელ და მერე მისდღემში მისით იტრია-
ლებს.

— შენ აკეთებ? — ყრუდ ვთქვი, თან
ნაკლულ ჭიქას ვუყურებდი.

— ვაკეთებ აბა რა! — სიამოვნების-
გან თვალები აუბრჭყვივალდა. — აბა
შენ ფოსტალიონი გეგონე?

უხერხულად ვიგრძენი თავი, თითქოს
რაიმე დანაშაული მიმიძლოდა. ვუთხარი.
შეუძლებელია ასეთი ძრავას აგება,
ტყუილა თავს ნუ მოაკლავ-მეთქი. ენერ-
გიის მუდმივობის კანონი მოვაგონე.

— ვიცი, შენ გგონია, არ ვიცი ენერ-
გიის კანონი? ძნელი გასაკეთებელია,
მარა მაინც უნდა გავაკეთო მარადი ძრავა!

თითქოს გატაცებით ლაპარაკობდა,
მაგრამ სახე მაინც მოწყენილი ჰქონდა.
ოფიციალტიკა გაზეთი გვერდზე გადალო
და პირდაღებული შემოგვაჩერდა. და-
ლაქი შემოვიდა პაპიროსის საყიდლად.
იმანაც ჩვენ მოგვაყურადა.

— ქვეყანაზე ჯერ ვერაფერს ააგო თურ-
მე. — განავრძო პალადიონმა. — მე რო
გავაკეთებ, მერე ნახეთ თქვენ!

ერთი წუთით კიდეც შეიკვძდი.

— ეგ რომ მართლა გავაკეთო, პალა-
დიონ... რას ამბობ შენ!

ამას რომ ვეუბნებოდი, გახარებული
თვალეებში შემომცინოდა და თავს მიკა-
ნტურებდა.

— მართლა, აბა სათამაშოდ მცალია?!

ჭიქა აიღო და მადღეგრძელა:

— გაგიმარჯოს, კაი ბიჭი ყოფილხარ! დახლისკენ მიბრუნდა.

— დაგვილიე, პახუმ, ერთი ჭიქა ღვა-
ნო. თორნიკე — შენც!

ორი თეთრხალათიანი კაცი მაშინვე მოცუნცულდა.

— ვინ არის აგი? — იკითხა პახუმმა და თითი კინლამ თვალში მატაკა.

— აი თენგოა ჩვენი, — აუხსნა პალა-
დიონმა. — ვერ იცანი?

— უი, ვერა, ვერა. გამარჯობა, ბიძია, შენი! — ჭიქა აიღო და უცებ პალადიონს მიუბრუნდა:

— სოფლის საამაყო ხარ, ბიძია. ამი-
ტომ გაფასებთ ასე. სხვებს რატო არ ვაფასებთ ასე? ყველა არც არი ღირსი და იმიტომ. — შენ ხარ!

ერთი ჭიქის მეტი აღარ დაუღვევია. მკაღს ყუა წაატეხა და ხორცის ნაჭერი აიღო.

— შენ რომ რაცხას აკეთებ, — უთხრა მერე, — აგი მთელმა სოფელმა იცის. შენ გგონია არ იცის? დიდი იმედი გვაქვს შენი და აბა შენ იცი!

თორნიკეს არ დაუღვევია ღვინო. არც უთქვამს რამე. პახუმის ლაპარაკს უს-
მენდა და მასაც იგივე ეხატებოდა სახე-
ზე. მალე წაივინდა ორივენი. პალადი-
ონმა დალაქს მადლიერი თვალეები გაა-
ყოლა, გადმოიხარა და წამჩურჩულა:

— შენ რაღა დაგიმალო, პახუმის გო-
გო ქე მიყვარს...

— მართლა, ბიჭო?

— მართლა, აბა ვითომ?!

რაც უფრო დინჯი და სიტყვაძუნწი იყო ფხიზელი, მით უფრო აცენტდა და ალაპარაკდა ახლა, სიმთვრალეში. მარა-
დი ძრავა გაკეთებული მაქვს, რაღა და-
მრჩაო. თინიკოც აქო, წესიერი გოგოაო. ორი ბოთლი ღვინო ჩამოადგმევიინა კი-
დევ თორნიკეს. მერე მოყვა ტრაბახს: მაგარი მსმელი ვარ, ამ სოფელში კაცი-
შვილი ვერ მათრობსო.

— სამ ლიტრას თავისუფლად დაე-
ღვე, — თქვა მან. მერე სამი ეცოტავა და თანდათან მოუმატა. — სამი რაა,

უფრო მეტსაც დავეღვე... ოთხს დაე-
ღვე, ხუთს დავეღვე, თუ გაჭირდება შენს!

საესე ბოთლს წამოავლო ხელი, რომ მინდოდეს, ამას სულმოუთქმელად გამოვცილო. მოიყუდა კიდევაც ბოთლი, მაგრამ ხელი დაუჭირე.

— არ დალიო, პალადიონ!

უკვე სადამოვდებოდა. შემოდიოდნენ თეთრი ხილაბანდებით თავწაქრული გლეხები და იქვე დახლთან სვამდნენ ცივ ლუდს. თან შემოჰქონდათ ნედლი ბალახისა და მიწის სურნელი.

— ქე ავდგეთ აწი! — თქვა პალადი-
ონმა და რაფაზე შემოწყობილ გაზე-
თებს მიწვდა. ფულის გადახდა არ დამა-
ნება: ჩასწერეო, უთხრა თორნიკეს.

ოფიციალტმა რვეული გაშალა და და-
ხლზე ძაფით გამობმული წალეული ფან-
ქრით დანახარჯი ჩაინიშნა. გაზეთი გაუ-
წოდა პალადიონს, მაგრამ პალადიონმა არ გამოართვა: იყოს, შენთვის მიჩუქ-
ნიაო.

კიბეზე ჩასვლისას ფეხი წამოიკრა და კინლამ დაეცა. გაზეთები დაეფანტა, მაგრამ არ გაბრაზებულა. მორჩილი ბავშვივით შეძვრა კიბის ქვეშ, თან გაზეთებს კრებდა, თან რაღაცას მეხუმრებოდა. შლაპაზე ალაბუდები მოედო, ზურგიც რამდენჯერმე აარტყა კიბის ძელს. სასაიდლოდან ხალხი გვხედავდა და იცინოდა. მე დავეხმარე გაზეთე-
ბის აკრებაში, ხალათიდან მტვერი ჩამო-
ვუფერთხე და ვუსაყვედურე, თავს რად იმწარებ, გემოვა სადმე ერთი ჩანთა-
მეთქი. უკმაყოფილოდ გადმომხედა მი-
ბლეთილი თვალეებით: ჩანთა მაქვს, მა-
რა ამ ორი დღის გულისთვის იმხელა ჩანთას რა მათრევიინებს, ხალხს მართლა ფოსტალიონი ვეგონებო.

მზე მახლობელ გორაკს მოეფარა. ხვა-
ტი გაიფანტა და საგნებმაც უფრო მკვე-
თრი, ხილვადი ფერი მიიღეს. პალადი-
ონს მადლობა გადავუხადე და შინ წა-
ველი.

* * *

ჩვენს უბანში პალადიონი ხშირად და-
დიოდა, მაგრამ ეზოში ერთხელაც არ ჩა-



მოსულა. საერთოდ არ უყვარდა ეზობ-
ში ჩასვლა. ვაზეთს ან წერილს ჭიშკარ-
ზე ჩამოდებდა და უხმოდ ბრუნდებოდა
უკან. ყველამ გაიგო, „რალაც ბორბალს“
რომ აკეთებდა. ფოსტალიონობა რა მა-
გის საქმეაო, — ამბობდნენ. — ნამეტა-
ნი ნიჭიერი ყოფილაო. მე ხშირად ვნა-
ხულობდი სოფლის ცენტრში.

— გავაკეთე მარადი ძრავა! — მახარა
ერთ დღეს.

წინასწარ არავისთვის არ უჩვენებია.
შევიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე-
სთან და თხოვა, საჯაროდ გამოსცადეთ
ჩემი გამოგონებო. თავმჯდომარემ, შუა
ხნის ჯაგარაულვამა კაცმა, ერთ ხანს მო-
თმინებით უსმინა, მერე წამოდგა და
თვალეები გადმოუქაჩა:

— პალადიონ, ბიძიკო, თავი არ შე-
მომაკლა, გადი ახლა გარეთ. უყუტე ამას
შენ!

თავმჯდომარეს ეშინოდა, პალადიონი
ხალხს მომიცდენსო, მაგრამ მან თავისი
მინც გაიტანა. ამის თაობაზე ორი
დღით ადრე ვააკრეს აფიშა კლუბის წინ.

...საღამო ხანს სკოლის ეზოში ბლო-
მად შეგროვდა ხალხი. ცნობისმოყვარე
მეჩაიე ქალები პირდაპირ პლანტაციე-
ბიდან მოვიდნენ და თავთავიანთ კალა-
თებზე ჩამოსხდნენ. ძრავა, რომელსაც
ყვითელი ნარმა ჰქონდა შემოხვეული,
კაკლის ქვეშ მაგიდაზე იდგა. პალადიონი
საგანგებოდ გამოწყობილიყო ბოსტონის
შავ კოსტიუმში, შლაპაც ეხურა. ტკბილი
სიტყვებით იშორებდა აბეზარ ბიჭებს,
რომლებიც ცდილობდნენ ნარმა შემო-
ეხსნათ და წინდაწინ დაენახათ ძრავას
მოწყობილობა. ჩემს გვერდით ბიძია პა-
ხუმი და ფიზიკის მასწავლებელი მოხუ-
ცი ბენო იხსდნენ. მოშორებით თინიკო
დავიანახე.

— ბატონო ბენო, — ვადაულაპარაკა
მეზობელს პახუმმა. — თუ ღმერთი
გწამს, გამაგებინე, რა მოხდება?

— ეებს, დამანებე თავი, პახუმ! — უთ-
ხრა ბენომ და ამოიხვნეშა.

პალადიონი მაგიდასთან მივიდა. ძრა-
ვას ფარდა შემოხსნა და სახელური მა-
რცხნივ გადასწია.

ეს იყო ლერძვე წამოცმული დანდი
ბორბალი, ოვალური ფერსობითა და
რკინის ბურთულეებით. ბორბალმა საში-
ნელი სისწრაფით იწყო ტრიალი. ბურ-
თულეები ფერსოს ღარებში დაგორავდ-
ნენ და დაჯახებისას მკახე ხმას გამოს-
ცემდნენ. ხალხი გამტყრებული უყუტე-
ბდა ამ უცნაურ სანახაობას.

— მე გავაკეთე აგი ბორბალი. — თქვა
პალადიონმა. — სულ ასე იტრიალებს
აწი, აღარ გაჩერდება. ამიტომ ქვია მა-
რადი ძრავა!

ეს ყველაზე ბედნიერი წუთები უნდა
ყოფილიყო პალადიონისათვის, მაგრამ
განსაკუთრებული არაფერი ეტყობოდა.
პირიქით, მის ვაციებულ თვალებში უფ-
რო შიში და შინაგანი დუმილი ამოვი-
კითხე.

— ჩერდება, მგონი. — ეკვით თქვა
ვილაცამ.

ამასობაში მართლაც შეანელა ბორ-
ბალმა მოძრაობა.

— ჩერდება, პო, ჩერდება!

— ნუ გეშინიათ. თქვენ, ნუ! — დაიძახა
პალადიონმა. ბორბალს ორივე ხელი ჩა-
ავლო და ისევ დაატრიალა. ღარიდან ლი-
თონის ბურთულა ამოხსლტა, გავორ-
და მაგიდაზე და ბალახებში ჩავარდა.
სანამ პალადიონი იმას ეძებდა. ძრავა
სულ გაჩერდა. ხალხს მეტიც არ უნდო-
და.

— აგია, მისდღემჩი არ გაჩერდებო?!
იხი-ხი...

— შეჩვენდი შენ, პალადიონა, — კის-
კისებდნენ ქალები. — ამასობაში ათ-ათ
კილო ჩაის მაინც მოვკრეფდით!

პალადიონი რაღაცას ამბობდა, მაგრამ
ვილა უსმენდა! იცინოდნენ და ლაზღან-
ღარობით ტოვებდნენ სკოლის ეზოს.
მარტო ერთი კაცი მიდიოდა დინჯად,
ღროღადრო ხელჯოხს ეყრდნობოდა და
სინანულით აქნევდა ჭალარა თავს. მისე-
ლა მინდოდა პალადიონთან, მაგრამ უა-
კე შეღამებული იყო და უცებ დამეკარ-
გა თვალთავან.

მეორე დღეს დილაადრიაანად გავყე-
ვი თბილისის მატარებელს.



შარშან უნივერსიტეტი დავამთავრე და შშობლიურ კერას დაუბრუნდი. იმავე დღეს ჩავედი სოფლის ცენტრში, პალადიონის ნახვა მაინტერესებდა.

სოფლის ცენტრში ბლომად იყო ხალხი. პალადიონი კანტორის წინ იდგა და გახეთქებს არიგებდა. შორიდანვე მივესალმე ხელის აწევით, მაგრამ პირი იბრუნა უცებ და ხალხს შეერია. ხან სად გაიფლავებდა მისი თეთრი შარვალი, ხან სად. ვავიდა ჭიშკარში, ჩაუარა მაღაზიას და კლუბის წინ ახალგაზრდების ჯგუფს მიეტმასნა.

- პალადიონ.
- ერთბაშად მოტრიალდა.
- აა, შენ ხარ?

სათვალე ეკეთა. ნიკაბთან წითელი კიკნა წვერი მოეშვა.

— როგორ ხარ, პალადიონ, ა?

— მკითხველზე უკეთესად! — ისე მომხალა, თითქოს მისი კარგად ყოფნა არ მდომებოდეს.

უაზრო ღიმილით შევაჩერდი ერთმანეთს. მეწყინა, პირქუშად რომ შემხვდა. მალომალ ინაცვლებდა ადგილს და აქეთ-იქით იხედებოდა, თითქოს გასაქცევ დროს ეძებდა. შენობები ყვავილეზით და ნაძვის ტოტებით იყო მორთული. კლუბში სიმღერის გუნდი მეცადინეობდა.

— რას ზეიმობთ დღეს, პალადიონ? ვაზეთს ქალღალდი მოახია და წინა კბილებით დაუწყო ღეჭვა.

— ჩაის დღესასწაულია, ბატონო!

— ეგ როდის შემოიღეთ?

— რა ვიცი მე. წროულს ადრე შეასრულეს გეგმა და...

— გეგმა შეასრულეს უკვე?

— ჰო. და სიხარულით აღარ იციან რა ქნან.

— შენ არ გიხარია?

— კი, მეც მიხარია. — დაღეჭილი ქალღალდი მოასორსლა და წკიპურტით გადაავლო. უნებლიეთ მივაჩერდი ვაზეთების დასტას, რომელიც წარამარა გადაჭმონდა ხელიდან ხელში.

— კაცო, — თქვა მან, — ჩემს ჯინაზე

კვდებოდა წროულს იავორა, ახლა კი კარგად... ამ ორ დღეში ნაღდად დაბრუნდებოდა. — მკლავზე მომკიდა ხელი. — წამო, თითო ჭიქა ლუდი დავლიოთ.

ძალად შემეყვანა სასადილოში.

„ჩვენს“ მაგიდას მივეუჯექით ღია ფანჯარასთან. აივანზე ისევ ეწყო ბოთლებიანი ხის ყუთები. პირსაზნიდან წყალი მოწვეთავდა. თითქოს გუშინ ვიყავით აქ უკანასკნელად.

თორნიკემ ამოღესილი ლობიოს შეჭამანდი მოგვიტანა. კერძი ცხელი იყო, ნედლი ქინძისა და ძმრის სურნელით ავსებდა ოთახს. მინდოდა მარად ძრავაზე რამე მეკითხა, მაგრამ მომეხატრა.

— შევირცხვინე, ძმაო, შარშან თავი. — თქვა პალადიონმა და ხელის აქნევით მოიშორა ბუზი.

— მაგას რაზე ამბობ.

— მარად ძრავაზე ვამბობ, — გაიცინა და მორცხვად შემომხვდა. — რა ჩემი საქმე იყო. იმდენი ჯაფა მივალე იმ დასაქცევს... ღვინო დავლიოთ?

ლუდი არ ჰქონდა თორნიკეს. ღვინოზე უარი ვთქვი. არც მშობოდა. ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ ჰამდა პალადიონი. თითქმის დაუღლებავად ყლაპავდა ლუქებს. ყინტორა კისერი ამ დროს ტალღისებურად ებურცებოდა. მალე მოასუფთავა თევში, წყალი მოსვა და მკითხა:

— ლექსებს რო ვწერდი, გახსოვს?

მე ისევ მარად ძრავაზე ვფიქრობდი. მეგონა, დაღონებული დამხვდებოდა და თავის მართლებას დაიწყებდა, საღდაც გამოანგარიშებაში მოვტყუვდიო. მიკვირდა, ასე დამშვიდებულს რომ ვხედავდი.

— ის ძრავა ახლა სად არის?

— რა ვიცი მე... მგონი ფიზიკის კაბინეტში შეათრია ბენომ.

პატარა ხანს უხმოდ ვიჯექით. ის დაუყინებთ უყურებდა ჩემს თევშს.

— ჰამე, თითს ჩააკვნეტ, ისე კაია!

— არ მინდა, პალადიონ, ჰამე შენ.

— არც მე მინდა, მარა პატარას კიდე ვჭამ, მიყვარს ლობიო!

ჰამას რომ მორჩა, ქალღალზე ხელი

შეიწმინდა და იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას.

— ლექსებს რო ვწერდი, ვახსოვს?

— კი, როგორ არა!

— შენი მოთხრობა წავიკითხე გაზეთში... — დიმიანჭა და თავი მოიქექა. — კილო წერ რამეს?

გაკვირვებული მივაჩერდი. სხვა დროს არ უხსენებია ჩემი მოთხრობები. ბუზი დააჯდა ლოყაზე, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. მერე გამწარდა და სილა იტიცია.

— მკვდარი ხომ არ ვგონივარ ამ ოხერს!

პაპიროსი ამოიღო, მაგრამ არ მოუკიდებია. შეწუხებული სახე ჰქონდა.

— თუ რამე გაქვს, წამიკითხე, არ მოგებათროს!

მე უცებ მივუხვდი.

— ახლაც ლექსებს წერ, პალადიონ?

— არა, მოთხრობებს. — მიპასუხა ცოცხლად. — ისე ძველი ლექსებიც ქე მაქვს შენახული.

ბუზი ახლა ცხვირზე დააჯდა. გულზე გამსკდარმა თავი გაიქნია: გადამრევს ავი ბუზი, რაღა მე შემომიჩნდაო.

— რომანი დავწერე. — თქვა მერე ამაყად. — წამო, წაგაკითხებ!

სასადილოში დიდხანს აღარ გავჩერებულვართ. ფულის გადახდა არც ახლა დამანება.

— ჩაწერე! — უთხრა თორნიკეს.

— სად ჩავწერო, ბატონო, ადგილი აღარ დარჩა! — ღვარძლიანად ჩაილაპარაკა თორნიკემ. უმადურად ჩამოართვა გაზეთი, რომელიც პალადიონმა დიდის ამბით აჩუქა.

პალადიონი გაზეთების დასატოვებლად გაიქცა ფოსტაში. მე კლუბის წინ გუცდიდი, თან აფიშაზე ჩაის დღესასწაულის პროგრამას ვკითხულობდი.

— დიდი ყოფილა ამ საღამოს, — ვუთხარი, ფოსტიდან რომ გამოვიდა. — აი ვნახოთ?

— ვნახოთ, რა მენადღვლება!

ასფალტიანი გზიდან გადავუხვიეთ და დავადექით მოკენჭილ შარას. ხანშიშესული გლეხები პალადიონს დიდის ამბით

ესალმებოდნენ. ის ოდნავ უკრავდა ოქსელს და ხელს შლაპაზე ივლებდა. გზასთან მხრიდან გასდევდა ტრიფოლიატის ცოცხალი ლობე. აქა-იქ ტანმაღალი ეკვანილიბტები იდგა. სასილოსე კოშკთან გზამ მოუხვია და ერთბაშად იპარდომზე გავედით. დიდი დაწყებული იყო.

ყველაზე წინ ჩალისფერი ულაცო მიდიოდა. სულ ბოლოში მიჩანალებდა წითელი ცხენი. თმაგაბურძენილი ბიჭი სასაცილოდ იჯდა უნავირზე. ჩვენ ტელეგრაფის ბოძთან გავჩერდით. წინ ფლოქვების თქართქურით ჩავვიქროლეს ცხენებმა და ოფლის მძაფრი სუნი დავეიტოვეს.

— რომელი მოიგებს? — ვკითხე პალადიონს და მაშინვე მივხვდი, სულ სხვა რამეზე რომ ფიქრობდა.

— რა ვიცი, სულურთია... — მერე უცებ გამოცოცხლდა. — ბოლო ცხენმა რომ მოიგოს, კი მინდა, წითელმა!

— ვითომ ჩალისფერს დაეწევა? შეხედე, რაღა დარჩა!

დიდი მართლაც ჩალისფერმა ულაცო მოიგო. წითელი ცხენი ყველაზე ბოლოს მივიდა.

— გული მეტკინა, — თქვა პალადიონმა და ზურგი შეაქცია მინდორს. — წითელი ცხენი შემეცოდა.

წინ ახალგაზრდების ჯგუფი გადაგველობა. პალადიონი რკალში მოიმწყვდინეს: ჩვენთან წამოდი, რა გინდა ახლა შინო. ზოგი რას ეუბნებოდა, ზოგი რას ვერ ხარ კარგი ფოსტალიონი, იაგორა გჯობდაო. ქალიშვილები ღიმილით შეჰყურებდნენ. ის დაბნეული აფათურებდა ხელებს. რამდენიმეჯერ დარცხვენით გადმომხედა.

— რას ერჩით ამ კაცს, დაანებეთ თავი! — გაუწყრა ამხანაგებს შავგვრემანი ბიჭი.

გზა განვაგრძეთ.

პალადიონი ოდნავ წინ მიდიოდა და რაღაცას ბუზღუნებდა.

— კარგი ბიჭებია, — თქვა მერე ხმამალა. — უყვართ ხუმრობა. ასე ვეხუმრებით ჩვენ ერთმანეთს, მარა არ გვეყინს. ის ერთია მეტიჩარა, რას ერ-

ჩით ამ კაცსო, რომ თქვა. ბრიგადირად აირჩიეს წელს და ყოყოჩობს. ისე, რაც მართალია, კაი მუშაა. მუშა მეც კაი ვარ, მარა ღვიძლი მტკიავა.

პირდაპირ გამოჩნდა მზით განათებულ-ლი დახრამული მთა. ფერდობზე ნახირი ძოვდა. ჰორიზონტთან, ლურჯი ცის ფონზე, ირაოს აკეთებდნენ ყორნები.

— ბებიას გაგაცნობ. — მითხრა პალადიონმა და ჭიშკარი გამოალო.

ეზოში ხასხასა მოლი ბიბინებდა. ბექობზე კრამიტით დახურული წაბლის ოდა იდგა. სახეები იყო დიდი, მაგრამ ძველი. ბარჯგებთან, მზის გულზე, ქათმებს მიწა გამოეჩხრიკათ და შიგ ჩაქურუყებულ იყვნენ. გამხდარი შავი ნავაზი ფეხებში ჩაუყარდა პალადიონს. თათებით ებღალუჭებოდა შარვალზე, ელაქუცებოდა.

— იქით, შენ გაგიდგა წელკავი! — დაუყვირა მან და ფერღში წიხლი ჩაახილა.

შემებრალა პირუტყვი. თავზე გადავუსვი ხელი, მაგრამ დამიღრინა და კბილები ავად დაკრიჭა.

— გამო, არ დაგკამოს! — გამაფრთხილა პალადიონმა.

აივნის ბოლოს, ტახტზე, შავებიანი მოხუცი იჯდა და კარტს თამაშობდა. უაზროდ შემომხედა დაშრეტილი თვალებით, რომლებშიც ძალზე დავიწროებოდა სასიციოცხლო წრეები. პალადიონი ოთახში შევიდა.

— რომლის ხარ, ნენა, შენ? — მკითხა მოხუცმა. სახე საოცრად ჰქონდა დანაოკებული.

ვუთხარი, ამა და ამ კაცის შვილი ვარ-მეთქი, მაგრამ მაინც ვერ მიხვდა, ვინ ვიყავი. ჩემს ლაპარაკს რომ უყურებდა, თვითონაც აცმაცუნებდა ტუჩებს.

— მარტო როგორ თამაშობდი, ბები?

— ალექსის ვეთამაშებოდი, ნენა, იმ უბედურს... — უცნაურად გაიღიმა და დაქექილ კარტს თავი მოუყარა.

ამასობაში პალადიონიც გამოვიდა ოთახიდან. ზოლებიან პიჯამაში გამოწყობილიყო. რატომღაც მომეჩვენა, თითქოს ეს მამისეული პიჯამა იყო.

— შევიდეთ შიგ. — თქვა და მოალო.

ოთახში ობისა და მტვრის სუნი იდგა. მაგიდაზე უთავბოლოდ ეყარა წიგნები. ფანჯრიდან ჩანდა იმ გზის მოხაკევეთი, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ. ჭიშკართან ახალგაზრდები იდგნენ და დოღზე დაობდნენ. კედელზე, შავ ჩარჩოში, მშობლების გადიდებული სურათი ეკიდა. კაცს ჯარისკაცის მაზარა ეცვა, ქალს თავშალი ჰქონდა წამოსხმული. იგრძნობოდა, რომ სურათები ცალ-ცალკე იყო გადაღებული.

ღამდებოდა. ეზოს მომიჯნავე ჩიხში ძროხა ბლოდა. პალადიონმა საქალაღდე გახსნა და ხელნაწერები წინ დამილაგა. ხელში ფანქარი მომაჩეჩა, — გრამატიკულად შემისწორეო.

დიდხანს ვკითხულობდი გადაუბმელი მსხვილი ასოებით აჭრელბულ ფურცლებს. ჩემს წარმოსახვაში ასოები პალადიონს გვანდნენ. ჩემთან ერთად ისიც კითხულობდა, დროდადრო სახედაღრეჯილი გახედავდა ჭიშკარს. იქ ისევ იდგნენ ბიჭები და რაღაცაზე გულიანად ხარხარებდნენ. პალადიონმა მიხურა ფანჯრები. „რა აცინებთ, ნეტა რა უხარიათო“, — ჩაილაპარაკა. ზეღიხედ ეწეოდა პაპიროსს და ყოველ ახალ გვერდზე გადასვლისას მეკითხებოდა: „ხომაა კაი?“

დაღამდა. ელნათურა გადამწვარი იყო და პალადიონმა ნათის ლამპა აანთო. კედლის იქით თანდათან გაძლიერდა ხერინვა. საოცარი ბეგრები ამოდიოდა მაინც საბრალო მოხუცს.

— გულაღმა ძინავს, ალბათ, — თქვა პალადიონმა. — წავალ, გადავაბრუნებ.

გავიგონე ტახტის ჭრიალი და ბურანში მყოფი მოხუცის წამოკნავლება:

— აა, ალექსი... — შერე გამოფხიზლდა და იცნო შვილიშვილი. — უი, შენ ხარ, ნენა?

— რა ამბავია, რა დავემართა? — უსაყვედურა პალადიონმა.

— ნენა, ძროხა დააბი?

— დამაცა ახლა, რა მეძროხება! ღამის პირველ საათამდე გაგრძელდა



კითხვა. მერე უხერხულმა სიჩუმემ დაი-
სადგურა.

რომანში სიყვარულის ამბავი იყო აღ-
წერილი. ამნაირ ამბებს მიმზიდველად
ყვებიან სოფელში, მაგრამ პალადიონის
თხრობას, ლიტერატურის გავლენით, ეს
მიმზიდველობაც აკლდა. მინდოდა გულ-
ახდილად მეთქვა ყველაფერი, მაგრამ
შემეცოდა. ვიჯექი და უხერხულად ვის-
რესდი შუბლს.

— შევასწორებ აგერ-ეგერ და წიგ-
ნად გამოვცემ. — თქვა მან. — უტრნალ-
შიც ქე გამოვაქვეყნებ, რა მენადვლება!

— რა ვიცი, პალადიონ, რა ვიცი...

უკვე მეორე საათი იყო დაწყებული.
სოფელს აყრუებდა კრიკინობელების
ქაოსური ხმა. სახურავში დამურა წრიბი-
ნებდა. იატაკზე ასანთის ღერები და პა-
პიროსის ნამწვავები ეყარა.

— პალადიონ, ცოლის შერთვას აღარ
აპირებ?

თავდახრილი იჯდა და კალმის წვერით
ფრჩხილებს იწმენდა.

— ჩემისთანა კაცისთვის ცოლი ჯერ
აღრეა.

— ხომ თქვი, ბიჭო, თინიკო მიყვარ-
სო?

— კი ვთქვი, მარა პახუმს აღარ ვუნ-
დივარ...

— თინიკოს?

— ახლა აღარც იმას ვუნდივარ... —
ფრჩხილების წმენდას თავი ანება და გა-
უბედავად ამომხედა.

გვიან გამოვედი ოთახიდან. პალადიონ-
მა ჭიშკრამდე გამომაცილა და ხელი ჩა-
მომართვა. მე დიდხანს გამყვა მისი ცი-
ვი, ოფლიანი ხელის შეგრძნება.

* * *

ერთ დღეს ლამაზად გამოეწყო, ხელ-
ში პატარა ჩემოდანი დაიკავა და თბი-
ლისს გაემგზავრა.. ვეხვეწე, არ ღირს იქ
წასვლა-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა.

სასტუმროში დაბინავდა ღამის გასა-
თევად. ხელნაწერებიც იქვე გადააბეჭ-
დინა თურმე მემანქანე გოგოს. მან
ბლომად გამოართვა გასამრჯელო, მაგ-
რამ როცა პალადიონმა თავისი ნაწერი

სუფთად და ლამაზად გადააბეჭდო, ხე-
ნა, ისე ვახიარა, ისე, რომ ფულიც
დანანებია. სამაგიეროდ გოგომ რედაქ-
ციების მისამართიც ჩააწერინა.

რედაქციაში თბილად მიიღეს პალადი-
ონი. რომანი დაიტოვეს და დაიმედებუ-
ლი გაისტუმრეს უკან. ორი კვირა მოთ-
მინებით ელოდა პასუხს, მერე გაბრაზდა
და რომანი სხვა რედაქციაში წაიღო. კა-
რგა ხანს იწაწწალა ასე. ბოლოს, ვილაცამ
მამაშვილურად ურჩია, წერას თავი გა-
ანებო.

დაღონებული დაბრუნდა თბილისიდან
პალადიონი. გზაში დაეკარგა საგარეო
კოსტიუმი და პატარა ჩემოდანი, რომე-
ლშიც, ხელნაწერებს გარდა, ბებიასათ-
ვის ნაყიდი ატლასის კარტიც იდო.

* * *

სოფელში ვმუშაობ და პალადიონს
ყოველდღე ვხედავ. ჩამოვიღის დილით
ორღობეებს და ჭიშკარზე ჩამოდებს გა-
ზეთებს ან წერილს. ხან კანტორის ეზო-
ში მოვკარვ თვალს, ხან სასადილოს წინ.
ზოგჯერ მალაზიასთან შეჩერდება და უხ-
ერხულად მოიფხანს კეფას. ნიკაპზე
წვერი ჩამოიპარსა, სათვალესაც აღარ
ატარებს. შლაპას და პალსტუქს ჯერჯე-
რობით ვერ შეელოა. მუხლისთავებთან
შარვალი გაუცვდა, მაგრამ ვილაცამ ზედ
ტილოსავე თეთრი ნაჭერი დაუკერა და
კიდევები ლამაზად ჩაუქუბა. რატომღაც
თავს მარიდებს, იშვიათად ვხვდები სა-
ლაპარაკოდ.

— იარე, ბიჭო, საღამოს სკოლაში. —
ეუთხარი ერთხელ. მერე სახალხო უნი-
ვერსიტეტის გახსნასაც აპირებენ.

სიცილით მოკვდა. მე იქ რა უნდა მას-
წავლონო.

ამას წინათ შემთხვევით შემეჩეხა კან-
ტორის ჭიშკართან. შემოდგომის ღრუბ-
ლიანი დღე იყო. გაყვითლებული ფოთ-
ლები თავისით წყდებოდა ალვის ხეებს
და ფარფატით ეშვებოდა დაბლა. შეე-
ჩერდი, მივესალმე. კარგად ხომ ხარ-მე-
თქი, ვკითხე.

— ჰე, ჰე, — ჩაიქიჩილა. — ვითომ
ცუდად რატომ უნდა ვიყო?

მკერდზე რაღაც ბრწყვიალა მედალი
ეკეთა, ჯიბე წერილებით და პენსიის გა-
საცემი ქვითრებით ჰქონდა გამოტენილი.

სულ ასე ცივად მხვდება, მაგრამ აღ-
არ მწყინს. ვიცი, არ ვძულვარ. პირიქით,
უხარია ჩემთან ლაპარაკი, მაგრამ ეჭვი-
ანობს, დავცინი, ჰგონია. აი, ახლაც: უხ-
ერხულად იშმუშნება და აღარ იცის, გა-
ზეთებს რა მოუხერხოს.

— კაცო, — მეუბნება. — რა მიქნა
იაგორამ, იცი შენ? გავიდა პენსიაში! ახ-
ლა სხვა მოდის ვიღაც, ორშაბათიდან...
— თვალეები მიწას გაუშტერა და გაიცი-
ნა.

— რა გაცინებს, პალადიონ?

— ჯღაბნა რო დავიწყე, იმაზე მეცინე-
ბა. ძაან ვიყავი დაბნეული, მარა ახლა...

— უცებ გაჩუმდა. ფეხსაცმლის ჰვინ-
ტით კენჭებს დაუწყო წვალება.

— ახლა რა, პალადიონ?

თავი ასწია, გამოცოცხლდა.

— წამო აგერ, დავჯდეთ და გეტყვი.

მკლავზე მომკიდა ხელი, მაგრამ აღარ
წაყვავი. გავიხედე მხოლოდ სასადილო-
საკენ.

აივანზე ისევ ეწყო ბოთლებიანი ყუ-
თები. ფანჯარასთან „ჩვენნი“ მაგიდა თა-
ვისუფალი იყო.

— პალადიონ, არ გეწყინოს, თუ ძმა
ხარ, ახლა არ მცალია.

ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— ხოო... კაი, კაი, ქე გნახავ მერე.

გაზეთები მკერდზე აიხუტა და მალა-
ზიისაკენ წავიდა.



შალვა შუბრაძე

მოვიაროთ საქართველო

ვუძღვნი ლენინურ პიონერულ ორგანიზაციას, რომელსაც მაისში არსებობის ორმოცი წლისთავი შეუსრულდა.

გოგონები, ქაბუკები, —
ჩვენი ქვეყნის სილამაზე, —
ზურგჩანთებით და რუკებით
ბილიკ-ბილიკ მივალთ მთაზე.
და მივიწვევთ
მალა,
მალა,
გავუტოლდეთ რომ მზეს მხრებით.
გაგვიშლია ფრთები ლალა,
მალე ზეცას შევეხებთ.
რა გვამყოფებს სახლში უქმად
მზით გარუჯულ პიონერებს!
თუ ცამ მთაში დაიქუხა,—
კიდევ-ა-თქო!
ვიმეორებთ.
აქ ჰაერი დაგვხვდა გრილი,
ზურმუხტით და ლაქვარდებით.
ხინოს მთას რომ გადავივლით,
ბახმაროზე გადავდგებით.
რა კურორტი სჯობნის ამას,
რანაირი დასვენება!
სხვა მადლი აქვს აქ სმას, ჭამას,
წიგნზე თეთრად დათენებას.
არა, სახლში ნუ დავრჩებით,
სწავლა გზებზე გავაგრძელოთ.
რუკებით
და ზურგჩანთებით
მოვიაროთ საქართველო!

ჩანს, სუნამო დაეპკურა
ყვავილებზე აკაციას.
რა საამოდ გაჭიმულა
სერზე ჩაის პლანტაცია!
გიას დედა ჩაისა კრეფს.
სხვას ჩამორჩეს? —
არ იქნება!

ბუჩქს ევლევა ორიგ ხელით,
მწვანე ჩაის მოდის ჩქერი.
გიაც მოსდევს გვერდით დედას,
გოდორს ავსებს ზედი-ზედა.
მამაცურად კრეფს ჩაის ის,
ეს დღეც უქმად არ ჩაივლის.
ხოლო გიას მამა ამ დროს
ამუშავენს კულტივატორს.
სიმინდს მარგლის მანქანითა,
ემ თავამდე ამ თავიდან.
ჯერ დაბალი გახლავთ ყანა, —
მიდის მაღლა თანდათანა.
გიას მამა, იცით, რატომ
დაატარებს კულტივატორს? —
სპობს მავნებს და სარეველას,
რომ სიკეთე მისცეს ყველას.





ჯამალ ჯაყელი

წარწერა 1941 წლის 22 ივნისის კალენდრის ფურცელზე

...და ერთად იყო.
ომში დღე და მზე გაწვეული,
ყველას სიცოცხლე, ცა და მიწა, ზვრები, ყანები.
და იყო ქვეყნად საშინელი ხმა დარწეული, —
ომი!!!

და მწყობრით მიდიოდნენ ხიშტიანები.

და იყო ომი...

ახლა ის ომი დამსხვრეული და შერცხვენილი
ავდია, როგორც დაქანგული რკინის ბალადა.
და მაინც შერჩა გულებს მწუხრი გადაფენილი
ყველგან და ყველას,
ხომალდზე თუ მთად და ბარადა.

ომი?

რა არის მასზე უფრო ქვეყნად წყეული,
ქველისძველ მითშიც შერისხულა ომების ღმერთი.
ვარ დღეთა წიგნი, იმ ერთ ფურცელჩამოხეული,
სადაც სწერია —
1941.

მ ა რ ი ნ ა

აფსუს, მიწაზე რა გინდა, მარი,
ზეცის ფერიავ და ანგელოსო.
აღერსიანი ეგ სინარნარე
მინდა მომავალს გადაელოცოს.
მინდა გაიგოს ცამ და მიწამა, —
ყველა სიზმარი შენშია ცხადი.

გულმა იმნაირ რწმენით ვიწამა,
რომ დამავიწყა რჯული და ხატი,
რომ დამავიწყა ყველა ცისკარი
და მითიური ღმერთი ეროსი.
მარინა, ჩემო ლამაზო მარი,
ხარ სალოცავი და ანგელოსი!





აკაკი ჩხიძე

ჩვენი მგზავრობის ლურჯი საღამო

ხშირად გვივლია მთაში ზურგჩანთით,
დაგვიღევია მთის წყარო პეშვით,
სად ნაძვების და ფიჭვის გუმბათი
გრძნობამორეულთ გვიწვევდა ეშხით.
მე იმ წარსულზე მიყვარს ოცნება,
თითქოს ხომლივით ენთო ბახმარო...
ახლაც აქა ვარ
და მაგონდება
ჩვენი მგზავრობის ლურჯი საღამო.

ერთი ფიჭვი დგას

ერთი ფიჭვი დგას ბახმაროს ტყეში
ქარი აწყდება ზათქით და ხენეშით,
რომ გადარეკოს ლეგა ღრუბლები
მოყვეს ამბავი ჩვენი ტრფილის.

ფიჭვს ყველაფერი ახსოვს
უკლებლივ,
და გამიახლებს წყლულებს
ტიალი!..

უცოლო კაცი

დავეხეტები მიუსაფარი,
ეს მწარე ხვედრი მემახსოვრება...
რადგან გავიგე, ვიცი, რაც არი,
ქვეყნად უცოლო კაცის ცხოვრება
ვენდე იალქნებს მეც ამგვარ ბედის

დავეხეტები ზაფხულ და ზამთარ...
თითქო ყოველთვის ვილაცას ვეძებ
და ვდგავარ მარტო გაღებულ
კართან.



დავით ხარაძე

ვის ეკუთვნოდა ის ცრემლები...

გავონდება?..

გავონდება კი არა, ალბათ, მუდამ თვალწინ ვიდგას. ან რა დაგავიწყება იმას, რაც მთელი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გტანჯავს და გაწვალებს...

მაისი იყო, შენი სოფლის მაისი, სურნელოვანი და ფერმდიდარი. კიაფობდნენ შორეული ვარსკვლავები, მისი ეზოს ალვებში კი პირსავსე მთვარე ჩამდგარიყო და ლაყდაყებდა.

სწორედ იმ დღეს დაამთავრეთ საშუალო სკოლა. თანდილამ შინ წაგიყვანა. იქ გაიცანი ის — თანდილას ბიძაშვილი გოგონა.

მათ ერთი სახიარო, ლამაზი დიდი ეზო ჰქონდათ. სახლებიც გვერდიგვერდ ედგათ.

— ცივი წყალი მოგიტანეთ!

— აბა ეს ხენდრო გასინჯეთ!

— ან ეს ბალი და დაშაქრული თუთა თუ გეაქმათ! — სიხარულით გთავაზობდათ იგი და არ იცოდა, რით და როგორ ესიამოვნებინა თქვენთვის.

და აი, ის უკვე შენს გვერდით იჯდა. შიშველი ფეხები მწვანე ხასხასა მოლში ჩაემალა და გასუსული ვისმენდა. შენ გიტარას აკვენესებდი. მაინც რა ტკბილად მღეროდი, თითქოს გულიც თან მოჰყვებოდა იმ სიყვარულის ჯადოქრულ ჰანგებს!..

ო, რა ბედნიერად გრძნობდი თავს ამ

ქვეყანაზე... იმ წუთებს ახლაც მთელ შენს სიცოცხლეზე გაცვლიდი, მგონი.

დაშუალამდა... იგი ჭიშკრამდე გამოგყვა, დაგემშვიდობა, მაგრამ უძრავად კი იდგა, წასვლა ვერ მოეხერხებინა... მერე ბროწეულების ორღობესთან შედექით, გაბუტულებივით ხმას აღარ იღებდით თუმცა სიყვარულს თავისი ენა ჰქონია. შეყვარებულის თვალი და გული მღუპარებით მეტს ლაპარაკობს...

ო, სულ სხვა იყო ის მყუდროება... შენ ახლაც გესმის იმდამინდელი კუტკალიების კრუალი.

გახსოვს, წყვილად რომ წამოფრინდნენ ციციანთელები?..

შენს წინ ხატივით იდგა იგი. გაბრუნებდა მისი თმების სურნელი. თვლებში ჩახედე. მან მზერა აგარიდა და მხოლოდ მთვარემ დაინახა, იმ ლაყდაყა მთვარემ შეინახა თქვენი უბიწო სიყვარულის პირველი საიდუმლო...

მერე უხშირე მისკენ სიარულს. მისთვის ერთი თვალის შევლება მთელ ქვეყნიერებას გერჩია. მიზეზიც ბევრი გამოიხატა — იქით მოიხმრე წყარო და წისქვილი. დადიოდი ტყეში სოკოს საძებრად, ნახირის სამწყესავად...

დიდხანს, დიდხანს ისხედით მდინარის პირად მაღალი კლდის ქიმზე და მღუმაგრედ გაცქეროდით მზის ამოსვლასა თუ ჩასვლას...



ერთხელ ტყეში ავღარი მოგეწიათ, რა წვიმა დაუშვა! — ერთიანად დაგასველათ. მაშინ მას თავისივე ხელით შეეკრიბი დაფოთლილი ჩითის კაბა ეცვა და ფოთოლივით ცაბცახებდა...

არც თანდილამ, არც სხვებმა არ იცოდნენ, თუ როგორ მჭიდროდ ქსოვდა სიყვარული თქვენი გულების უხილავ ბაღებს...

რა თქმა უნდა, არც ის ღამე გავიწყდება, სოფლის კლუბში ახალ კინოსურათს რომ უჩვენებდნენ. სენსი გვიან ღამით დამთავრდა. შარახე უბრად მიდიოდით, მაგრამ თქვენი გულები ხმაურობდნენ...

როგორ გინდოდა გაგრძელებულიყო ის გაზაფხულის მთვარიანი გზა! როგორ გინდოდა აღარასოდეს, აღარასოდეს დასრულებულიყო იგი, თვით სიცოცხლის მიჯნამდე...

შორიდან გზაზე მამამისი მოლანდეალებით, დავვიანებული ქაღალდისათვის ვადმოეკითხა. უეცრად დაიბენით... უკან დაბრუნებაც გვიან იყო, არადა, შარახვას ორივე მხრივ ტრიფოლიატის ცოცხალი ღობე მიჰყვებოდა. და, როცა იგი პაპიროსის მოსაკიდებლად შედგა, ღობის ჯაგებში შექვერი...

დილით დედაშენი ეკლებით დაფლეთილ პერანგს გაცეებით ათვალეირებდა. შენ კი დაკაწრული სხეული გეწვოდა და საბანწახურული თავს დიდხანს იმიჯნარებდი...

ხომ მწარე იყო ის ეკლები — სიყვარულის ეკლები, მაგრამ ახლა ასე ტკბილად რად გავონდება?!

* * *

როცა ცა ომის ღრუბლებმა დაფარეს და სამშობლოს დასაცავად ქულზე კაცი გამოვიდა, შენ უკვე სოფლის ტოლბიჭებთან მატარებელში იჯექი. დედის ნახელავით საგვე ზურგჩანთა გეკიდა და შორს მიდიოდი.

აღარც შენი სოფლის ერთი პეშვი მიწა გაგიხვევია წინაპარივით ცხვირსახოცში. იქნებ, მისი ღიმლის წაღება გინდოდა ხატივით... მაგრამ იგი მაშინ სოფელში არ იყო. მხოლოდ დედაშენმა მიგა-

ცილა სადგურამდე და მერე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც წიგნებში, რომანებში წაგიკითხავს, რომელსაც ზღაპარივით ზოგი დაიჯერებს, ზოგი არა...

გრძელი და მძიმე იყო ის გზა... მაშინ შენს თავზე წისქვილის დოლაბიც დაბრუნდა... სად არ იარე, რა არ ნახე, რა არ გამოსცადე... ბოლოს, ვინ იცის, რამდენ ხანს იქნებოდი უცხო მიწაში ცოცხლად დამარხული, ვინმე გულმადლიან კაცს რომ არ ენახე, არ გადაერჩინე...

შვიდი წლის შემდეგ დაუბრუნდი მშობლიურ კუთხეს. სიყვარულით დამხრავალმა, შვიდი წლის შემდეგ დახეთქილი ტუჩებით მორწმუნესავით აკოცე ქართულ მიწას...

მაშინ შენ სოფელს ეძინა მშვიდი ძილით, ეძინა უშფოთველად, რომელსაც უკვე გამოტირებული ჰყავდი თურმე...

მერე სულმოუთქმელად შემოიარე ძველი ნაცნობი ადგილები, მდინარის ნაპირები და წისქვილი, ტრიფოლიატი ჩაჯარული შარახვა და ბროწეულებით გაჩახჩახებული ორღობეები.

ისევ ისეთივე მყუდრო საღამო იდგა, როგორც მაშინ. საღდაც ისევ გაბმულად კრულობდნენ კუტკალიები, ისევ ისეთივე საგვე, დაუღაჟა მთვარის შუქი ადგა მის სახლსა და ეზოს...

დიდხანს იდექი იმ ბებერი ცაცხვის ქვეშ. დიდხანს უყურებდი მისი სახლის უსინათლო ფანჯრებს, რომლებზედაც ხეთა ჩრდილები აღმაცერად თამაშობდნენ.

გაცოცხლდნენ ტკბილი მოგონებები... გრძნობდი, უფრო ღრმად შეხსნოდა პირი შვიდი წლის ჭრილობას...

დედა შავებში დაგხვდა... დაგინახა, შეგაკვილა და ჩაიკეცა... კინაღამ სანთელივით გაგიქრა ხელებში. გეშინოდა მშობელს სინარულით ჰკუთარ დაეკარგა...

მერე ვინ იცის, რამდენჯერ წამომდგარა ღამეში, საწოლთან ფეხაკრფით, ჩურჩულით მოსულა, რამდენჯერ დაუხვდავს შენთვის და დამჭკნარი ხელები აღურსითა და კანკალით უფათურებია შენს ლოგინში. უნდოდა ისევ და ისევ



დარწმუნებულიყო, რომ ეს სინამდვილე იყო და არა მოჩვენება, რომ შენ მისმა მხურვალე ლოცვამ დაგაბრუნა...

გახსოვს, დედას როგორ ჰკითხავდი სოფლის ამბებს? მოიგონე ომში წასული ბიჭები და მეზობლები, ჩიტირეკია ილიყო და ლუკაია მეწისქვილე.

დედას მასზე ვერაფერი გაუბედე, მთავარს გვერდს უვლიდი, ფიქრით კი ისევ და ისევ მის ჰიმნთან ტკეპნიდი მწიას. მშობელიც არას ამბობდა, იქნებ განგებ დუმდა. შენ კი გინდოდა, რაც შეიძლება ბევრი, ყველაფერი წვრილმანიც გაგეგო იმ ქალიშვილისა, რომლის გახსენებაც გულს ტყვიასავით გიმძიმებდა.

* * *

შებინდებისას წყლის პირას ხეტიალობდი. ყოველთვის ნატრობდი სადმე მოულოდნელად შეგგვეთებოდა იგი.

კლდის ქიმზე ქალ-ვაყი შენიშნე. ერთად ისხდნენ და დრო და დრო წყალში კენჭებს ისროდნენ.

— ის!..
— აი, ის, ფოთლიანი კაბა!... — გაიფიქრე შენ და სწრაფად მიუახლოვდი. უცნობმა გოგონამ სახე დარცხვენით შეიბრუნა. გაწბილებული უკანვე გამობრუნდი.

ჰაბუკი წამოგეწია, მყისვე შეგიცნო. იგი თანდილა გამოდგა, ერთმანეთს გადაეხვიეთ. სიხარულით აცრემლდით მეგობრები...

მერე თანდილა აღარ მოგეშვა, ჩემო დაწურული მაჭარი დავაქაშნიკოთო.

მის ეზოში ყველაფერი ისევ ძველებურად დაგხვდა.

სახლის წინ ცეცხლი დაენთოთ და გამხმარ ნეშოებს წვავდნენ.

— ნახეთ, ვინ მოგიყვანეთ! — მისვლისთანავე ხმამაღლა დაიძახა თანდილამ და ჰიმნარი შეაღო.

გულის ტალღამ შეგარხია...
იქვე ის შენიშნე... იგი ისეთივე ლამა-

ზი, მიამიტი და თვალმოციცავე იყო, გორც დატოვე... მხოლოდ უფრო დაქალებული, დასრულებული და დამწიფებული გეჩვენა ახლა.

ისიც შეკრთა, გაშეშდა, ხელიდან ცოცხი გაუვარდა, მერე თვალეზი მოისრისა...

— ცოცხალი ხარ? — აღმოხდა და ცაცხვის ხეს მიეყრდნო...

შენ ძლივს მოახერხე მისთვის ხელი გაგწოდებინა. როცა ხელი ჩამოართვი, ცხადად შეამჩნიე, თუ როგორ უკანკალებდნენ გაციებული თითები...

* * *

ჩინებული სუფრა გააწყეს. ვინ არ აღდგარძელეს, ვინ არ გაიხსენეს, პაპისეული ჯიხვის ყანწებიც დაიცალა.

ღვინომ ყველას გულის კარი უბოდიშოდ გამოუღო...

შენ სიმღერა გთხოვეს. გიტარა ახლაც მან მოგაწოდა, მაგრამ ერთი სიმი გაწყვეტილიყო. სიმღერა მინც დაიწყე, მღეროდი იმ ძველსა და ტკბილ მელოდიას, სიყვარულის მელოდიას, მაგრამ ახლა მასში ბზარი და სხვა ნაღველი შეგპარეოდა.

ქალის ლამაზი თვალეზი ცრემლით ივსებოდნენ. ცრემლები ატმისფერ დაწვებზე მოცურავდნენ, უხვად ცვარავდნენ პაწაწინა გოგონას კულულებს, რომელსაც მის თბილ კალთაში მოეკალათებინა...

იგი ყველას წინაშე ქვითინებდა...

შენ დაბნეული წამოიჭერი. შენი გული წყალში ჩაგდებულ ნაკვერცხალვით შიშინებდა.

მაშინ ისევ მან გიხსნა და თქვა:

— ეგ სიმღერა შენგან ისწავლა ჩემმა ძმამ და მუდამ ღლინებდა, მუდამ... თქვენ ერთად წახვედით ომში, ის აღარ დაბრუნებულა...

ეხ... მხოლოდ თქვენ ორმა იცოდით, ვის ეკუთვნოდა ის ცრემლები...



ზუკაბ ზოგვიდაძე

ღღევ, ხვალინდელი!

ბალღი ვიდეჟი დელის ნაპირთან,
მას მერე დღღე როგორ გაზრდილა!
მაშინ რაღაცას დღღა დამპირდა,
დღღა დამპირდა და გამაწბილა...

მერე და მერე სუღიღ დარბიღდა,
როგორღ სიმინდის ძირი მოროდით,
ბოღოს, რაღაცას მამაღ დამპირდა
და გამაწბიღა მამამღ ბოღომღი...

შენ კი?! შენ, დიდო დღღეო ხვალისაღ,
დღღეო ნათეღო, დღღეო მაღაღო,
შენზე სიმღერამ გამახალისა,
შენს იჟით, აბა, რამ გამახაროს!

ხარ იმედი და დიდი ღმიღი,
ვარ მიწიერი და ვარ სამიწე,
და იმ ბაღღობის ყვეღა ტკივიღი,
შენ დამავიწყე!
შენ დამავიწყე!

მე ხომ სიღოღხღეს გიტოვებ მინდაღ,
ნამაღსარი,
ნაგრიგაღევი
რაღაცა მტკიღვა,
რაღაცა მინდა
ყვეღას გუღით და ყვეღას თვაღებით.

ღღევ ხვალინდელი!.. ვღღები აბრიღი,
შემომეშვეღე, რომ არ გავციღდე,
შენ კარგად იღი, თუ რა დამპირდი,
მგერა, შენ ერთი არ გამაწბიღებ.

კარგი იყო ფიქრი მაშინ,
ვარდების და ყვავილების ფიქრი,
თითები და ქარი თმაში
და ოცნება ლაქვარდების იქით.
კარგი იყო ფიქრი მაშინ,
სასთუმალად დადებული ფიქრი.
ორნი,
ორნი
გავყვებოდით სანაპირო ქუჩას.
ცა ახლო და გული შორი,
მივყვებოდით სანაპირო ქუჩას...
ახლა?...
ახლა?..
გული ახლო და ცა შორი
და იგივე სანაპირო ქუჩა.
გაგახსენებ,
გაგახსენებ,
გალობავ და სიფაქიზევე სულთა,
შენს თვალებთან, თბილ თვალებთან,
მარტოდ ყოფნა მსურდა...

გრძნობა მქონდა დაუმქნარი,
სული მქონდა ამბოხებულ ქვევრის,
ქარი რაა...
მშურდა ქარიც
და შენს ახლო ვერ ვიტანდი ვერვის.
დრო წაჳიდა სიზმარივით,
მერე ერთხელ მოთოვა და დათბა,
და ჩვენს შორის ერთი ვილაც
მოტიკტიკე ანგელოზი ჩადგა.
ახლა სამნი,
ახლა სამნი,
მივდივართ და ის ტიკტიკით
გვიკვლებს,
სუნი ასდის იასამნის,
გააჩერო იქნებ.
ახლა სამნი,
ახლა სამნი,
ავსებული სიცოცხლით და მზითა,
თუმც ბევრ რამეს არ მანებებს,
რა ვქნა, მაინც ვიტან.

მადლობა, მამა!

მადლობა, მამა!
რადგან ვიცი ხშიადის ყადრი,
მადლობა, მამა!..
რადგან ვიცი მარილის ყადრი.
მადლობა, მამა!..
რადგან ვიცი ბუხარის ყადრი
და გულით ვწონი ჩემი ბაღის ტირილს თუ სიცილს,
რადგან ჩემს შუბლზე მამაკაცის ფიქრები აღის
და ამ ფიქრების სიმძიმეც ვიცი.
ო, ასეთია განგება, ალბათ,
რა შეუძლია ვარდის ტოტზე შეჩვეულ თითებს.
შენ ცხოვრებაში გასაზრდელად გამიშვი, მამა,
და გასაზრდელი გამიჩნდა თვით მე.
ცხოვრებას შევინს და მეც ვიტან ქარების ზუზუნს,
მე ჩემს ჩიორას ვერ ვანატრებ რძესა და ძუძუს.
მე მაქვს სამწყემსე,
ავსებული მზითა და ქარით,
ყველას ვასესხებ,
სამეზობლო ცეცხლსა და მარილს.



რომ ჯინჯიხაძე

პ ა ლ მ ა

ზღვასთან ახლოს, მზესთან ახლოს
 დგას ის პალმა ტენბებერი.
 დგას და ელის... ამ გზის პირას
 ჩაიჭროლებს ლალი ქარი.
 როცა ქარი ძალას იკრებს,
 როცა ზღვაში მზე ბანაობს
 სიო არხვეს პალმის ტოტებს,
 აქანავებს. ვით მარაო.
 ატოკდება ქართან შმაგად,
 თითქოს იყოს მისი ურჩი,
 ატოკდება. აელერდება,
 ქარის ხმაზე, ვით კლავიში.
 თითქოს ქარში იგრძნო ძალა,
 თითქოს იყოს მისი ურჩი,
 ამ სიყვარულს, ამ სიგიყეს,
 სიკვდილამდე ვინ დაუშლის.

წ ვ ი მ ს...

წვიმს... შენს ქუჩებში დავდივარ	გარეთ წვიმს, მე კი მგონია
შორით მოსული, დილით.	ჩვენ ცის კიდემდე ვივლით...
რამდენჯერ მომნატრებია	ბათუმო, რარიგ მიყვარხარ
შენი ხეების ჩრდილი.	შენი შხაპუნა წვიმით!



სვეჟანე არღუნაი

აჭარა... მხარე ჩემი ოცნების

აჭარა... მხარე ჩემი ოცნების,
განთქმული ჩვენი ტკბილი ქართულით,
ვარ მისი მიწის გადამკოცნელი,
მის სიყვარულში გადახლართული.

ნავენახარზე ვაზი ახარა,
მისცა სიცოცხლე მიწას ნათურქალს.
აჭარა; ჩემი ტურფა აჭარა
მე საოცნებოდ ბედმა მაჩუქა!

ქართული სიტყვაც ვაზივით ხარობს,
ღრმად აქვს გადგმული აქაც ფესვები,
აჭარა, ჩემი სიმღერის წყარო,
მე რომ ლექსებით ვეაღერებდი...



ნოქა ძიკვაძე

რას ჩურჩულებს ნიკვი...

მზე სამხეოს ეფარება.
იბინდებიან მთები.

სადღაც შაშვი ჭახჭახებს და ჰაერში
დანავარდობს გულთეთრა მერცხალი.

გოდერძიდან მონაბერი ნიავი გაფოთ-
ლილ ხეთა ტოტებში ჩურჩულებს...

ლამაზია სიცოცხლე!
მზე ჩადის.

დალამდა ხეობებში.

ციდან შავი თალხისფერი ფარდა ჩა-
მოეშვა და სოფელიც გაირინდა, მიყუჩ-
და.

სადღაც ჩაახველეს. რომელიღაც სახ-
ლის აივანზე სალამური დაუკრეს და
ფანჯრებიდან ციცინათელები ამოფრინ-
დნენ.

ლამაზია სოფელი!

ლამაზია მთები — დღისით ზურმუხ-
ტისფერი, ახლა კი შავ ლანდებად ქცეუ-
ლი მთები. ჩემი მთები!

შორს, პორიზონტთან, ცის პერანგს
დილადმიბნეული ერთი პაწია, ციმციმა
გარსკვლავი შეაწყდა და ხეობაში კია-
ფით ჩავარდა.

შუქმა იფეთქა. აღმოსავლეთი განათ-
და და უნაგირაზე პირბადრი მთვარე შე-
მოკდა.

დუმს სოფელი.

ქრის ნიავი. შრიალებენ დიდტოტება-
ბერმუხები. ირხევიან, ქანაობენ ნაძვებო
და ტყის ზღაპარს ჰყვებიან.

წყარო კი... სიბ ლოდზე გადმოდენი-
ლი ცივი, კამკამა, ბროლკბილა წყარო
მიჩუხჩუხებს, მირაკრავებს მთის ფერ-
დობზე და ბარად ჩასული წისქვილის-
ღარში მიექანება.

იძინებენ მთები. მარტო მთვარე შემო-
მჯდარა მთაზე და ფხიზლობს.

ნიავი ისევ დაჰქრის მთა-ბარად და ჩუ-
რჩულებს:

— იძინეთ, მთებო!

შემდეგ ხმას იცვლის, დინჯდება, ხის-
ვეება ფულტროში წვება და იქიდან გას-
ძახის მთვარიან ღამეს:

— ძილი ნებისა!

დულუნებს ხორხისწყალი. ხან ქეჩოზე
ლამაზ, ვერცხლისფერ თევზებს მოიგ-
დებს და შეათამაშებს, ხანაც წყვეტს
რობლას და ყუჩდება.

თითქოს მცირე ხნით ისიც იძინებს.

ტყეში ნაირფერი ყვავილებით დაქა-
რგულ მდელოზე შველი გამოსულა ნუ-
კრითურთ და ლორთქო, ნამიან ბალახს
აჩქარებით ძოვს.

...აი მამალმა იყივლა. აღმოსავლეთს

ცუცხლი წაეკიდა და მთვარე პორიზონტზე დაგორდა.

მთვარემ მზეს დაუთმო საბრძანებელი. გაიღვიძა ხორხისწყალმა. ისევ შეათამაშა ვერცხლისფერი თევზები. გულში ჩაიხვია. ქვევით გააქანა და ლოდნარას ჩქერებში გადაყარა.

ღრმა, უძირო ხეობებიდანაც გაიპარა ღამე. თეთრი, ბამბის ქულასავით თეთრი დილისეული ნისლი ხორხისწყლის ხეობიდან ამოიპარა და ცხვრის ფარასავით შეესია ავაზანას ფერდობს.

მაჩაქნარას მთა ოქროსფერ სამოსელ-

ში გაეხვია და შარაზე სოფლის გამოიშალა.

ისევ აბოლდნენ შებოლილი საკვამლე მიღები. რომელიღაც სახლში აკვანი დაარწიეს და დედის ნანა ნიავმა მოიტაცა.

ბალახებში მწერები აფუსფუსდნენ. პაერი ფრთოსნების ზუზუნმა აავსო და გაფოთლილ ტყეში გუგულის მხიარული შეძახილიც გაისმა. ისევ დასერა სივრცე გულთეთრა მერცხალმა და ბუჩქიდან ავარდნილმა ტოროლამ გამოღვიძებულ სოფელს წკრიალა ხმით გადასძახა:

— ლამაზია, ტკბილია სიცოცხლე!



თენგიზ კაშიძე

უხვილონი

როგორც ბავშვები, დადიან ერთად,
დადიან წყვილად, დადიან ნელა,
შეაბერაო ერთმანეთს ღმერთმა
და გაფრენილმა ორმოცმა წელმა.

დღეები, როგორც კრიალოსანი;
იმათ ჭაღარა თმებში აცმულა,
დიდი ცხოვრების შუქზე მლოცავნი
შესჭიდებიან ძველს მამაცურად.

შესჭიდებიან, გამოუზრდიათ
არწივები და გვრიტის მართვენი
და მათ კალთაში დღეს შეხვდა მზიანს
შუბლგადაშლილი ბევრი ქართველი.

ბევრი მზე იყო, მრავალი წვიმა,
თოვლიც იყო და მთებს გლეჯდა ქარი.
ვერ იტირაო მათ სახლში შვილმა,
ისე მიდისო ცოლი და ქმარი.

ისე მიდისო ცოლი და ქმარი,
და როცა სხვათა შვილნი ხვდებიან,
ცრემლით გაძღება იმათი თვალნი
და უფრო მეტად მოიხრებიან.

შეაბერაო ერთმანეთს ღმერთმა
და მიჰყვებიან შარავზას ფართოს,
როგორც ბავშვები, დადიან ერთად,
დადიან წყვილად, დადიან მარტო.



ღომენგი ახოგაძე

მეპაპიროსევ, ძმოგილო!

რარიგ მიყვარდა მეგ პატარა ხუხულის გვერდით
წყნარად ჩამოვლა, მოსალმება დილაადრიან.
ერთმა იცოდი, რომ მე მაგარ თამბაქოს ვწევდი,
შენც მაძალებდი: მიირთვიო, ძლიერ კარგია!

მომხდარა ხოლმე, ზოგჯერ ხურდა თუ არ მყოფნიდა,
ჩვენს შორის ნდობის ებმებოდნენ თბილი ძაფები.
განა შემთხვევით კაცი ხარო ვინმე სოფლიდან, —
და ჩემს საქებას სიტყვებს ჩემზე გულზე მაფენდი.

და მეც იმ ნდობით აჩვილებულს, მეტად კმაყოფილს,
ერთად მომქონდა მეორე დღეს თავნი და ვალიც:
— ვისაც წართმევის ერცხვინება, კარგად ამყოფოს
ღმერთმაო, ცისკენ აგიპყრია ხელები კრძალვით.

ახლა კი უკვირს ღვარსადენის მილში ჩაფრენილ
ღამეს, რომ შენგან პაპიროსებს აღარ ვყიდულობ.
არ მიმხელ, თორემ შენაც კი ხარ, შენაც ნაწყენი,
და იქნებ ფიქრობ, გადიდკაცდა, ჰოდა, დიდგულობს...

მეპაპიროსევ, მოდი, უნდა ვითხრა, მართალი,
რომ უკვე არ ვწევ და შეხვედრაც შენთან მრცხვენია,
რადგანაც ვიცი — შენ არ ვიყვარს წერწებთა ქალიც,
თუ არ ეწევა ის უთენია!..



პეპეჩი ისაკიანი

„მოთმინების ჩიზუსნი“

შირაქის აყვავებულ ველზე რკინიგზა მიიკლავნებოდა. ვაგონის ფანჯრიდან გაცურებდი ესოდენ საყვარელ მიწას, სადაც მხიარულად განვლო ჩემმა ბედნიერმა ბავშვობამ.

აი ნაწისქვილარიც. აქ ოდესღაც ისმოდა ოპან ძიას წისქვილის რახუნთი. წყალი აღარ ჩანს, წისქვილი გაპარტახებულია. სამი ტირიფი და ერთი ალვის ზეგადარჩენილა ოპან ძიას გამოზრდილი ნარგავებიდან წისქვილის ირგვლივ. ბევრჯერ დავმსხდარვართ მასთან ერთად ამ ხეებქვეშ და გვისაუბრია. მას შემდეგ უძირო ყამმა ბევრი რამ ჩაყლაბა — ვაუშეორებელი, დაუბრუნებელი. ოპან ძიაც აღარ არის, კარგა ხანია მომკვდარა და ხეებქვეშ დაუპარხავთ მისივე ანდერძის თანახმად.

ოპან ძია, მახსოვს შენი ბრძნული სიტყვა:

„კაცი წავა, ქვეყანა დარჩება“.

მდინარე ახურიანის ჩანჩქერთან, ჩვენი წისქვილიდან ნახევარი საათის სავალზე, იდგა ოპან ძიას ერთლარიანი წისქვილი. თავისი ხელით ააშენა ოპან ძიამ ის წისქვილიც და პატარა ფაცხაც. თვითონვე უვლიდა წისქვილის გვერდით, მდინარის პირას გაშენებულ პატარა ბოსტანს.

ჩვენი წისქვილიდან ხშირად დავდი-

ოდო მასთან, ჩაისა და შაქარს წავეულებდი ხოლმე, რათა ერთად გვესვა ჩაი და მომესმინა მისი საუბარი.

ერთობ ძველი ამბავია. მაშინ ოპან ძიასთან ზოგჯერ თავს იყრიდნენ წელში მოხრილი ჭლარა მეგობრები, მოდიოდნენ მეზობელი სოფლებიდან ქვიან ბილიკზე კომპლექსის კაკუნით, თავ-ტანის ფამფალით, ცხვირში ლულულდით. დასხდებოდნენ წისქვილთან ჩრდილში, ეწეოდნენ მასპინძლის ნაქებ თამბაქოს, ბებრული სჯა-ბაასით გულს იჯერებდნენ და ისევ თავიანთ სოფლებში ბრუნდებოდნენ.

ჩემს ნორჩ გონებაში დინჯი, მარტოხელა ოპან ძია მესახებოდა როგორც თემური წყობის ბრძენი ადამიანი, რომელიც სამოციანი წლების მწვერვალიდან ჩაფიქრებული გადმოყურებდა სამყაროს და აბოლებდა თავის „მოთმინების ჩიზუსს“.

ჩემს სათუთ გრძნობებზე ბუნდოვან შთაბეჭდილებას ტოვებდა მისი თავგადასავალი და განცდებით დაგროვილი ფიქრები.

ორმოც წლამდე იგი თავის მამა-პაპათა სოფელში ცხოვრობდა. დღელამეს ასწორებდა, თესავდა, მკიდა, ურმით ქირაზე დადიოდა. მშობლებს უვლიდა, პატივით დამარხა, ღებები გაათხოვა, თვითონაც და-



ქორწინდა. შვილები გამოზარდა და ფეხზე დააყენა.

ორმოცი წელი რომ შეუსრულდა, სოფელში მიწები დაინაწილეს. ბარაქიანი მიწები მდიდრებმა დაინარჩუნეს, ხრიოკი ნაკვეთები კი ღარიბებს არგუნეს.

ოჰანი გაცეცხლდა. უმიწაწყოლად დარჩენილთა შორის იფეთქა შურისძიების სამართლიანმა გრძნობამ: ეცნენ, მიბეგვეს მამასახლისი და რამდენიმე მდიდარი.

საჩივარმა ქალაქამდე მიადწია. მოვიდა მოქრთამული ბოქაული, მოიყვანა იასაულები, შეკრიბა მოჯანყენი, განრისხდა, ფეხები დააბაკუნა და ყველანი მართახით ააჭრელა.

ოჰანს თვალეზში სისხლი მოაწვა და ბოქაულს მკერდზე ქვა ჰკრა. ნაცემმა გლეხებმა ღრთა შეისხნეს, ეკვეთნენ ბოქაულს და იასაულებს, იარაღი აპყარეს, დაიფრინეს და კუდით ქვა ასროლინეს. მესამე დღეს მათ დასაპატიმრებლად მოვიდნენ კახაკები, მაგრამ აჯანყებული გლეხები სოფლიდან გაიქცნენ, მთებში გაიხიზნენ. „ყაჩაღად“ გავიდნენ.

განვლო მცირე დრომ. გაქცეული გლეხები თითო-თითოდ ჩამოვიდნენ სოფელში, პატივისათვის მიადგნენ მდიდრებს და შეურთგდნენ მათ.

ოჰანი ოთხი ამხანაგით მთებში დარჩა. განვლო ხანა და ის ოთხი კაციც დაბრუნდა, იმათაც ქედი მოიხარეს. მდიდრების წინაშე და შერიგება ამჯობინეს. მდიდრებმა შუამავალი გაუგზავნეს ოჰანს და შეუთვალეს, დაგვენბდი, ცოდვა მოინანიე და ბატიება დიმიხასურეო. ოჰანმა არ დაუთმო, უარყო ეს წინადადება და დარჩა მარტო, ურყევი.

ერთხელ დაბეზლებით ოჰანი ერთ სოფელში დაიჭირეს. ხელები გაუტყრეს, გიუმრში* ჩაიყვანეს და ოთხი წლის ციხე მიუსაჯეს.

ციხიდან გამოსული ოჰანი სახლში დაბრუნდა. შვილები უკვე დავაჟკაციებულიყვნენ. შეძლებულად ცხოვრობდნენ, მაგრამ მაინც მარტოობა იგრძნო. ოჰანს არ უნდოდა სოფელში დარჩენა, თავის მტრებს — მდიდრებს რომ

არ შეხვედროდა, არ სურდა ეცქირებოდა ლმოკლე და მოღალატე ამხანაგებისათვის.

ციხეში მან მოისაზრა „განდეგილობა“ და აი ახლა, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, საბოლოოდ გადაწყვიტა წისქვილში გადასახლება.

ამაოდ ემუდარებოდა ცოლ-შვილი ოჰანს, ხელი აეღო განზრახვაზე. მან მაინც თავისი გაიტანა.

„ვიდრე ცოცხალი ვარ, — ასე თქვა და ასე უნადერძა თავის შვილებს, — აქ ვიმუშავებ, ვიცხოვრებ; როცა მოვკვდები, აქვე დამმარხეთ ამ ხეებქვეშ“.

ასე გახდა განდეგილი ოჰან ძია.

* * *

დღევანდელ დღესავით მახსოვს ოჰან ძიასთან ჩემი სტუმრობის ერთ-ერთი დღე.

ზაფხული იყო. ახურიანში ბანაობის შემდეგ მასთან სასაუბროდ წავედი.

ოჰან ძია ხეებქვეშ მხარეთქოზე წამოწოლილიყო. თავზე ეხურა პატარა ქუდი, რომელიც ოდნავ ფარავდა მის შეთხლებულ თეთრ თმას. შუბლი ძლიერ დანაოჭებოდა. მისი ფართო თოვლისფერი წვერი გაღვლილი მკერდის ვერცხლისფერ თმაში შერეულიყო. ჩაფიქრებული, ჩიბუხს აბოლებდა. მის ფეხებთან ვეებერთელა ერთგული მურა თვლემდა. მივესალმე და ჩაი-შაქარი გვერდით დავუდე. ნაოჭებში ჩამალული, ჩამწვდომი თვალეზით შემომხედა.

— კეთილად მოსულხარ, ალა ძმისწულო, — ასე მომმართავდა ხოლმე ყოველთვის.

შუადღე იყო. ჭრიჭინები ისე მედიდურად ჭრიჭინებდნენ, თითქოს თვითონ არიან მზე ან მზის სხივებიო. წისქვილის ქვა ზანტად ბრუნავდა. კარებთან მიბმული საცოდავი ვირი კედელს გამეტებით ეხახუნებოდა. ირგვლივ ქათმები კურკურებდნენ.

ქმრის სანახავად მოსული ოჰან ძიას ცოლი მაშინვე ჩემკენ გამოემართა:

— შვილო, მე არ მიჯერის, შენ უთხარი რამე, დღეს უქეიფოდ არის, ბეჭები

* გიუმრი — ამჟამად ლენინაკანი.

მტკივნაო. ამ საძაღლეში როდემდე უნდა იყოს? რისთვის? წამოვიდეს სახლში, ადამიანურად იცხოვროს, ის ვასაწყევტი რძლები რისთვისა ვეყვანან? მოუარონ. ამ სიბერის დროს მოსვენება არა აქვს, ნიღაფ ჯავაშია. რა უნდა წაიღოს ქვეყნიდან?

— დედაკაცო, გეყოფა ქოთქოთი, რამდენჯერ მითქვამს შენთვის — მე განდეგილი ვარ, სოფელში არ ვიცხოვრებ. სიტყვა სიტყვაა. ჯავა რომელია? ვიდრე ხელი პირს მიმიწვდება, უნდა ვიმუშაო. სიმღიდრისათვის ხომ არ ვმუშაობ? ჩემი თვალი მაძლარია. შვილები: თავისთვის, მე — ჩემთვის. მე საკუთარი ოფლით ნაშროვი პური უნდა ვჭამო. შენზე კარგად ვიცი, რომ ამ ქვეყნიდან არავის არაფერი წაუღია, მაგრამ კაცი შრომისათვის გაჩენილა. ხელი საქმეში მაქვს, ფეხი — სამარეში, ხომ გეყურება? გათავდა.

აბა ეს ჩაი-შაქარი აიღე, წადი, ჩაი-დანი დადგი, მაგიდა გაშალე, ალა ძმისწულთან პური ვჭამოთ, ჩაი დავლიოთ.

დედაბერი რომ წავიდა, მე ვკითხე: — ოჰან ძია, ავადა ხარ?

— არა, გეთაყვა. ეს სატიკვარი რახანია მაწუხებს. ციხიდან გამომყვა; ახლა ხომ ჯეელობაში არ შევდივარ? გამჩენს რაც მოუცია, ცოტ-ცოტა უკან მიაქვს. ასეთია ეს ქვეყანა. მეც ნელ-ნელა გზას ვისუფთავებ მამაჩემისკენ.

ჩიბუხი დაბერტყა, ქამარში გაირჭო, მსუბუქი მოძრაობით ფეხზე წამოდგა.

— წავიდეთ ბოსტანში, ცოტა ხახვი და ტარხუნა მოვკრიფოთ. დღეს ჩემმა დედაკაცმა ბატკნის შილაფლავი მომიტანა, ერთადა ვჭამოთ.

ოჰან ძია მიაბიჯებდა კვლებს შორის — უყვარჯნოდ. ის ჯერ ყავარჯენს არ ხმარობდა. ენაგადმოგდებულ მურა ფეხდაფეხ მისდევდა.

მეც მათ მივყვებოდი.

ოჰან ძია უკვე წელში მოხრილიყო. თავი შესამჩნევად ჩაფლოდა მხრებში. სქელი, მოკლე ფეხები ჯერ საიმედოდ ედგა მიწაზე.

მურა თავის პატრონს არასოდეს არ შორდებოდა. სადილობდნენ ერთად. ოჰ-

ან ძია თავის კერძს ჭამდა, მურა ვის სალაფავს.

ზამთრის საღამოობით, როცა ბუნხართან ოჰან ძია ჩიბუხს აბოლებდა, მის ფეხებთან თათებზე თავდაყრდნობილი მურა ჩუმიად ადევნებდა თვალს, თუ როგორ იფანტებოდა ხვეული კვამლი.

ერთხელ ჩემს ძმისწულებს მურა მინდორში დაეჭირათ და ძალით წაეყვანათ სახლში, ცალკე ოთახში დაემწყვდიათ. წინ ხორცი დაეყარათ, მოვიშინაურებთო. მაგრამ იგი ხორცს არ გააკარებია და ორი დღის წკმუტუნის შემდეგ დედაჩემს გაუშვია.

მურა თავგამეტებით მიფრენილიყო ოჰან ძიასთან.

ეს შემთხვევა რომ ვუამბე, ოჰან ძიამ წყნარად მომიგო:

— ხელმწიფის სასახლეში რომ წაიყვანო და ყოველდღე ქათამი მიართვა, მაინც გამოიქცევა, — და დასძინა: — ეს ძაღლია, არც კაცს და არც დედაკაცს არა ჰგავს. ეს ძაღლია — ერთგული, სანდო. ადამიანი ვერასოდეს გაიგებს ძაღლის ბუნებას. ადამიანი მატყუარაა, მისთვის ნდობა და ერთგულება გაუგებარია.

* * *

ხეების ჩრდილში დავსხედით. მურა ჩვენი სუფრის მოზიარე იყო. ცოტა მოშორებით ჩაცუცქდა. ჩვენ ბატკნის ძვლებს ვუყრიდით მას, ის კი ჰაერში იჭერდა თავის ულუფას და მაგარი კბილებით მყისვე ახრამუნებდა.

ოჰან ძიამ არაყი გადაკრა, მეც შემომთავაზა:

— დალიე, ძმისწულო, დალიე, რომ გავმხიარულდეთ. ამ ქვეყნად მთავარი ის არის, რომ გულიანად გავიხაროთ. სიხარული ბედნიერების ნახევარია. რაც უწერია კაცს, ის გადახდება. მაშ, ამთავითვე რაღად დავღონდეთ? დღევანდელი დღე ჩვენს ხელშია — გავმხიარულდეთ. ხვალინდელი დღის პატრონი ჩვენ არა ვართ; ეგებ ვიცოცხლოთ, ეგებ — არა.

ოჰან ძიამ ისევ შეავსო ჭიქები, — მე ბოროტება არ მიყვარს, არც

ჩხუბი და ჩემი მდგომარეობითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. ეს წისქვილი, ეს პატარა მიწის ნაკვეთი ჩემთვის ბევრიც არის. ქვეყანა რომ გაანაწილონ, ეგებ ამდენიც არ მერგოს. რამდენია უსახლკარო, უმიწაწყო, ძალზე ღარიბი...

ეი გიდი, მირზა მეჭედი, ყურმა გისმინოს, თუ ცოცხალი ხარ, თუ მიწაში წევხარ, შვილები გიცოცხლოს! რა ლაზათიანად მღეროდა ხოლმე ციხეში მთელი ორი წელიწადი. იმისი ერთი სიმღერის სიტყვები თავში ჩამებეჭდა და ოცი წელიწადია ყოველდღე ჩემთვის ვლიდინებ.

და ოჰან ძიამ ჩაიღიღინა:

მწვანე ველზე ჩალის ქობი
შაჰის ოქროს ტახტს სჯობია.
ოფლით მონაგარი პური
სულთანთან სადილს სჯობია.
მასხარების ყბედობასა
ნიავის ქროლვა სჯობია.
ამპარტავან, მდიდარ ძმასა
გულწრფელი უცხო სჯობია.

— კარგი სიტყვებია, ოჰან ძია, მაგრამ მირზა მეჭედი ვინაა?

— ერთი სპარსელი იყო, ჩემი ხნისა. ყალბი ფული აღმოჩენილია და ციხეში შემოაგდეს. ორი წელიწადი ერთად ვიცხოვრეთ სიამტკბილობით, ერთ ჯამში ვჭამდით, შენ-ჩემობა არა გვქონდა. არ ვიცი, მართლა დამნაშავე იყო, თუ ფათურაკს გადაეცადა, — ციხეში კაცს ვერ ნახავ, რომ თავს დამნაშავედ თვლიდეს, — მაგრამ პატიოსანი კაცი იყო, ბრძენი. ნამდვილი ჭკუის ზღვა.

ჩამოჯდებოდა ტახტზე, ჩიბუხს გააბოლებდა და იტყოდა — „მოვწიით მოთმინების ჩიბუხი, ვიდრე თავისუფლების კირი გაიღება“. იმისგან ვისწავლე ეს სიტყვა, ახლა მეც მოვწევ მოთმინების ჩიბუხს, ვიდრე...

— დედაკაცო, ერთიც დაასხი, — მართა ოჰან ძიამ ცოლს, სახვე ჭიქა ასწია და, თითქოს წამით საღდაც გადასახლდაო, შორს გაიხედა...

— შენი სადღეგრძელო იყოს, მირზა მეჭედი, ძმარჯან, — წარმოთქვა მან, ჭი-

ქა გამოსცალა, პირი მოიწმინდა და მიბრუნდა:

— ჰო, იმის თქმა მინდოდა — ეს ქვეყანა იმთავითვე მოთმინება ყოფილა და არის კიდევაც... ბევრნაირი ხალხი იყო ციხეში — გამოწაფული, ქვეყანაშემოვლილი, სომეხი გინდა, თურქი გინდა, სპარსელი, ურუსი, მასწავლებელიც იყო, ვაჭარიც, წერა-კითხვის მცოდნე ადამიანები. ბევრი რამ ვისწავლე მათგან. შენი შრომით მონაგარი ფული შენი არ არისო. შეიძლება, ფული სხვამ მოგპაროს, წაიღოს, მაგრამ რასაც ისწავლი შენია. ერთი კარგი ჭაბუკი იყო, სარქისი ერქვა, ამბობდა: ძმამ ათასნაირად გამყვლიფა, ბოლოს მიწის წართმევა მომინდომაო, მეც ველარ მოვითმინე და დამბაჩა დავახალეო; არ მომიკლავს, მხოლოდ დავჭერიო. ციხეში შემოაგდეს ერთი წლით. ხელი მოემართოს, პატიოსანი ბიჭი იყო, ტკბილი, ბატკანივით უწყინარი.

იმ გაუმაძღარი ძმის შესახებ მირზა მეჭედომ სარქისის ასე უთხრა:

— ერთხელ სპარსთა მიწაზე ერთი კაცი გამოჩენილია, ერთ სოფელს მისდგომია და უთხოვია: მიხიზნეთ, მიწა მომეციო, რომ ვიცხოვრო. სოფლის თავკაცებს უთქვამთ, მიწის ეს ნაკვეთი შენი იყოსო. მას კი უთქვამს, ცოტააო. კიდევ ერთი ნაკვეთი შეუთავაზებიათ, ესეც შენი იყოსო. მაინც ცოტააო. მაშინ სოფლის თავკაცებს უთქვამთ, თვალხარბო კაცო, აი ჩენი საყანე მიწები, ხომ ხედავ? გაიჭეცი, რამდენსაც შემოირბენსულ შენი იქნებაო. ის კაციც გაქვეულა, იმდენი ურბენია, იმდენი, რომ ბოლოს სუნთქვა შეწყვეტია, წაქცეულა, გული გასკდომია და მომკვდარა... შენ ძმასაც ასე მოსვლიაო, სიკვდილისათვის თვალებში შეუხედავს და სასჯელად ეგვიც ეყოფაო.

— ერთიც დავლიოთ და გვეყოფა... მე ვითარე, მან კი დალია.

— ციხეში ერთი გაკორტებული ვაჭარი იჯდა. ბევრისთვის წაელლიტა ფული-სასაცილო რამ იყო, — ვისი ფულიც შეეჭმა. იმათგან ყოველდღე სასმელ-სა-

ქმელი მოსდიოდა. ამის გამო ვაჭარმა ასეთი რამ გვიამბო: — როცა წარღვნამ ქვეყანა წაღეკა, ნოეს კიდობანთან ერთი კაცი მიცურდა და შეეხვეწა, ნოეჯან, ვიზრჩობი, თოკი გადმომიგდე, კიდობანზე ამოვიდეთ: ხომ გახსოვს, ერბო რომ არ გქონდა, ერთი გუდა ერბო მოგვცეო. ნოემ ყური არ ათხოვა და გაიფიქრა, რომ გადავარჩინო, ერბოს მომთხოვს, დაე ჩაიძიროსო. ერთი სხვა კაცი მიადგა: ნოე, მიშველე, შენ კარგი აღამაინი ხარ, იმ წელს ფქვილი არ მეყო, შენ კი ერთი ტომარა ფქვილი მასესხეო... ნოე კიდობანზე მყოფ ბიჭებს მიუბრუნდა, უშველეთ, ცოდვააო; გაიფიქრა, რომ დაიხრჩოს, ფქვილი დამეკარგება, მოდი, გადავარჩინ, იმუშავებს და ვალს გადამიხდისო. ეს ჩემი მოვალენიც ასეთი არიან, მე ნოეს ვუმადლიო, — დაასვენა ვაჭარმა.

ოჰან ძიამ ჩიბუხი გატენა, ააკვამლა, ნაფაზი დაარტყა და განაგროძო:

— ციხე ასეთი რამ არის, თავმოყრილი ქვეყანაა. მარტო ის განსხვავებაა, რომ ამ ქვეყანად დაუჭერელი ქურდები და ავისისხლიანები ცხოვრობენ, ციხეში კი დაჭერილი ქურდები და ავისისხლიანები. ციხეში შევისწავლე ჰკუა და გონება, გავიგე, რომ ყველა საძაგელი საქმის მიზეზი შენ-ჩემობა ყოფილა. ქალაქი და სოფელი ერთმანეთს მტრობენ ფულისათვის, სიმდიდრისათვის, სხვისი მონაგარის მიტაცებისათვის.

და ვიდრე ფული იქნება, ვაქვაცობა არ იქნება, ვიდრე შენ-ჩემობა იქნება, სიყვარული, სინდისი, პატიოსნება არ იქნება. აქედან იწყება მდიდარი და ღარიბი, მღლეტავი და ჩაგრული, ციხე და სისხლისღვრა.

თათარს უთქვამს: „ჩხუბი რამ წარმოშვაო? იმანაო, რომ ერთი ჭამს და მეორე უყურებსო“.

ამ ქვეყანასთან მე ჩემი ანგარიში გავასწორე. სხვა რა შემძლო? ვიჩხუბე, ციხეში ჩამაგდეს. მარტო დავრჩი. მარტოხელა კაცს რა გაუფა ქვეყნის წყობასთან? მუშტი-კრივის სარგებელი ვის

უნახავს? აი, სოფელი უნდა აღსდგეს, რომ ფონს გავიდეს.

მხიარული ხმაურითა და ხელების ქნევით მოვიდა შემოილი მიხაკო.

— მიხაკჯან, დაჯექი, პური ჭამე, — უთხრა ოჰან ძიამ და მომიბრუნდა: — მიხაკო იმდენად მხიარული გულის პატრონია, რომ მისთვის სატიკვარი, სიბერე ან სიკვდილი არ არსებობს. ქვეყანა რომ შეაძლიო, კაპიკადაც არ იყიდის. ყველაზე მდიდარი კაცია, იმიტომ რომ თვალმადარია.

მიხაკო ოჰან ძიას დისწული იყო, ბავშვობაში დაობლდა და ბიძის სახლში გაიზარდა, მის შვილებთან ერთად. ოცდაათი წლისა იქნებოდა; ვიწრო შუბლი, დიდი ცხვირი, მაღალი ტანი. „ცოტათი აფრენსო“, — ამბობდნენ მასზე გლეხები. ლაპარაკობდა უაზროდ, აბდაუბდას. ყოველთვის მხიარულ გუნებაზე იყო, ქვეყნის ბოროტი საქმენი კეთილად ეჩვენებოდა, ყველაფერზე ეცინებოდა, ოჰან ძიასადმი კი უსაზღვრო ერთგულებასა და მორჩილებას იჩენდა. მხოლოდ მის შეკითხვებს უპასუხებდა სერიოზულად. ზამთარ-ზაფხულ უქუდოდ დადიოდა, თავზე თმები სახურავივით დაჰკროდა. ზოგჯერ, მაგარი ყინვების დროს, ყაბალახს ხმარობდა.

მიხაკო ოჰან ძიასთან ცხოვრობდა, ერთი ფეხი წისქვილში ედგა, მეორე — სოფელში. ერთად უძღვებოდნენ მეურნეობას: ცალღარიან წისქვილს, პატარა ბოსტანს, ოციოდ ქათამსა და ბატს.

— მიხაკო, სოფელში იყავ? — კითხა ოჰან ძიამ.

— არა, ბიძაჯან, გზაზე ვიდექი. გამველე-გამომვლელს ველაპარაკებოდი. — ბიძაჯან, — დაუმატა ხმამაღლი სიცილით, — ამბობენ, რომ ჰორომანთ ბათო ალა მომკვდარაო!.. ჰა, ჰა, ჰა, მომკვდარაო!..

და სიცილისაგან მთელი სხეული აუცახცახდა.

ოჰან ძიამ ცოტა ხანს თვლები დახუჭა, მარცხენა ხელით შუბლი მოისრისა, შემდეგ შემომხედა და თქვა:

— ქურდი და ავაზაკი იყო; დატაქს

პერანგს გააძრობდა. მზის მთელი ძალა რომ ჰქონოდა, ერთ კაცსაც არ გაათბობდა.

ორიოდე ყლუბი ჩაი დალია და განაგრძო:

— კარგად ვიცნობდი, ძალიან ხარბი და ძუნწი კაცი იყო. არც ჭამდა, არც სვამდა, არც ვაჟიშვილი ჰყავდა, ნიდავგ ქონებას აგროვებდა. იმ ქონებას ახლა სიძეები დაამღერებენ. ასეთია ქვეყნის ჩარბი. ძუნწი კაცის ფულს სხვა შექამს, კისერს — ტილიო.

— კაცი წამავალია, მისი კარგი საქმე კი დარჩება, — შეაჯამა თავისი ფიქრები იოანე ძიამ, — აი, მაგალითად, ეს შაქარი ჩავაგდე ჩაიში, გადნა, გაქრა, აღარ არის, მაგრამ ჩაი დატკბა. ასევე, კარგი კაცი მოკვდება, მაგრამ მისი კარგი საქმე ქვეყანას დაატკბობს, თორემ კარგი კაცის გარეშე ქვეყანა ძალიან მწარეა, გველის შხამია...

— ვისზე ამბობ? — კითხა მიხაკომ.

— მე ბათო აღაზე ვლაპარაკობ, მიხაკვან.

— ერთი ლავაში რომ სხვისთვის ეჭმია, რა იქნებოდა? — თქვა მიხაკომ სიცილით.

— მაგ შუბლში გენაცვალე, მიხაკვან, — მოუწონა სიტყვა იოანე ძიამ და

მიაწოდა მოზრდილი შაქრის რომელიც მიხაკომ უმაღლესე ჩაახრამუნა.

ნელ-ნელა საღამოვდებოდა. მთებს იისფერი ეფინებოდა. მზისუმზირები ოქროს თავთავებს თანდათან დაბლა ხრინდნენ, მიწის მუშები ველ-მინდვრებიდან სახლში ბრუნდებოდნენ.

მე წამოვდექი. ოჰან ძიამ გზადაგზა ქორფა კიტრები დამიკრიფა და გამომაცილა. ბოსტნის ბოლოში გავჩერდით. ოჰან ძიამ იქაურობას თვალი მიმიმედ შეავლო. გახედა ველებს, მდინარეს, ბილიყებს, შორეულ მთებს, რომელთაც ათეული წლების მანძილზე უმზერდა, უყურა ჩამავალ მზეს და ჩიბუხს მოუტყიდა, ერთი ნაფაზი დაარტყა, შემდეგ კვამლს თითქოს ნაღველიც ამოაყოლა და თქვა:

— ეეე, დავბერდი, ყველაფრის ბოლოს მოვესწარი, ჩემი სიცოცხლის დასასრულსაც მივადექი... არა მიშავს რა. ერთი სურვილი მაქვს მხოლოდ, — ვიდრე ცოცხალი ვარ, უხელფეხოდ ნუ დავრჩები, სხვისი სახიდი ბარგი ნუ გავხდები; ვიმუშაო, ამ წისქვილის კართან ჩამომჯდარმა მოთმინების ჩიბუხი მოგწიო და ქვეყნის ოთხსავ კუთხიდან კარგი ამბავი გავიგონო.

მეტე არაფერი მინდა...

სომხურიდან თარგმნა გრიგოლ სარქისიანმა.



საუზო მგელაძე

ა ზ ა რ ა ს

...ძველი კოშკის ნანგრევები
 რომ იტაცებს თვალებს,
 იცით, ქართველ ძმებს, აჭარლებს,
 რას თხოვს, რას ავალებს?
 ეუბნება: თქვენ შვილნი ხართ,
 შვილნი წუთისოფლის,
 ამ ჩემს კედლებს ბევრჯერ ბანდა
 სისხლიცა და ოფლიც.
 ბევრი გული გაუფატრავს
 მტრის ურდობს წყევულს,
 ბევრი გლეჯდა რკინის შანთით
 საქართველოს სხეულს.
 და თქვენც იმ დროს ისტორიას
 თქვენი სისხლით სწერდით
 და სამშობლოს იფარავდით
 ძარღვმაგარი მკერდით.
 თქვენ ერთი გაქვთ მისწრაფება,
 გული, გვარი, ენა,
 მაშ, ნუ გაგყრით ნურასოდეს
 თქვენ სხვადასხვა რწმენა.
 ძველი კოშკის ნანგრევები,
 რომ იტაცებს თვალებს,
 აი ქართველ ძმებს, აჭარლებს,
 რას თხოვს, რას ავალებს.

1930 წელი.

ცნობილი ქართველი პოეტი ქალის საფო მგელაძის ეს ლექსი მოგვაწოდა პოეტის შვი-
 ლი შვილმა.



არქესანრა ჩხიძე

პირველი ნაპიჯები

თავდაპირველად ტელეფონით დაუკავშირდი საქართველოს კომპარტიის აპარის საოლქო კომიტეტის პარტორგს ნინო ხახუტაიშვილს.

— როდის უფრო მოსახერხებელია თქვენთან შეხვედრა სამმართველოში?

— მხოლოდ აღდრ დილით.

— შემდეგ სად იქნებით?

— შემდეგ?.. — პარტორგის ხმას შეყოყმანება შევამჩნიე. — შემდეგ ან სარფში... ან კიდევ ხინოში.

ეს არც თუ ისე ზუსტი მისამართი იყო, რადგან საზღვრისპირა სარფიდან გურია-ქობულეთის მიჯნაზე მთებში მიყუყულ სოფელ ხინომდე, მეტი თუ არა, სამოცდაათი კილომეტრი მაინც იქნება. ამ ორ სოფელს შორის კი ასამდე კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, ფერმა და ჩაის ფაბრიკაა. ამიტომ ვამჯობინე პარტორგთან შესახვედრად დილაადრიან ჩავსულიყავი ჩაქვში, სადაც იმყოფება ქობულეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველო.

...ეს ორსართულიანი თეთრი შენობა წინათ მხოლოდ ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის დირექციას ეკავა. შემდეგ ჩაქველები აპარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „შეაფრთხა“. ეს მაშინ, როცა პრაქტიკულ საქმიანობასთან უფრო მჭიდროდ დაახლოებისათვის სამინისტრომ ბათუმთან ჩაქვში გადაინაცვლა. ახლა კი შენობის პირველი სართული ახლად შექმნილ საწარმოო სამმართველოს უჭირავს.

აქ ყველაფერში იგრძნობა სიახლე. ჭერჭეროვით კაბინეტებიც კი არაა. ხეირიანად მოწყობილი, არც ტელეფონები დგას, აქა-იქ ხელოსნებიც ტრიალებენ დერეფნებსა და ოთახებში. სამმართველო ხომ აპრილში შეიქმნა, სწორედ მაშინ, როცა აპარაში ჩაის კრეფა იწყებოდა და, აბა,

ვის ეცალა კაბინეტებისა და ტელეფონებისათვის. დილაადრიან შეკრება — ცალკე სამმართველოს უფროსთან, ცალკე — პარტორგთან. შემდეგ მცირე ერთობლივი თათბირი, თუ რა უნდა გაკეთდეს დღეს, და მაშინვე ადგილებისაკენ.

პირველმა, რამაც მიიბურო ყურადღება პარტორგის სამუშაო ოთახში, ეს იყო ხელით ნახატი უჩვეულო რუკა, კედელზე რომ ეკიდა. ასეთი აღმინისტრაციული დაყოფა ჯერ არც ერთ სხვა რუკაზე არ არის. ეს გახლავთ სამმართველოს ტერიტორია, რომელიც მოიცავს ქობულეთისა და ბათუმის რაიონებს. მასზე პირობითი ნიშნებით აღნიშნულია ყველა სოფელი, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, ჩაის ფაბრიკა და მსხვილი ფერმა. და ეს პატარა დეტალი აქაურობას უნებლიეთ ამგავსებს შტაბს, სადაც ისახება ყოველდღიური სამოქმედო გეგმა.

დაიხ, აქ ნამდვილი შტაბია და დღეს გენერალური შეტევა ჩაის ფრონტზეა. ნინო ხახუტაიშვილი ის იყო კაბინეტში შევიდა, რომ კარი შეაღო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების უფროსმა აგრონომმა ვასო გორდელაძემ. მას ხელში ეკავა გრძელი, დაგრაფული ფურცელი გუმინდელი მონაცემებით.

პარტორგი ყურადღებით დასცქერის ციფრებს. წითელი ფანჯარი ჩერდება ზოგიერთი გრაფის გასწვრივ. ეს ნიშნავს, რომ იმ კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში ყველაფერი რიგზე არაა — ან ჩაის ფოთლის კრეფის დღიური დავალება არ შესრულებულა, ან კიდევ ხარი-სხობრივი მაჩვენებლებია დაბალი.

— ალაშბარში ვერ არის კარგად საქმე, — თქვა გორდელაძემ. — ოღონდ გეგმა შესრულონ და არაფერს აღარ ერიდებიან, კრეფენ, რაც ხელში მოხვდება.

— გუშინწინ ვიყავი ალაშბარში და ვნახე, —

ასწია თავი წინომ, — მაგრამ აუყველებს მიწყ
რა მოუვლიათ! გუშინ თერთმეტი ტონა და შეი-
დასი კოლოგრაში მოუყრევიათ და აქედან თით-
ქმის სუთი ტონა მეორე ხარისხისა.

— ეს მართლაც საკვირველია, — ეთანხმება
უფროსი აგრონომი.

ზოდა, რაზან ეს ვასო ვორდლამესაც უკვირს,
მამასადამე, მეტად საყურადღებო ამბავია. იგი
ხომ ოცდაათ წელზე მეტია ქობულეთში მუშა-
ობს და, რომ იტყვიან, ხელისგულივით იცნობს
რაიონს. წინო ხახუტაიშვილი კი მრავალი წლის
მანძილზე მხოლოდ ბათუმის რაიონში მუშაობ-
და, უკანასკნელად — რაიონის პირველ მიწვე-
ნად. ამიტომ პარტორგი მეტწილად ბათუმის
რაიონზე ლაპარაკობს და იქაური კოლმეურნეო-
ბების წარმატებისა თუ ჩამორჩენის მიზეზებ-
საც ადილიად ავსებს. უფროსი აგრონომი კი უწე-
ვლობით ქობულეთის რაიონის საზღვრებში იფა-
რგლებს. საუბარი ზოგჯერ საქმიან კამათში გადა-
იზრდება, ორივე იცავს „თავისი“ რაიონის გა-
მოცდილებას, მაგრამ უმალ ასხენდებოთ, რომ
იღარ არსებობს „შენი“ და „ჩემი“ რაიონი, რომ
არის ერთი საერთო სამშობლოც, საერთო საქ-
მე და მიზანი, და პარტორგიც და უფროსი აგ-
რონომიც ერთად სახავენ პრაქტიკულ ღონისძი-
ებებს, რომ ამრავლონ წარმატებები, ამთავითვე
აღმოფხვრან შეცდომები.

კიდევ ერთმა მწვევე საკითხმა იჩინა თავი სა-
უბარში.

— შარშან ლეღვაში ასოცდაშვილ კოლმეურ-
ნის შრომადღებების მინიმუმი არ გამოუმუშავე-
ბია, — ამბობს გორდელაძე, — წელს კი გამგე-
ობამ ორასამდე მუშახელი დაიქირავა ჩაის საკ-
რავად. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა ალამ-
ბარში, ხუცუბანში, ზენიანში, ქაქუთში...

თითქმის საგანგაშო არაფერია. ახლა მთავარია,
დროულად მოიკრიფოს უხვად შემოსული ჩაის
ფოთოლი, არ დაუშვან მისი გაუხეშება. დაქი-
რავებული მუშახელიც სწორედ ამ საქმეს ემსა-
ხურება და ამიტომ ასეთ დარღვევას შეიძლება
„წაუყურეთ“ კიდევაც: მაგრამ პარტორგი უფრო
ღრმად ხედავს ამ პრაქტიკის მავნე შედეგს:

— ყოველმხრივ უნდა ვებრძოლოთ დაქირა-
ვებული მუშახელის გამოყენებას. სად გაგონი-
ლია კოლმეურნეობის წევრი თავის საკარმიდამო
საკვებზე მუშაობდეს, უფრო მეტიც, საყოლმე-
ურნად ბაზარში ვაჭრობდეს ან მანქანით სერი-
ობდეს, ამ დროს კი მის მაგივრად სხვა კრეფ-
დეს ჩაის! ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ისეთ მიჩვე-
ნებში ეკონომიურ წარმატებაზე, რომელიც პრი-
ციპულად ეწინააღმდეგება საყოლმეურნეო
ცხოვრების მორალს. უნდა გამოინახოს სხვა გზა,
გამოუყენებელი რეზერვები...

წყრილობის ტელეფონი, ხახუტაიშვილი იღებს
ყურმილს, იგი ვილაცა უსმენს, რაღაცაში ეთან-
ხმება, რაღაცას ინიშნავს და შემდეგ ისევ განა-
გრძობს დაწყებულ საუბარს:

— აი ხომ ხედავთ?.. ჩვენი კომორგი რეკვირ-
საქმე კარგად მიდის. ესეც გამოუყენებელი რეკვირ-
ზერვებია: სწორედ ამ გზით უნდა მივალყოთ,
რომ უკლებლივ ყველა მშრომელი ჩავაბათ სა-
ყოლმეურნეო შრომაში. თვითონ ლეღველები
მიხედნენ ამას...

დავიტყვერესდი, რა რეზერვზე იყო ლაპარაკი.
გამოირკვა, რომ ახალგაზრდა ვაჟები თავს არი-
დებენ ჩაის კრეფას, თაკილობენ, აქოდა რა ვა-
ჟაკის საქმეაო. ალბათ, პირველი ლეღველი ბი-
ჭები შეაწუხა სინდისის ქენჯანმა, დაიანჯეს, რომ
კოლმეურნეობა ვერ უმკლავდებოდა მოზღვავე-
ბულ „მწვანე ოქროს“, კომკავშირულმა ორგანი-
ზაციამაც გამოიჩინა ფხა და ლეღველმა მუშავე-
ბმა მოწოდებით მიმართეს რაიონის მუშა და
კოლმეურნე ვაჟებს ჩაბმულიყენენ ჩაის უხვი
მოსალოდისათვის ლაშქრობაში. სამშობლოს
კომორგი სულიკო ინაიშვილი ახლა სწორედ ამ
საქმეზე ესაუბრებოდა პარტორგს და პირველ
შედეგებს ტელეფონით მოახსენებდა.

ოთახში ინსტრუქტორი ვლასი ეზიშვილი შე-
მოვიდა და სტამბიდან ახლად მოტანილი ანაბე-
დები შემოიტანა. თვალსაჩინო აკრეციას ახლა
უფრო მეტი ყურადღება ეთმობა. აი, მაგალი-
თად, ეს მხატვრული პლაკატი, ათასჯერ გამარა-
ვებული, მივა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მე-
ურნეობებში, ჩაის ფაბრიკებში, ბრავდებში,
რგოლებში, ცალკეულ კოლმეურნეთა ოჯახებში
და მოავიწყებს მათ სამშობლოს ვალდებუ-
ლებას — მისცენ წელს სამშობლოს ოცდაექვსი
ათას ცხრაასორმოცდაერთი ტონა ჩაის მწვანე
ფოთოლი.

თუმცა ეს ჯერ პლაკატი კი არა, უბრალო ეს-
კიზია. ეტყობა, პარტორგს არ მოსწონს იგი და
სავსებით სამართლიანად. მხატვარს საკმაოდ
უგემოვნოდ დაუხატავს მეჩავე ქალი, იგი მან-
კენს უფრო პავს, ვიდრე ცოცხალ ადამიანს.

— ალბათ, ამის დასმატავს კარგა ხანია არ უნ-
ახავს ნამდვილი ჩაის პლანტაცია და სიცოცხლით
სავსე ჩვენი ქალიშვილები, ჩაის ბუჩქებს რომ
დასტრიალებენ თავს. — ღიმილით ამბობს წინო
და დასძენს: — წარმოადგინოს კიდევ ერთი ეს-
კიზი, უფრო საქმიანი, ამასთან მახვილი და ხა-
ლისიანი.

დაბეჭდვამდე ზუსტდება აგრეთვე ტექსტი
მოწოდებისა, რომლითაც ხუცუბანელებმა მიმარ-
თეს სამშობლოს კოლმეურნეობებს. ისინი
პირობას იძლევიან, რომ ყოველდღე უკლებლივ
ყველა მეჩავე ვაჯე პლანტაციაში, ამასთან დაუ-
ნგარიშებიათ, რამდენი ჩაი უნდა მოკრიფოს
თვითეულმა მათგანმა, რომ პირნათლად შეასრუ-
ლონ სამშობლოსათვის მიცემული პირობა.

ხუცუბანელებს არასოდეს არ გაუტეხიათ სიტყ-
ვა და, ალბათ, არც ახლა შეირცხვენენ თავს. კო-
ლმეურნეობის თავმჯდომარეც ენერგიული კა-
ციკა — ვლადიმერ ბაჯელიძე, ავერ ახლა სსრ კავ-
შირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად რომ აირ-
ჩიეს, ხელმძღვანელზე ბევრია დამოკიდებული;

ადამიანები ყველგან ერთნაირია, მთავარია, როგორ წარუძღვები მათ...

— ამ ბოლო დროს რაღაც ძალიან ესაყვედურებინა კვირიკის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, — თითქოს პარტორგის ფიქრებს ეხმარებოდა პარტორგის ინსტრუქტორი ვალერიან ჩხარტიშვილი, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა და ბლოკნოტს ფურცლავდა.

— რაო, ცუდად მუშაობსო?

— რაეი კოლმეურნეობაში ცუდადაა საქმეები, ჩამორჩენაა, მამასადამე, ხელმძღვანელობა არ ვარაგ, — ამბობს ვალერიანი და დასძენს:— თუ-მცა, ეხეცა...

— ჰო, რას ფიქრობ? — ამხნევეს მას პარტორგი.

— შეიძლება მარტო თავმჯდომარეც არაა დამნაშავე. ზოგჯერ ვიცით, ამოვიჩემებთ ერთ კაცს და ყველა კრებასა თუ თათბირზე მას ვახსენებთ, ვაკრიტიკებთ, საყვედურს ვაძლევათ, შემდეგ კი ვხსნით. ამით ზოგჯერ მუშაობის ხალისს ვუკარგავთ ადამიანს, ავტორიტეტსაც ვუძევებთ თანსაოფელელთა თვალში...

ინო ხახუტაიშვილი საცხები ეთანხმება ინსტრუქტორს, მერე დაწერილებით გამოჰკვირბავს კოლმეურნეობის ამბებს, — რამდენი კომუნისტია სოფელში, ვინ არიან ბოლოადირები, რა უშობი ხელს მუშაობაში და, ბოლოს, დასკვნის:

— მისხნა ყველაფერზე ადვილია. იგი ხომ კომუნისტია და შეგნებული აქვს თავისი მოვალეობა. მოიწვიეთ ღია პარტიული კრება, იმსჯელეთ კოლმეურნეობათან ერთად, პირდაპირ, გულახდილად. მოუსმინეთ ხალხს. საერთოდ კი ნუ ვაგრძობინებთ, რომ მუშაობას ვამოწმებთ. ჩვენი პირველი და მთავარი ამოცანაა — დაეხმაროთ, დაეხმაროთ კოლმეურნეობასაც, თავმჯდომარესაც.

პარტორგი მალ-მალე დასცქერის საათს—კაბინეტში რაღაც ძალიან შეყოვნდა ამ დღით. მერე კიდევ სოფელში გამგზავრებამდე, როგორც წესი, სამმართველოს უფროსს რუბენ სიორიძეს უნდა შეხვდეს. მისი სამუშაო ოთახი დერეფნის მეორე ბოლოშია, მაგრამ იქამდე ჯერ-ჯერობით ვერ მიადგინა. ათასი საქმე იჩნის თავს ზედიზედ, გასარკვევია მრავალი საკითხი.

ბათუმის ვაჭრობის ტექნიკუმის დირექტორიც — გრიგოლ თოიძე, რომელიც ეს ერთი თვეა სტუდენტებთან ერთად სამუშაოდ და საცხოვრებლად ჩაქეში „გადმოსახლად“, პარტორგთან მოვიდა სასინჯარო ცნობებით და სასაყვედუროდაც. ასე ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფონ სტუდენტებმა ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში. ეს მათ საწარმოო სწავლებაში ეთვლებათ და მეურნეობასაც ეხმარებიან. გასამრჯელოსაც კარგს იღებენ შრომისათვის, მაგრამ...

— თქვენი დახმარება გვინდა, ამხანაგო ინო, — მიმართავს პარტორგს გრიგოლ თოიძე, — ჩვენ თავს არ შევირცხვენთ, პირობას შევასრუ-

ლებთ, მაგრამ ერთი რამ ძალიან აფერხებს მუშაობას — სასადილო დროულად ვერ აწყდებოდნენ სადილს ახალგაზრდებს პლანტაციებში, ვერც ბიცი არაა ყოველთვის გემრიელი.

ინო ხახუტაიშვილი რაღაცას ინიშნავს ბლოკნოტში და სთხოვს თოიძეს, დაელოდოს ცოტა ხანს. როგორც კი მოჩვენა საქმეებს, ისინი ერთად გაემგზავრებიან სტუდენტებთან, სასადილოშიც.

პარტორგთან საუბარში თავი იჩინა სხვა მოსაგვარებელმა საკითხებმაც, რაც ყოველთვის თან სდევს ხოლმე ახლად წამოწყებულ საქმეს. ჯერ-ჯერობით საწარმოო სამმართველოს თავისი ბეჭდვით ორგანო არა აქვს და ამიტომ გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ კვირაში ორ-სამჯერ სამმართველოთა საქმიანობას უძღვნის საგანგებო გვერდს სათაურით „სსოფსისათვის“. მაგრამ არა და არ მიხერხდა, რომ აჭარის სტატისტიკურმა სამმართველომ გაზეთში გამოაქვეყნოს ცნობები საწარმოო სამმართველოს ერთობლივი მონაცემებით. ძველი ჩვეულებისამებრ, სტატისტიკეები ისევ რაიონების მიხედვით აქვეყნებენ ცნობებს ჩაის კრეფიდან და სხვა სამუშაოთა მიმდინარეობაზე. სტატისტიკური სამმართველოს უფროსი ამხ. ნებიერიძე, ალბათ, მოავარებს ამ არცთუ ძნელ საქმეს.

სამმართველოს ნორმალურ საქმიანობას აფერხებს კავშირგაბმულობის მოუწყვრობელობა. ჩემი იქ ყოფნისას პარტორგთან რომელიღაც გადაუღებელი საკითხის გასარკვევად ჩამოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც ვერ მოახერხა ტელეფონით დაკავშირებოდა ჩაქვს. რადგან სამმართველო ქობულეთის რაიონის ტერიტორიაზე, ბათუმის რაიონიდან მხოლოდ საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის მეშვეობით შეიძლება დაუკავშირდეთ მას. თითქოს კურონოა, მაგრამ ფაქტია, რომ მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობიდან, რომელიც ექვსიოდე კილომეტრითაა დაცილებული ჩაქვს, ჯერ უნდა გამოიძახოს ბათუმის საქალაქთაშორისო სადგური, ხოლო შემდეგ კარგა ხანს ელოდოს სამმართველოსთან დაკავშირებას. თუ მხედველობაში მივიღებთ სამმართველოს-მუშაობა საქმე-ოდ მცირერიცხოვან რაზმს და მისი სამუშაოდ ასპარეზის სივრცეს, დავრწმუნდებით, რომ კავშირგაბმულობის მოწყობაზე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათი საქმიანობის გაუმჯობესებას (შემდეგ მე ვესაუბრე კავშირგაბმულობის აჭარის კანტორის უფროსს ამხ. ვახიძაშვილს. მან სამართლიანად ჩასთვალა სამმართველოს პრეტენზია, მაგრამ ისიც განმარტა, რომ სატელეფონო კავშირის ასეთი რეორგანიზაცია დაკავშირებულია მთელ რიგ სიძნელეებთან, ხარჯებთან და ამ საქმის მოგვარებისათვის უკვე ზრუნავენ სათანადო ორგანოები).

...სამმართველოს უფროსი რუბენ სიორიძე, რომელთანაც პარტორგთან ერთად შევედი,

ტელეფონით ლაპარაკობდა. ყურმილი დასდო და თქვა:

— ხვალ კომიტეტის სხდომა.

ალბათ, გაიფიქრა, თუ რაზე იქნებოდა მსჯელობა კომიტეტის ხვალინდელ სხდომაზე და ჩაის კიდვის გუშინდელი მონაცემებით აპროლეზულ ციფერ ფურცელს ჩააცქერდა. თუმცა ჩაი, მართალია, ჩაია და ახლა ძირითად ყურადღებას მას აქცევენ, მაგრამ სამმართველოს სხვა საზრუნავიც ბლომად აქვს. ეს სიმინდის თესვაო, ეს ბარდაო, ეს ციტრუსები და ტუნჯიო, მეცხოველოებაო ხომ უპირველესი საქმეა... უკვე გადაწყვედა, რომ თვითელ საბჭოთა მეურნეობასთან შეიქმნას მცირე, 15-20 ძროხიანი ფერმები. ეს საესეებით დაკამათებულებს მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საქირთებას. კოლმეურნეობებშიც გაიზრდება პირუტყვის სულადობა.

მაგრამ ჩაი მაინც მთავარია, მით უმეტეს, რომ მისი თითქმის მთელი მარაგი ქობულეთის საწარმოო სამმართველოს ტერიტორიაზეა. ამიტომ, რომ რუბენ სიორიძე ერთხელ კიდევე ავლებს თვალს ციფრებს და ამბობს:

— მისი-იენისის გვემას ნამდვილად შევასრულებთ, მაგრამ ვალდებულებას?

— ვალდებულებასაც შევასრულებთ, — დაბეჯითებით ამბობს ნინო, — მხოლოდ ხარისხი მაფიქრებს ძალიან.

და მაშინვე იმეება საუბარი, თუ რა ნახა და მოისინია ადგილებზე თვითელმა მათგანმა. სამმართველოს უფროსი და პარტორგი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს, წინადადებებს, შენიშვნებს. შემდეგ გაინაწილეს დღევანდელი ობიექტები და სულ მალე პარტორგთან ერთად მაქანათ გაეფიცარათ სამმართველოდან.

პირველად ვაჭრობის ტექნიკუმის სტუდენტები უნდა მოეინახულოთ. გრიგოლ თოიძის ვარდა, ჩვენთანაა ჩაქვის ზონის ინსპექტორ-ორგანიზატორი ალექსანდრე ფალავანდიშვილი, პროფესიით აგრონომი, გამოცდილი და ენერგიული მუშაკი. იგი კარგად იცნობს თავის ზონას და გზადგვა გაცნობს ცალკეულ ობიექტებს.

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში გადავხევი. მანქანა ზევით და ზევით მიიწევს. გზა სულ უფრო ვიწროვდება. მარცხნივ და მარჯვნივ მწყრივთა შორის მოჩანან კილის ქუდიანი მკრეფავები.

— აი ისინი ჩვენები არიან, — მიგვითითებს თოიძე.

ახლაგაზრდა ქალ-ვაენი მცირე ხნით მოწყდნენ სამუშაოს და გარს შემოურტყნენ პარტორგს. მაშინვე გაიბა საუბარი. მართალია სანაქებოდ მუშაობენ სტუდენტები. ისინი შარშანაც ყოფილან აქ. უმეტესობა ბავშვობიდან შეზრდილა ჩაის ბუჩქებს. ოცდაათ-ორმოცდაათ კილოგრამ ჩაის მწვანე ფთოილს კრეფენ ყოველდღიურად ნაწი ჯფარობი, ოთარ ანდლულაძე, ალექსი იმნაიშვილი, ზურაბ გიბაშინი, ისინი არც ჩივიან, არც წუწუნებენ, მხოლოდ პარტორგის შეკითხ-

ვზე, რაიმე ხომ არ გიშლით ხელს მუშაობაშიო, აქეთ-იქიდან ვაისმა:

— ხან პირველ საათზე მოაქეთ სადნობი, კიდევე სამზე.

— კერძებიც არაა ყოველთვის გემრიელი. — კარგი იქნება, საღამოობით, სამუშაოდან რომ დაბრუნდებით, ახალ გაზეთებს შეგვიწახანდნენ კოსკში.

— ჩვენს ოთახში რადიორეპროდუქტორი არ დგას.

— ხვალ ფეხბურთია, ქუთაისის „ტორპედო“ თამაშობს, ტრანსლაციას მოვისმენდით.

ნინო ხახუტაიშვილი ინიშნავს და იმასოვრებს მათ თხოვნას, აღუთქვამს დახმარებას.

სწორედ ამ დროს მანქანაც ამოვიდა და სადილი ამოიტანა. ნინო სინჯავს კერძებს და რწმუნდება, რომ ახალგაზრდების პრეტენზია სამართლიანია. შჩი უგემურია, ლობიო, მართალია, კარგია, მაგრამ ძალზე ცოტა წამოუღიათ და სხვა ბრავადებს აღარ ეყოფათ.

პარტორგს საქმის გადაღება არ უყვარს. ამიტომ პლანტაციებიდან პირდაპირ ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მუშათა სასადილოში მივიმგზავრებთ.


მზარეულებს და სასადილოს გამგეს გამოვესაუბრეთ. თავს იმართლებენ, რაღაც მიზეზებს ასახელებენ. მაგრამ ირკვევა, რომ მთავარი მიზეზი სიხარბაი და გულგრილობაა. უფრო მოქნილი მუშაობაა და დაინტერესებით ადვილად შეიძლება გამოსწორდეს ბებერი რამ. რადგან მსგავსი ამებში სხვაგანაც ხდება, აქარკობაკავშირის გამოვლობამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს მუშათა სასადილოების მუშაობას, სეკრიოდ, სოფლად აქპრობას.

პარტორგს დღეს ყველაზე მეტად მაინც მთავარი საკითხი აწუხებს — ჩაის ხარისხი. მაგრამ სანამ კოლმეურნეობებში გავივლიდეთ, უმჯობესია ჩაის ფაბრიკაში შევივაროთ, იქ, სადაც აბარებენ მოკრიფილ ნედლეულს.

აქყვის ჩაის ფაბრიკაში ჩვენზე ადრე საქართველოს ჩაის ტრესტის მუშაკები მისულან. ისინი ყურადღებით დასცქერიდნენ ჩაის პუნქტებიდან ახლად მოზიდულ ნედლეულს. პარტორგს სიხარულით შეხვდნენ. ტრესტის მთავარი აგრონომი ალექსანდრე თელია აჭარის ხშირი სტუმარია. იგი კარგად იცნობს ნინო ხახუტაიშვილს, როგორც რაიკომის ყოფილ მდივანს. ახლაც ერთმანეთი მოიკითხეს, ძველი გაიხსენეს და მაშინვე საქმეზე გადავიდნენ.

— გულში რამდენიმე კოლმეურნეობა მოვივარეთ, ამხანაგო ნინო, გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა, მოსაზრება... ყველაფერი ეს ჩამოვწერეთ და დაგიტოვეთ სამმართველოში, — ამბობს თელია, მაგრამ იმევე სიტყვიერადაც აცნობს თავის მოსაზრებებს. ტრესტის მუშაკებიც ხარისხს უჩივიან.

— გულში აწყვეში ვიყავი, — ამბობს ტრესტის აგრონომი შოთა ცხომელიძე, — არღვევენ



კრეფის წესებს. მიმღებ პუნქტში მეორე ხარისხის ფოთოლს პირველ ხარისხში იღებს პუნქტის გამგე; არ ეკადრებათ აუყველებს ეს.

ნინო ხახუტაიშვილი და ალექსანდრე ფალაიანიშვილია ერთმანეთს გადახედეს. ახლა უკვე გასაგებია, რატომ მიანცდამაინც გუშინ „წიარეს ფეხი“ აუყველებმა. ასეა ყოველთვის, როცა კოლმეურნეობაში „რევიზორები“ მივლენ ხოლმე. კოლმეურნეობა ამტკიცებს, რომ მოკრეფილია ჩაის ფოთოლი პირველი ხარისხისა, ტრესტის ან ჩაის ფაბრიკის წარმომადგენელს კი არასოდეს არ აკმაყოფილებს ნედლეულის ხარისხი.

ნინო ხახუტაიშვილი ხშირად ყოფილა მსგავსი კონფლიქტების მოწამე და კარგად იცის — ასეთ დროს, სიმართლე რომ გაარკვეო, ორივე მხარეს უნდა მოუსმინო; ამიტომ იგი ჩაის ტრესტის წარმომადგენლებს პირდება, რომ ადვილზე გაარკვევს ყველაფერს.

ჩვენი იქ ყოფნის დროს ფაბრიკა არ მუშაობდა. ამან, ცოტა არ იყოს, ვაგვაოცა, რადგან ვიცოდით, რომ ყოველდღე უმარავე ჩაის ფოთოლი იკრიფებოდა. ჩვენს შეკითხვაზე ფაბრიკის დირექტორმა მემედ ბასილიძემ გვიპასუხა:

— კოლმეურნეობები ავგანებენ ჩაის პუნქტებში ნედლეულის ჩაბარებას. იმ ხომ ხედავთ, ახლა ფაბრიკა დგას, სადამოს კი ამდენი მანქანა მოგვადგება ერთად, დილაზე ამოსუნთქვის საშუალება არ გვექნება.

...მათავარი გზატკეცილიდან სოფელ აუყვისასკარ გადაუხვებით. ასფალტიდან უცებ სოფლურ მხარაზე მოხვდით. ასეთი გზები არ უყვართ მძღოლებს, საბურავებს აფუტებებს. ამიტომ ჩვენი მძღოლი — მინდელი გაზს უკლებს და ცდილობს ფრთხილად წაიყვანოს მანქანა, ოღორზოვრობებს მოარიდოს და ჩვენც ნაკლებად დაგვანჯღრიოს. მოულოდნელად მანქანა ისევ ახლად დატკეპნილ ასფალტზე გასრიალდა და მინდელმაკ სვლას მოუშობა. მე გამიკვირდა და ფალავანდიშვილს გადახედე. მან გაიღიმა და თქვა:

— ის ოღორზოვრო გზა სტურუას სახელობის კოლმეურნეობას ეკუთვნის. ასფალტიდან კი აუყველებს სამფლობელო იწყება. ძლიერი კოლმეურნეობაა, შემოსავალი კარგი აქვს და სოფლის კეთილმოწყობისათვის სახსრებს არ იშურებს.

თითქოს ერთნაირი პირობები აქვს ამ ორ კოლმეურნეობას, მეზობლები არიან, მაგრამ შემოსავლით ვერ შეეტოლლებიან ერთმანეთს. ეს ორივედ გაყოფილია გზას უსამოივნო გრძნობასაც იწყევს. შემდეგ აუყვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ანესტი მურუზიძის გავეხუმრეთ კიდევაც, მოდი, რაც იქნება იქნება, დახმარების ხელი გაუწოდეთ მეზობლებს და ის გზაც მოასფალტეთ-თქო. ჭერ საკუთარ ტრესტს კეთილმოვაწყობთ და მერე ვნახოთ, დიმილით გვიტხრა მან. ვნახოთ!

ანესტი მურუზიძი უთქმელად მიხვდა, რატომ

მივიდა მასთან პარტორგი. თავმჯდომარე უარყოფს, რომ ხარისხს ზოგჯერ არ იცვენ, მაგრამ თან უქმყოფილოდ დასძენს, ტრესტისა და ჩაის ფაბრიკების მიუხავები ზოგჯერ მეტისმეტ სიმკაცრეს იჩენენ. პარტორგი გულდასმით ისმენს მის განმარტებას. საქიროა საქმეში ჩაწვდომა და სიმართლის დადგენა. ესეც სამართველოს საზრუნავია. საერთოდ, ურთიერთობა კოლმეურნეობებსა და ჩაის ფაბრიკებს შორის ხარისხის თაობაზე მეტად მტკიცეუღია და საფუძველიან შესწავლას მოითხოვს.

— მოდი, ადვილზე ვნახოთ, როგორ კრეფენ მეჩაიეები ფოთოლს, — ეუბნება ხახუტაიშვილი თავმჯდომარეს.

— სიამოვნებით.

თავმჯდომარეს არ ვეკითხებით გვემება და ვალდებულებებზე. ამას თვალსაჩინოებითაც კარგად ვხედავთ გზადაგზა. პლაკატები, ტრანსპარანტები ვვაცნობენ აუყველთა ვალდებულებას — წელს გვემით ვათვალისწინებულ 566 ტონის ნაცვლად მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბარონ 600 ტონა ჩაის მწვენი ფოთოლი.

არ ერთი იმათგანი, ვინც ვაზრდილი ვალდებულება იცისრა — მერი ცივაძე. იგი ყოველდღეურად ორმოცდაათ-სამოც კილოგრამ ფოთოლს კრეფს. დღესაც, თუმცა მზე ჭარ კიდევ ზენიტშია, უკვე ოცდაათ კილოგრამამდე მოუკრიფავს... თუმცა... ნინო ხახუტაიშვილი მარტო პარტორგი არაა, აგრონომიცაა. იგი ათვალეიერებს მერის მოკრეფილ ფოთოლს და ეუბნება:

— ამ ხომ ხედავ, ეს დუყი უკვე გაუხეშებულა, ორი დღის წინათ უნდა მოგეკრიფა. ამ ფოთლის ორწყვეტა კი ნაადრევია, ჭერ სულ ნორჩია, ხეალ ან ზეგ მეტ ხეავს მოგცემდა. — ნინო თვითონ კრეფს ჩაის და საკმაოდ ოსტატურად.

მერი ცივაძე ორი მკირეწლოვანი ბავშვის დედაა და ამიტომ კოლმეურნეობის გამგეობამ ხელი შეუწყო, სახლთან ახლოს მიუჩინა ნაკვითი, თორემ, საერთოდ, „წითელ ოქტომბერში“ ჩაის კრეფენ რგოლური სისტემით, ჭკუფ-ჭკუფად. მარტო კაცი ჭამაშიც ბრალით. ასე შრომა სახალისოა, ნამუშევარს მეტი ხვაი აქვს და დროც წყობინებულად მიდის. ვილაც ვახსუბრებს, ვილაც მომღერებს, ახალ ამბავს იტყვის, ხელები კი, ხელები შეუჩერებლად მოძრაობენ ბუჩქის გარშემო. კოლექტიურ შრომის ერთი დადებითი მხარეც აქვს — რადგან მოკრეფილი ჩაი ერთ გოლორში იყრის თავს, თვითელი ცდილობს პატრონსად იმუშაოს, რადგან ერთის უხერხილ მუშაობამ შეიძლება მთელ რგოლს მოსცნოს ჩიჩქი. ამასთან მხარადახმარ შრომა ახლოებს დამიანებს, სულერიად ანათესავენს მათ. აუყვა ბერძნულ-ქართული სოფელია. ამბობენ აქ ბერძნები ქართველებს ჩამოვავენ, ხოლო ქართველები — ბერძნებსო. ეს ჩვენც შევამჩნიეთ.

სანამ აუყვას დატკევებდით, ჩაის მიმღებ პუნქტში ვავიარეთ, სადაც პარტორგი ესაუბრა პუნქტის გამგეს ოლფანიდის. შეუმოწმეს მოკრეფი-



ლი ჩაის ხარისხი. მეორე ხარისხის ჩაი ცოტათი ნორმაზე მეტია, მაგრამ არც ისეთი საგანგაშო მდგომარეობაა, ტრესტის მუშაკებმა რომ დახატეს.

აუყველებს შევახსენეთ ჩაის ფაბრიკის დირექტორის საყვედური, დღისით ნედლეული ნაკლებად მოდის, ღამლამობით კი მუშაობას ვერ აუუღვივართო. ანესტი მურუზიდი თავის მხრივ ჩივის, ჩვენ თავის დროზე ვაბარებთ ჩაის ფოთოლს პუნქტს, აქედან მისი გატანა კი ფაბრიკის საქმეაო.

უსაფუძვლო კამათი და კინკლაობა საერთო საქმეს მხოლოდ ვნებას თუ მოუტანს. ამიტომ პარტორგი კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს ეთათბირება, როგორ სჯობს ამ საკითხის მოგვარება. დაადგინეს: კარგი იქნება, თუ კოლმეურნეობები ჩაის ფაბრიკებთან ერთად შეიმუშაებენ მანქანებით ნედლეულის გადატანის მტკიცე გრაფიკს და ორივე მხარე ეცდება არ დაარღვიოს იგი.

ნინო ხახუტაიშვილმა ეს საქმეც აღარ გადასდო სახვლიოდ. აუყვიდან პირდაპირ გავიარეთ ჩაქვის ჩაის საწუნებ ფაბრიკაში, რომელსაც კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“ აბარებს ნედლეულს.

ფაბრიკის მთავარმა ტექნოლოგმა ნოდარ წერეთელმა მხარი დაუჭირა აუყველთა წინადადებას და პირობა მისცა პარტორგს, რომ ხვალდანვე შეუდგებიან გრაფიკით მუშაობას.

შემდეგ ისევ კოლმეურნეობებში, სატაქციეებში. შეხვედრები: თავმჯდომარეებთან, აგროსპეციალისტებთან, მეჩაიეებთან, პარტიულ მუშაკებთან... დახმარება სიტყვიით, დახმარება საქმიით.

ასე მიილია დღე. ...ღამით, ბათუმისკენ რომ ვბრუნდებოდით, ნინომ ღიმილით ჩაილაპარაკა:

— ეგ ბიჭი მეცოდება: კიდევ კარგი, ცოლ-შვილი რომ არ ელის სახლში, თორემ ამიჯანყდებოდა.

მინდელიც იღიმება, მაგრამ არაფერს ამბობს. მისთვის პირველი არაა სოფლის გზებზე შემოღამება.

ბარცხანის გადასახვევს რომ მივუახლოვდით, ნინომ მოულოდნელად თქვა:

— მოდი, სალიბაურის ჩაის ფაბრიკაში ავიდეთ.

...ოციოდე წუთის შემდეგ ფაბრიკის სატიტეისტეროში ვისხედით და ვსვამდით საოცრად სურნელოვან, ცხელ და გემრიელ ჩაის. სხვანაირად არც შეიძლებოდა დამთავრებულიყო ჩვენი დღევანდელი მოგზაურობა. ვინ იცის, ამ წუთს რამდენ ადამიანს ეჭირა ხელში ჩვენსავით აი ასეთი არომატული ჩაით სავსე ჭიქა. ამიტომ მით უფრო მეტი პატივისცემით ვფიქრობდით იმ ადამიანებზე, ვისაც დღეს შევხვდით პლანტაციებში და ჩაის ფაბრიკების როლერებთან.

მაისი.



კარლ მლიჩი

საბჭოთა პრესის მეტრომა

მიმდინარე წლის 5 მაისს შესრულდა ორმოცდაათი წელი გაზეთ „პრავდის“ პირველი ნომრის გამოსვლიდან. საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ დიდი ზემოთ აღნიშნეს ეს დიდმნიშვნელოვანი თარიღი. გაზეთი „პრავდა“ დაჯილდოებულ იქნა ლენინის მეორე ორდენით, ხოლო საბჭოთა პრესის მუშაკთა დიდი ჯგუფი — სსრ კავშირის ორდენებითა და მედალებით.

ბოლშევიკური პრესის მთელი ისტორია განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი პარტიისა და მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიასთან. წარმოიშვა რა პირველ მცირერიცხოვან მარქსისტულ წრეებთან და ჯგუფებთან ერთად, მან განვლო დიდი და სახელოვანი გზა პირველი ხელნაწერი არაღვალური ფურცლებიდან მასობრივ გაზეთებად.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1901 წელს უწოდა გაზეთს, პრესას კოლექტიური პრობავანდისტი, კოლექტიური აგიტატორი და კოლექტიური ორგანიზატორი. დიდი ლენინის ეს განსაზღვრა იყო და არის მთელი კომუნისტური პრესის მოღვაწეობის ურყევი საფუძველი, მისი სამოქმედო პროგრამა.

გაზეთ „პრავდის“ ათი წლისთავზე, 1922 წლის 5 მაისს საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „პრავდა“ და შეგნებულ პროლეტარიატის მასობრივი მოძრაობა რუსეთში მჭიდროდ არის გადასაკვეთელი ერთიმეორეზე. მუშაობა „პრავდაში“ ნიშნავს მუშაობას მასობრივ მოძრაობაში, ხოლო მუშაობა მასობრივ მოძრაობაში ნიშნავს პირდაპირ თუ არაპირდაპირ მუშაობას „პრავდაში“ და პირიქით, კავშირის გაწყვეტა „პრავდასთან“ ნიშნავს კავშირის გაწყვეტას მასობრივ მოძრაობასთან...“

ვ. ი. ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა „პრავ-

დის“ დიდ როლს მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ორგანიზაციაში, მარქსიზმის საფუძველზე პარტიის რიგების განმტკიცებასა და შეკავშირებაში. მის სახელთან დაკავშირებულია ბრძოლა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის დამხობისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცებისათვის, სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის.

„პრავდის“ სახელოვანი წინამორბედნი იყვნენ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით შექმნილი ბოლშევიკური გაზეთები „ისკრა“, „გუბეროდი“, „პროლეტარი“, „ნოვაია ჯიზნ“, „ვოლნა“, „ესო“, „ნოვი“ ლენ“, „რამონაია მოლევა“, „ნაშე ეხო“. აგრეთვე ადგილობრივი კომიტეტების გაზეთები, რომლებიც რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში თანმიმდევრულად იცავდნენ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას და ეხმარებოდნენ ბოლშევიკურ პარტიას რევოლუციური ბრძოლებისათვის ხალხთა მასების დარახმავში.

„პრავდა“ უშუალო მემკვიდრეა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთისა „ზევზდა“, რომელიც პეტერბურგში გამოდიოდა 1910 წლის დეკემბრიდან, ჯერ ყოველკვირეულად, ხოლო 1912 წლის იანვრიდან კვირაში ორ-სამჯერ. მართალია, „ზევზდა“ პარტიის, ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით თანმიმდევრულად იცავდა ბოლშევიკური პარტიის პროგრამასა და ტაქტიკას, ამყარებდა მჭიდრო კავშირს მუშებთან, მაგრამ ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში საჭირო იყო ყოველდღიური მასობრივი პოლიტიკური გაზეთი, რომელიც განკუთვნილი იქნებოდა არა მარტო მოწინავე მუშების, არამედ მშრომელთა ყველაზე ფართო ფენებისათვის.



ჩსდმპ სრულიად რუსეთის მეექვსე (პრალის) კონფერენციამ, რომელიც 1912 წლის იანვარში გაიმართა, მიიღო გადაწყვეტილება გამოცემულიყო ყოველდღიური მუშათა ლევალური გაზეთი „პრავდა“.

ვ. ი. ლენინის მითითებით მზადდება და 1912 წლის 5 მაისს პეტერბურგში გამოდის „პრავდის“ პირველი ნომერი. ეს ღვე მუშების ნამდვილ ზეიმად გადაიქცა. გაზეთი „პრავდა“ იშვა მუშათა მოძრაობის ახალი რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში.

„პრავდის“ გამოსვლის პირველი დღიდანვე მეფის მთავრობა ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ჩაეხშო მისი ხმა. არსებობის პირველ წელს „პრავდა“ კონფისკებულ იქნა 41-ჯერ, 36-ჯერ აღიძრა საქმე რედაქტორების მიმართ. 1913 წლის 5 ივლისს „პრავდა“ დახურეს, მაგრამ მალე კვლავ განახლდა მისი გამოსვლა „რაბოჩაია პრავდას“ სახელწოდებით. შემდეგ კვლავ გრძელდება რეპრესიები, მაგრამ გაზეთი გამოდის სხვადასხვა სახელწოდებით: „სევერნაია პრავდა“, „პრავდა ტრუდა“, „ზა პრავდუ“, „პროლეტარსკაია პრავდა“, „პუტ პრავდი“, „რაბოჩი“, „ტრუდოვია პრავდა“.

1914 წლის 21 ივლისს მეფის მთავრობამ დააბრია „პრავდის“ რედაქცია, დააპატიმრა რედაქციის თანამშრომლები და აკრძალა გაზეთის გამოცემა. „პრავდის“ გამოსვლა განახლდა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, კერძოდ 1917 წლის 18 მარტს. იგი გამოვიდა როგორც ჩსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პეტერბურგის კომიტეტის ორგანო.

მუშებს უყვარდათ „პრავდა“, ყოველმხრივ ეკონომიურ დახმარებას უწყვედნენ მას, ამასთან მის ფურცლებზე სისტემატურად აწვეყნებდნენ კორესპონდენციებს. „პრავდის“ ჩასახვის პირველ თვეებში, 1912 წლის აპრილსა და მაისში რედაქციამ მიიღო სამას სამოცდაორი მუშათა ჯგუფის ფულადი შენატანი. მარტო ერთი წლის განმავლობაში „პრავდის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მუშათა და გლეხთა თერთმეტი ათასზე მეტი კორესპონდენცია.

საქართველოს მშრომელებმა, ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, „პრავდისათვის“ ფულის შეგროვება ჯერ კიდევ მის გამოცემამდე — 1912 წლის იანვრიდან დაიწყეს, გაზეთის გამოსვლის შემდეგ კი რედაქცია სისტემატურად იღებდა თბილისელი მუშების დახმარებას და წერილებს. ეს ფაქტი აღინიშნა ვ. ი. ლენინის სტატიაში „ნახევარი წლის მუშაობის შედეგები“, რომელიც გამოქვეყნდა „პრავდის“ მაისის უკანასკნელ ნომერში. შენატანებმა და წერილებმა საქართველოდან თანდათანობით იზარტეს.

გაზეთ „პუტ პრავდის“ 1914 წლის 3 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა „პრავდისტების ჯგუფის“ ღია წერილი, რომელიც შეიცავდა წინადადებას — „პრავდის“ პირველი ნომრის გამოსვლის

ღვე — 5 მაისი გამოცემადებულიყო პრავდა ღვედ. რუსეთის მუშათა კლასი მხურვალედ მოხეზა ამ მოწოდებას.

პირველივე პრავდის ღვე დიდი წარმატებით ჩატარდა. მარტო ერთ ღვეს „პრავდის“ ფონდში მუშებმა თერამეტი ათას მანეთზე მეტი შეიტანეს. ამ თარიღთან დაკავშირებით თბილისში, ბათუმში, სოხუმსა და საქართველოს სხვა ქალაქებში გაიმართა პარტიული ორგანიზაციების, ჯგუფების კრებები, რომლებსაც გამოქონდათ დადგენილებები შეექმნათ „პრავდისათვის“ რეონის ფონდი“. მასობრივად გაიმართა აგრეთვე მიტინგები და კრებები. აღსანიშნავია, რომ „პრავდის“ ფულადი ფონდის შექმნაში მონაწილეობდნენ არა მარტო მუშები, არამედ გლეხებიც. ამას მოწვევებდნენ გლეხთა მრავალრიცხოვანი წერილები და კორესპონდენციები რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან (მათ შორის საქართველოდანაც), რომლებიც გაზეთის რედაქციამ მიიღო.

„პრავდის“ გამოსვლის პირველი დღეებიდანვე ვ. ი. ლენინი ფსადაუდებულ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწყვედა რედაქციის თავისი კონკრეტული, საქმიანი მითითებებითა და ღრმად შინაარსიანი სტატეებით. იმისათვის, რომ უფრო ახლოს ყოფილიყო რუსეთთან და ეხელმძღვანეულა „პრავდის“ მუშაობისა და მუშათა აღმავალი რევოლუციური მოძრაობისათვის, ლენინი პარიზიდან ვაძმოვიდა კრაკოვში. „პრავდის“ არსებობის პირველი ორი წლის განმავლობაში მის ფურცლებზე დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ორასოთხმოცზე მეტი სტატია და დოკუმენტი, ხოლო მარტო 1917 წელს — ორასამდე სტატია.

რუსეთში დაბრუნების შემდეგ ვ. ი. ლენინი შედის „პრავდის“ რედაქციაში და უშუალოდ ხელმძღვანელობს მას, როგორც პარტიის ცენტრალურ ორგანოს. „პრავდაში“ დიდი მუშაობა გააჩნდა ვ. ი. ლენინის ცნობილი „აპრილის თუხანების“ და აპრილის პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისათვის. იგი ბოლომდე ამხილებდა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის, მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებულ პოლიტიკას და ეხმარებოდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადასაზრდელად მსოფლიოთა ფართო მასების დარაზმვის საქმეში.

1917 წლის ივლისის დღეებში „პრავდის“ რედაქცია დაარბიეს და გაზეთი აკრძალეს. ბოლშევიკური პარტია არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა. არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა გაზეთი „პრავდაც“, რომელიც გამოდიოდა სხვადასხვა სახელწოდებით: „რაბოჩი ი სოლდატ“, „პროლეტარი“, „რაბოჩი პუტ“.

გაზეთი აქტიურად მონაწილეობდა ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყების მომზადებასა და გამარჯვებით დაგვირგვინებაში. აჯანყების გამარჯვების შემორღვეს — 8 ნოემბრის პარტიის ცენტრალურ ორგანოში „რაბოჩი პუტ“ გამოქ-



ვეყნდა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი მიმართო-
ვა „რუსეთის მოქალაქეებისადმი“, რომელიც
იწყობდა და დროებითი მთავრობის დამხობას და
სახელმწიფო ძალუფლების საბჭოების ხელში
გადსვლას. 9 ნოემბერს პარტიის ცენტრალური
ორგანო პეტროგრადში გამოდის „პრავდის“ სა-
ხელწოდებით. მოსკოვში „პრავდა“ პირველად
გამოვიდა 1918 წლის 19 მარტს.

საბჭოთა ხალხის, კომუნისტური პარტიის
მთელ საქმიანობაში, რის შედეგადაც ჩვენს ქვე-
ყანაში აშენდა სოციალიზმი, ხოლო ამჟამად შე-
ნდება კომუნისში, დღია საბჭოთა პრესის და
მისი მედროშის „პრავდის“ როლი.

დღი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუ-
ციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა პრესამ დი-
დი როლი შეასრულა საბჭოთა ხელისუფლების
განმტკიცების, მისი მიზნებისა და ამოცანების
პროპაგანდის, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური
საზოგადოების აშენების საქმეში.

კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა პრესის რო-
ლი განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდეს-
საც ჩვენი ქვეყანა შევიდა კომუნისტური საზო-
გადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.
საბჭოთა პრესა კომუნისტური პარტიის მძლავრი
იდეური იარაღია, ახალი ტიპის ნამდვილად, სახა-
ლხი და ქვეშაირიად თავისუფალი პრესაა. მას-
თვის დამახასიათებელია სიმართლე, მაღალიდე-
ურობა, ბოლშევიკური პრინციპულობა და შემა-
რებუბა. ამით განსხვავდება იგი ბურჟუაზიული
პრესისაგან. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა,
ბურჟუაზიული პრესის თავისუფლება ის არის,
რომ იგი 99 პროცენტით ნაყიდი აქვთ ფინანსურ
მაგნატებს და, ბუნებრივია, ემსახურებენ კაპიტა-
ლისტების გამდიდრებისა და მშრომელთა ექს-
პლუატაცია-მოტყუების საქმეს.

ჩვენს ქვეყანაში კი პრესა ხალხის სულიერი
ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. იგი მოწოდე-
ბულია იმუშაოს ხალხისათვის, მისი ბედნიერე-
ბისა და კეთილდღეობისათვის. ჩვენი პრესის
მთავარი თემებია: კომუნისტური მშენებლობა
და კომუნისტური აღზრდა, საბჭოთა აღმავლების
შემოქმედებითი შრომა და მაღალი წინაბრძო-
ლიერება; მისი მუშაობის უმნიშვნელოვანესი
მეთოდია კრიტიკა და თვითკრიტიკა, ხოლო შთა-
გონების წყარო — კომუნისში მშენებელთა
შრომითი გამბრბობა და მორალური სისხტაქვე.

დღია საბჭოთა პრესის ძალა. ამჟამად ჩვენს
ქვეყანაში გამოდის შვიდი ათასამდე გაზეთი,
რომელთა ერთდროული ტირაჟი ორმოცდაათ
მილიონ ეგზემპლარს აღწევს; იბეჭდება ათასხუ-
თასამდე ჟურნალი და სხვადასხვა პერიოდული
გამოცემა. გამოცემული წიგნების რაოდენობით
სსრ კავშირს პირველი ადგილი უკავია მსოფლი-
ოში. ჩვენს ქვეყანაში არ არის არც ერთი ხალ-
ხი, რომელიც წიგნებსა და გაზეთებს არ კითხუ-
ლობდეს თავის მშობლიურ ენაზე. წიგნები და
ჟურნალები ჩვენთან გამოდის სსრ კავშირის ხალ-
ხთა ოთხმოც და ორმოცდაშვიდ უცხოურ ენაზე.

„პრესა რომ არ იყოს, — ამბობს ამხანაგი ნ. ს.
ხრუშჩოვი, — შეუძლებელია ცხოვრება, უკლებ-
სოდ, ურადიოდ ცხოვრება ხომ ნიშნავს ვიცხოვ-
რობ უკულტუროდ. უპრესოდ წარმოუდგენე-
ლია დემოკრატია, წარმოუდგენელია სწავლა“.

საბჭოთა ჟურნალისტების მიღებაზე ხრუშჩოვი
1959 წლის 14 ნოემბერს ამხანაგმა კრემლში
კვლევა ხაზი გაუსვა პრესის უდიდეს მნიშვნელო-
ბას და შემდეგი ამაღლებული სიტყვებით მი-
მართა ჟურნალისტებს:


„ძვირფასო ამხანაგო ჟურნალისტებო! მწერ-
ლებს ჩვენ ვუწოდებთ პარტიის თანაშემწეებს,
ნუ ეწყინებათ მწერლებს, თუ მე ვიტყვი, რომ
თქვენ, ჟურნალისტები, ხართ ჩვენი პარტიის არა
მარტო ერთგული თანაშემწეები, არამედ პირდა-
პირ ხელქვეითნი — აქტიური მებრძოლნი მისი
დიდი საქმისათვის. რატომ ხელქვეითნი? იმი-
ტომ, რომ თქვენ მართლაც განუყრელად ხართ
პარტიასთან. როგორც კი დაეპკირდება რაიმე გა-
დაწყვეტილების განმარტება და განხორციე-
ლება, თქვენ მოგმართავთ, და თქვენ, როგორც
ყველაზე საიმედო ამბრავი ღვედი, აიღებთ პარ-
ტიის გადაწყვეტილებას და შეგაქვთ იგი ჩვენი
ხალხის შუაგულში“.

ასეთი მაღალი შეფასება მისცა ნ. ს. ხრუშ-
ჩოვმა ჟურნალისტებს, საბჭოთა პრესას — ჩვე-
ნი პარტიის ყველაზე შორსმსროლელ იდეურ ია-
რალს.

საბჭოთა პრესის ძალა მუდამ იყო და არის მი-
სი მკიდარი კავშირი მასებთან, მშრომელებთან.
უინტერესო, მშრალი და ერთფეროვანია ისეთი
გაზეთი, რომელიც მოწყვეტილია ხალხს და კეთ-
დება მხოლოდ რამდენიმე ჟურნალისტის ხე-
ლით. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ვ. ი.
ლენინს, როცა მიუთითებდა, რომ ბეჭდვითი სი-
ტყვის ორგანო მაშინ იქნება ცოცხალი და ცხო-
ველმყოფელი, როცა ხუთ ხელმძღვანელ და მუ-
დმიე თანამშრომელ ლიტერატორზე მოდის ხუ-
თასი და ხუთი ათასი არალიტერატორი მუშაკი.

გაზეთი „პრავდა“ გამოირჩევა თავისი მრავალ-
რიცხოვანი მუშა და სოფლის კორესპონდენტთა
არმიით და მასიურობით. გაზეთის ტირაჟი მისი
გამოსვლის პირველი წლიდანვე სისტემატურად
იზრდება. ასე, მაგალითად, 1912 წლის 5 მაისს
გაზეთი „პრავდის“ პირველი ნომერი გამოვიდა
სამოცი ათასი ეგზემპლარის რაოდენობით, 1917
წელს იბეჭდებოდა—ორასი ათასი, 1931 წელს—
მილიონზე მეტი, 1940 წელს — ორი მილიონი,
1955 წელს — ხუთ მილიონამდე, ხოლო ამჟამად
„პრავდის“ ყოველდღიური ტირაჟი ექვს მილი-
ონ ეგზემპლარს აღემატება. იგი ყველაზე მასო-
ბრივი გაზეთია მსოფლიოში.

„პრავდა“ გამოდის ყოველდღიურად — კვირა-
ში სამჯერ ექვსკვერდიანი და ოთხჯერ — ოთხ-
კვერდიანი. მისი ყოველი ნომარის დაბეჭდვაზე
ასამოცდაათი—ორასორმოცდაათი ტონა ქაღალ-
დი იხარკება. „პრავდა“, მოსკოვის გარდა, იბეჭ-
დება სსრ კავშირის ოცდარჩ ქალაქში, მათ შო-



რის ლენინგრადში, სვერდლოვსკში, ტაშკენტში, თბილისში, ლვოვში, ნოვოსიბირსკში, ხაბაროვსკში და სხვ. საბეჭდო ფორმების — მატრიცების რეგულარული მიღება თვითმფრინავით ადგილობრივ სტამბებს უადვილებს დროულად დაბეჭდონ გაზეთის ტირაჟი და დაუგვიანებლივ მიაწოდონ ხელმომწერლებს, გაგზავნონ სარეალიზაციოდ. ადგილებზე „პრავდის“ დროულად მიწოდების კიდევ უფრო სრულყოფის მიზნით მუშავდება ფოტოტელეგრაფით გაზეთის გვერდების გადაცემის ახალი ტექნოლოგია.

გაზეთი „პრავდა“ უადრესად პოპულარულია მთელ მსოფლიოში. მას სიყვარულით კითხულობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ასობით სხვა სახელმწიფოშიც. გაზეთი „პრავდა“ მკაფიოდ აშუქებს სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის, საერთაშორისო ცხოვრების პრინციპულ საკითხებს, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის მდგომარეობას. იგი ხალხს უყვარს თეორიული აზრების სიღრმის, მოვლენების ობიექტურად გაშუქების, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტურ მოძრაობაში ყოველგვარი რევოზიონისტული მიმდინარეობისადმი შეუთრევებლობისათვის.

„პრავდა“ წმინდად იცავს და ამრავლებს ლენინურ ტრადიციებს, იგი ნამდვილი სახალხო ტრიბუნაა, რომელიც მგზნებარე სიტყვით ემბა-

რება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ ეკონომიკურ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში, პარტიის ახალი პროგრამის — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განსახორციელებლად მშრომელთა დარაზმების საქმეში, ზრდის ახალ ადამიანს — კომუნისტური მორალის ადამიანს.

„ჩვენს ეპოქაში, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა „პრავდის“ 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის გახსნისას, — სოციალიზმის ტრიუმფულ გამარჯვებათა ეპოქაში „პრავდას“ მაღლა უჭირავს ლენინური დროშა, კომუნიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა, იგი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, პარტიული პრინციპულობის, რევოლუციური სულსიყვეთების მავალითაა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, მარქსის, ენგელსის, ლენინის უკვდავი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში“.

მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, „პრავდა“ კვლავ მრავალ სახელოვან უჭკნობ ფურცელს ჩასწერს საბჭოთა პრესის ისტორიაში, მომავალშიც იქნება ლენინური ტრადიციების ღირსეული სულიერი მემკვიდრე, საბჭოთა პრესის მედროშე და წარმატებით შეასრულებს კოლექტიური პროპაგანდისტის, კოლექტიური აგიტატორისა და კოლექტიური ორგანიზატორის საპატიო როლს.



დღეის მხაზვაი

„პრეპლა“ და აჭარის ბოლშევიკური პრესა

აჭარის რევოლუციურ პრესას კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის მატთან ში საპატიო ადგილი უჭირავს. იგი ჩაისახა და განვითარდა აჭარის ბოლშევიკურ ორგანიზაციისთან ერთად და განვლო სახელგანთი გზა ხელნაწერი არალეგალური ფურცლებიდან პარტიის მებრძოლ ორგანიზებამდე.

ამ გზაზე იგი იქედებოდა და ყალიბდებოდა, როგორც თავისი უფროსი ძმების — „ისკრის“, „ბრძოლისა“ და „პრეპლის“ რევოლუციური ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე, მათი იდეების დაუცხრომელი ტრუბადური.

პოლიტიკური დევნისა და შევიწროების პირობებში რევოლუციური პრესა იყო ერთადერთი დიდი პოლიტიკური ტრიბუნა, საიდანაც აჭარის მშრომელებს შეეძლოთ მოესმინათ პარტიის — მშრომელთა ავანგარდისა და ხელმძღვანელების მართალი სიტყვა, მგზნებარე მოწოდება თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლისაკენ.

ჯერ კიდევ 1902 წელს, რევოლუციური ამბების განვითარებასთან ერთად, რსდმპ ლენინური ისკრული მიმართულების ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველი არალეგალური სტამბა, რომელშიც 12 მარტს აიწყო და დაიბეჭდა პირველი პროკლამაცია. იგი მიეძღვნა 9 მარტის ცნობილი დემონსტრაციის დროს დაღუპულ გმირებს. ეს პროკლამაცია ყუშპარასავით გაუარდა და ფეხზე დააყენა ჩაგრული მასები.

ამ დღიდან მოვიდებოდა, სტამბაში დაბეჭდილ მგზნებარე მოწოდებებს ბათუმელი კომუნისტებში იყენებდნენ როგორც პროპაგანდისა და აგიტაციის მძლავრ საშუალებას, როგორც პარტიის ირგვლივ მშრომელთა მობილიზაციის იარაღს. მაგრამ ბათუმელ კომუნისტებს იმხანად ჯერ კიდევ არ ჰქონდათ საკუთარი პოლიტიკური ბეჭდვითი ორგანო.

დადგა 1905 წელი. რუსეთის ტერიტორიაზე დიდი სახალხო მოძრაობის აზვირთებულმა ტალღამ გამოძახილი პოვა პროლეტარულ ბათუმშიც. დაიწყო მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიური გაფიცვები, დემონსტრაციები, საპროტესტო მიტინგები, შეიარაღებული შეტაკებანი მეფის ჯარსა და კახაკობასთან. ასეთ ვითარებაში მასების ორგანიზებისათვის აუცილებელი იყო ბეჭდვითი ორგანოს შექმნა და აი 1905 წლის ოქტომბერში, იატაკქვეშა მუშაობის უარესად ძნელ პირობებში, რსდმპ ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციამ არალეგალურად გამოსცა გაზეთი „დრუგ სოლდატი“, რომელშიც მთავარ ამოცანად დაისახა რევოლუციურ-პოლიტიკური მუშაობის გაშლა მეფის ჯარში, ჯარისკაცის მასობრივი გადაცმული გლეხების კლასობრივი ვათვიტანობიერება, მათი რევოლუციური შეგნებულობის დონის ამაღლება და ა. შ. „ამხანაგო ჯარისკაცებო, — მგზნებარედ მოუწოდებდა მათ გაზეთი, — ...შეუერთდით ხალხს, დაეხმარეთ მას შეიარაღებაში და მისთან ერთად წამოაგეთ ხიშტე... ჩვენი შიმშილით გაუმძღარი და ჩვენი მწუხარებით კმაყოფილი ხელისუფლება... ძირს თვითმპყრობელური მთავრობა! გაუმარჯოს ჯარისკაცების ხალხთან შეერთებას! ძირს ტირანები და მჩაგვრელები! გაუმარჯოს აჯანყებასა და ჩვენს ვათვიტანუფლებას! გაუმარჯოს რსდმპ!“ („დრუგ სოლდატი“, 1905 წ., № 3).

„დრუგ სოლდატი“ სწრაფად ვრცელდებოდა ყაზარმებში და ჯარისკაცთა ტყვილებს მალამოდ ედებოდა. „დრუგ სოლდატასა“ და სამხედრო-საბრძოლო ორგანიზაციის დამსახურება, რომ 1905 წლის 29-30 ნოემბერს, როცა ხალხის რისხვამ შეიარაღებულ აჯანყებაში პოვა გამოხატულება და ქალაქის ქუჩები ბაროკადებმა დაფარეს, ბათუმის ვარნიზონის ჯარისკაცთა მებრძოლი აჯანყებულ მშრომელებს მიემხრო.

ცხადია, რომ მეფის ოსრანკა გააფრთხილებდა და ანადგურებდა ხელში ჩაგარდნილ ეგზემპლარებს. მიუხედავად ამისა, „დრუკ სოლდატას“ რედაქცია, ა. ბუვილიშვილისა და ნ. ლოზინის ხელმძღვანელობით, განაგრძობდა თავის საქმიანობას.

1905 წლის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ ბათუმელი ბოლშევიკები იძულებული გახდნენ ფრონტით შეეწყვიტათ გაზეთის გამოცემა. 1906 წლის 29 მაისს კი რევოლუციური მოძრაობის გამოცოცხლებასთან დაკავშირებით კვლავ გაისმა „დრუკ სოლდატას“ ომხიანი ნმა.

გაზეთი თავის ფორცლებზე ფართოდ აშუქებდა ჯარისკაცთა ცხოვრების საკიბობოროტო საკითხებს, დღის სინათლეზე გამოჰქონდა მაღალი სამხედრო წოდების პირთა უსულგულო დამოკიდებულება ჯარისკაცებისადმი, ფარდას სდიდა თვითმპყრობელობის ვერაგულ პოლიტიკას. ყველა სტატიაში, ლექსსა თუ წერილში გაზეთი მოითხოვდა მეფის ხელისუფლების დამხობას.

გაზეთმა „დრუკ სოლდატამ“ თავისი არსებობა 1908 წლის თებერვალში შეწყვიტა. სამი წლის მანძილზე სულ გამოიცა მისი 23 ნომერი. რეაქციის შავნელ დღეებში „დრუკ სოლდატას“ ასეთი ხანგრძლივი მოღვაწეობა ნამდვილი ვიმირება იყო და ბათუმის პარტიულ ორგანიზაციის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. მით უმეტეს, რომ თავისი არსებობის მანძილზე გაზეთის ოპტიმისტურ ტონს ზღარი არ გასწვინა, იგი მტკიცედ იდგა ლენინური პარტიის პოზიციებზე და მშრომლებს თვითმპყრობელობასთან ვადამწყვეტი ბრძოლისათვის აწრთობდა.

ბეჭდვითი სიტყვის დანიშნულება განსაკუთრებით გაიზარდა რევოლუციის ახალი აღმავლობის ვითარებაში. ამ მხრივ უდიდესი როლი შეასრულა გაზეთმა „პრავდა“, რომლის პირველი ნომერი 1912 წლის 5 მაისს გამოვიდა. მეფის ოსრანკის მიერ არაერთგზის დარბეული, იგი ყოველთვის ახერხებდა შეენარჩუნებინა სიცოცხლე და სხვადასხვა სახელწოდებით გამოდიოდა.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ პარტიამ დიუკონგებლივ განახალა „პრავდის“ გამოცემა. აღდგენილი „პრავდა“ გამოსვლისთანავე იქცა პარტიის საბრძოლო ნაღარად, მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლის ორგანიზატორად. მას მუშათა ფართო ფენებში მიჰქონდა პარტიის მართალი ცეცხლოვანი სიტყვები და მშრომლებს სოციალისტური რევოლუციისაკენ მოუწოდებდა. „პრავდა“ იბრძოდა პარტიის რიგების ლენინურ პოზიციებზე შემკიდრობისათვის და სასტყავად ეხმარდა თავს ყველა ფრაქციონერსა და გამომეფელს.

„პრავდაში“ ლენინური იდეების მგზნებარე ცეცხლი დაანთო კავკასიის ფრონტისპირა რაიონებშიც. მან დიდი როლი შეასრულა საქართ-

ველოს, აჭარის მშრომელთა, ფრონტელ ჯარისკაცთა იდეურ წრთობასა და პოლიტიკურ აღზრდაში. გაზეთი ამხილებდა დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციურ არსს, მისი ადგილობრივი ორგანიზების და იდეურ მესვეურთა ხელდასაყრდენებს, მათ რეაქციულ დამოკიდებულებას ზავისა და აგრარული საკითხებისადმი. „პრავდა“ მშრომლებს მისაწვდომი ენით განუმარტავდა ბოლშევიკების ტაქტიკას, რომ ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური, ხალხის ინტერესების დამცველი პარტია — ეს არის ბოლშევიკური პარტია, რომელიც სათავეში უდგას მშრომელთა საბოლოო განთავისუფლებისათვის ბრძოლას.

„დიდი იყო „პრავდის“ იდეურ-შთამაგონებელი როლი იტალიკვეშეთიდან ახლად გამოსული ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის რევოლუციურ საქმიანობაში, მის იდეურ-ორგანიზაციულ განხტკიცებაში.

ბათუმელი კომუნისტები გაზეთ „პრავდას“ იყენებდნენ ადგილობრივ მენშევიკურ-ესერულ და სხვა წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან ბრძოლის მძლავრ იარაღად, პეტერბურგიდან იწერდნენ და ცალკეულ ნომრებს ავრცელებდნენ მოსახლეობასა და ჯარისკაცებში.

„პრავდის“ ზეგავლენით ბოლშევიკური იდეები მგზნებარედ ამტკუველდნენ ადგილობრივი ბოლშევიკური პრესის ფურცლებზეც. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბათუმის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ძნელ პირობებში გამოსქვდა თავისი პოლიტიკური ორგანიზ. არ ჰქონდა საყუთარი სტამბა, მანქანა-მოწყობილობანი, არ ჰყავდათ ბეჭდვითი საქმეს დაუფლებული კადრები, არ გააჩნდათ სახსრები, მაგრამ მშრომელთა მატერიალური და მორალური მხარდაჭერით ეს სიმწლეები დაძლეულ იქნა.

1917 წლის 1 მაისს გამოვიდა ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის ორგანო — გაზეთი „ხარავკი“ („განთავადი“). იგი გამოსცა პარტიული ორგანიზაციის ბერძნულმა სექციამ ნ. ანასტასიადის, პ. კურზიდისის, თ. ვაგრილიდის ხელმძღვანელობით.

გაზეთი მიზნად ისახავდა ბერძენ მშრომელთა პოლიტიკურ გათვითცნობიერებას, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების პროპაგანდას, საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად მასების დარაზმვას.

ადგილობრივი ამბების გაშუქებასთან ერთად გაზეთი ეწეოდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდასაც. მის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა სტატიები პოლიტიკური ეკონომისა და მეცნიერული სოციალიზმის საკითხებზე. ამ მხრივ საგულისსზოა სტატიები: „საუბარი სოციალიზმის შესახებ“, „ბრძოლა დაქირავებულ შრომასა და კაპიტალს შორის“, „დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ“ და სხვ. სტატიების ენა იყო უბრალო, სასაუბრო და ყველასათვის მისაწვდომი.



„ხარავი“ გამოდიოდა თვეში ორჯერ და ვრცელდებოდა მთელ ზღვისპირეთში — ბათუმიდან ოდესამდე. ყველა ნავსადგურსა და ქალაქში გაზეთს ჰყავდა საკუთარი კორესპონდენტები და გამავრცელებლები.

ბოლშევიკური პრესის შექმნისათვის ბრძოლის გზაზე ახალი ბრწყინვალე გამარჯვება იყო გაზეთ „ბურვესტნიკის“ დაარსება. ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ იგი გამოქო 1917 წლის 30 ოქტომბერს. გაზეთის რედაქტორი იყო ცნობილი რევოლუციონერი მიხა კახიანი. გაზეთი იბეჭდებოდა სხვადასხვა დროს პუტკინის, ხვინგიას, შმავეციასა და კაველის კერძო სტამბებში. მშრომელთა მატერიალური და მორალური მხარდაჭერით იგი გამოდიოდა ყოველ ორშაბათს. მის გამოშვებაზე უფასოდ მუშაობდნენ ენთუზიასტრი ასოთამწყობები: მ. კარბი, კაპლანი, ნ. კოლეხოვი, მ. ჩაკალოზიანი, მ. ვიგნანსკი, კ. ლორთქიფანიძე, მეზღაური პრიბეჩკო და სხვები.

ამ დროისათვის ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაცია საკმაოდ თვალსაჩინო ძალას წარმოადგენდა საკუთარი მონოლითური კომიტეტით. მის ძირითად ამოცანას შეადგენდა მუშათა დეპუტატების საბჭოებში უმრავლესობის მოპოვება და აქარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

გაზეთი „ბურვესტნიკი“ იყო კომუნისტური პარტიის მებრძოლი თანამეგობარი, მისი პოლიტიკური ბრძოლის მეზობელი. მან იმთავითვე მაღალი შეფასება მისცა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას და მტკიცედ დადგა ლენინური იდეების პოზიციებზე. „გაუთარჯოს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა რევოლუციურ ხელისუფლებას!“ — ეს ლოზუნგი იყო გაზეთის საბრძოლო დევიზი.

გამოსვლის დღიდანვე გაზეთი მშრომელთა საყვარელ ორგანოდ იქცა. იგი ფართოდ ვრცელდებოდა ადგილობრივ მოსახლეობასა, ჯარისკაცებსა და მატროსებს შორის. „ბურვესტნიკი“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ფრონტზეც, სადაც იგზავნებოდა ტრაპიზონის ჯარისკაცთა საბჭოს მეშვეობით.

„ბურვესტნიკი“ მშრომელ მასებს განუმარტავდა რუსეთის მუშათა კლასის გამარჯვების ისტორიულ მნიშვნელობას, აზიზებდა და დაუნდობლად ხდოდა ნიღბას მენშევიკურ და სხვა წერილობრივ-საბრძოლო პარტიკულ ანტიბოლშევიკურ კონტრრევოლუციურ საქმიანობას, მათს პოლიტიკურ ქამელეონობას, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერთა ბლოკის — ამიერკავკასიის კომისარიატის რეაქციულ სახეს.

გაზეთს სწორი, ლენინური პოზიცია ეკავა ომი-სა და ზავის საკითხში. მოწინავე წერილში „ომი მოკვდა“ (№ 15, 1918 წ.) პირველი მსოფლიო ომის შეწყვეტა მიჩნეულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრად და მშრომელებს მგზნებარედ მოუწოდებდა რუსეთის

მუშათა კლასის მაგალითისამებრ იმპერეპრესტური ომი გადაქციეთ სამოქალაქო ომად.

„ბურვესტნიკი“ თავის ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობდა ვ. ი. ლენინის სიტყვებს, სტატიებსა და გამოსვლებს, რომლებიც იმ დროს „პრავდაში“ ქვეყნდებოდა. კერძოდ, „ბურვესტნიკის“ მე-8 ნომერში დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის სიტყვა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტში „დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ“. „ბურვესტნიკის“ № 11 და № 15 გამოქვეყნებულია ვ. ი. ლენინის სტატიები: „სამოქალაქო ომი“ და „ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ“. დაიბეჭდა აგრეთვე გერმანიის მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის კლარა ცეტკინის წერილები. მათ შორის აღსანიშნავია „ბრძოლა რუსეთში თავისუფლებისა და ზავისათვის“, რომელშიც ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს ოქტომბრის რევოლუციასა და მის მიერ მოზიდულ სახალხო მთავრობის მშვიდობიან პოლიტიკას.

გაზეთი ხშირად ათავსებდა სტეფანე შაუმიანის, მამია ორახელაშვილისა და სხვა გამოჩენილ კავკასიელ რევოლუციონერთა სტატიებს. მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ რსდმპ (ბ) ბათუმის კომიტეტის წევრებიც: ვ. პიასეკი, კ. ბერძენიშვილი, ვ. ბახტაძე, ს. სმირნოვი, ბ. კრიუჩკოვი, მ. კახიანი და სხვები. ისინი სისტემატურად წერდნენ სტატიებსა და ფელეტონებს მიმდინარე მომენტის აქტუალურ საკითხებზე. გაზეთში მასალები ქვეყნდებოდა როგორც ავტორთა გვარებით, ისე ფსევდონიმებით.

„ბურვესტნიკი“ ფართოდ აშუქებდა ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის პირველ ნაბიჯებს სოციალიზმის მშენებლობის გზაზე. მის ფურცლებზე ქვეყნდებოდა რსდსრ სახკომსაბჭოს მოწოდებები, დადგენილებები და სხვა ოფიციალური მასალები.

ამ პერიოდში „ბურვესტნიკს“ ღირსეულ თანამესაგვრობას უწყვედნენ ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის სომხური სექციის ორგანო „ბანვორ ევ ზინვორ“ („მუშა და ჯარისკაცი“), ბერძნული სექციის ორგანო „ხარავი“, ტრაპიზონის ბოლშევიკური ორგანიზაციის გაზეთები: „ნოვი პუტ“, „იხვესტია ტრაპიზუნდსკოე სოვეტა რაბოჩიხ, კრესტიანსკიხ ი სოლდატსკიხ დეპუტატოვ“, მოსწავლე ახალგაზრდობის ხელნაწერი ჟურნალი „პერეველი“ და სხვ.

1918 წელს, შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებასთან დაკავშირებით, პარტიის ბათუმის კომიტეტმა 22 იანვარს გამოსცა თავისი ახალი ორგანო — „მუშის სიმართლე“, რომელიც მალე რსდმპ (ბ) ბათუმისა და გურუის კომიტეტების საოქლო გაზეთად გადაკეთდა. „მუშის სიმართლის“ სარედაქციო კოლეგიაში შევიდნენ ვ. ბახტაძე (გაზეთის რედაქტორი), კ. ბერძენიშვილი და მ. კახიანი.

გაზეთი იბეჭდებოდა მ. მახარაძისა და ნ. ხვინგიას კერძო სტამბებში. იგი გამოდიოდა კვირაში ერთხელ, შემდეგ კი ორჯერ. „მუშის სიმარ-

სლემ“ დიდი როლი შეასრულა გურიისა და აჭარის მშრომელი მასების პარტიის საბრძოლო დროშის ქვეშ დარაზმვაში. გაზეთის ფურცლებზე შექდებოდა როგორც ადგილობრივი, ისე მთელი საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის ცხოვრება.

„მუშის სიმართლემ“ გამოვლისთანავე მკვეთრად აიმაღლა ხმა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული პარტიების სამხილვებად. იგი თავს დაესხა ამიერკავკასიის კომისარიატს და ამხილა მისი გამცემლური საქმიანობა. „გლეხობა მოითხოვდა მიწას, — წერდა „მუშის სიმართლე“, — კომისარიატი მას მიწას ვერ აძლევდა. ან როგორ მისცემდა, მაშინ აღარა ბეგ-ხანებს ხომ ეწყინებოდათ? დამწყვლელი ხალხი მოითხოვდა პურს, პური სად იყო? ის კალედინთა ხელში იყო. ამათ კი კომისარიატი თვალისწინებით უფრთხილდებოდა და აბა როგორ დაატანდა ძალს მას, ვის წინაშე მტელთი ხოხადა. ვარი მოითხოვდა სახალხო კომისართა საბჭოს ცნობას... მაგრამ ვინ უღლო მას ყური? თბილისის „მინისტრებს“ ამისთვის როდი ცხელოდათ. კავკასიის პროლეტარიატი სამართლიან მოპყრობის თხოვნობდა (მუშათა სიეზლი თფილისში). მას წარბეზუნებოდა აშკარა უარის სტყუეცხ. ასე ებრძოდა კომისარიატი დემოკრატისა და მის ინტერესებს...“ („მუშის სიმართლე“, 1918 წ., № 2).

„მუშის სიმართლე“ „ბურჟევსტინიკს“ და პარტიის იმ პერიოდის სხვა მებრძოლ ორგანოებს ერთაღ მუშებისა და მშრომელ გლეხობაში ნერგავდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობებს, სასტიკად ვგობდა ვიწრო ტერიტორიულ პარტიოტიზმს, რომელსაც თავგამოდებით აღვივებდნენ ქართველი მენშევიკები და ესერები, აზერბაიჯანელი მუსავატელები, სომეხი დაშნაკები და ამიერკავკასიის სხვა კონტრრევოლუციური პარტიები.

შეიარაღებული აჯანყებისათვის მშრომელთა დარაზმვასთან ერთად ბოლშევიკური გაზეთები, განსაკუთრებით „ბურჟევსტინიკი“ და „მუშის სიმართლე“, მკაცრად ილაშქრებდნენ ბურჟუაზიულ-მენშევიკურ-ესერული პრესის წინააღმდეგ, ააშკარავებდნენ კონტრრევოლუციური გაზეთების („ერთობა“, „საქართველო“, „კუბანსკი კრაი“, „ნოვაია ჟიზნ“, „აშხატაური“ და სხვ.) ნამდვილ რაობას, მათ შენიღბულ კავშირსა და დამოკიდებულებას ექსპლოატატორულ კლასებთან. ბოლშევიკური პრესა მოუწოდებდა მშრომელებს არ დაეგრებინათ კონტრრევოლუციური პარტიებისა და მათი გაზეთების პროვოკაციული ცილისწამებისათვის საბჭოთა რუსეთისა და კომუნისტური პარტიის გამოჩენილ მოღვაწეთა მიმართ: „ვინ მოსთვლის თუ რამდენჯერ მოკლეს ესა თუ ის პოლიტიკური მოღვაწე და მერე რამდენჯერ მკვლრებით აღადგინეს? ვინ იცის თუ რამდენჯერ დაამარცხეს ბოლშევიკები პეტროგრადში და სმოლნი განანადგურეს, მაგრამ ისინი მაინც არსებობენ და, შეიძლება

ითქვას, უფრო მხნეთ მოქმედებენ“ („მუშის სიმართლე“, 1918 წ., № 1).

გაზეთში იბეჭდებოდა ფელეტონები მენშევიკური პარტიის ლიდერების ანტიხალხურ მოქმედებაზე, ამიერკავკასიის კომისარიატისა და ნაციონალისტური პარტიების რეაქციულ პოლიტიკაზე. ხშირად ქვეყნდებოდა აგრეთვე რევოლუციური ლექსები, რომლებშიც გაისმოდა მოწოდება ბრძოლისკენ, მენშევიკური რეჟიმის დამხობისკენ.

მენშევიკებმა, ბუნებრივია, ვერ მოითმინეს რსმეს ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციისა და მისი პოლიტიკური ორგანოების რევოლუციური საქმიანობა და 1918 წლის 11 მარტს დაარბიეს „ბურჟევსტინიკი“, „მუშის სიმართლისა“ და „ხარავის“ რედაქციები.

გავიდა ხანი და ბათუმის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ კვლავ დააარსა თავისი ახალი ლეგალური ორგანო „გოლოს ტრუდა“. ამ გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1919 წლის 17 მაისს.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და პარტიის ბათუმის ბოლშევიკურმა კომიტეტმა „გოლოს ტრუდას“ გამოცემა დაიწყეს დიდი მატერიალური სიეფროვებისა და ინგლისელთა საოკუპაციო ხელისუფლებისაგან ყოველგვარი შეზღუდვის ვითარებაში. გაზეთს თავდაპირველად ხელს აწერდა სარედაქციო კოლეგია, შემდეგ კი რედაქტორი კ. თავბერიძე.

„გოლოს ტრუდას“ გამოცემაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მძევდაეთა კომუჩრდის წევრები: ს. შიბინინი, ნ. კოლნოვი, კ. ცხომელიძე და სხვები.

„გოლოს ტრუდა“ იქცა მისი წინამორბედი გაზეთების „ბურჟევსტინიკის“, „მუშის სიმართლის“, „ხარავისა“ და „ბანეორ ევ ზინეორის“ ღირსიულ მემკვიდრედ. იგი ქადაგებდა საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების იდეას, დაუნდობლად ებრძოდა დენიკინელთა კონტრრევოლუციურ ხროვას და მის ადგილობრივ თანამოაზრეებს. იგი მკაცრად ილაშქრებდა ქართველ მენშევიკთა ნაციონალისტური-შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ; ამხილვდა მათი ოპორტუნისტური რეაქციულ არსს და მის კლასობრივ ფესვებს. 1919 წლის ოთხმოდამათე ნომერში მან სასტიკად გააკრიტიკა მენშევიკ გ. აიილოს სტატიათა სერია „პროლეტარიატის ტაქტიკისა და ამოცანების შესახებ“, რომლებშიც მოცემული იყო ქართველ ოპორტუნისტთა და მათი დასავლეთ-ევროპელი მამამთავრის ბერნსტეინის უკვე მოძველებული და გაცვეთილი დებულება — პროლეტარიატისადმი ბურჟუაზიის პოლიტიკური ხელმძღვანელობის შესახებ. „გოლოს ტრუდამ“ მენშევიკთა ასეთი „ტაქტიკა“ მუშათა კლასის მიმართ შეათვისა როგორც მარქსიზმის რევიზიის ახალი უხერხილო ცდა.

გაზეთი ფართოდ აშუქებდა ინტერვენციის



კლასობრივ ხასიათს, არკვევდა მის არსს, ნი-
ლაბს ხდოდა ინტერვენტო და შინაური კონტრ-
რევოლუციური ბლოკის ანტისაბჭოთა სახეს.
იგი მოუწოდებდა მშრომელ მასებს ბრძოლისა-
კენ, შემჭიდროებისა და გამძლეობისაკენ.

ამასთან ერთად გაზეთი აქტიურად იბრძოდა
აჭარის მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის
გაუმჯობესებისათვის. სპეციალურ განყოფილე-
ბაში „ადგილობრივი ცხოვრება“ ქვეყნდებოდა
მასალები, სტატიები, ცნობები ინგლისელთა საო-
კუპაციო რევიმის პირობებში მუშათა ეკონო-
მიური მდგომარეობის შესახებ. აქვე შექდებო-
და პროფკავშირების როლი მშრომელთა მატე-
რიალური და უფლებრივი მდგომარეობისათვის
ბრძოლაში.

გაზეთის მძლავრი რევოლუციური ტონის გა-
მომავალი საოკუპაციო ხელისუფლებამ ვერ მოითმინა
მისი არსებობა და ძალე აკრძალა კიდევაც. მაგ-
რამ ეს აკრძალვა უღდეური აღმოჩნდა. 1920
წელს, ბათუმის მშრომელთა რევოლუციური აღ-
მავლობის პერიოდში, როდესაც ბათუმის ოლ-
ქის გენერალ-გუბერნატორ კუკ-კოლის ძალა-
უფლებებში შეეზიარნენ ბოლშევიკური პროფკა-
ვშირები, გაზეთმა „გოლოს ტრუდამ“ განაახლა
მოღვაწეობა. ამ პერიოდში იგი იქცა შეიარაღე-
ბული აჯანყების ტრუბადურად; გაზეთი მშრო-
მელებს მოუწოდებდა შინაური და უცხოეთის
რეაქციული ძალების აღაგმვისაკენ, საბჭოთა ხე-
ლისუფლებისათვის ბრძოლისაკენ. საქართველო-
სა და, კერძოდ, აჭარის ხსნას გაზეთი ხედავდა
მხოლოდ და მხოლოდ მუშათა და გლეხთა დიქ-
ტატურის დამყარებაში: „ამიერკავკასიის მუშა-
თა და ლტაკ გლეხთა დიქტატურა გადაწყვეტს
ამიერკავკასიის იმ უთვალავ კითხვებს, რომლებ-
ზედაც უძლურად თავს იტყენ ამიერკავკასიისა
და საერთაშორისო სახალხო კონფერენციები.
იგი გადაწყვეტს ბათუმის საკითხსაც. შეუერ-

თებს ბათუმის ოლქს არა მარტო „დღის მშრომელთა
გაზეთი“ — წერდა გაზეთი თავის საპირველმისო
ნომრის მოწინავეში (1920 წ., № 104).

მაგრამ ამ ბედნიერი ღღის მახარობლობა მას
არ დასცალდა. მ მისს ბოლშევიკურ ორგანი-
ზაციებთან საბოლოო ანგარიშის გასწორების
მიზნით ოკუპანტებმა დააპატიმრეს პროფსაბჭოს
მთელი შემადგენლობა და დაარბიეს გაზეთ „გო-
ლოს ტრუდას“ რედაქცია და შმავესკის სტამბა,
სადაც იბეჭდებოდა გაზეთი.

კომუნისტურმა ორგანიზაციამ ამის შემდეგ
საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ვერ შე-
ძლო საკუთარი ორგანოს გამოცემა. თავის ხმას
იგი მშრომელებს მხოლოდ პროკლამაციებით
აწვდიდა.

მაგრამ ამ გარემოებამ ვერ შეაფერხა სოცი-
ალისტური რევოლუციის ძღვევამოსილი მსვლე-
ლობა. უკვე დანთებული რევოლუციური ცეცხ-
ლი დღითიდღე მეტი სიძლიერით ვიზვიზებდა.
1921 წლის თებერვალში იგი დიდი სახალხო აჯა-
ნყების ხანძრად გადაიქცა, რომელმაც სამუდა-
ოდ გააქრო მშრომელთა ცხოვრებაში გამეფე-
ბული წყვედიადი.

ბათუმის ქუჩებში ჯერ კიდევ ტყვიამრქვე-
ვების კაკანი არ დამცხრალიყო, როდესაც აიწყო
და სინათლე იხილა რევკომის ორგანომ — გა-
ზეთმა „უწყებები“. მან აჭარის მშრომელებს
აუწყა ახალი, ბედნიერი ხანის დასაწყისი. და
დღეს აჭარის ყურნალ-გაზეთები კვლავაც ღირ-
სეულად განაგრძობენ ბოლშევიკური პრესის
სახელოვან ტრადიციებს, ბოლშევიკური მგზნე-
ბარებით შეაქვთ მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის
ღიადი იდეები, მხარში უღვანან პარტიულ ორგა-
ნიზაციებს კომუნისზმის გაშლილი მშენებლობის
ღიადი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძო-
ლაში.



ბოჩის ჩაეხსკი

გაკუა მათე

„პრავდის“ რედაქციის კურიერი ტოლკა იყო თოთხმეტი წლის თმაქოჩორა, მწითური ბიჭუნა, მკვირცხლი და გონებაგახსნილი. იგი ტყვიასავით დაჰქროდა სართულიდან სართულზე, გამაყრუებლად ახეთქებდა კარებს. ტოლკას ხელნაწერები ჩაჰქონდა მეოთხე სართულიდან, სადაც ღამის რედაქცია იყო მოთავსებული. პირველ სართულზე — სტამბაში. იქიდან კი ზევით მიჰქონდა გრძელ-გრძელი ფურცლები — ანაბეჭდები, რომლებსაც საღებავისა და ნავთის სუნი ასდიოდათ. შემდეგ იგივე ანაბეჭდები, მაგრამ მელნითა და ფერადი ფანქრებით გადახაზული, ისევ ქვევით ჩაჰქონდა, ხოლო მაღლა უკვე მთარბენინებდა გაზეთის დაკაბადონებულ გვერდების ანაბეჭდებს.

ტოლკას მთავარი მოვალეობა იყო ყოველდღე, დილაადრიან, საათის ექვსზე გაზეთის ახალი ნომერი მიეტანა შესამოწმებლად ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტში, ესე იგი ცენზურაში.

ტოლკა გამოირჩეოდა დიდი სისწრაფით. მისი მზესუმზირასავით მწითური თავი ხან აქ, ხან იქ გაიელვებდა.

— წაიღე ხელნაწერი ასაწყობად, — ხელნაწერებზე თვალმოუშორებლად ეტყოდა ხოლმე ნიკოლოზ გურის-ძე ბოლეტაევი.

რამდენიმე წუთის შემდეგ იგი თავს ასწევდა და ტოლკას თავის ჩვეულებრივ ადგილზე — კარებთან დაინახავდა.

— მე ხომ ვითხარი — ჩააბარე სტატია ასაწყობად, — მკაცრად გაიმეორებდა ნიკოლოზ გურის-ძე.

— ჩავაბარე უკვე! — უპასუხებდა ტოლკა.

რედაქციაში ყველას უყვარდა ტოლკა, ნიკოლოზ გურის-ძეც ანებიერებდა ბიჭუნას. და როგორ გაოცდა ყველა, როდესაც ერთხელ ნიკოლოზ გურის-ძემ დიდხანს, ჩაფიქრებით უტყირა ტოლკას, შემდეგ კი უცებ გულმოსულად თქვა:

— უნდა შევცვალოთ ეს ბიჭი. არ გვარგია...

— როგორ თუ შევცვალოთ? — ვერ მიხვდა ოლმინსკი. — ხომ არ დავითხოვოთ?

— შესაძლოა, დავითხოვოთ კიდევ!

— კი მაგრამ, რისთვის?

ოლმინსკიმ გაცემით მოავლო თვალი გაზეთის სხვა თანამშრომლებს.

— რა დააშავა ტოლკამ?

— მეტისმეტად მკვირცხლია. გაგზავნი სადმე: წუთი და მზადაა!..

— ეს ცუდია?

— ცუდია!



თანამშრომლებმა ერთმანეთს გადახედეს.

— დიას, ცუდია, — დაინახა რა მათი გოცნებული მხერა, დადასტურა პოლეტაევმა. — ჩვენთვის! სხვებისათვის, შესაძლოა, კარგია, ხოლო ჩვენ ასეთი სისწრაფე არ გვარგია.

მან ბაბიროსი მოსწია და ამხანაგებს გააცნო თავისი ჩანაფიქრი. გეგმა ყველას მოეწონა. საწყენი იყო მხოლოდ უდანაშაულო ტოლკას განთავისუფლება. სხვათა შორის, ნიკოლოზ გურისძე შეებრდა მათ, ტოლკას სხვა ადგილზე მოვაწყობო.

სტამბის კარებზე გაჩნდა განცხადება: „გაზეთ „ბრავდას“ სასწრაფოდ ესაჭიროება კურირი“.

სამუშაოდ ბევრი მოდიოდა — ყველანი ახალგაზრდები, ჯანმრთელები, მკვირცხლნი, მაგრამ ნიკოლოზ გურისძე ერთს შეხედავდა ყმაწვილს და ეტყოდა:

- არ გამოდგები!
- და ასე ყველას რიგრიგობით:
- არ გამოდგები!
- არ გამოდგები!

ერთხელ მოვიდა ჰალარა, ასე ორმოცდაათი წლის მამაკაცი. მას ნიკოლოზ გურისძე დაწვრილებით ესაუბრა, მაგრამ შემდეგ ამოიხრბა და ისევ თქვა:

— სამწუხაროდ, არ გამოდგებით!

ხოლო როცა იგი წავიდა, პოლეტაევმა თანამშრომლებს აუხსნა:

— ახალგაზრდაა მაინც...

ნიკოლოზ გურისძეს გაეხარდა, როცა ერთხელ რედაქციაში მსხვილი, კოჭრიანი ჯოხის კაკუნით ბაბუა მათე შემოვიდა. ის იყო მღალი და ისე მოხრილი, რომ მისი გაბურძენილი მწითული წვერი მკერდზე ებჯინებოდა. მას ჰქონდა მუქი. ღრმად ჩამჯდარი თვალები, ხშირი წარბები, ხოლო ცხვირი — დიდი, გაჭარბებული, ლურჯად დაძარღვული.

— ეს თქვენ მიაწებთ იქ ქალაქი კულიერის შესახებ?.. — წაიჩიფრია მოხუცმა. — მე აქ, მაშასადამე, სტამბაში ვითვლები... ესე იგი, ღამის დარაჯად. დღისით კი შემძლია კულიერის მაგივრადაც...

— რამდენი წლისა ხართ, ბაბუა? — დაინტერესდა ნიკოლოზ გურისძე.

— მე, მაშასადამე, ათას რვაას ორმოც წელში ვაგჩნდი ქვეყანაზე... გამოდის, — სამოცდამეთორმეტე ვავიდა... თქვენ, ჩემო ბატონო, ნუ ინებებთ დაქვევბას. თუმცა მე, ასე ვთქვათ, ორმოცი ან ორმოცდაათი წლით უფროსი ვარ თქვენზე, მაგრამ კიდევ მაგარი ვარ...

— ავიყვანთ, ავიყვანთ, — მხიარულად შეაწყვეტინა მას ნიკოლოზ გურისძემ. — თქვენ ნამდვილად გამოგვადგებით.

იგი ადგა და ჩაფიქრებულმა გაიარა გამოიარა ოთახში.

— მხოლოდ აი რა — სართულებზე სირბილი თქვენ გაგაძინებდათ. ამ საქმისათვის დავიტოვებთ ჩვენს ყმაწვილს. თქვენ კი გეგნებათ ერთი მოვალეობა — დილ-დილობით წაიღოთ გაზეთი ცენზურაში.

ასე გახდა ბაბუა მათე „ბრავდას“ შიკრიკი. რედაქციას ეს ორმაგად აწყობდა: გასამრჯელო მას ბევრი არ უნდოდა — იგი ხომ „თავისიანი“, სტამბელი იყო, და ხელფასზე პატარა წამატებითაც ივლიდა ცენზურაში. ამას გარდა, ყველა თანამშრომლის სასიხარულოდ, ტოლკაც გადარჩა.

ნიკოლოზ გურისძე მაშინვე შეუდგა ბაბუასათვის მისი მოვალეობის ასხსნას.

— თქვენ, ბაბუა, მოხუცი ხართ, თავს უნდა გაუფრთხილდეთ, — არწმუნებდა მოხუცს პოლეტაევი. — ნუ აჩქარდებით. წყნარ-წყნარა, ნელ-ნელა...

— ეს მართალია, — ეთანხმებოდა მოხუცი. — სად უნდა ვიჩქარო? საფლავი, მაშასადამე, არსად გაიქცევა...

— აი, აი, — გაიღიმა პოლეტაევმა, — რისთვის უნდა იმტკიოთ თავი? ფეხებიც, ალბათ, რევმატული გაქვთ, ავადმყოფი...

— არა, — უარყო მოხუცმა. — ფეხები, მადლობა უფალს, ჯანმრთელია...

— მე კი ვამბობ, ავადმყოფია, — რბილად, მაგრამ მტკიცედ გაიმეორა პოლეტაევმა და მოხუცს თვალი ჩაუჭრა. — მოხუცია, რევმატული. მათ დასვენება



სჭირდებოდა. აი ხვალ დილით ექვსზე წახვალთ ცენზურის კომიტეტში. გაზეთს წაიღებთ. აქვეა, არც ისე შორს, ჩერნი-შოვის შესახვევში. მართალია, შორს არ არის, მაგრამ სიჩქარე მაინც არაა საჭირო. ვაივლით ასიოდე ნაბიჯს, დაისვენებთ, სკამზე ჩამოჯდებით, პაპიროსს მოსწევთ. სად უნდა იჩქაროთ? შეგცივდებოდა, — საჩაივში შეიხედეთ. იქ გათბებით...

„რა უნდა საჩაივს ასე ადრე? — გაიფიქრა ბაბუამ. — დამის ტრაქტირი კიდევ პო!“ მაგრამ არაფერი უთქვამს.

— სახლშიც თუ შეივლით, ჩვენ წინააღმდეგი არ ვიქნებით, — განაგრძობდა პოლეტაევი. — საერთოდ, არ იჩქაროთ. სტამბიდან გახვალთ საათის ექვსზე, ცენზურის კომიტეტში კი შეგიძლია მიხვიდეთ შვიდზეც, რვის ნახევარზეც, გნებავთ, რვას რომ თხუთმეტი დააკლდება, მაშინ...

„უცნაურია! — გაიფიქრა ბაბუამ. — პატრონები მუდამ გგჩხვლეტენ — სწრაფად, სწრაფად. აქ კი, პირიქით: თფუ!“

მან ყოყმანით შეისრისა წვერი ორივე ხელით და თქვა:

— ალბათ, მოხუცი რომ ვარ იმიტომ? ვერ გამოვიდა, რა საჭიროა ეს მანევრები?

ბაბუა დიდხანს მსახურობდა ჯარისკაცად და, თუ შემთხვევა მიეცემოდა, უყვარდა „სამხედრო“ სიტყვის ხმარება.

ნიკოლოზ გურის-ძემ დაჟინებით ჩახედა მას თვალბში.

— იცი რა, ბაბუა, ჩვენ მუშური ვაზეთი გვაქვს, — აუხსნა მან. — ვიბრძვით მუშათა საქმისათვის...

— მეც არა ვარ პირველი გილდიის ვაჭარი, — წაიჩიფიფა ბაბუამ. — არც შემამულე ვახლავართ შთამომავლობით...

— აი, აი, — მიეშველა მას პოლეტაევი. — მაშასადამე, ჩვენ საერთო ინტერესები გვაქვს. მტრებიც საერთო გვყავს. ომში კი, თვითონ იცი, ყოველგვარი ეშმაკობა გამოდგება...

და ნიკოლოზ გურის-ძემ დაწვრილებით აუხსნა მოხუცს თავისი ჩანაფიქრი.

— მაშასადამე, მე მზვერავი ვარ... — კმაყოფილებით ჩაიციხა ბაბუა მათემ. — ეს მომწონს. ხასიათიც სწორედ ასეთი მაქვს... მხიარული! შესანიშნავად შევასრულებ კამედიას...

* * *

...საბეჭდი მანქანის ამუშავებას სტამბაში დილის ექვსზე იწყებდნენ. სტამბის გამგე — ბუზლუნა, პატარა კაცი, ძლიერ უკმაყოფილო იყო იმით, რომ სხვა გამოცემებთან ერთად ბოლშევიკური გაზეთის ბეჭდვაც უხდებოდა. აიღებდა „პრავდის“ პირველ ეგზემპლარს, ოთხად გაკეცავდა, გადასცემდა ბაბუა მათეს და ეტყოდა:

— ცენზურაში! სწრაფად!

— ცეცხლი არ ეკიდება, მოასწრებ! — წვერებში ჩაიბუზლუნებდა ბაბუა მათე, რომელსაც ახსოვდა პოლეტაევის ბრძანება, და აუჩქარებლად მიდიოდა.

მანქანა კაქუნით განაგრძობდა მუშაობას. მის გვერდით სწრაფად იზრდებოდა ახალი გაზეთების გორა. აი მზადაა პირველი ასეული, აი ექვსი ასეულიც. უკვე გაისმა ზარი, — ეს მანქანამ აღნიშნა ათასი ეგზემპლარის გამოსვლა, კიდევ ზარი, ისევ. აი მანქანის მრიცხველზე გაიღვა ციფრმა 3.700...

ბაბუა დაბამბულ, მოკლე ქურთუკსა და მაღალ კარტუზში, აუჩქარებლად, კორძიანი ჯოხის კაკუნით მიაბიჯებდა ივანოვსკის ქუჩით. ზაგოროდნის პროსპექტთან რომ მივიდოდა, შეჩერდებოდა და გამოესაუბრებოდა ნაცნობ მეეზოვეს, რომელიც ჭიშკართან იდგა ტყაუჭსა და თეთრ წინსაფარში. მეეზოვისაგან მოისმენდა იმის ისტორიას, თუ როგორ დაიჭირეს გუშინ ქურდი მეზობელ სახლში, წაისაუბრებდნენ ამინდსა და ჯარისკაცულ სამსახურზე — ერთ დროს მეეზოვეც მარჯვე მებრძოლი იყო — და ბაბუა მათე აუჩქარებლად განაგრძობდა გზას.

გზაში ბაბუას უყვარდა დაფიქრება თავის ცხოვრებაზე. ის მარტოხელა იყო — არც ცოლი, არც შვილები. ყველანი დაიხოცნენ. გაინსენებდა ომს თურქებთან, ყველაზე უფრო კი იმას, თუ რო-

გორ დაჰკრა ერთხელ ლაშქრობის დროს მცხუნვარე მშემ და კინალამ მოკვდა. მოიგონებდა, როგორ მუშაობდა საფუნეთუშეში და საათობით როგორ ზეღდა სამფუთიან ცომის გუნდებს. თითქოს აქამდე ტეხს ხელები. ყველაზე მეტად კი ფიქრობდა სტამბასა და რედაქციაზე.

შესაძლოა იმიტომ, რომ ნათესავთაგან ამქვეყნად არავინ ჰყავდა, ბაბუა მათე მალე შეეთვისა ახალ სამუშაოს, ახალ ადამიანებს. ცხოვრებისაგან გაუნებვიერებელი, იგი ყველაზე მეტად აფასებდა ადამიანურ სიტბოს. „პრავდის“ თანამშრომლები კი ბაბუას პატივისცემით ეპყრობოდნენ, მოთმინებით ისმენდნენ მის გაჭიანურებულ ამბებს ეფრეიტორ სიმუშკინზე — უღმობელი კაცი იყო, ერთხელ თითზე დაიხვია ბაბუას მთელი ბლუჯა თმა და ამოგლიჯა...

პიატი უგლოვთან ბაბუა მათე ღამის ტრაქტირში შედიოდა, ჩაით გაისველებდა ყელს, ხოლო ზოგჯერ გასათბობად ერთ არაყსაც გადაკრავდა ხოლმე. საუზმედ ყოველთვის ითხოვდა ერთ თავ ხაზვს. ბაბუა მათეს სრულებით არ მოუჩანდა პირი: წვერ-ულვაში მთლიანად ფარავდა მას. გასჭრის ბაბუა ხაზვს ოთხად და მეოთხედს თითქოს საღდაც წვერში შეფლავს. და ისინი იკარგებიან იქ მწითურ-ჰაღარა ბაღებში...

დაისვენებს ბაბუა და აგრძელებს გზას...

სტამბაში კი გაბმულად წკრიალებდა ტელეფონი. რეკავდნენ საცენზურო კომიტეტიდან.

— სად არის „პრავდა“? — ყვიროდა ცენზორი. — რვის ოცდათხუთმეტია, ყველა გაზეთმა გაიარა შემოწმება. „პრავდა“ კი ისევ არ ჩანს.

— მაპატიეთ, ღვთის გულისათვის, — მოკრძალებით უპასუხებდა გამგე. — მე თვითონ, საკუთარი ხელით გამოგიგზავნეთ პირველი ეგზემპლარი. დილის ექვსზე, წესისამებრ. მხოლოდ „პრავდის“ კურიერი მოხუცია, უძლური... ალბათ, ჯერ კიდევ მოჩანჩალობს. გავკადნიერდები და მოგახსენებთ: დრო ჯერ ხომ არ გასულა?...

ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა მთავარი სამმართველოს განკარგულებით, მისი პირველი ეგზემპლარი ცენზურაში უნდა მიეტანათ დილით — ექვსიდან რვა საათამდე. სულერთია, ცენზორს არ შეეძლო ერთბაშად წაეკითხა ყველა გაზეთი: პეტერბურგში ისინი ათობით გამოდიოდა.

მალე ბაბუა მათე განგებ ხმამაღალი ოხვრითა და ვიშ-ვიშით შედიოდა საცენზურო კომიტეტის დიდ ნათელ ოთახში.

— რაო, ბაბუა, სერნობდი? — გულმოსულად გამოგლეჯდა ხელიდან „პრავდას“ და ეკითხებოდა ცენზორი — ახოვანი მამაკაცი, რომელსაც თეთრი, მსუქანი სახე და შუაზე გადავარცხნილი თხელი თმა ჰქონდა.

— მაპატიეთ, თქვენო კეთილშობილებავ. — წვერის ცანცარით იმართლებდა თავს ბაბუა. — წყეულმა ქოშინმა ღამძლია. მკერდი ტუმბოსავით მიბაგუნებს. ფეხებიც ისევ და ისევ მიბუქის... ჯარისკაცობისას, იყო შემთხვევა, ოცდაათ ვერსს გავივლიდი ხოლმე, ახლა კი... მაგრამ, საერთოდ, მგონი, არ დამიგვიანებია?

ცენზორი აიღებდა წითელ ფანქარს და დაიწყებდა გაზეთის კითხვას. ბაბუა კი წყნარად დაეშვებოდა სკამზე იმავე ოთახში, კედელთან.

— აქ ჯდომა, ბაბუა, არ შეიძლება, — ეტყოდა ცენზორი. — გაზეთი ხომ ჩააბარე, — წადი შენთვის...

— ამ წამში, ამ წამში წავჩანჩალებდი, თქვენო კეთილშობილებავ, — მოკრძალებით ბუტბუტებდა ბაბუა. — მხოლოდ სულს მოვიტყვამ ოდნავ... ნამდვილად მართალია, რომ ამბობენ, მოხუცებულობას სამარე კურნავსო...

— რაკი სიარული გიძინელებდა, გამოართმევდი რედაქტორს უზალთუნს მეეტლისათვის...

— რას ამბობთ, თქვენო კეთილშობილებავ, — ჩიფჩიფებდა ბაბუა. — ჩვენს გულამშვიერებს საიდან უნდა ჰქონდეთ უზალთუნნი?! მათ თავის ღღეში ასეთი კაპიტალი არა ჰქონიათ...

ცენზორი განაგრძობდა გაზეთის კით-

ხვას, მოხუცი კი ჩუმად იჯდა კედელთან ისეთი სახით, თითქოს ისვენებდა.

„ალბათ, თხუთმეტი ათასი ცალი „პრავდა“ უკვე ჩამოაკვუნეს, — თვალების ეშმაკური მოჭუტვით ფიქრობდა ის. — იქნებ ოცი ათასიც“.

ბაბუამ იცოდა, რომ რედაქციის თანამშრომლები და სტამბის მუშები ტყუილ-უბრალოდ არც ერთ წუთს არ კარგავდნენ. ვიდრე ის საათნახევრის განმავლობაში მიჩოჩავდა სტამბიდან ცენზურამდე — იქამდე კი სულ ნახევარი ვერსია! — მუშებმა მოასწრეს ხუთი ათასამდე ცალი გაზეთის გატანა სტამბიდან. და ახლა ქარხნის შიკრიკები, მეგაზეთე ბიჭები, კიოსკის გამყიდველები, საგაზეთო არტელების წარმომადგენლები საჩქაროდ ფუთავენ „პრავდას“ ცალეზად და სწრაფად არიგებენ მთელ ქალაქში. რამდენიმე კაცი კი სწრაფად და მარჯვედ წებავს გაზეთის დასტებს და მიაქვს ფოსტაში. ეს ბანდეროლები გაეშურებიან მოსკოვსა და ხარკოვში, ეკატერინოსლავსა და ბაქოში.

ბაბუა კედელთან იჯდა, დაძარღვული ხელები ჯოხზე დაეკრითა და ზედ ნიკაბი ჩამოედო. იგი თითქოს ისვენებდა, მაგრამ თვალს არ ამორებდა ცენზორს.

— აბა, ბაბუა, დაისვენე და წადი! — აიღებდა თავს გაზეთიდან და ეტყოდა ცენზორს. — ხომ ვითხარი, აქ ჯდომა არ შეიძლება-მეთქი.

— ნამდვილად, — უპასუხებდა ბაბუა. — ეს ჩვენ ძალიან კარგადაც ვიცით: რაკი არ შეიძლება, მაშასადამე, არ შეიძლება. მხოლოდ აი ეს ფეხი მეწევა და მეწევა წყეული. დაჭრილია. ნამსხვრევია შიგ — თურქებისაგან... დაცურავს აქეთ-იქით... ცოტას მომიშვებს და მეც წავჩანხალდები...

ცენზორი განაგრძობდა „პრავდის“ გასინჯვას, ბაბუა კი იჯდა, ხენეზოდა, ფეხებს ისრესდა და ცენზორს უთვალთვალებდა. მან იცოდა — აუცილებელია დაცდა, სანამ ცენზორი კითხვას დაამთავრებს.

ვიდრე ის ჩვეულებრივად კითხულობდა, ბაბუა მშვიდად იყო, მაგრამ აი

ცენზორმა მოქნეულად გაპკრა წითელი ფანქარი გაზეთს და ჩქარ-ჩქარა დაიწყო წაშენა. რამდენიმე სიტყვა კიდევ. ბაბუა მათემ ყურები სცქვია.

ცენზორი წამოხტა, ტელეფონთან მივიდა.

— უბანია? ალო, მესამე საპოლიციო უბანია? — ხმამალა ხელმეორედ იკითხა მან. — ბატონი ბოქაული ბრძანდებით? ვთხოვთ, დაუყოვნებლივ წახვიდეთ ბერეზინის სტამბაში. დიას, დიას, ივანოვსკიზე...

შემდეგ ბაბუა აღარ ისმენდა. ერთი წუთის უკან თავმოკადმყოფებული და უძლური, უცებ გავარდა ოთახიდან, მით უმეტეს, რომ ცენზორი ზურგით იდგა მისკენ და ვერაფერს ხედავდა. თითქმის სირბილით ეშვებოდა კიბეებზე. მოსახვევში მეეტლეს შესაახებდა:

— გარეკე!

„სასწრაფოდ უნდა გავაფრთხილო ჩვენები“, — გამალებით ფიქრობდა ბაბუა და მეეტლეს აჩქარებდა.

რედაქციაში ყოველ წუთს მზად იყვნენ პოლიციის თავდასხმისათვის. როდესაც ბაბუა ცენზურაში წავიდოდა, სტამბის ჭიშკართან დგებოდა სპეციალური მზვერავი, როგორც მას ხუმრობით უწოდებდნენ ამხანაგები, — „დამქნევი“. ჩვეულებრივად ეს იყო ტოლკა.

როგორც კი ეტლში მჯდომმა ბაბუამ შეუხვია ზაგოროდნიდან ივანოვსკიზე, — ტოლკა სტამბაში შევარდა.

— სტუმრები გვეყოლება! — დაიძახა მან. — ბაბუა მოჰქრის!

ყველამ იცოდა: „სტუმრები“ — ეს პოლიციაა. დათქმული ჰქონდათ ბაბუა მათესთან — თუ ის ბრუნდება ეტლით, მაშასადამე, უნდა ელოდო „სტუმრებს“.

— მშვიდად, ამხანაგებო, — თქვა პოლტაევმა. — მოდიოთ რიგ-რიგობით.

საბჭედ მანქანასთან დარჩენილი იყო კიდევ სამი ათასი ეგზემპლარი. ქარხნებიდან მუშები სწრაფად ავლებდნენ ხელს გაზეთის დასტებს და ქუჩაში გარბოდნენ. ყველაფერი კეთდებოდა სწრაფად, მაგრამ აუწრიალებლად.

...როდესაც ოცი წუთის შემდეგ, სამი

პოლიციელის თანხლებით, სტამბაში
შოვიდა მაღალი, კობტა ბოქაული, სა-
ბეგდ მანქანასთან გაზეთების თხელი და-
სტა იღო. — ასე ორმოცი ცალი. დანარ-
ჩენი თხუთმეტი ათას ხუთასი ცალი უკ-
ვე „გაყიდული“ იყო.

— როგორღაც მარჯვედ გამოვლით!
— ბრაზიანი დუღლუნით უთხრა ბოქაუ-
ლმა პოლეტაევს. — პირდაპირ თვალთ-
მაქცები ხართ, ღმერთმანი!

მან მაზარის კალთა აიწია, მაგიდას
მიუჯდა და ქაღალდი ამოიღო ოქმისა-
თვის. პოლიციელმა თავაზიანად მიუჩო-
ჩა სამეღნე.

— ჯამბაზებო, — ბრაზიანად გაიმეო-
რა ბოქაულმა. — წინათაც მოვედით
კონფისკაციისათვის, ტირაუი კი უკვე
გავიქრიათ! ერთი თვის უკანაც მთელი
გაზეთი დაიტაცეთ, ოქმისთვისაც კი არ
დაგიტოვებიათ ერთი ცალი. კონფისკა-
ციაც ამას ჰქვია! სასაცილოა პირდაპირ!

ბაბუა მათე კუთხეში იჯდა და წვერე-
ბში ქირქილებდა.

— შენაც თავი დაანებე კონფისკაცი-
ას! — ბუტბუტებდა ის. — დახე, რა
შოისურვა. ადამიანები წერენ, ესენი კი
დანას უყრიან! „პრავდა“ და ისიც დანის
ქვეშ! ნურას უკაცრავად, ძვირფასო, —
არც ასე ადვილია სიმართლე დაუმალო
წაზოგადობას...

რამდენიმეჯერ გადაარჩინა ბაბუა მა-
თემ გაზეთი კონფისკაციას. ეს ძლიერ
მოსწონდა მოხუცს. იმ დღეს, როცა იგი
ახერხებდა ცენზორის მოტყუებას და
„პრავდის“ დახმარებას, ბაბუა წელში
გამართული დადიოდა. მისი წვერი აღარ
ებჯინებოდა გულ-მეგრდს, როგორც ყო-
ველთვის, არამედ ამაყად იყო წინ გა-
მოშვებული.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ცენზორ-
მა, რასაკვირველია, გამოიცნო მოხუცის
ფანდი. მიხვდა, რომ ატყუებდნენ, ძლი-
ერ გაბრაზდა და ბრძანა, ამიერიდან გა-
ზეთის ახალი ნომერი ბაბუას მოეტანა
არა უგვიანეს დილის შვიდი საათისა,
თან კატეგორიულად აუკრძალა მოხუცს
საცენზუროში „დასვენება“.

ბაბუა მათე ძალიან შეწუხდა. დადიო-
და მოღუშული, გაჯავრებული და გამუ-
დმებით ბუტბუტებდა თავისთვის. „აი
ხათაბალა! — ფიქრობდა ის, — ახლა რა-
ღა ვქნა?“

მაგრამ „პრავდის“ მუშაკები არ დაი-
ბნენ. გამოცნობილი ეშმაკობის ნაცე-
ლად ბაბუასთან ერთად მათ სხვა ფან-
დები მოიფიქრეს და, ყველაფრის მიუ-
ხედავად, კვლავინდებურად განაგრძობ-
დნენ გაზეთის გამოშვებას.

თარგმნა ტიტე ხინთიბიძემ.



კოზა ბოლქვაძე

ბეკუაზიანი და კაპოკაჩისკანი ზილსოვია
იხაკიაილიზის ილეჩი იაკალია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XII ყრილობა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ისტორიაში შევიდა როგორც ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა. მისი ისტორიული გადაწყვეტილებანი საბჭოთა ხალხს აიარაღებენ კომუნისმის მშენებლობის ნათელი პროგრამით, ქმნიან მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ყოველმხრივი გამოვლინების უსაზღვრო შესაძლებლობებს. დაეთვლენ რა მასენს გულსა და გონებას. ყრილობის დიდი იდეები უდიდეს მატერიალურ ძალად იქცნენ. ეს კი იმის საწინდარია, რომ პარტიის ბრძნული წინასწარდასახულობანი ისტორიულად უმოკლეს ვადაში სინამდვილედ იქცევა და საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნისმში.

ყრილობის მიერ მიღებული პარტიის ახალი პროგრამა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების შემოქმედებითი განვითარების უბადლო ნიმუშია. მასში უაღრესი მეცნიერული სიუსტით არის განვითარებული მუშათა კლასის რევოლუციური პრაქტიკა, ჩვენს ქვეყანასა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის მდიდარი გამოცდილება, დასახულია კომუნისმის აშენების დიდი გეგმა. აი ამიტომ ამბობენ, რომ პარტიის ახალი პროგრამა წარმოადგენს კომუნისმის მშენებლობის ცოცხალ სახელმძღვანელოს, კომუნისმის ნათელ გზის-მკვლევს.


ყრილობის გადაწყვეტილებებში ფრიალ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას. დასაბუთებულია, რომ მასენის კომუნისტური აღზრდა წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის მშენებლობის განუყოფელ ნაწილს.

შეუძლებელია აშენო კომუნისტური საზოგადოება, გამოიჩინო შემოქმედებითი ინიციატივათუ არ იცნობ მარქსიზმ-ლენინისმის უკვდავ მოძღვრებას. ამიტომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება, მისი შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავება პარტიას მშრომელთა იდეური აღზრდის უმნიშვნელოვანეს პირობად მიაჩნია. პარტია ვვასწავლის, რომ საქმარისი არაა დაიზებრო მარქსიზმ-ლენინისმის ძირითადი დებულებანი. საჭიროა შეგეძლოს მათი გამოყენება კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციაში, შეახამო რევოლუციური თეორია და პრაქტიკა.

იდეოლოგიური მუშაობის სფეროში ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბურჟუაზიული და რეფორმისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებს. მაგნე, რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგიის, რევიზიონისმისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა პარტიას პირველხარისხოვან საქმედ მიაჩნია.

მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის წარმოშობამ ძირეულად შესცვალა ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო ასპარეზზე. თუ წინათ საზოგადოებრივი განვითარების მთავარ მიმართულებას კაპიტალიზმი განსაზღვრავდა, ახლა უკვე თვისებრივად სხვა მდგომარეობა შეიქმნა. „ჩვენი დროის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემა აღამიანთა საზოგადოების განვითარების გადაწყვეტი დაქტორი ხდება“ („მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საპროგრამო დოკუმენტები“, გვ. 38).

მეურნეობის კაპიტალისტურმა სისტემამ კა-



არგა ხანია მოსკოვში თავისი დრო, ამოსწურა გან-
ვითარების საშუალებანი, მაგრამ მინც ვანავრ-
ძობს არსებობას და სწამლავს ატმოსფეროს. კა-
პიტალიზმს დღითიდღე აკლდება სასიცოცხლო
ძალები, მისი ბურჟუაზია სასიკვდილო რყევას გა-
ნიცდიან და უკვე შორს აღარაა ის დრო, როცა
ისტორიის არქივს ჩაბარდება უკანასკნელი ექს-
პლუატატორული წყობილება. თანამედროვე
ეპოქა სოციალიზმზე რევოლუციური გადასვლის
ეპოქაა, დღეს ყველა გზა კომუნისტურ მი-
დის. „თანამედროვე ეპოქაში ადამიანთა საზო-
გადოების ისტორიული განვითარების მთავარ
შინაარსს, მთავარ მიმართულებასა და მთავარ
თავისებურებებს განსაზღვრავენ მსოფლიო სო-
ციალისტური სისტემა, იმპერიალიზმის წინაღ-
მდეგ, საზოგადოების სოციალისტური გარდაქ-
მისათვის მებრძოლი ძალები. იმპერიალიზმის
ვერავითარი მეცადინეობა ვერ შეაჩერებს ის-
ტორიის განუწყვეტელ განვითარებას. შექმნი-
ლია სოციალიზმის შემდგომ გადამწყვეტ გამარ-
ჯვებათა მტკიცე წინამძღვრები“ („შვიდობის,
დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის
საპროგრამო დოკუმენტები“, გვ. 39).

მაგრამ ლობად იმპერიალიზმს არ სურს სიკ-
ვდილი და ყველა ღონეს მიმართავს, რათა გაი-
ხანგრძლიოს არსებობა. ამ საქმეში დიდ როლს
ასრულებენ ბურჟუაზიული ფილოსოფიური მი-
მდინარეობანი და სოციალოგიური ასოციაციე-
ბი, რომელთა შენახავაზე იმპერიალისტები მი-
ლიონობით დღობას ხარჯავენ. მისყიდულ
მთხველთა ეს ხროვა ათავგვარ არგუმენტსა და
„თეორიებს“ იგონებს კაპიტალიზმის დაცვისა
და გამართლების მიზნით. ისინი ვესლს ანთხევენ
სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყ-
ნის წინააღმდეგ, ურცხვად ასხამენ ხოტბას
„ამერიკული ცხოვრების წესს“, „სახალხო კაპი-
ტალიზმს“, ბურჟუაზიულ ცრუ დემოკრატიას,
ჭადგებენ, რომ ომი ფატალურად გარდუვალია.
კაპიტალიზმის უექველი სიკვდილი ელის და ა. შ.
დაჭირავებული ბურჟუაზიული ფილოსოფოსები
და სოციალოგები იკამბდე მივიდნენ, რომ პო-
ლიტიკური შანტაჟი, კავთმთქულება, შოვინიზ-
მი, შიშველი ძალის კულტი, ხუცობა და ბნელე-
თის მოციქულობა ოფიციალურ პროფესიად გა-
იხადეს.


ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ,
სოციალური პროგრესის, მეცნიერების უარყოფა
და რელიგიური თვალსაზრისის აღიარება იმპე-
რიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიული ფილოსოფიის
ერთ-ერთი არსებითი ნიშანია. ბურჟუაზიის იდე-
ოლოგიურ არსენალში ფილოსოფია მუდამ უმ-
თავრეს იარაღად ითვლებოდა და ამიტომაც,
რომ თანამედროვე ბურჟუაზიული სოციალო-
გია უხვად იკვებება რეაქციულ ფილოსოფი-
ურ მოძღვრებათა იდეებით. რაც თავის მხრივ
განაპირობებს ბურჟუაზიული სოციალოგიის
ყალბ და ანტიმეცნიერულ ხასიათს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის

ახალ პროგრამაში ნათქვამია, რომ იმპერიალიზ-
მის მთავარი იდეოლოგიური იარაღი სო-
ციალისტური წყობილებისათვის კოლხის დაწე-
მება, კომუნისტური პარტიების პოლიტიკისა და
მიზნების, მარქსიზმ-ლენინიზმის ფალსიფიკაცია.
ანტიკომუნისტური წარმოიშვა ჯერ კიდევ მუშათა
რევოლუციური მოძრაობის გარეგარეშე და იგი
ბურჟუაზიამ გამოიყენა როგორც რევოლუციო-
რი მუშათა კლასისა და მარქსისტული იდეოლო-
გიის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღი. რეაქციო-
ნერები თანდათან „ხეიწავდნენ“ ანტიკომუნის-
ტურ „მოძღვრებას“ და თანამედროვე პირობებ-
ში იგი ბურჟუაზიულ იდეოლოგიაში გაბატონე-
ბულ მდგომარეობას ფლობს. ანტიკომუნისტური
უსირცხვილოდ აყალბებს და ამახინჯებს მარქ-
სისტულ მოძღვრებას, უტიფრად სწამებს ცილს
სოციალისტურ წყობილებას, დემოკრატიულ ინ-
სტიტუტებს და ცდილობს ააღდინოს ხალხთა მასები
კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური
ბრძოლის გზას.

მისდევნენ რა თაღლითობასა და სოფისტისკაცს,
ანტიკომუნისტური იდეოლოგები ცდილობენ იმ-
გვარად შეინარსონ, რომ თავიანთი თავი წარმო-
კვიდნენ კაპიტალიზმის კრიტიკოსთა როლშიც.
კი, ისინი ხშირად ვაკვირებდნენ კითხვებშიც,
თუ რას ნიშნავს სიტყვა „კაპიტალიზმი“ და და-
სძენენ, რომ ეს სიტყვა უაზროა, რადგან მას
არადერი შეესაბამება სინამდვილეში. თუ წინათ
ამ სიტყვას რაღაც შეესაბამებოდა და ამდენად
ჭჭონდა აზრი, ამჟამად იგი სავესებო უაზრო გა-
ხდაო. წარსულში იყო კაპიტალისტური ეკონომი-
კა და ამდენად არსებობდა კაპიტალიზმი, მაგრამ
ახლა, როგორც გვარწმუნებენ ანტიკომუნისტური
იდეოლოგები, აღარ არსებობს კაპიტალისტური
ეკონომიკა, მის ნაცვლად გაჩნდა „შურეული ეკ-
ონომიკა“, წარმოიშვა ე. წ. „სახალხო კაპიტა-
ლიზმი“, „გათანაბრდა შემოსავალი“, რამაც თუ-
რმე გამოიწვია კაპიტალის „დემოკრატიზაცია“
და კლასების გაქრობა.

როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული სახელმ-
წიფო წარმოადგენს ქვეყნებისა და ხალხების გა-
ნუქითხავი მარცხის იარაღს, მონოპოლისტური
კაპიტალის ნების განზორციელებას, სოციალუ-
რი და პოლიტიკური უთანასწორობის დაცვისა
და შენარჩუნების ინსტრუმენტს. მარქსიზმის
კლასიკოსები სახელმწიფოს განიხილავდნენ რო-
გორც კლასობრივი ინტერესების შეურთებლო-
ბის პროდუქტს. ანტიკომუნისტური იდეოლოგები
კი უტიფრად აცხადებენ, რომ ბურჟუაზიული
სახელმწიფო თითქოს „საყოველთაო კეთილ-
დღეობის სახელმწიფოა“, რომ თითქოს იგი უპი-
რისპირდება მონოპოლიზმს და შეუძლია მიაღ-
წიოს საყოველთაო კეთილდღეობას, საზოგადო-
ებრივ პარმონიას. აღსანიშნავია, რომ ამ ყალბ
დებულებას ყოველმხრივ აზვიადებენ და რეკ-
ლამას უკეთებენ მონოპოლისტთა ყურმოკრილი
მსახურნი — თანამედროვე მემაჩვევენი სოცია-



ლისტები. სწორედ მათ შეთხზეს „მესამე ძალის“ თეორია, რომლის მიხედვითაც ბურჟუაზიული სახელმწიფო თურმე ზეკლასობრივია და პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის გამოდის როგორც მესამე ძალა. მემარჯვენე სოციალისტთა მტკიცებით, ბურჟუაზიული სახელმწიფოს დაინწინულება თავიდან აიცილოს კლასობრივი შეჯახება ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, ე. ი. შეასრულოს ბუფერის როლი. ამ „თეორიის“ სიყალბეს მკაფიოდ ადასტურებს ყოველგვარი ბურჟუაზიული სახელმწიფოს პრაქტიკა. მშრომელებმა კარგად იციან, რომ „კეთილდღეობა“, რაზედაც ხმის ჩახლუჩამდე გაპყვირიან ანტიკომუნისმის იდეოლოგები, ფაქტიურად ფინანსური კაპიტალის მესვეურთა კეთილდღეობასა და მშრომელი ადამიანების უკიდურეს სიღატაკე-უუფლებობას ნიშნავს.

მხოლოდ ფარისებრებსა და მხაკვრებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ იმპერიალისტური ქვეყნები წარმოადგენენ „თავისუფალ სამყაროს“. ნამდვილად კი იგი ხალხთა ფართო მასების უუფლებობისა და მონობის, უთანასწორობისა და ექსპლოატაციის სამყაროა, სადაც ერთი მუჭა მილიარდებზე აწიოკებენ და ძარცვვენ მილიონობით მშრომელს.

ანტიკომუნისმის „თეორეტიკოსთა“ თხზულებებში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია ომის პრობლემას. ბურჟუაზიული პუბლიცისტები, ფილოსოფოსები და სოციოლოგები საქვეყნოდ აცხადებენ, რომ ომები ფატალურად გარდუვალია და კაცობრიობას გარდუვალი დაღუპვა მიეღოს. ამ შეთქმულთა ხროვის ძირითადი მიზანია გამართლონ ამერიკელი იმპერიალისტების გაცხოველებული მზადება ახალი ომისათვის. პრავდმზრმის მამამთავარი, ცნობილი რეაქციონერი ფილოსოფოსი ჯონ დიუი არასოდეს არ მალავდა ზიზღს დემოკრატიისა და პროგრესისადმი, ყოველმხრივ ხობტას ასხამდა ომის გამჩაღებელთა აგრესიულობას, როგორც იმ „ღვთაებრივი აქტიურობის“ გამოვლინებას, რომელიც თითქოს ამერიკის ბედ-იბღლის თანამედროვე მესვეურებში ღვივის. ბნელეთის მეორე მოციქული ჯ. პაქსლი ამტკიცებს, რომ თანამედროვე ადამიანის ინსტინქტები არამეტო ამართლებენ ომებს, არამედ მათ უფრო სასტიკია და სისხლისმღვრელს ხდიან. ავითრებს რა საზოგადოებრივი მოვლენების ბიოლოგიზაციის თვალსაზრისს, ეს ცრუმეცნიერთა არმია ცდილობს დაამტკიცოს, რომ არსებობენ ცხოველთა სამყაროსა და ადამიანთა საზოგადოების საერთო, უნდერსალური კანონები, რომ ომი თითქოს ადამიანის ერთგვარი მოჩუბარი ინსტინქტის გამოვლინებაა და რომ ეს ინსტინქტი ვადდის კოლექტიურ სიმულვილში და შემდეგ აგრესიის აქტივ გამოვლინებულ ორგანიზებულ ბრძოლად გარდაიქმნება. ჩვენთვის საკმარის ვასტყობთ ასეთი ყალბი, მიზანტრობული „თეორიის“ მიზანი: მის შემქმნელებს სურთ დაფარონ და შენიღბონ

იმპერიალისტური ომების მტაცებელი რეალური ხასიათი, მაგრამ მუბი ხალთაფუძე იმილება. ახლა ხალხები ნათლად ხედვენ ფილოსოფოსის მანტიამი გამოწყობილ მეკობრეთა ნამდვილ სახეს.

ამ მხრივ დამანასიათებელია თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე რეაქციული მიმართულება — ეგზისტენციალიზმი. იგი გერმანიაში წარმოიშვა XX საუკუნის ოციან წლებში და განსაკუთრებული ინტენსიობით განვითარდა ომისშემდგომ პერიოდში. როგორც ფილოსოფიური მოფლმხედვლობა, იგი ორ მსოფლიო ომში სასტიკად დამარცხებული გერმანიის ბურჟუაზიის სულსკვეთებას ასახავს. უიმედობა და განწირულობა, მიტოვებულობისა და მარტოების მტანჯველი გრძობა, შიში სიკვდილის წინაშე, თრთოლა სამყაროში ყოფნის გამო — აი იდებენ, რომელთაც ქადაგებენ ეგზისტენციალისტები. ამ რეაქციული ფილოსოფიის მთავარი ამოცანა ისაა, რომ გერმანელებს ჩაუნერგოს გარდუვალი დაღუპვის გრძობა, იდეურად მოამზალოს ახალი გამანადგურებელი ომისათვის და ამით შეასრულოს გერმანულ რევანშისტთა სოციალური დაკვეთა.

გასულ წელს რომის პაპმა იოანე XXIII გამოსცა ახალი, რიგით მესამე ენციკლიკა „ღვთადა და წინამძღვარი“ (პირველი ენციკლიკა 1896 წელს გამოსცა პაპმა ლეო XIII, ხოლო მეორე — პაპმა პიუს XI 1931 წელს), რომელიც შეიცავს ეკლესიის სოციალური დოქტრინის ფართო პროპაგანდირების ცდას. მიუხედავად იმისა, რომ ენციკლიკაში სიტყვა „კომუნისმი“ არსად არ გვხვდება, იგი მთლიანად გამსჭვალულია ანტიკომუნისმის სულსკვეთებით და ცდილობს ანტიკომუნისმის შეუქმნას იდეოლოგიური ბაზა. პაპი იოანე XXIII მიზნად ისახავს მოამზადოს „ახალი“ სოციალური პროგრამა, რომელიც თითქოს პასუხს გასცემს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს სოციალურ პრობლემებზე. ენციკლიკაში განხილულია ისეთი პრობლემები, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიური უთანასწორობა (რომელიც თურმე იმპერიალიზმის ეპოქაში კი არ იზრდება, არამედ თანაზრდება), ყვრო საკუთრების ბუნებრივი უფლება, გლეხობის მღვთარაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი დახმარება და, დასასრულ, ომისა და მშვიდობის საკითხი. პაპის მთელი მეცადინეობა იქითყენა მიმართული, რომ ხალხებს ჩაუნერგოს იმპერიალისტთა ქველმოქმედების იმედი. ენციკლიკა მოითხოვს, რომ ყველა სოციალური პრობლემა გადაიჭრას საერთო კეთილდღეობის თვალსაზრისით. „საყოველთაო კეთილდღეობის“ ინტერესებისათვის უნდა მოწყობიგდეს ურთიერთობა მუშებსა და კაპიტალისტებს შორის, კოლონიალიზმის უღონისაგან განთავისუფლებულ ხალხებსა და მათ ყოფილ მჩაგრელებს შორის. ცხადია, რომ ენციკლიკა ყოველმხრივ ჩქმალავს თანამედროვე-



ბის მთავარ სოციალურ პრობლემათა სოციალურ-ეკონომიურ და კლასობრივ შინაარსს, იგი არის შეცვლილი სოციალურ-პოლიტიკური პირობებისადმი ეკლესიის შეგუების მაგალითი. ამით კიდევ ერთხელ ნათლად დასტურდება დიდი ლენინის გენიალური დებულება, რომ რევოლუციას შეუძლია გამოიყენოს სულ უფრო და უფრო მოქნილი და დახვეწილი ფორმები პროლეტარიატისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა წინააღმდეგ. შემთხვევითი როლია, რომ რომის პაპის ახალ ენციკლიკას ყოველმხრივ ხობტას ასხამენ ყველა ჭურის რეაქციონერები და მშრომელთა ინტერესების მოვალატენი. საუკლისხმია, რომ დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობამ მადლობა გამოუცხადა იოანე XXIII ახალი ენციკლიკისათვის.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ მარქსი და ენგელსი წერდნენ: „აჩრდილი დაღის ევროპაში — აჩრდილი კომუნისმისა. ძველი ევროპის ყველა ძალა საღმრთო კავშირში შეერთდა ამ აჩრდილის სადევნელად, პაპი და მეფე, მეტერნები და გიზო, საფრანგეთის რადიკალი და გერმანიის პოლიციელები“ (ე. მარქსი, ფ. ენგელსი — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, 1954 წ., გვ. 35).

თითქმის ანალოგიურ მდგომარეობას ვხვდებით ახლაც. როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაშია აღნიშნული, ანტიკომუნისმის შავი დროშის ქვეშ სხვებთან ერთად დგანან იმპერიალისტი კოლონიზატორები, ადვირახსნილი რასისტები, შოენისტები და ფაშისტები. რეაქციონერთა ამ ხროვის ჰვანაწყვეტა იქითყენა მიმართული, რომ გაანერტონ, შეასუსტონ ხალხის თვლებზე კომუნისტური იდეოლოგიის გავლენა, აქციონ ისინი მსხვილი კაპიტალისტური მონოპოლების კაცთმოძულე პოლიტიკის ბრმა იარაღად. მაგრამ მათი ყოველი ცდა ვანწირულია დასაღუპავად. სოციალიზმის ქვეყნების ვანუხრელი ეკონომიური და კულტურული აღმავლობა, მუშათა კლასის რევოლუციური პრაქტიკის წარმატებანი გამანდგურებულ დარტყმებს აყენებენ რეაქციულ ძალებს, მათ პოლიტიკასა და იდეოლოგიას.

ანტიკომუნისმის იდეოლოგიებს და ბურჟუაზიული კაზიონური ფილოსოფიის ობსკურანტ პროფესორებს მონურად კულში მიჩანალებენ სოციალ-რეფორმისტები და რევიზიონისტები, რომლებიც საბოლოოდ ვანუღვენ რევოლუციურ მეცნიერებას და რეაქციონერთა ბანაკში გადარბადენენ. ეს სოციალ-მოვალატენი ლაქის ერთგულებით ფეხქვეშ ეგებიან დოლარის მესვეურებს და ეძებენ ნასუფრალს, წელზე ფეხს იდგამენ, რათა ასიაოგენონ ბატონებს.

თანამედროვე რევიზიონიზმი თავგამოდებით იბრძვის იმისათვის, რათა მარქსიზმ-ლენინიზმს გამოაცალოს რევოლუციური სული. რევიზიონისტთა თავდასხმის ძირითადი ობიექტია მარქსის-

ტულ-ლენინური მოძღვრება კლასების, კლასობრივი ბრძოლის, პროლეტარიატის კლასტრის, სოციალისტური რევოლუციის, პარტიის ხელმძღვანელი, წარმმართველი როლის შესახებ და სხვ. თანამედროვე რევიზიონიზმი გადაქრით უარყოფს სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნის რევოლუციური გადასვლის ზოგად ობიექტურ კანონზომიერებებს და ყოველმხრივ აზვიადებს ცალკეული ქვეყნების სპეციფიკურ თავისებურებებს, რომელთაც მხოლოდ დაქვემდებარებული და არა განმსაზღვრელი მნიშვნელობა გააჩნიათ. იბრძვიან რა პროლეტარიატის ინქტატურის წინააღმდეგ, კანადელი რევიზიონისტები ამტკიცებენ, რომ იგი კარგია რუსეთისათვის და არ გამოდგება სხვა ქვეყნებისათვის. ამ ამკარად ყალბი დებულების მიზანი ისაა, რომ უარყოს ლენინიზმის საერთაშორისო ხასიათი და გამოაცხადოს იგი წმინდა რუსულ ეროვნულ მოვლენად. ლენინიზმის ამგვარი ყალბი გაგების ცდა თავის დროზე ამხილა და განადგურა ჩვენმა პარტიამ.

რევიზიონისტები და მემარჯვენე სოციალისტები ცდილობენ დასაბუთონ, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლისათვის სრულადაც საჭირო არ არის სოციალისტური რევოლუცია, რომ ეს გადასვლა უნდა განხორციელდეს ე. წ. „წმინდა დემოკრატიის“ გზით. გამოდის, რომ არსებობს სოციალიზმზე გადასვლის მხოლოდ ერთადერთი—პარლამენტური გზა. ეს დებულება თავიდან ბოლომდე მცდარია და ეწინააღმდეგება ისტორიულ ფაქტებს. საზოგადოებრივი განვითარების ისტორიულმა მსვლელობამ, მუშათა კლასის რევოლუციურმა პრაქტიკამ თვალნათლივ დაადასტურა სოციალიზმზე რევოლუციური გადასვლის ფორმათა მრავალგვარობა.

თანამედროვე რევიზიონიზმი ილუქრებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპების წინააღმდეგ, რომლებიც საფუძვლად უდევს სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების ურთიერთობასა და თანამშრომლობას. სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების ურთიერთობა თვისებრივად ახალი ურთიერთობაა, რომლის მსგავსი არ იცის ისტორიაში. იგი არის მეგობრობისა და უნაგვრო თანამშრომლობის ურთიერთობა, რომელიც საცხებოდ უცხოთა კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთობაში. გონებაჩლუნგი მეტაფიზიკოსის სიჭიუტით მოითხოვენ რევიზიონისტები, რომ სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებში ხელი აიღონ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე და თავიანთ ურთიერთობას საფუძვლად დაუდონ მშვიდობიანი თანარსებობის პრინციპი, ე. ი. სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის პრინციპი. მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას რევიზიონისტები იმდენად დაბრმავდნენ, რომ მათ თვალში ყოველგვარი განსხვავება დაკარგა სოციალიზმის ქვეყნებს შორისა და სოციალიზ-

მისა და კაპიტალიზმის ქვეყნებს შორის ურთი-
ერთობებმა.

ბოლშევიკური ინტერნაციონალიზმის პრინ-
ციპების უარყოფით რევიზიონისტები ცდილო-
ბენ ძირი გამოუთხარონ სოციალიზმის ბანაკის
ერთიანობას, დაქსაქსონ და შეასუსტონ მისი ძა-
ლები, შექმნან იმის პირობები, რომ ამ ქვეყნებ-
ის მიმართ იმპერიალისტურ აგრესიას შეეძლოს
გარკვეული წარმატების მოპოვება. სწორედ ამი-
ტომ სკკპ XX ყრილობამ თანამედროვე რევიზი-
ონიზმი დაახასიათა, როგორც ბურჟუაზიის აგე-
ნტურა საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა
მოძრაობაში. რევიზიონისტები კი უტიფრად აც-
ხადებენ, რომ ისინი არა თუ არ შორდებიან მარ-
ქსიზმს, არამედ კიდევ უფრო უახლოვდებიან
მას. მაგრამ ვ. ი. ლენინის გამოთქმას თუ ვიხ-
მართ, ისინი ისე უახლოვდებიან მარქსიზმს,
„...როგორც ბისმარკი მუშათა მოძრაობას უახ-
ლოვდებოდა, ან ეპისკოპოსი ევლოგი — დემო-
კრატიზმს“ (თხზ., ტ. 14, გვ. 168).

მომე კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა
თავიანთ რიგებში ამხილეს, დაგმეს და იდეურად
გაანადგურეს თანამედროვე რევიზიონიზმი, რო-
გორც მარქსიზმ-ლენინიზმისადმი მტრული მიმ-

დინარეობა, ფარდა ახადეს და მთელ მსოფლიოში
დაანახეს მისი ნამდვილი სახე. მაგრამ რევიზი-
ონიზმი ჯერ კიდევ ცოცხლობს, იგი უცდის მარ-
ჯვე მომენტს, რომ კვლავ წამოყოს თავი და და-
ანთხიოს ახალი გესლი. ამიტომ ბურჟუაზიული
და რეფორმისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ
ბრძოლა პარტიას პირველხარისხოვან და გადა-
უღებელ ამოცანად მიაჩნია.

ეხებოდა რა პარტიის იდეოლოგიური მუშაო-
ბის მთავარ ამოცანებს, სკკპ XXII ყრილობაზე
ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა:

„მარქსის, ენგელსის, ლენინის დიადი მოძღვ-
რება ჩვენთვის ყოველთვის იყო და დარჩება
მოქმედების სახელმძღვანელოდ. პარტია კვლავ
მალა დაიჭერს და წმინდად შეინახავს მარ-
ქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე დროშას, გადა-
ქრით ალგვის თავისი გზიდან რევიზიონისტებსა
და სხვა რენეგატებს, რომლებიც კომუნისტური
თეორიის „განვითარების“ მარკით ცდილობენ
დაამახინჯონ იგი, გამოაცალონ მას რევოლუცი-
ური პრინციპები“ (ნ. ს. ხრუშჩოვი, სკკპ ცენტ-
რალური კომიტეტის ანგარიში პარტიის XXII
ყრილობას).



ალექსანდრე ჩავჭავჭავაძის

ვამეხ გვიჩვენებდა ჩვენს პარტიის სპირიტუალური

ცნობილი ქართველი მწერალი შალვა დადიანი ერთ თავის კერძო ბარათში შეკითხვაზე, თუ ვინ გამოიყენა პროტოტიპად „გვირგვინიანების ოჯახში“ წერდა: „ნექტარინა, მაგალითად, ერთი რომელიმე კენინიდან არ არის აღებული, არამედ ესეც შემკრებლობითი სახეა. ამისთანები იყვნენ ერთ დროს. აგრეთვე ბარამი, ბეგი, გლეხებიც. ეს სუყველა ჩემი ნაცნობებია, მხოლოდ მათგან მაქვს ნახსენები სხვადასხვა მხარე მათი მეობისა. ფოტოგრაფია კი არც ერთისა არ არის. ვამეხი? ამისთანა ინტელიგენტები იყვნენ 70-თე წლების თაობაში და მათ მიიღწიეს (ზოგიერთმა) რევოლუციამდე. ისე კი ვამეხის ბიოგრაფიამ შეიძლება მოგვაგონოს თავის დროზე კარგად ცნობილი პუბლიცისტი დავით ჩქოტუა, მაგრამ პირდაპირ დავითი მაინც არ არის“ (იხ. „ლიტერატურული აპარატი“, 1961 წ., № 1). აქ გამოთქმული აზრების ყოველმხრივი ანალიზი არ შეადგენს ჩვენს ამოცანას. გვსურს მხოლოდ ვამეხ გვირგვინიანი შევადაროთ მის პროტოტიპს დავით ჩქოტუას და გავარკვიოთ — რაში მოგვაგონებს იგი ამ ცნობილ ქართველ ინტელიგენტს და რატომ არ არის იგი პირდაპირ დავითი.

რომანის მიხედვით, ვამეხ გვირგვინიანი ყოფილი კატორღელია. ამას გვებუღობთ გუტატის სიტყვებიდან:

„ვეტიხიმ მაშინვე იკითხა იმ სერთუკოსანის ვინაობა, რომელმაც მათ თავი დაუკრა.

გუტატიმ უპასუხა:

- როგორ? არ იცნობ? ეს ვამეხია.
- ვამეხი? კატორღელი?
- ჰო, იყო კატორღაშიც, მაგრამ ჩვენში მანც მიჩნეული კაცია“.

უფრო ზუსტად იქვეა მითითებული, რომ ვა-

მეხს „ალექსანდრე II დროს 20 წლის კატორღა მიესაჯა და მხოლოდ ნიკოლოზ II ხანაში დაბრუნდა სამშობლოში, დაბრუნდა როგორც ღირსებახდილი და მამულჩამორთმეული ადამიანი“. რომანში იმაზეც არის მითითებული, თუ რა იყო ვამეხის კატორღაში გაგზავნის მიზეზი. ერთი მოქმედი პირი გაკვირვებას გამოთქვამს, ასეთი კარგი კაცი კინალამ დალუპეს კატორღაშიო.

„— არ იცი? — აუხსნა მეორემ, — ერთდროს ვილაცა დიდი კაცის ქალი მოუკლავს, სიყვარულის გამო შემოკვდომია.

— აჰ, — გამოეცხლა მესამე, — ქალი კი არა რუს ხელმწიფეს დაუწყო თურმე ჰიდილი და იმითმ გააციმბირეს“.

აქ ორი მიზეზია დასახელებული: ერთია ქალის მოკვლა სიყვარულის ნიადაგზე და მეორე — თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა. შემდეგ ირკვევა, რომ ქალის სიკვდილი მართლაც გამხდარა ვამეხის გადასახლების საბაბი, მაგრამ ისიც ნათლად ჩანს, რომ ნამდვილად მას კი არ მოუკლავს, მისთვის დაუწამებიათ ქალის მკვლელობა:

„ვამეხს გაახსენდა ბრწყინვალედ დაწყებული მისი სიკაბუჯე. შემდეგ უდანაშაულოდ დასჯა და ისიც არა რაიმე იდეისათვის, არამედ ქალის შეწამებულ მკვლელობისათვის. შემდეგ ციმბირი, კატორღა, იქ გატარებული მთელი ოცი წელიწადი“.

აი ყოველივე ის, რაც ნათქვამია ვამეხის წარსულის შესახებ. ავტორი დაწვრილებით არ მოგვითხრობს მის უდანაშაულო დასჯაზე, არც იმას ამბობს, თუ ვინ იყო ის ქალი, რომლის მოკვლაც დააბრალეს ვამეხს. გვერდი აქვს ავილილი ვამეხ გვირგვინიანის გასამართლების ის-



ტორიას და ა. შ. მიუხედავად ამისა, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ამ მხრივ ვამეხის ბიოგრაფია მოგვაგონებს პეტლიცისტ დავით ჩქოტუას თავგადასავალს.

დავით ჩქოტუას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან გამოჩენილი მეცნიერი აკად. ს. ჯანაშია და სოლ. ცაიშვილი.²

დავით ზურაბის-ძე ჩქოტუა თავადი ყოფილა. დაბადებულია იგი 1849 წელს; მიუღია საშუალო განათლება და შესულა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, რადგან მამინ საერთოდ მეტი მისწრაფება იყო პოზიტიური მეცნიერებისაკენ. 1875 წელს უნდა დაემთავრებინა აღნიშნული ფაკულტეტი, მაგრამ უკანასკნელ საგანში გამოცდა ვერ ჩაუბარებია, გამოცდა შემდეგი წლისათვის გადაუდვია და სამშობლოში დაბრუნებულია. სწორედ ამ დროს ცნობილმა პოეტმა და დრამატურგმა გიორგი შარვაშიძემ მას შესთავაზა შარვაშიძისეული მამულების მმართველობა. ეს მამულები აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობდა და, თუ კი დ. ჩქოტუა ამ საქმეს იყისებოდა, მას შესაძლებლობა მიეცემოდა თბილისში ეცხოვრა და საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა მიეღო. დავით ჩქოტუა სიამოვნებით დათანხმდა მეგობრის წინადადებაზე და საცხოვრებლად თბილისში გადაიწვია.

დ. ჩქოტუა გიორგი შარვაშიძის ბინაზე ცხოვრობდა. იქვე იმყოფებოდა ახალგაზრდა ვასთხოვარი ქალი, გიორგი შარვაშიძის ცოლისდა ნინო ანდრეევსკაია. 1876 წლის 22 ივლისს ნინო საღდაც ისე გაქრა, რომ მის კვალს ვერსად მიაგნეს. მეორე დღეს მეთევზეებმა იგი მტკვარში იპოვეს. პირველად ფიქრობდნენ, რომ ნინო ანდრეევსკაია დაიხრჩო შემთხვევით, მტკვარში ბანაობის დროს, მაგრამ შემდეგ მკვლელობა დააბრალებს მოურავ დავით ჩქოტუას. მოკვლის მიზეზად ის დაასახელეს, რომ ნინო თითქოს არ ენდობოდა დ. ჩქოტუას როგორც მმართველს და ამის გამო მოურავმა შური იძიაო. დ. ჩქოტუა გასამართლეს და მიუსაჯეს ოცი წლის კატორღა. 1878 წელს საქმე ხელახლა გადაისწავა თბილისის სასამართლო პალატაში. დ. ჩქოტუას იცა-

ვდა ცნობილი ადვოკატი ვ. პასსოვიჩი, მაგრამ უმადლესმა სასამართლომ განაჩენი ძალაში გამოიტყვეს ტოვა. დ. ჩქოტუამ ოცდაშვიდი წელი დაჰყო კატორღაში და 1905 წელს დაბრუნდა საქართველოში.

შალვა დადიანი გვიხატავს ვამეხის ცხოვრებას გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, მაგრამ მისი ბიოგრაფიის ნაწილი, რომელიც გასამართლებასა და კატორღას მოიცავს, მთლიანად ემთხვევა დ. ჩქოტუას თავგადასავალს. ამ მხრივ დ. ჩქოტუა უდავოდ ვამეხ გვირგვლიანის პროტოტიპია. შ. დადიანის თქმით, ვამეხი დაიხრჩო „ქალის შეწამებულ მკვლელობისათვის“, ე. ი. ვამეხს ქალი ნამდვილად არ მოუყვავს, მაგრამ სასამართლომ დ. ჩქოტუა ხომ დამნაშავედ სცნო? გამოდის, რომ ამ მხრივ იგი აღარ გამოდგება ვამეხ გვირგვლიანის პროტოტიპად. მაგრამ თუ კარგად ჩავუყვირდებით, დ. ჩქოტუა ვამეხით უდანაშაულოდ ტანჯული პიროვნებაა. დამცველმა ვ. პასსოვიჩმა და ექსპერტმა ი. სოროკინმა ზუსტად გამოარკვიეს, რომ „ანდრეევსკაიას მკვლელობაში არავითარი მონაწილეობა არ აქვს მიღებული დ. ჩქოტუას და არც შეიძლება მიეღო, რადგან ქალიშვილი საღამოს 9 საათზე მტკვარში ჩვეულებრივ ბანაობის დროს დაიხრჩო, მისი ტანისამოსი ერთი-მეორეზე თანმიმდევრულად დალაგებული იქვე დარჩა, სადაც პირველად გაიხადა, ხოლო თვითონ ტალღებისაგან გატაცებული და დამხრჩვალა ყარაიბის მიდამოებში გარდაიცვალა ადრედღამე მდინარეში მეორე დღეს“ (იხ. სოლ. ცაიშვილის დასახ. ნაშრ., გვ. 119). მიუხედავად ამისა, დ. ჩქოტუა მაინც დამნაშავედ ცნეს. რატომ? ამაზე ამომწურავ პასუხს იძლევა აკად. ს. ჯანაშია ზემოთ დასახელებულ გამოკვლევაში.

როგორც ირკვევა, მთელი საქმე ტენდენციურად იყო შეთითხნული მეფის სატრაპების მიერ: „განაჩენი არსებითად მიმართული იყო გიორგი შარვაშიძის წინააღმდეგ. საქმის მთავარ სულისჩამდგმელს, კავკასიის მაშინდელ მეფისნაცვალს დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის-ძეს ამისათვის საფუძველი გააჩნდა. ეს მან მოაშორა ხელი-სუფლებას და რუსეთში გადაასახლა გიორგის მამა მიხეილ შარვაშიძე, რომელიც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა და იქვე გარდაიცვალა. მანვე დიდი სისასტიკით დათრგუნა აფხაზეთის სახალხო აჯანყება, რომელიც მიმართული იყო ახლად შემოღებულ რუსული მმართველობის წინააღმდეგ. როგორც

1 С. Н. Джанашиа, Давид Чхотуа и его очерки о поэме Руставели. (Сборник Руставели к 750-летию «Вепхისტкаосანი», 1938 г.).

2 სოლომონ ცაიშვილი, დავით ჩქოტუა (იხ. ლიტერატურული აღმანახი, წიგნი VI, 1953 წ., სუხუმი).

3 იხ. Судебные речи известных русских юристов, 1958 г. გვ. 586—652.

ცნობილია. აჯანყებულებმა აფხაზეთის მთავრად გიორგი შარვაშიძე გამოაცხადეს. ამის საპასუხოდ იყო, რომ მეფისნაცვლის განკარგულებით აფხაზეთის ყოფილ მთავარს წაერთვა მთელი ქონება და უფლებები. ამიტომ ცხადია, რომ მიხეილ ნიკოლოზის-გი გიორგი შარვაშიძეში ხედავდა მტერს. რადგან ნ. ანდრეევსკია დაიღუპა შარვაშიძის სახლში, სადაც იმ დროს მმართველად იყო დავით ჩხობტუა (შარვაშიძის ძეძუმტე და ახლობელი ადამიანი), ამიტომ „დაწამაულის“ ობიექტური პირობები ცრუმომწივებისა და პოლიციის მიერ დასურათხატებული „სახეზე“ იყო“ (გვ. 200). მაშასადამე, დ. ჩქობტუას ნ. ანდრეევსკიას სიკვდილი განგებ შესწამეს, დაბრარულეს, ისევე როგორც ვამეხ გვირგვინიანს. ამ მხრივ დავით ჩქობტუა ვამეხის პროტოტიპად უნდა ჩათვალოს.

ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა შ. დადიანს უფრო ფართოდ ეჩვენებინა ვამეხ გვირგვინიანის ცხოვრების ეს მხარე, რაც საშუალებას მისცემდა ავტორს ემხილებინა თვითმპყრობელობის ვერაუღლი კოლონიზატორული პოლიტიკა საქართველოში.

ვამეხ გვირგვინიანის საქმიანობასა და მისწრაფებებში კიდევ შეიძინევა ზოგიერთი ისეთი ნიშან-თვისება, რომლებიც მოკვავაგონებენ დ. ჩქობტუას პიროვნებას. ჩვენ მხოლოდ ორ მათგანზე შეგჩერდებით. ვამეხს ძალზე აინტერესებს საქართველოს ძვირფასი მადნეულის დამუშავება. ამას მოითხოვდა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების შეუნელებელი წინსვლა. ეს აზრი ნათლად და გარკვევით გამოთქვა მან ვოლკოვთან საუბარში:

— თქვენ ძალიან კარგად გინებებიათ, ჩვენი ქვეყნისათვის მიგოქცევაით ყურადღება. ამ დიდებულ მთებს სწორედ სჭირდება ოსტატის ხელი, რომ მათი გული ფართოდ გაიღოს და მისი საგანძურის სასარგებლო სიუხვე მოფინოს კაცობრიობას...

— კაცობრიობას? — დაცინვით ჩაურთო ვოლკოვმა.

— დაიხ, კაცობრიობას, რადგანაც ჩვენში არის ისეთი ვანიც, ისეთი მადნეულიც, რომელიც მსოფლიო ბაზარზე პირველობას მოიპოვებს.

ვოლკოვმა ირონიულად ჩაიქრქილა.

ვამეხმა ერთი აღმაცერად ახედა ზურგს უკან და ასე მოახსენა:

— მე მართალს მოგახსენებთ. თქვენ იქნებ გგონიათ, რომ საქართველოს მარგანეცის მტრ არაფერი გაჩნია, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ჩვენში უხვად არის ვანელი თუთია, რკინა, სპილენძი. ნახშირი, მოლიბდენი, ოქრო და სხვა ძვირფასი მადნეული“.

ვამეხის ეს მისწრაფება მოკვავაგონებს დ. ჩქო-

ტუას ანალოგიურ მოქმედებას. ცნობილია, რომ დ. ჩქობტუა პრესის საშუალებით ენერგულად იბრძოდა საქართველოს მადნეულის აღმოჩენა-ექსპლოატაციისათვის. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მისი სტატია „ტყიბულის თაობაზე“. აქ იგი ილაშქრებს ქართულ მემაღულეთა „იმ უგუნური მოქმედების წინააღმდეგ, რომელთაც დაუწყიათ ქვანახშირიანი ადგილების მიყიდვა უცხოელებზე...“ ავტორი ამავე სტატიაში მოითხოვს სათანადო ზომების მიღებას, რათა ეგ სიმდიდრე უცხოელებს არ ჩაუვარდეს ხელში და ამასთანავე სვამს საყთხს, რომ მისი ექსპლოატაციისათვის „აუცილებელია რკინიგზის ტყიბულამდე გაყვანა“ (სოლ. ცაიშვილის დასახ. შრომა, გვ. 122).

აქედან ნათლად ჩანს, რომ ვამეხისა და დავითის მიზანდასახულობანი ზუსტად ერთნაირია. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ დ. ჩქობტუა ამ საქმის მოსაგვარებლად ზრუნავდა გადასახლებამდე (წერილი დაბეჭდილია 1871 წელს გაზეთ „დროებაში“), ხოლო ვამეხი ამ საკითხებით დაინტერესებულა გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ. მაგრამ ეს ქრონოლოგიური აღრევა მეტად უმნიშვნელოა, ავტორს ჰქონდა ამის უფლება, მით უმეტეს, რომ ამით არ დარღვეულა პროტოტიპის ხასიათის მთლიანობა.

რომანში ნათლად ჩანს, რომ ვამეხი აქტიურად იბრძვის სწავლა-განათლების გავრცელებისათვის. დავით ჩქობტუა დაუღალავად ზრუნავდა საქართველოში სწავლა-განათლების აყვავებისათვის. ამის კონკრეტული მაგალითები მოცემულია დასახელებულ წყაროებში.

ახლა იმის შესახებ, თუ რატომ არ არის ვამეხ გვირგვინიანი პირდაპირ დავით ჩქობტუა, რადგანასხვავებს მათ ერთმანეთისაგან. მხატვრულ ნაწარმოებში ტიპი არ შეიძლება ზუსტად დაემთხვეს პროტოტიპს. წინააღმდეგ შემთხვევაში ტიპი ფოტოგრაფიული სურათი იქნებოდა თავისი პროტოტიპისა და არა შემოქმედებითი ვანზოგადების შედეგად მიღებული მხატვრული სახე.

მოვიყვანოთ ზოგიერთი განმასხვავებელი ნიშან-თვისება:

1. როგორც ვთქვით, ავტორს რომანში შემოკვავეს კატორიდან დაბრუნებული ვამეხი, რომელსაც ავტორი ასე ახასიათებს: „სახეზე უკვე იტყობა ერთგვარი სევდის თუ წუთისოფლის უმაღურობის კვალ, მაგრამ ისიც იტყობა, რომ იგი ტანჯვას ვერ მოუტენსია. სხეულებრივადც ემჩნევა ჭანხალი არის: კარგა ჩასხმული, ტანმკვირივი კაცი, მოკლე, კოხტად შეგრეპილი შავი წვერ-ულვაში მის დაუბერებლობას ამუღავნებს... არ დავარდნილა და თავის ფარეზობაც არ უკუუღღია“ (ხაზგასმა ჩემია — ა. ჩ.). ბიოგრაფები კი ასე არ ახასიათებენ გადასახლებიდან დაბრუნ-

ნებულ დ. ჩქოტუას: „დავით ჩქოტუა, — წერს სოლ. ცაიშვილი, — 27 წლის განმავლობაში ჩიტას გუბერნიაში საკატორღო სამუშაოებს ასრულებდა... 1905 წელს, 56 წლისა, 90 წიხას დამსგავსებოდა, დაბერებულყო, სევდისაგან სახე-დაღარული, ცხოვრებაზე ხელჩაქნეული და ჯანგატეხილი დავითი სამშობლოში დაბრუნდა. მაგრამ სად იყო უკვე ის ძალა და ენთუზიაზმი, რითაც მან დაიწყო წერა 1870 წელს გაზეთ „დროებაში“, ან ის უშრეტელი ენერჯია და შრომის უნარი, რომლის მოხმარებას ის თავის სამშობლოს ჰპირდებოდა“ (გვ. 120. ხაზგასმა ჩვენია — ა. ჩ.). მაშასადამე, ავტორს გადასახლებიდან დაბრუნებულ ვამეხისათვის ისეთი რამე მიუწერია, რაც მის პროტოტიპს — დ. ჩქოტუას გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ აღარ გააჩნდა. ეს, ალბათ, პერსონაჟის ხასიათის მთლიანობისა და მისი ამდღებულად დახატვის მოთხოვნისგან აიხსნება.

2. ავტორს ვამეხი იმდენად მხნედ და ჯანმავარ პიროვნებად ჰყავს წარმოდგენილი, რომ მას ბურთაობაშიც კი მიაღებინა მონაწილეობა: „მალე ვამეხი მოვიდა და მობურთალებში გაერთიანდა... სერთუკვანდელი ვამეხი, ბურთს ჩაივლებდა ხელში თუ არა, ზუსტად მოწინააღმდეგის

ლელოსკენ გააქანებდა, მაგრამ საპასუხოდ ახელგაზრდებსაც გაჰქონდათ ლელო ვამეხის წინააღმდეგ“ (გვ. 206). რასაკვირველია, მწელი წარმოვიდგინოთ, რომ „90 წლისას დამსგავსებული, ცხოვრებაზე ხელჩაქნეული და ჯანგატეხილი დავითი“ ასეთი ენერჯიით ითამაშებდა ბურთს. ამიტომაც ვამეხი პირდაპირ დავითა მაინც არ არის.

3. დავით ჩქოტუას ბიოგრაფიასთან შედარებით გაზვიადებულად ჩანს ვამეხის რომანული ურთიერთობა ბაბო გავლენიშვილთან.

შეიძლებოდა კიდევ სხვა მაგალითების მოტანა, მაგრამ ამ მცირე მიმოხილვიდანაც ცხადად ჩანს, რომ საესებით სარწმუნოდ უნდა მივიღოთ შალვა დადიანის სიტყვები: „ვამეხის ბიოგრაფიაში შეიძლება მოგვაგონოს თავის დროზე კარგად ცნობილი პუბლიცისტი დავით ჩქოტუა, მაგრამ პირდაპირ დავითი მაინც არ არის“.

ასევე ითქმის ამ რომანის სხვა პერსონაჟების შესახებაც. ისინი, დიდი მწერლის მადლიანი კალმით ხორცშესხმულნი, ცხოვრებიდან აღებული და მსატკრულად განზოგადებული ტიპები არიან. ამიტომ არის, რომ „გვირგვინიანების ოჯახი“ ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო შენაძენი გახდა.





პედაგოგიკის სიმბოლოსე

პედაგოგიკის სიმბოლოსის ერთი დანაწილი „მე და ლამე“ გეგმა

იყო დრო, როცა ზოგიერთი კრიტიკოსი ქართული საბჭოთა პედაგოგიის კლასიკოსის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების პირველ პერიოდში სიმბოლოსის ძლიერ ნაკადს ხედავდა, მაგრამ თანამედროვე კრიტიკული ლიტერატურის საფუძვლიანი გაცნობა გვარწმუნებს, რომ დღეს ამ შეხედულებას მომხრეები თითქმის შემოეცალა და დიდი ქართველი პოეტი არავის არ მიაჩნია სიმბოლოსტური სკოლის „წმინდა“ წარმომადგენლად. აკად. გ. ჯიბლაძის აზრით, „ვერაინ ვერ უარყოფს, რომ გ. ტაბიძის ადრინდელ პედაგოგიაში რეალიზმსაც ვეარაუდობთ, სინამდვილის რომანტიკულ წარმოსახვასაც, ერთ დროს პოეტი სიმბოლოსის ხარკს უხდიდა, მაგრამ ყველა სხვა „იზმთან“, გარდა სოციალისტური რეალიზმისა, რომელიც კლასიკური კრიტიკული რეალიზმის ბუნებრივი მემკვიდრეა, მას არავითარი ორგანული საერთო, არავითარი ნათესაური არ ჰქონია, და ამიტომ მისთვის არასოდეს ბოლომდე მისაღები არ ყოფილა არც ფორმალში და აქედან გამომდინარე არცერთი მისი განსტობება“.¹

როგორც ვხედავთ, აკად. გ. ჯიბლაძემ გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლოსტობა მხოლოდ უბრალო „ხარკის გაღებით“ განსაზღვრა, ხოლო პროფ. დ. ბენაშვილმა ახლანაირი გამოცემულ წიგნში გადაჭრით უარყო სალიტერატურო კრიტიკაში წინათ ვაგრცელებული აზრი დიდი ქართველი პოეტის რაიმე თვალსაჩინო კავშირის შესახებ სიმბოლოსტობასთან, სიმბოლოსტურ მიმდინარეობასთან: „გ. ტაბიძის რევოლუციამდელი პედაგოგია

არის გაცნობიერებული სინამდვილის მხატვრული აღბეჭდვა, რომლის ლეიტმოტივი იყო რევოლუციის დამარცხებით წარმოშობილი საზოგადოებრივი სევდა. აქედან ცხადია, რომ გალაკტიონის სევდიანსა და ნაღვლიან კილოს არაფერი არა აქვს საერთო სიმბოლოსტების ამოცხების სევდასთან, ამიტომ გალაკტიონის შემოქმედების პირველი პერიოდის ხელაღებით გადავდება სიმბოლოსის ბანაკში ჩვენი ლიტერატურათმცოდნეების მიუტევებელი შეცდომა იყო“.²

აღძრული პრობლემის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს თვითონ გალაკტიონ ტაბიძის საარქივო მასალებს, რომლებიც ამ ბოლო ხანებში ვახდა ცნობილი. ისინი გამოაქვეყნა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ი. ლორთქიფანიძემ ვაზუთ „სოფლის ცხოვრების“ ფურცლებზე. კერძოდ, ჩვენ მეტად საინტერესოდ მიგვაჩნია პოეტის შემდეგი ჩანაწერი: „ჩემი მეორე წიგნის სახელწოდებაც კი ირონიულია — „თავის ქალა არტისტული ყვაილებით“. იგულისხმება თავის ქალა (სიკვდილი), არტისტული ყვაილები (ხელოვნება) — ე. ი. სიყვდილი და ხელოვნება. რომელმა უნდა გაიმარჯვოს? რა თქმა უნდა ხელოვნებამ!“.³

აქ, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. ის, ვინც სიკვდილზე ხელოვნების გამარჯვებას ქადაგებს, არ შეიძლება იყოს სიმბოლოსტობის, როგორც მსოფლმხედველობის და ლიტერატურული მიმდინარეობის მიმდევარი. მართლაც,

2 დ. ბენაშვილი, „გალაკტიონ ტაბიძე. კოლაუნილირაქი“, 1961 წ., გვ. 23.

3 ვაზ. „სოფლის ცხოვრება“, № 64, 1962 წ.

1 გ. ჯიბლაძე, „კრიტიკული ეტიუდები“, წიგნი III, 1959 წ., გვ. 10.



რა შეიძლება ჰქონდეს საერთო გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას და ცემულობის გამოხატველ სიმბოლისტურ-დეკადენტურ პოეზიასთან? ვ. ტაბიძე ხომ არასოდეს არ დასულა დეკადენტობამდე და არასოდეს არ უჭადავია „წმინდა“ ხელოვნების პრინციპები, ავადმოფთვრი ვროტიკა, დაცემულობისა და სიმბანიჯის კულტი? პოეტი სიმბოლისტების დევიზს „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“ ყოველთვის უპირისპირებდა თავის საკუთარ დევიზს „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. რითაც იგი ვადპირით ებრძოდა ბუნდოვანი, გაუყვებარი სიმბოლოების გაბატონებას; აზრს მოწყვეტილი „მუსიკის“ დაჯანგებას, მუდამ წინ წამოსწევდა სიტყვისა და აზრის სიდიადეს. გალაკტიონ ტაბიძეს არსად არ უღიღებია უშინაარსო პოეზია და ყოველ ლექსში გარკვეულ აზრს, იდეას ავითარებდა. ასეა „მე და ლამეზიცი“, რომელსაც სულ უკანასკნელ დრომდე ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა სრულიად უსაფუძვლოდ სთვლიდა სიმბოლისტურ-დეკადენტური განწყობილების გამოხატველ. ე. ი. ანტირეალისტურ ნაწარმოებად.

მართალია, რომანტიკულ-სიმბოლისტური აქსესუარის გამო „მე და ლამე“ შეიძლება ანტირეალისტურ ნაწარმოებად მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, ვარაუდულად. თუ კარგად დავაკვირდებით ლექსის შინაარსს, მთლიანობაში აღებულს, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ იგი რეალისტური ნაწარმოებია, რომელშიც საკმაოდ ნათლად ჩანს რევოლუციური იდეები. სხვას რომ თავი დაეანებოთ, ხომ უნდა ვერწმუნოთ თვით პოეტის ვულწრველ სიტყვას, რომელიც მან 1956 წლის 20 აპრილს წარმოთქვა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას და რომლის ავტორთან შეთანხმებული სტენოგრაფიული ჩანაწერი დოც. ავ. თოფურია გამოაქვეყნა: „ეს იყო ახალგაზრდობის წლებში. ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ერთი ჩემი ახლო მეგობარი რევოლუციონერი იჯდა. მე და ჩემ ამხანაგს დავალებული გვექონდა მიგველო მისგან საიდუმლო ნიშანი. წინასწარ ვაფრთხილებული ვიყავით, რომ ის ციხის ზედა საკნიდან ქუჩისაკენ, სადაც ჩვენ უნდა ვყოფილიყავით, პურის ცომისაგან მოხელოდ გურის ვადმოავდებდა, რომელშიც პატარა წერილი უნდა ყოფილიყო მოთავსებული. და აი ერთ საღამოაჟმს დავიწყეთ სეირნობა ციხის გალავნის ირგვლივ, დათქმულ ქუჩაზე. დიდხანს მოგვიხდა სიარული და ლოდინი. ეტყობოდა ხელსაყრელ დროს ექედდა. ბოლოს ჩემთან ახლოს დაეცა პურის გუნდა, მაგრამ იქვე ჩვენდა შეუძინველად ძალღი ყოფილიყო და უცებ ეცა მას. მეც ელვისებური სისწრაფით ვეცე ძალს და სანამ პირში ჩაიდებდა პურის გუნდას, ციხეებიდან გამოვვლიყვ. უმაღლესიხე. შუგ მართლაც ბარათი იყო, რომელშიც ეწერა: „იარალი შემოვგვიგზავნეთ“. მე ეს საიდუმლოდ შევიანხე. აი

ამ ამბავმა მომცა ბიძგი ღამეწერა ლექსი „მე და ლამე“.

ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ პოეტს ლექსი „მე და ლამე“ კონკრეტული ფაქტის გამო დაუწერია. ნამდვილი ამბავი განუზოვადებია, რათა რევოლუციური იდეები ექადავა. ალბათ, შემოგვედაევიბან, თუ ასეა, რით აისხნება ლექსის სევდიანი ინტონაცია? რად დასჭირდა პოეტს ნამდვილი ამბავი რომანტიკულ-სიმბოლისტურ სამოსელში გახეხვა?

როგორც ახლა საბოლოოდ დადგენილია, გალაკტიონმა „მე და ლამე“ დაწერა 1912 წელს, ე. ი. მაშინ, როცა ჯერ კიდევ მძვინვარებდა რევოლუციური ცენზურა, რომელიც მეცარად დევნიდა ყოველგვარ პროგრესულ აზრს. აი ამიტომ პოეტმა რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის დამარცხებით აღძრული სედა-მუხახარება ცენზურის თვალის ასახვევად ფარული, ალექსანდრის ხერხებით გამოხატა, რისთვისაც მან სიმბოლისტური ლექსიცა გამოიყენა.

ზემოთ თქმულის დასადასტურებლად მივმართეთ „მე და ლამის“ ტექსტს:

ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება,
სიო სარკმლით მონაქროლი, ველთა
ზღაპარს მეუბნება.
მთვარით ნაფენს არემარე ვერ იცილებს
ვერცხლის საბანს,
სიო არხვეს და ატოკებს ჩემს სარკმლის
წინ იასამანს.
ცა მტრედისფერ ლურჯ სვეტებით ისე არის
დასერილი,
ისე არის სავსე გრძნობით, ვით რითმებით
ეს წერილი.
საიდუმლო შუქით არე ისე არის
შესუდრული,
ისე სახეს უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს
ჩემი გული.

ამ ნაწყვეტში მართლაც ვხვდებოდა სიმბოლისტების პოეტური სავანტურისათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები (ლურჯი სვეტებით დასერილი მტრედისფერი ცა, მთვარით ნაფენი ვერცხლის საბანი, საიდუმლო შუქით შესუდრული არე), მაგრამ ისინი ლექსის მხოლოდ მხატვრული სამკაულებია. მასში არსად ჩანს მისტიკა, ორულები, მისწრაფება საიდუმლოებით მოცული მხარისაკენ. გალაკტიონი რეალურ სულიერ განცდებს ვადმოვცემს და არ სულიდება მიწას, სინამდვილეს. ხალხის ბედით სულდამძიმებულ პოეტს რომანტიკული ელფებით წარმოუდგებია მომავალი, რომელიც შორს აღარაა, რადგან „შუაღამე იწვის, დნება“, ე. ი. განთიადი, დღია მოდის. ამავე დროს მგოსანს ბუნება დაფიქრებულ ეჩვენება, თითქოს რაღაც

4 ავ. თოფურია, „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდია“, 1959 წ., გვ. 278.

ღრმა საიდუმლოს ინახავსო, და ამ ფონზე გად-
მოგვეცემს თავის ვანცლებს:

დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად
გულში დავატარებ,
არ ვუმეღავენებ ქვეყნად არვის, ნიავსაც
კი არ ვეკარებ.
რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს
იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ
შენახული.

დღეს უკვე ცნობილია ეს „საიდუმლო“ — იგი
რევოლუციური, მებრძოლი აზრებია, რომლებიც
პოეტს ვერ გაუმეღავენებია. აშკარად ვერ გამო-
უთქვამს ცარიზმის რეჟიმისა და სასტიკი ცენ-
ზურის გამო. ამიტომ იგი იძულებულია გულის
სიღრმეში შეინახოს „საიდუმლო“. ეს არის მი-
სი სევდისა და ნაღველის მიზეზი. მაგრამ, მიუ-
ხედავად ამისა, პოეტი არ დადის დეკადენტობა-
მდე, არ ქადაგებს პესნიზმს ან ბოჰემს. პირი-
ქით, ლექსის უკანასკნელი, დასკვნითი ორი
სტროფი ოპტიმიზმის ნაპერწკლებითაა აღსავსე
და ისინი ბართაშვილისებურად მოუწოდებს
ადამიანს სამოქმედოდ. საბრძოლველად:

ვერ მომბარავს ბნელ გულის ფიქრს წუთი
წუთზე უამისი.
საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხვეწნა
და აღერსი.
ვერც ძილის დროს ნელი ოხვრა და ვერც
თასი ღვინით საესე,
ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელ
სიღრმეში მოვათავსე.
მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს
სარკმელში მოკაჟამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თერთმ
ღამემ.
იცის როგორ დავრჩი ოზლად, როგორ ვევენ
და ვეწამე,
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე! მე და ღამე,
მე და ღამე!

განა ეს სტრიქონები დაცემულობას გამოხა-
ტავენ? განა აშკარა არ არის, რომ „თეთრი და-
შე“ უძილოდ გატარებული ცხოვრებაა, რომელ-
მაც ერთადერთმა იცის პოეტის საიდუმლო?
ცხადია, მგოსანმა აქ აღევლინა გამოიყენა მე-
ტაფორული სახით, რომელშიც რეალური ვან-
ცლები განახლებულია. არ შეიძლება „მე და ღამე“

შეგხედოთ მარტივად, გაუბრალოებულად მხრე-
მხრე, იგი მივიჩნით ვალაკტიონის პოეზიის
შედევრად. ხოლო მეორე მხრე, სიმბოლისტურ-
დეკადენტური განწყობილების გამომხატველ
ნაწარმოებად. საჭიროა ღრმად ჩავწვდეთ არა
მარტო ცალკეულ დეტალებს, არამედ მთლიან-
ად ლექსის აზრს, შინაარსს, ნაწარმოები აღვი-
ქვით მთლიანობაში. მხოლოდ იმით, რომ ღამე-
ტი ღამეს ესაუბრება და ღამე მიაჩნია გულის
მესაიდუმმედ. — უსაფუძვლოა ვამტკიცოთ, თით-
ქოს ვალაკტიონი ამ ლექსში ღამის აპოლოგეტად
გვევლინებოდეს. ნუთუ სადმე ჩანს „მე და ღამე-
ში“, რომ მგოსანი ღამეს აძლევს უპირატესო-
ბას დღესთან შედარებით? ამავე დროს განა
ცნობილი არ არის, რომ ვალაკტიონ ტაბიქე
ხშირად ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა
კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობით ხმა-
რობს? ვაგისხენით თუნდაც სიტყვა „ქარის“ რა-
მდენიმე ვარიანტი მის პოეზიაში. შეიძლება სხვა
ლექსებში პოეტი მართლაც იყენებს „ღამეს“
ჩაკერის, სიბნელის სიმბოლოდ, მაგრამ აქ ასე
არ არის, აქ იგი რეალისტური გაგებით იგულის-
ხმება.⁵

ამრიგად, „მე და ღამე“ სრულიადაც არ არის
დეკადენტურ-სიმბოლისტური განწყობილების
გამომხატველი ნაწარმოები. მასში არ ჩანს არც
უსაზღვრო სევდა და წუწუნი, არც ღამის სიბ-
ნელის აპოლოგია. რასაც გულმოდგინედ ეძებ-
დნენ კრიტიკოსები. პირიქით, ვალაკტიონ ტაბი-
ქემ ამ ლექსში ამხილა ცარიისტული რეჟიმი,
რეჟიკის ეპოქა, რომელიც საშუალებას უსპობ-
და ადამიანს აშკარად გამოეთქვა თავისი პოლი-
ტიკური შეხედულება და გულში ღრმად, საი-
დუმლოდ შეენახა იგი. ამასთან, მიუხედავად ერ-
თგარი სევდა-ნაღველისა, პოეტმა გამონათვა ნა-
თელი მომავლის, თავისუფლების გამარჯვების
რწმენა. სოციალური უკუღმართობით განაწამე-
ბი პოეტი რეალური სინამდვილიდან სადაც,
არარსებულ, მისტიკურ სამყაროში კი არ გაზარბის,
სიკვდილსა და ბოჰემში კი არ პოულობს შეე-
ბას, არამედ მონობასთან წინააღმდეგობასა და
მოქმედებაში ხედავს ერთადერთ გამოსავალს.

5 ამის შესახებ იხ. მ. კვესელავის სტატია „ვა-
ლაკტიონ ტაბიქის შემოქმედების ზოგიერთი სა-
კითხი“, „მშენებელი“, № 8, 1960 წ.



მიხეილ სიხაჯიძე

გაზეთი „შრომა“ და მისი თანაშემწეები

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგს, მიუხედავად სასტიკი საცენსურო ზედამხედველობისა, ქართველმა წაროდნიეებმა შეძლეს დაეარსებინათ თავიანთი ლიტერატურულ-პოლიტიკური ორგანოები — ჟურნალი „იმედი“ თბილისში და გაზეთი „შრომა“ — ქუთაისში.

გაზეთ „შრომის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1881 წლის 2 სექტემბერს. გაზეთი გამოდიოდა კვირაში ერთხელ, საშუალო საგაზეთო ქალაქის ფურცელზე, ოთხ გვერდად, ექვსასი-შვიდასი ეგზემპლარის რაოდენობით.¹

„შრომას“ რედაქტორობდა დიმიტრი ელიზბარისძე დადიანი, საადგილმამულო ბანკის ყოფილი მოსამსახურე. საბანკო საქმის შესასწავლად იგი ერთხანს ცხოვრობდა პარიზში, საიდანაც სისტემატურად უგზავნიდა სტატიებს „დროებას“. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „მუდამ ცალ-ცალკე თუ ერთად“, „ერთი შენიშვნა“, „ხმა სიმართლისა“, „ქიდვე ჩვენს მეცნიერებაზე“ და სხვ. ასე, რომ როგორც პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, დ. დადიანი „შრომის“ დაარსებამდეც ცნობილი პიროვნება ყოფილა.

თავის სტატიებში დ. დადიანი მოითხოვდა საქართველოს მხარეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, საზოგადოებრივი აზრის გამოღვივებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლიტერატურას, ქართველი კადრების აღზრდას. იგი დადებითად აფასებდა რუსეთთან საქართველოს შეერთებას და განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს გარეშე მტრები აღარ აწუხებდნენ.

„შრომის“ რედაქტორ-გამომცემელი იყო ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი

ალექსანდრესძე ნაზარიშვილი. ქუთაისის საზოგადოების მოწინავე ნაწილის შეფასებით იგი პირველი ექიმი იყო, რომელიც ხალხს მშობლიურ ენაზე დაელაპარაკა და მისი ტკივილების დაამებას შეეცადა როგორც საზოგადო მოღვაწეც. არ ყოფილა არც ერთი სახალხო საქმე, რომლის განხილვასა და გადაწყვეტაში მას მსურველ მონაწილეობა არ მიეღოს. ოცდაათშემეტი წელი იყო იგი ქალაქის ხმოსანი და მუდამ ზრუნავდა ქალაქისა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. ერთი სიტყვით, ქუთაისისა და ამიერკავკასიაში დიმიტრი ნაზარიშვილს ყველა იცნობდა, როგორც მცოდნე, ხალხის გულშემოტივარ ექიმსა და საზოგადო მოღვაწეს.

„ამ ოცდაათი წლის წინათ, — წერდა იგი თავის მოგონებებში, — მუშაობა დაიწყო ქუთაისში იმ იმედით, რომ გამომეცა ქართული გაზეთი „შრომა“. მაგრამ გაზეთმა, რომლის დაარსება მართლაც მოგახერხეთ, ერთნახევარ წელს გაძლო. ადგილობრივი გუბერნატორის განკარგულებით გაზეთი სარეცენზიოდ უნდა გადაცემოდა თბილისის ცენსურის კომიტეტს, რადგან ადგილობრივი ცენსორი მას ძალზე სუსტად მიაჩნდა. ასეთ ვითარებაში და სუსტი ლიტერატურული ძალების გამო რედაქცია იძულებული გახდა გაზეთი დაეხურა.“² ეს მოხდა 1883 წ. 24 ივნისს.

სამაგიეროდ ადგილობრივი მმართველობა და კავკასიის სამეფისნაცვლო დ. ნაზარიშვილს არაკეთილსაიმედო პიროვნებად თვლიდნენ. ამიტომ იყო, რომ, მართალია, მას „შრომის“ რედაქტორ-გამომცემლად მუშაობის ნება დართეს, მაგრამ

2 საქ. სსრ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, დ. ნაზარიშვილის არქივი. ლოქ. № 2176/213.

1 პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929, გვ. 183.

ქანდაკრებისა და დაავალეს თვალყური ედევნებინა მისი საქმიანობისათვის.

„შრომის“ ტექნიკურ რედაქტორად და გაზეთის გამოცემის პრაქტიკულ ორგანიზატორად იფუნქციონირებდა კირილე ბესარიონისძე ლორთქიფანიძე, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, კ. ლორთქიფანიძე აგროვებდა კორესპონდენტებს, ასწორებდა მათ და ამზადებდა დასაბუქვად.³ იგი იყო ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე, შეუდარებელი სტილისტი, ხოლო როგორც კორექტორს ბადალი არ ჰყავდა საქართველოში. ცნობილი კრიტიკოსის ხომალდის ვადმოცემით, „ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი რომ საზღვარგარეთ წვაიდნენ, მაშინდელ საუკეთესო ყურნალ „კრებულს“ კირილე უძღვებოდა და ხელმძღვანელობდა ტფილისში... ქუთაისშიც გაზეთ „შრომის“ საქმე კირილემ მთაწყო და ითავა და იგი იყო კიდევ ფაქტიური რედაქტორი და კორექტორი ამ გაზეთისა“.⁴

გაზეთის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი და უნიჭიერესი თანამშრომელი იყო ესტატე სიმონისძე მჭედლიძე (ბოსლეველი). იგი სამწერლო ასპარაზზე გამოვიდა 1880 წელს და მაშინვე მიიპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება თავისი მაღალთეორიული ფელეტონებითა და კრიტიკული მიმოხილვებით. სულ მალე ბოსლეველმა მოიხვეჭა ნიჭიერი, პროგრესულად მოაზროვნე პუბლიცისტის, ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის უანგარო მებრძოლის სახელი. განსაკუთრებით მკაცრად ილაშქრებდა იგი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ და მოითხოვდა ერების სრულ თანასწორობას, რათა თვითეულ მათგანს მისცემოდა შესაძლებლობა თავისი ღირსი მიერ წვლილი შეეტანა კაცობრიობის საერთო განვითარებაში. „თუ ამ დამღვივს შეხედულეხას, — წერდა იგი, — საუბედუროდ ჯერ კიდევ ვერ მიუღია მოქალაქეობა პოლიტიკაში... ეს იმით, რომ უმრავლესობა ჯერ კიდევ ყრუა. მაგრამ მოვა დრო და ეს შორსაც არ არის, როდესაც ღღინღელი მდგომარეობა დამონაგებულის ხალხებისა გააძლიერებს მათში თვითნობიერებას, გამოიწვევს რეაქციას და მაშინ ეს დამონაგებული ხალხები შეანგრევენ ძალუბად თანამედროვე წყობილებას და აუწყებენ ქვეყანას ახალ მოძღვრებას“ („შრომა“, 1882 წ., № 34).

ბოსლევლის პუბლიცისტური სტატიებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია კრიტიკული განხილვა გ. მაიაშვილის (ზდანოვიჩის) წერილისა, რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა. მასში ნიჭიერმა პუბლიცისტმა ცხადყო, რომ იღვა თავისი დრო-

ის მოწინავე იდეების დონეზე და მტკიცედ იტყუადა ხალხის ინტერესებს. შეუძლებელია ვერაფერი თუ არ მოვისხენით ბოსლევლის მეტად მკაცრ ნტერესო ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, რომელთაგან ბევრმა სამართლიანად დაიმკვიდრა ადგილი ქართული სალიტერატურო ასპარაზების განვითარების ისტორიაში.

სამწუხაროდ, ბოსლევლის მოღვაწეობა ფრიად ხანმოკლე აღმოჩნდა. რეაქციულ წრეებს აბოროტებდა მისი როგორც თეორიულ-პუბლიცისტური სტატიები, ისე მწვავე ფელეტონები, რომლებშიც ამხილებდა მექრთამეებს, ანგარებით გამსჭვალულ პირებს, რომელთა შორის სამღვდელთაგან წარმომადგენლებიც იყვნენ. ამისათვის ბოსლევლს ვერაგულად გაუსწორდა შეთქმულთა ხანა. 1885 წლის 8 მაისს მას ზურგში ესროლეს დამბაჩა და სიცოცხლეს გამოასალმეს სრულიად ახალგაზრდა, ოცდათერთმეტი წლის ნიჭიერი კრიტიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

ბოსლევლის ვერაგულმა მკვლელობამ მოწინავე საზოგადოებრიობის, მისი მეგობრებისა და თანამოაზრეების საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ბათუმიდან გრ. ვოლსკი კირილე ლორთქიფანიძეს ღირსი გულისტკივილი წერდა, რომ ბოსლევლის სახით დაკარგა უახლოესი მეგობარი და სასევებით სამართლიანად აცხადებდა, მისი მკვლელობა საზოგადო საქმე, პოლიტიკური მკვლელობაა და დაყენებით მოითხოვდა ბოროტმოქმედის აღმოჩენას. „ნუთუ ეს უდროო სიკვდილი ისე უმნიშვნელოდ ჩიარს, როგორც სხვა ათასი ჩვენი... — წერდა იგი. — დიდად სამწუხარო და სამარცხვინო საქმე იქნება, რომ ჩვენ აქ არაფერი გავაკეთოთ, პოლიციამ და აღმინისტრაციამ ამ მკვლელობას ისევე გულგრილად მოექცეს, როგორც სხვა ათას ჩვეულებრივს მკვლელობას... ათა თუ სამარცხვინო იქნება ანგარის ამგვარი მიმართულება, საზოგადო უბედურებაც იმით, რომ ეს იქნება ჩვენი სიძაბუნის და სიგლახის ნიშანი, იმის ნიშანი, რომ პატიოსნება ფუჭი საქმეა და თუ მტკიცედ მიიღწეოთ მისი დაცვა, შენც ის ღლე მოვლის, რაც შენს ერთგულ მეგობარს. გულსაკლავი და უნეგემო პერსპექტივა!“⁵

ღირსი გულისტკივილით გამოხებულა ბოსლევლის მკვლელობას გაზეთი „დროება“: „ამ ამბავმა თავგანთი დაგვცა. ყველანი, ვინც ვი იცნობდნენ ამ პატიოსნებით აღსავსე აწმყოელ კაცსა და ნიჭიერ მშრომელს, ღრმა მწუხარებით კითხულობენ: რათა?, როგორ?, რისთვის?“ შემდეგ „დროება“ საზოგადოებრიობის ყურადღებას მიამკვიდრა იმ ფაქტს, რომ ბოსლევლის მკვლელების დაპატიმრებისათვის პოლიცია არავითარ ღონისძიებას არ იღებდა და წერდა: „როცა საქმე-

3 პროფ. კ. მჭედელი, აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედინსტიტუტის „შრომები“, ტ. VIII, 1948, გვ. 19.

4 იქვე.

6 „ლიტერატურული აპარა“, № 3.

5 ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი, დოკ. № 2173/322.



როა და სადაც აუცილებელია, იქ არას დროს არ არის პოლიცია და არც მფარველი ვინმე. ისე კი ათასობით დათარგმობენ ქუჩებში“ („დროება“, 1885, № 98). ამავ უზრს იზიარებდა ჟურნალი „ივერია“, რომელიც წერდა: „ღრმად ჩასაფქრებელია ამბავი ესტატე მკველდიძის მკველელობისა. პატროსანი, საქმის ერთგული ყმაწვილი კაცი დღის სინათლეზე, საგუბერნიო ქალაქში, ზედ შუა გზაზე დამბაჩით მოკლეს... და მკველელი ხელიდან წაუვიდეს, სამართალია!.. ეს მავალითი ევრაფერი სასიქადულო სარკვა იმ საზოგადოებისა, სადაც ეს აგრე მოხდა“ („ივერია“, 1885, № 6).

„შრომაში“ აქტიურად თანამშრომლობდა აგრეთვე ნიჭიერი პუბლიცისტი დავით ბაქრაძე (სეველი), ხალხის სიყვარულით შთაგონებული მოღვაწე. „არამც თუ ჩემს სამშობლოში, — წერდა იგი, — არამედ სადაც უნდა ვიქნე, არ შემიძლიან მოთმენა, რომ ხალხის საჭიროებას თვალი ავარიდო და მისი ტკივილი ჩემს გულს არ მოხვდეს.“⁶

დ. ბაქრაძის პოლიტიკურ-პუბლიცისტური წერილებიდან, რომლებიც „შრომაში“ ქვეყნდებოდა, განსაკუთრებით საინტერესოა საერთაშორისო მიმოხილვები ალყირისა და ტუნისის ხალხის ბრძოლის თაობაზე ფრანგი დამპყრობლების წინააღმდეგ, ინგლისის ჯარების მიერ ევროპტელი ხალხის უმოწყალო ხოცვა-კლტვისა და უსამართლო ომის შესახებ და სხვ. მაგრამ, როგორც ჩანს, იგი არ კმაყოფილდებოდა მარტო საერთაშორისო მიმოხილვებით, წერდა აგრეთვე სტატიებსა და ფელეტონებს საქართველოსა და რუსეთის შინაური ცხოვრების საკითხებზეც.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თავის სტატიებში დ. ბაქრაძე გადაჭრით იბრძოდა მეფის თვითმპყრობელური მთავრობის ანტიცხლუბრი, რუსიფიკატორულ-კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ და იცავდა ხალხთა მეგობრობისა და ერების ინტერნაციონალური, მეგობრული დამოკიდებულების იდეებს. კერძოდ, ე. ნინოშვილის დაკრძალვისას თავის ბრწყინვალე სიტყვაში დ. ბაქრაძეს უთქვამს: „შენს საფლავს ხალხი აკლავ დაადგამს საპატიო გვირგვინს უფრო მხიარულს დროს. ეს იქნება მაშინ, როცა ახლო და შორეულ მუხობლებს შორის და მიუღეს ევროპაშია, რომელთაგანაც ჩვენ გადაბმული ვართ კაცობრიობის განუწყვეტელი ჯაჭვითა, შური შეიკვლება მეგობრობად, სიძულვილი სიყვარულად და მონობა ძმობად. ეს დრო ძლიერ შორს არ არის... თუ ამოიხედავ შენის კუბოდამ, ახლაც

დაინახავ მის ბრწყინვალე ცისკარს, უპირველეს მყოფელის მზის წინამორბედს, მანამდღეს ტბილად განისვენე შენს მშობელს მხარეში, სიცოცხელი შენის სამშობლოსათვის ტანჯული და ბედმავი პოეტო! მაშინ, როდესაც ამოვა მზე სიმართლისა, საზოგადო ძმობისა და სიყვარულისა, ჩვენი შვილიშვილები უქველად მონახვენ შენს საფლავს და მხიარულად ჩამოფახებენ დედაენახედ: გიხაროდეს!“⁷


„შრომის“ მთელ საქმიანობაში თვალსაჩინო წვლილი შეჰქონდა ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს გრიგოლ იოსების-ძე ვოლსკის (უშმიფარიძე). მამით პოლონელი და დედით ქართველი, იგი ქართულ ოჯახში აღიზარდა და თავის სამშობლოდ საქართველო მიაჩნდა. საქართველოსთან დროებით ვანშორებისას გრ. ვოლსკი წერდა „მგზავრის შენიშვნებში“: „ნეტაც თუ მოიძენება ცას-ქვეშეთში მეორე მხარე ასე უხვად შეშკობილი, როგორც ჩვენი დალოცვილი იმერეთი!.. ფიქრმა, რომ ბევრი ტურა იკივლებს, სანამ მე ისევ ვნახავდე იმერეთის ხუჭუჭ ტყეებს, მის მოიზინე ამწვენებულ ყანამინდვრებს, ღრმად გაშლილს ლურჯ ცას, სანამ ვისუნთქავ მის წმინდა ჰაერს, — ამ ფიქრმა ცოტა არ იყოს ნადველი გაურია ჩემს ხალხის და დამაფიქრა“.

გრ. ვოლსკის თითქმის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა დაკავშირებულია ბათუმთან. იგი ბათუმში ჩამოვიდა მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, თურქთა ბატონობისაგან აპარის განთავისუფლების პირველსავე წლებში. აქ ივანე მესხთან და დავით კლიაშვილთან ერთად იგი ენერგიულად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში.⁸ აღსანიშნავია, რომ გრ. ვოლსკი ილია ჭავჭავაძის დიდი თაყვანისმცემელი და ტრფილი იყო. ილიაც დიდ პატივს სცემდა მას. ბათუმში ჩამოვიდისას ყოველთვის მის სახლში ჩერდებოდა. ამიტომაც ამშვენებს გრ. ვოლსკის ყოფილ საცხოვრებელ სახლს ბათუმში მემორიალური დაფა წარწერით: „ამ სახლში, სადაც ცხოვრობდა გრიგოლ ვოლსკი, ბათუმში ჩამოსვლისას ჩერდებოდა დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე“.

ბათუმში დიდი ხნის თანგარო მოღვაწეობით გრ. ვოლსკიმ მთელი მოსახლეობის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მეფის თვითმპყრობელობა კი მას არასაიმედო პიროვნებად თვლიდა და ამიტომ არ ამტკიცებდა ბათუმის ქალაქის თავად, თუმცა იგი ორჯერ აირჩიეს ამ პოსტზე. ხომლელი თავის მოგონებებში წერდა: „ჩვენ ქვეყანასთან ახლად შემოერთებულ ბა-

6 თ. ხუსკივაძე, დ. ნ. ბაქრაძე, მისი 40 წლის მოღვაწეობა და ქუთაისის ინტელიგენცია, ქუთაისი, 1905, გვ. 8.

7 თ. ხუსკივაძე, დასახ. თხზ., გვ. 38-39.
8 დ. ნაცვალაძე, გრიგოლ ვოლსკი, გვ. 10.



თომს დიდი, განსაკუთრებული ადგილი ეკირა და იმას უნდოდა სწორედ დიდად მომზადებული, ფხიზელი, დიდი ტაქტის და ტალანტით სავსე მოღვაწე, როგორც გრიგოლ უმწიფარძიე იყო და ბათომამაც სწორედ იგი აირჩია და დააყენა ადგილობრივი თვითმმართველობის სათავეში. აქ ახლა შეუძლებელიცაა აიწეროს ის უთვალავი საყურადღებო საქმეები, რაც ითავა და გააკეთა ამ საოცარმა კაცმა... ბევრჯერ სცადეს გადმოეყენათ ბათომიდან ტფილისში, სადაც იგი შესაფერისად ვაშლია ფრანოს, მაგრამ ბათომი ვერ შეღოდა ამ იშვიათ კაცს და იგი ამირანი-ვით მიჯაჭვული შეიქნა საქართველოს ამ დიდ ბოლახის ალაყაფის კარებთან“ („ლომისი“, 1922, № 7).

„გ. ვოლსკი ჯერ კიდევ მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლისას თანამშრომლობდა გაზეთ „შრომაში“. თავის ლექსებსა და სტატიებში იგი ქართველებს მოუწოდებდა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ეროვნული თავისუფლებისა და ხალხთა ძმობისაკენ, ენერგიულად იბრძოდა მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

„შრომის“ რედაქცია სამართლიანად ამაყობდა, რომ მის თანამშრომელთა შორის იყო ქართველი ხალხის სასიკადალო პოეტი აკაკი წერეთელი. იგი სისტემატურად აქვეყნებდა გაზეთის ფურცლებზე ღრმა პოლიტიკური შინაარსის ფელეტონებსა და ლექსებს, თუმცა ყოველთვის და ყველაფერში როდი ეთანხმებოდა რედაქციასა და გაზეთის მიმართულებას.

„შრომაში“ გამოქვეყნებული აკაკის ფელეტონები და ლექსები ქართველი ერისა და ქართული კულტურის აღორძინებისათვის ზრუნვით იყო გამსჭვალული და ამხილებდა მეფის მთავრობის პოლიტიკის რეაქციულ არსს. ამის გამო აკაკის ბევრი ლექსი ხვდებოდა ცენზურის ხელში. ასე, მაგალითად, ლექსები „ზარი“, „გამდიდრებული ბატონი“, „კურთხევა“ და სხვ. ცენზურამ მიიჩნია მთავრობის საწინააღმდეგო ლექსებად. რა თქმა უნდა, აკაკის კორესპონდენციებიც არ რჩებოდა ცენზურის საგანგებო ყურადღების გარეშე.

აკაკისთან ერთად „შრომაში“ აქტიურად თანამშრომლობდნენ აგრეთვე ნ. ნიკოლაძე, დ. კეზელი, ი. აბაშიძე (თუხელი) და სხვები.

როგორც ვხედავთ, „შრომის“ ბევრი თანამშრომელი თავისი იდეური მრწამსით არ ეკუთვნოდა ნაროდნიკულ მიმდინარეობას და შეიძლება ვთქვათ, თითქმის ვაჭრის არ ჰქონდა მკვეთრად გამოხატული საკუთარი იდეური სახე. მაგრამ სინამდვილეში ასე როდი იყო. „შრომაში“ თავიდანვე „დროებისა“ და „ივერიისაგან“

რამდენადმე განსხვავებული მიმართულება იქნებოდა, თუმცა არ უარყოფდა არც მსგავსებას მათთან. იდეურ პლატფორმასთან. აი რას წერდა გაზეთის რედაქტორი ილია ჭავჭავაძის საყვედურის პასუხად ერთ-ერთ სტატიას: „უბრატივემულესმა ილ. გრ. ჭავჭავაძემ კარგად უნდა იცოდეს, რომ ახალის ღვინის სარდაფის დამფუძნებელი უფრო შშირად ცალკე იწყებს საქმეს და არა სხეებთან. მართალია, ახალ სარდაფში ისევ ის ყურძნის ნუნთა იქნება, როგორც ძველს სარდაფში, მაგრამ იქნება ამ ახალმა სირაჯმა ღვინო აწწლით არ შეაღებინოს, ან საქმეველითა და სხვა სურნელებით არ შეაზავოს და ესეც არ იქნება ურიგო“ („შრომა“, 1881, № 5).

„შრომამ“ უპირველეს მიზნად დაისახა ენერგიულად ებრძოლა ცხოვრების მახინჯი მხარეების შეცვლისათვის და პირველი ნომრიდანვე გაილაშქრა იმით წინააღმდეგ, რომელიც „უმრავლესობის ინტერესები უპარად თავისთვის გზად და ხიდად გაუხდიათ... უმეპველია, გაზეთი არ იმდუმარებს ამ საგანზე და ეცდება გამოაშკარაოს, რაც ცუდია და უსამართლო. მაგრამ გამოაშკარავება ყველას როდი იამება. ქურდებისათვის, ავაზაკებისათვის და საზოგადო უსამართლობისათვის ბნელი დამე უკვდავების წყაროა. ეს ვაჟბატონები სულ ყველა ხვრელებს იცნობენ დაწერილებით, დღე იქ ბუღდობენ და დამე ყველას და ყველაფერს ძირს უთხრიან თავის საკუთარის საქმის გულისთვის. დამურები, ხვრელებით და როდინობის კვირის მომლოდინეები, უმეპველია უღროდ ხედვენ ქუთაისში გაზეთის გამოცემას, რადგან მათ ეშინიათ ნათელი არსადაც მოხვდეს მათ გაძრომ-გამოძრომას“ („შრომა“, 1881, № 1).

გაზეთი სიამაყით აცხადებდა, რომ მთელ საქმიანობაში მიუყვარებელი იყო და წერდა: „ერთი ღირსებათაგანი „შრომისა“ კიდევ ის არის, რომ მტკიცედ დაიცვას თანასწორობის პრინციპი, მისთვის არ არსებობს არც წოდების და არც ხალხების განსხვავება: თავადი, აზნაური, გლეხი, მღვდელი, ბერი, ქართველი, რუსი, სომეხი, მისთვის ერთია — ყველას სურათს აიღებს...“ (იქვე).

„შრომაში“ გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი საარქივო მასალების ანალიზი გვარწმუნებს, რომ გაზეთი ენერგიულად იბრძოდა ბატონყმობის გადმონაშთების აღმოსაფხვრელად, ნაბატონე-მემამულეთა „დროებით ვლდებულ“ და ხიზან გლეხთა ეკონომიური განთავისუფლებისათვის, ე. ი. გლეხებისათვის იმ მიწების გადასაცემად, რომლებსაც ისინი ამუშავებდნენ და ფაქტიურად ფლობდნენ, ხოლო გლეხობის საკუთრებაში მიწების გადასვლის შემდეგ მეურ-

ნეობის რიგიანად და რაციონალურად წარმართ-
ვით მსხვილი კერძო გლეხური მეურნეობის შე-
ქმნისათვის. იგი გაბედულად იბრძოდა აგრეთვე
ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ხალხთა თან-
სწორუფლებიანობისა და ძმობა-მეგობრობისა-
თვის.

„შრომის“ სოციალურ-ეკონომიური პროგრამის განხორციელება გამოიწვევდა მსხვილი მე-
მამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას
და მსხვილი კულაკური მეურნეობის შექმნას,
ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, რაც გააად-
ვილებდა მუშათა კლასის შექმნას, ზრდას, პო-
ლიტიკურ გამოღვიძებას, დარაზმვას, შეასუსტე-
ბდა მემამულეთა ბატონობას და, საერთოდ,
ხელს შეუწყობდა ბატონყმობის ნაშთების
სრულ ლიკვიდაციას, კაპიტალიზმის სწრაფ გან-
ვითარებას.

ამრიგად, ქართველი ნაროდნიკების „შრომის“
ჯგუფის მოღვაწეობას გარკვეული დადებითი
მხარე გააჩნდა. როგორც ცნობილია, სოციალის-
ტურ მოძრაობას ყველაგან ჰქონდა თავისი წინა-
პირობა, წინასტორია. ფ. ენგელსი წერს: „რო-
გორც ყოველი ახალი თეორია, სოციალიზმიც

უწინარეს ყოვლისა აზროვნების იმ მასალას უს-
და დაყრდნობოდა, რომელიც მას დროულად და-
როგებულნი“ („სოციალიზმის განვითარება უტო-
პიდან მეცნიერებისაკენ“, თბ., 1953, გვ. 38).

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არ-
სებობს კავშირი რუსულ მარქსიზმსა და რუსუ-
ლი მოწინავე აზრის მთელ წინანდელ ისტორიას
შორის. დემოკრატიული და სოციალისტური მო-
ძრაობის ისტორიას რუსეთში ისევე, როგორც
ყველა ქვეყანაში, ჰქონდა თავისი მოსამზადებე-
ლი პერიოდი. „არსად მსოფლიოში პროლეტა-
რული მოძრაობა არ წარმოშობილა და არც შე-
იძლება წარმოშობილიყო „ერთბაშად“, წმინდა
კლასობრივი სახით, არ შეიძლებოდა გაჩენილი-
ყო ქვეყნად მზამზარეული სახით, როგორც მინე-
რვა იუპიტერის თავიდან“ (თხზ., ტ. XX, გვ.
310).

თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, შეი-
ძლება დავასკვნათ, რომ ქართველი ნაროდნიკე-
ბის „შრომის“ ჯგუფის მოღვაწეობას, ბრძოლის
მეთოდების უტოპიურობის მიუხედავად, საზო-
გადოებრივი ცხოვრების განვითარების იმ ეტაპ-
ზე გარკვეული დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა.





პეპე ლორია

შანდორ პეტეფი და მისი ქართი ღეჟსი

ვინც კი გულდასმით გაეცნობა უნგრელი და ქართველი ხალხების ისტორიას, იგი ბევრ საერთოს იპოვის მათს გმირულ წარსულში. და სწორედ აქ უნდა ვეძიოთ საწყისი ამ ორი ერის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ მიინც მსგავსი პოეზიისა.

შანდორ პეტეფსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს — ლექსის ამ ორ ვირტუოზს პირად ცხოვრებაშიც ბევრი რამ ჰქონდათ მსგავსი; საცხებით მართალი იყო ვრიგოლ აბაშიძე, როდესაც ამის თაობაზე ამბობდა: „ბარათაშვილის მსგავსად მან ისე მოასწრო მომწიფება, რომ ქაბუთობა არ გაუთავებია, იგი ისე დაბრძენდა, რომ სიყმაწვილედ არ დაუსრულებია“. ისინი მართლაც ისე დაიფერვლნენ სიყმაწვილისა და დავაქაცეების მიჯნაზე, რომ არც ერთს არ უგემოა ბედნიერება თავისი ერისა; თითქოს ამაშიც ერთმანეთს დაამსგავსათ ბედმა ამ ორი ერის ეს ორი საამაყო შვილი.

შანდორ პეტეფის შემოქმედებას წითელი ზოლივით ვასდევს თავისუფლებისა და ბრძოლის სიმღერა, მაგრამ იგი მარტო უბრალო მომღერალი როდი დარჩა, — თვითონ იყო უშუალო მონაწილე ეროვნული მოძრაობისა; მახვილით ხელში წინ უძღოდა უნგრეთის განმათავისუფლებელ არმიას და ისე დაასრულა სიცოცხლე, როგორც შეეფერებოდა ნამდვილ რაინდსა და თავისუფლებისათვის მებრძოლ პოეტს — გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

შანდორ პეტეფის მრავალფეროვან შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლექსს „ყანჩა“, რომელთანაც ისეა დაკავშირებული მისი სახელი, როგორც „მერანთან“ ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ამ ლექსში შანდორ პეტეფი ბარათაშვილის მსგავსად გამოხატავს სწრაფვას უსაზღვროებისაკენ, ლტოლვას სიმაღ-

ლისა და სინათლისაკენ; იგი „ცისკენ ილტვის“ და სინაზულით ამბობს:

რატომ ჩვენ ფრთები არ დავგეყოლია,
რატომ ვერ ვფრინავთ ფრინველის მსგავსად.
მისთვის არაფერია მანძილი დედამიწაზე:
ფეხით დავივლი მთელ დედამიწას,
რაა მიწაზე მანძილი ჩვენთვის?

მხოლოდ იქ, ზემოთ, საიდანაც მზე დასცქერის დედამიწას, იქ არის სიამე, იქ არის თავისუფლება და პოეტი ბუნების აღწერასთან შერწყმით გადმოგვეცემს იმათ ბედს, რომლებიც დაეცნენ უთანასწორო ბრძოლაში სხვებისთვის სინათლის მოსაპოვებლად:

დაისზე როცა მზე წითლდებოდა,
მეგონა სისხლის სდიოდა ლვარი,
მეგონა ყველას ეს ბედი ელის,
ვინც სინათლეს ჰვენს, ვინც მალა არის.

შანდორ პეტეფის „ყანჩა“ თავისებური პოეტური დღიურია იმ ქარიშხლიანი დღეებისა, როდესაც უნგრელი ხალხი ერთხელ კიდევ აღსდგა ავსტრიის ბატონობის წინააღმდეგ. ამიტომაც გასაგებია ის ინტერესი, რომლითაც პოეტი უცქერის, „თუ როგორ ცდილობენ ფრენას ჯიშის ბარტყები პაწაწინები“. ყანჩის მიტოვებული ბუდე მას მოაგონებს უნგრელ პატრიოტთა ოჯახებს, ხოლო შემოდგომა — ავსტრიას.

და ცარიელი ბუდე ყანჩების
მწუხარე იყო, ვით ნასახლარი,
წინასწარ ვგრძნობდი, რომ ერთ დროს აც
დაობლდებოდა ჩემი სახლ-კარიც.

შანდორ პეტეფი ვარიაციების უბადლო ოსტატია. მას შესანიშნავად შეუძლია ერთსა და იმავე დროს გადმოგვეცეს ვაოცებაც, სიხარულიც, სევდაც და უიმედობაც და ყოველივე ეს ისე იცელება, რომ ფიქრობ, შეძელი კი ბოლო-

მდე ჩასწვდომოდი ამ დიდი ზელოვანის, სული-
ერ სამყაროს?

„შანდორ პეტეფი როდი ეკუთვნის იმ პოეტე-
ბის რიგს, რომელთაც, მართალია, შეუძლიათ
გადმოსცენ დიდი აზრი, მაგრამ ყოველგვარი
ლირიკისა და პოეზიის გარეშე. მას ყოველთვის
შესწევს უნარი ადამიანთა საერთო განცდა
უფაქიზესად დაუკავშიროს ლექსის მთავარ
თემას:

ცაზე გავცქერდი მათ გუნდს მოწყენით,
შორს მიფრინავდნენ, მიჰქროდნენ მაღლა,
მე ჩემს გაფრენილ ახალგაზრდობას
ასე მოწყენით გავყურებ ახლა.

ეს ბოლო ორი სტრიქონი ნამდვილი კულ-
მინაციაა ლექსისა, სადაც პოეტი სრულიად
ბუნებრივად უკავშირებს ყანჩების გაფრენას იმ
სევდას, რომელიც ადამიანებს თან სდევს „გაფ-
რენილი ახალგაზრდობის“ გამო. აქვე ხაზგას-
მით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პეტეფის ძალა
მარტო აზრთა მრავალფეროვნებაში კი არ
არის. ქართული პოეზიის გენიის ვაჟას მსგავსად
მას ერთი კალმის მოსმით შეუძლია თქვას ის,
რასაც სხვები მთელ ლექსში ვერ იტყოდნენ.

გვიან ბავშვი რომ ჭაბუკად ვიქეც
და ცეცხლად მეტეა მეც ნაბერწყალი,
ჩემს ქურანს თავზე ხელაღებული
მოვევლებოდი როგორც მერცხალი.
და მივეშვებდი მერანს სადავეს,
მივჭროდი ორივე დაურიდალი,
მოგვედედა, მაგრამ ვერ გვეწეოდა
გაწბილებული ველის გრივალი.

„ყანჩა“ შანდორ პეტეფის დიდი სულის ანა-
რეკლია, და, ალბათ, ამიტომაც, რომ იგი გაუ-
ხუნარი რჩება და ყველა თაობას იტაცებს.
ტიციან ტაბიძის არ იყოს, „გრძელი რბენით
გათამამებული ლექსი უფრო აწყვეტილია და
სწრაფი“. პეტეფის ამ ლექსშიც კინოეკრანივით
ერთმანეთს სცვლიან უნგრეთის, პოეტისა და
თავისუფლების დამოკიდებულება. სამშობლოს
ბედ-იღბლით ჩაფიქრებული პოეტი განმარტოე-
ბულია თავის საყვარელ უნგრეთთან ერთად:

ერთად ვიყავით უკაცურ ველზე,
გატაცებულნი ორივე ოცნებით, —
იგი ლურჯი ტბის სიღრმით სტკებოდა,
მე ჩამავალ მზის გასხივონებით.

ეს სევდა შეძლო პოეტმა მოეცა უმაღლესი
განცლით და იმდენად ბუნებრივად, რომ მკით-
ხველს თვალწინ გადაეშალოს დამოკიდებულება
სამშობლოსა და მის შვილებს შორის, რომლე-
ბიც თავისუფლების სიყვარულის ალით იწვოდ-
ნენ. ბედნიერება ზოგჯერ იმაშიც არის თურმე,
რომ შენ გიყვარდეს, და შანდორ პეტეფმა სწო-
რედ თავისი ქვეყნის სიყვარულში პოვა ბედნი-
ერება.

ამ ლექსით შანდორ პეტეფი უნგრეთის პოე-
ზიის მოველინა ისე, როგორც ნიკოლოზ ბარა-
თაშვილი თავის დროზე საქართველოს თავისი
„მერანით“. ორივე ლექსის სოციალური გენე-
ზისი ერთი იყო, ორივე დარჩა ფერშეუცვლე-
ლი და ორივე ასე გაუხუნარი დარჩება მარად-
ყამს.





აღმსარებელი გოგებაშვილი

სსრკ-ს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დ. გოგებაშვილის გარდაცვალების 50 წლისთავის გამო

იაკობ გოგებაშვილი XIX საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ქართველი პედაგოგი და განმანათლებელი იყო. თუმცა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ დიდი მოღვაწისათვის ბოლომდე უცნობი დარჩა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის მარქსისტული, რევოლუციური გზები, მაგრამ, როგორც ვ. ი. ლენინი ევასწავლის, „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუტოვიათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თაგვანთ წინამორბედებთან შედარებით“ (თხზ., ტ. II, გვ. 217).

დიდ ქართველ პედაგოგს საზოგადოების გარდაქმნის მთავარ პირობად მიაჩნდა ხალხის განათლება და დაუღალავად იბრძოდა სასკოლო ცხოვრების რაციონალურად მოწყობისათვის. მისი აზრით, სახალხო განათლების ორგანიზაციაში წამყვანი ადგილი უნდა დაეკავებინა სახალხო-ეროვნულ სკოლებს, რომელთა მთავარ დანიშნულებად მიაჩნდა მომავალი თაობის გონებრივად და ზნეობრივად გამოწრობა, მისი მომზადება პრაქტიკული ცხოვრებისათვის. „სკოლამ, — წერდა იგი, — მის ახალგაზრდობას უნდა ასწავლოს გვირგვინად წიგნი, გაუხსნას გონება, შეასწავლოს საგნები პედაგოგიურის გზით, მიანიჭოს ცოდნა და მისცეს გონებითი ძალა კეთილდღეობის აღსადგენად და დასაცველად, ერთი სიტყვით, მოამზადოს ცხოვრებისათვის“ (თხზ., ტ. I, გვ. 217).

იაკობ გოგებაშვილი ოცნებობდა „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდაზე, რომელსაც საღ პედაგოგიურ პრინციპებზე მოწყობილი სკოლა

„საოცარის ოსტატობითა და სიადვილით“ გაუმდიდრებდა გონებას ნამდვილი „კონკრეტულია და ცოცხალის ცოდნით“, შეასწავლიდა „ზედმიწვევით ბუნების ძალთა მოხმარებას“, გულს აუქსებდა „მაღლის აღმიახური გრძნობებით“, მიაწვებდა „მტკიცე ხასიათსა“, გაუღვივებდა „თაოსნობასა, უნარსა, თავისის თავის იმედსა, თავაზიანობას, დარბაისლობას“ და მოამზადებდა „სულითა და ხორციით საღს აღმიახებს, შეუპოვარ მეომართ ბუნებისა და უკუღმართის ცხოვრების წინააღმდეგ“ (თხზ., ტ. III, გვ. 183).

აი ამიტომ დიდი ქართველი პედაგოგი ე. წ. რეალური განათლების მომხრე იყო. მას განათლების ასეთი სისტემა უფრო მართებულად მიიჩნდა, მეტადრე ქართველებისათვის. „რეალური სისტემა ერთსა და იმავე დროს გასაღებიც არის და კლიტეცა, რადგანაც რომელიმე საბუნების-მეტყველო ნაწილის შესწავლაც ქეშმარტის ცოდნას აძლევს მოსწავლეს“ (თხზ., ტ. III, გვ. 265). სხვა სტატიაშიც იგი ხაზს უსვამდა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების აუცილებლობას და წერდა: „სწავლამ და ცოდნამ იგი (მოზარდი თაობა, ა. გ.) უნდა მოამზადოს ერთი მხრივ ბუნებასთან ბრძოლისათვის, მეორე მხრივ სოციალურ სანატრელს ცვლოლებისათვის“ (თხზ., ტ. IV, გვ. 67).

სახელოვანი ქართველი პედაგოგის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურებაა, რომ მან კომენსკისა და უშინსკის მოძღვრებათა შემდგომი განვითარების საფუძველზე წამოაყენა ცხოვრებასთან სწავლების კავშირის უზრუნველყოფის იდეა რეალური განათლებისა და შრომითი სწავლების შემუშავებით. იგი აღიარებდა, რომ თეორიულ

სწავლებასთან ერთად აუცილებელი ახალგაზრდობა პრაქტიკულად დაუფლოს მეზობლანობას, მებაღეობას, აბრეშუმის ქვის მოვლას და სხვა სამეურნეო საქმიანობას. ქიმიის, ფიზიკის, ბოტანიკის, ზოოლოგიისა და სხვა საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლება ისე უნდა წარმართოს, ამბობდა ი. გოგებაშვილი, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს კავშირი ცხოვრებასთან, გაძლიერდეს ზრუნვა მისი გაუმჯობესებისათვის. აი ამიტომ იგი მასწავლებლებს მოუწოდებდა ზურგი შეექცათ სწავლების მცდარი მეთოდებისათვის. არა ფორმულურს მშრალი გაზეპირება, არამედ ნამდვილი, პრაქტიკასთან მჭიდროდ დაკავშირებულ კეშმარტი ცოდნა.

„სკოლაში პირველი ადგილი უნდა ეკუთვნის შეგარდების კვლევა-გონების განვითარებას, — წერდა იგი, — ისეთი ცოდნის შექმნას მათ მიერ, რომელიც ცხოვრებაში გამოადგებათ“ (თხზ., ტ. III, გვ. 354).

ი. გოგებაშვილი საჭიროდ სთვლიდა სკოლებს დაწერგათ გონებრივი და ფიზიკური შრომის ერთმანეთთან შენაცვლების პრაქტიკა. სტატიაში „როგორ უნდა მოეწყოს უკეთესად სასოფლო სკოლა“, იგი წერდა: სწავლა ისე უნდა წარმართოს, რომ ხდებოდეს „საკეთილო რიგრიგობა და ნაცვლავანდობა გონებრივის და ფიზიკურის შრომისა. ამისთანა სკოლის შეგირდები შეუწყვეტლივ და მხნედ მუშაობენ, ერთობლივ ნამდვილის შრომით და სრულიად აშორებულნი არიან იმ გამარწველ გავლენას, რომელიც აქვს ბავშვებზედ უწყესრიგობასა და სწირის უსაქმოდ ყოფნას...“ (თხზ., ტ. III, გვ. 350). ამისათვის იგი მოითხოვდა მაღალ კლასებში მოეწყათ სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო განყოფილებანი, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებას, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებასა და ხელოსნობის განვითარებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფდა ეკონომიური ყოფის გაუმჯობესებას.

მოზარდი თაობის ცხოვრებისათვის მომზადებაში ი. გოგებაშვილი გულისხმობდა ორივე სქესის ახალგაზრდობის სწავლებას. იგი სიხარულით შეხვდა ახალციხეში ქალთა უფასო სკოლის გახსნას და კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ იქ სხვა საგნებთან ერთად ასწავლიდნენ ოჯახთმცოდნეობას. დიდი ქართველი პედაგოგი დაუნდობლად აკრიტიკებდა და კიცხავდა იმ მშობლებს, რომლებიც არ ზრუნავდნენ თავიანთი ქალიშვილების ცხოვრებისათვის მოსამზადებლად და მათ ადარებდა ველურებს, „რომლებიც არ ზრუნავენ თვითონაც ისწავლონ და თავიანთ ქალიშვილებსაც ასწავლონ, მაგალითად, წინდების ქსოვა, ტანთსამოსის კერვა, საქმელის ხარშვა...“

უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რა ახალგაზრდობის შრომითს აღზრდას, იაკობ გარეჯელის შვილი ამავე დროს მკაცრად ილაშქრებდა ბავშვების ნაადრევი სპეციალიზაციისა და ზოგადი განათლების მნიშვნელობის შეუფასებლობის წინააღმდეგ. მან ამაყარა არ მოიწონა ე. წ. ნორმალური სკოლების გახსნა, სადაც პირველი კლასიდანვე ბავშვებს ასწავლიდნენ სამეურნეო და სახელოსნო საქმეს. ასეთი სკოლები, მისი აზრით, ზიანის მეტს არაფერი მოუტანდა მოზარდი თაობის აღზრდას, ვინაიდან „სპეციალური სწავლება უძლურია მეტ-ნაკლებობით, თუ მას წინ არ უძღვის საზოგადო განვითარება, რომელიც უფურჩქნის მოსწავლეს ყოველგვარს ნიქსა და ჰყოფს მას სრულ ადამიანად. სპეციალისტი, მოკლებული საზოგადო განვითარებას, მოგვაგონებს მაშინასა, რომელიც ერთს რამეს აკეთებს შექანაყურად და სხვა რისმე რიგიანად გაკეთება მისთვის შეუძლებელია. ამისთანა ვიწრო სპეციალისტი ყოველს განსხვავებულს გარემოებაში იფანტება, ვერაფერს ახერხებს თავისთავად და გაკეთების მაგივრად საქმეს ადვილად აფუქებს. ჩვენ სამეურნეო მაშინები კი არ გვიწინა, ჩვენ გვესაჭიროება სრულნი ქართველნი, განათლებულნი მამულშვილნი, შეიარაღებულნი ნამდვილი სამეურნეო სწავლით“ (თხზ., ტ. II, გვ. 290). რა თქმა უნდა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ი. გოგებაშვილი მოსწავლეთა სამეურნეო-ტექნიკური ცოდნით. შეიარაღებას მეორეხარისხობის საქმედ მიიჩნევდა. პირიქით, ამ საკითხს თავის დროისა და პირობების შესაბამისად წყვეტდა. „მეურნეობა მეტად რთული საგანია, — წერდა იგი, — მას ესაჭიროება თეორიული და პრაქტიკული შესწავლა. ბუნება ემორჩილება მხოლოდ მას, ვინც მისი კანონების ცოდნით არის აღჭურვილი; მისთვის არის სიმდიდრის წყარო, ვისაც მისი ძალთა გამოყენება, სარგებლობა შეუძლიან“ (თხზ., ტ. I, გვ. 442).

ამგვარად ი. გოგებაშვილს თეორიული და პრაქტიკული სწავლება, გონებრივი და ფიზიკური შრომა ერთ მთლიან პროცესად ჰქონდა წარმოდგენილი და სწამდა, რომ მოზარდი თაობის აღზრდაზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს მხოლოდ ისეთი სამეურნეო სწავლება, რომელიც საღ პედაგოგიურ საფუძველზეა აგებული. ამის მკაფიო მაგალითად ი. გოგებაშვილს მიაჩნდა წინამძღვარიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა საქართველოში, პერმის გუბერნიის სამეურნეო სკოლა რუსეთში და სხვ. იგი რჩევას იძლეოდა სამეურნეო სასწავლებლებში მოეწყათ ცალკე, დიდ მამულებში, ამასთან წინააღმდეგი იყო სამეურნეო სკოლის გახსნისა, თუ არ არსებობდა სათანადო მატერიალური ბაზა.

მეტად საყურადღებოა აგრეთვე, რომ იაკობ გოგებაშვილის აზრით, მთავარი როლი მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდასა და ცხოვრებისათვის მომზადებაში უნდა შეასრულოს მასწავლებელმა. სწორედ მასწავლებელია მოწოდებული ისე აწარმოოს მთელი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, რომ სკოლადამთავრებულ ახალგაზრდას შეეძლოს პრაქტიკულად გამოიყენოს მიღებული თეორიული ცოდნა. მასწავლებელს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ „ცხოვრება თავისი რეალური მოთხოვნილებებით უფრო ძლიერია, ვიდრე თეორეტიკოს-პედაგოგების წამოწყებები“ (თხზ., ტ. I, გვ. 71). სხვანაირად რომ ვთქვათ, მართო მშრალი დებულებების გაზეპირებით არ შეიძლება ბავშვის მომზადება ცხოვრებისათვის. „...მასწავლებელი, რომელიც წიგნის ანაბარა დაარჩენს მოწაფესა და თავის ცოცხალ სიტყვასა კი არ ამოქმედებს, — წერდა ი. გოგებაშვილი, — ბინძურ მოჯამაგირეზედ უარესია და ოცდართხ საათს უნდა ჩამორთმეული ჰქონდეს მას ის მაღალი და წმინდა თანამდებობა, რომელიც მას აბარია“ (თხზ., ტ. I, გვ. 494). აი ასე ესახებო-

და დიდ ქართველ პედაგოგს მოზარდი ცხოვრებისათვის მომზადების გზები.

ი. გოგებაშვილის სასწავლო ნატურა იყო ქართველ კაცს შეეძინა ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნა, თავი დაეღწია „კანცელარიის ყმობისათვის“, გამხდარიყო „ბატონი ჩვენის მდიდარის ბუნებისა“, შეექმნა შეძლებული ცხოვრება და ყოფილიყო ქვეყნის სასარგებლო მოქალაქე.

ი. გოგებაშვილის ამ ოცნებამ ფრთები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეისხა, მისმა მოწინავე პედაგოგიურმა იდეებმა სრული განხორციელება მხოლოდ საბჭოთა განათლების სისტემაში პოვა. და ახლა, როდესაც ხორციელდება უდიდესი ღონისძიებანი მთელი სასკოლო მუშაობის გარდასაქმნელად, სკოლის კავშირის განმტკიცებისათვის ცხოვრებასთან, ბუნებრივია, მრავალ სასწავლო-სააღმზრდელო საკითხში ჩვენ კვლავ მივმართავთ იაკობ გოგებაშვილის უმდიდრეს პედაგოგიურ მემკვიდრეობას, რომელიც ბევრ შესანიშნავ პროგრესულ იდეასა თუ რჩევას შეიცავს.



პასიანა ბაბილოძე

მუშახელით მეჩაიეობის კოლმეურნეობათა უზრუნველყოფის საკითხისათვის

ყველასათვის ცნობილია, რომ ჩაის პლანტაციები მთელი წლის მანძილზე საგულდაგულო მოვლა-პატრონობას მოითხოვს, ამასთან სამუშაოთა ძირითადი ნაწილი ხელით სრულდება. განსაკუთრებით დიდძალი მუშახელი სჭირდება ჩაის ფოთლის კრეფას, რაც აპრილ-მაისში იწყება და სექტემბერ-ოქტომბრამდე გრძელდება. გამოანგარიშებულაია, რომ მოცულობით იგი უდრის მთელ სამუშაოთა სამოცდაათ პროცენტზე მეტს. ამით აიხსნება, რომ ჩაის ფოთლის მასობრივი შემოსვლის პერიოდში ბევრ კოლმეურნეობას არ ყოფნის საკუთარი მუშახელი და იძულებულია გამოიყენოს დაქირავებული შრომა, თუმცა წელიწადის სხვა დროს, კერძოდ ნოემბერ-თებერვალში მხოლოდ სანახევროდ თუ ტვირთავს კოლმეურნეებს. ასე, მაგალითად, ქობულეთის რაიონის ხუცუბნის კოლმეურნეობამ 1959 წელს მიწვეულ მკრეფეებს შრომის ანაზღაურების სახით მისცა 528,7 ათასი მანეთი (ძველი ფულით), მაშინ როცა თავისი მუშახელი ნოემბერ-თებერვალში ორმოცდაათი-სამოცი პროცენტით ძლივს დატვირთა.

მსგავსი მდგომარეობაა სხვა მეჩაიეობის კოლმეურნეობებშიც. სათანადო სანგარიშო მონაცემები მოწმობენ, რომ დაქირავებული მუშახელის რაოდენობა ჩაის ფოთლის მასობრივად შემოსვლის პერიოდში მეტისმეტად თვალსაჩინოა და შვიდწლედის ბოლოს, როცა პლანტაციების ფართობი ერთი ათასი ჰექტარით გაიზარდება, ვითარება, ალბათ, კიდევ უფრო გართულდება. თვე-

რედაქცია თხოვს მეჩაიეებს, აგროსპეციალისტებს, მეცნიერ მუშაკებს და სხვ. გამოთქვან აზრი დოც. კ. ბაბილოძის სტატიაში აღძრულ საკითხის ვარშემო.

ეზისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდების მიხედვით მუშახელის ასეთი არათანაბარი დატვირთულობის ლიკვიდაციის ყველაზე რაციალური საშუალება, რა თქმა უნდა, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მექანიზაციაა, რაც მკვეთრად აამაღლებდა შრომის მწარმოებლურობას, მაგრამ ჩვენმა მეცნიერებმა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ გადაჭრეს ეს დიდად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი პრობლემა.

შემზილ ვითარებაში შრომის მწარმოებლურობის გადიდებისა და მუშახელის თანაბარი დატვირთვის უზრუნველყოფის ერთადერთ და გადამწყვეტ გზად უნდა მივიჩნიოთ მეჩაიეთა, კერძოდ ჩაის მკრეფეთა დახელოვნება, მათი ისტატობის ამაღლება. დახელოვნებული მკრეფევი ხომ ხშირად ორ-სამჯერ და კიდევ უფრო მეტ ჩაის ფოთოლს კრეფს, ვიდრე არაკვალიფიციური. ამავე დროს გაწაფული, თავისი საქმის საუკეთესოდ მცოდნე მკრეფევი უკეთ იცავს მოსავლის აღების წესებს, კრეფს უფრო მაღალ ხარისხის ჩაის ფოთოლს და თითქმის არა აქვს დანაკარგები. ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ ამ მხრივ არსებული მდგომარეობა ქობულეთის რაიონის თოთხმეტ კოლმეურნეობაში და აი როგორი სურათი მივიღეთ: მეჩაიეთა დიდი ნაწილი წელიწადში კრეფს მხოლოდ ერთ ტონამდე ჩაის მწვანე ფოთოლს, 32,56 პროცენტი — ერთიდან ორ ტონამდე, 13 პროცენტი — ორ-სამ ტონას, 5,55 პროცენტი — სამ-ოთხ, 1,4 პროცენტი — ოთხ-ხუთ, 0,29 პროცენტი — ხუთ-ექვს, 0,08 პროცენტი — ექვს-შვიდ, 0,04 პროცენტი — შვიდ-რვა და 0,01 პროცენტი — ცხრა ტონაზე მეტ ხარისხოვან ჩაის მწვანე ფოთოლს. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, შრომის თ-



ტატების, განსაკუთრებით დახელოვნებულ მკრეფავთა ხედრითი წილი მკრეფავთა საერთო მასაში ჯერ კიდევ მცირეა და მოსავლის აღებაში მათ არ შეუძლიათ უშუალოდ შეასრულონ გადამწყვეტი როლი. მათი წარმატების ძირითადი მნიშვნელობა განვითარების დღევანდელ ეტაპზე შრომის ნაყოფიერების გადიდების ახალი მეთოდების შემუშავებით, საკომლენტურეო წყობილების უსაზღვრო შესაძლებლობათა გამოყენებით განიზომება. მაგრამ თუ მოწინავეთა პროგრესული, ნაცადი მეთოდებით შევასრულებთ მკრეფავთა ძირითად მასას, მაშინ, ცხადია, სულ სხვა სურათის მივიღებთ და, გვერე, მოწვეული, დაქირავებული მუშახელი საჭირო აღარ გახდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა უკიდურესად მოძალადების პერიოდშიც კი. ამიტომ მიგვაჩნია ჩვენ მუშახელის არათანაბარი დატვირთვის ლიკვიდაციის გადაწყვეტვად მკრეფავ-მეჩაიეთა დახელოვნების ამაღლება, შრომის მწარმოებლურობის განუხრელი ზრდა შექუთობის მოწინავე გამოცდილების საფუძველზე.

შემთხვევითი როლია, რომ ჩაის უძველეს მწარმოებელ ქვეყანაში — ჩინეთში დიდი ხანა მოქმედებენ ჩაის მკრეფავთა დახელოვნების საგანგებო სკოლები, სადაც ორგანიზებულად და თანმიმდევრულად ასწავლიან ჩაის ფოთლის კრეფის ათივე თითი. ჩვენც გვევს ჩაის კრეფის შესანიშნავი ოსტატები, რომელთა შრომის ნაყოფიერება ყველაზე მაღალია მთელ მსოფლიოში. მაგრამ მათი გამოცდილება ჯერ კიდევ არ გამაღბა მეჩაიეთა ძირითადი მასის კუთვნილება. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ უდიდესი მნიშვნელობის საქმეს დღემდე არ ექცევა ის ყურადღება, რასაც იგი იმსახურებს. მხოლოდ ზოგიერთი კომლენტურეობა თუ აწყობდა ჩაის მკრეფავთა სამდიან კურსებს ან აგროფრეებს პრივილიგიებისა და მერგოლურებისათვის, ახლა კი ბევრგან ესეც მიიჩიყეს. აი რატომ აირს, რომ ცალკეული მკრეფავები დღეში ორ-სამ ნორმას ასრულებენ, მათ გვერდით მომუშავენი კი ხშირად დღიურ ნორმასაც ვერ ძღვევენ. შრომის მწარმოებლურობის ასეთი მკვეთრად განსხვავებულ დღეში რომ მოგსაბო, აუცილებელია ფართი და ორგანიზებულად მოეწყობოს მეჩაიე მკრეფავების მასობრივი სწავლება, რათა მოწინავეთა გამოცდილება უკლებლივ ყველა კომლენტურის კუთვნილება გახდეს. ეს ღონისძიება, რა თქმა უნდა, საგრძნობლად შეამცირებს, ხოლო მისი სრულად განხორციელების შემთხვევაში საღვსებით ზედმეტს გახდის რაიმე დაქირავებული შრომის გამოყენების საჭიროებას ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყვეტ თვეებში.


მეჩაიეთა მასობრივი სწავლების გონივრულ ორგანიზაციასთან ერთად აუცილებლად მიგვაჩნია კომლენტურეობის შეუქმნათ დახელოვნება-დაოსტატების ყველა მასტიმულირებელი პირობა. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ისინი თვითონ ცდილობდნენ დაეუფლონ მოწინავეთა შრომის

პროგრესულ მეთოდებს, აიმაღლონ ოსტატობა და მკვეთრად გაზარდონ შრომის ნაყოფიერება. ასეთი მასტიმულირებელი საშუალება, ჩვენი აზრით, შეიძლება გახდეს ჩაის მკრეფავებისათვის თანრიგის მიკუთვნება არა ხელალებით, როგორც ამჟამად ხდება მთელ რიგ კომლენტურეობებში, არამედ დიფერენცირებულად, მათი დახელოვნების დონის მიხედვით. რა თქმა უნდა, ეს ძნელი საქმეა. გაცილებით უფრო ადვილია ყველა მკრეფავს ერთი საერთო თანრიგი მივაუქთენოთ და შრომა ავუნაზღაუროთ მოკრეფილი ჩაის ფოთლის რაოდენობის შესაბამისად, მაგრამ მარქსიზმ-ლენინიზმი ხომ გმობს გათანაბრების ყოველგვარ გამოვლინებას სოციალიზმის პირობებში? მაშასადამე, თანრიგის მიკუთვნება მკრეფავთა დახელოვნების მიხედვით, დიფერენცირებულად კომლენტურეობათა გადაუდებელ ამოცანად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მკრეფავთა დახელოვნება არ შეიძლება უცვლელი სიდიდით იყოს, იგი უნდა იცვლებოდეს, ვითარდებოდეს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყველა მეჩაიეობის კომლენტურეობაში შეიქმნას საკვალიფიკაციო კომისია, რომელიც წელიწადში ორჯერ (ჩვენი შეხედულებით, მაისისა და ივლისის ბოლოს) გადასინჯავს ჩაის მკრეფავთა თანრიგს მათი დახელოვნების კვალობაზე. ეს ღონისძიება, უეჭველია, წაახალისებს ჩაის მკრეფავებს, ხელს შეუწყობს მათი დახელოვნების დონის ამაღლებას და შრომის მწარმოებლურობის ზრდას. მაგრამ თავიდან რომ ავიცილოთ მოსალოდნელი შეცდომები ან არეულობა და საქმეში, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება, თუ ჩაის მკრეფავთა ამა თუ იმ თანრიგის ზუსტ ნიშნებს შეიმუშავენ და დაადგენენ მეჩაიეობის სპეციალისტები. ეს ნიშნები კი შეიძლება იყოს კრეფის აგროფრესების დატვის და მკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხი, დანაჯარგების შემცირება, ალბუმი მოსავლის რაოდენობა, ე. ო. თანრიგმა რაც შეიძლება ზუსტად უნდა გვიჩვენოს მკრეფავის დახელოვნების დონე, გამოხატული შრომის მაღალ მწარმოებლურობაში.

მეჩაიეთა დახელოვნების და შრომის მწარმოებლურობის ამაღლების საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია აგრეთვე კომლენტურეობის პროგრესულ ნორმებს, თუ კი ეს ნორმები შედგენილია დიფერენცირებულად, შესასრულებლად სამუშაოთა კონკრეტული პირობების ათვისებისწინებით. მიუხედავად ამისა, „ითქმის არც ერთ კომლენტურეობაში არ არის დიფერენცირებული ჩაის ფოთლის კრეფის ნორმები პლანტაციის მდგომარეობის მიხედვით და ის ერთგვარია როგორც მაღალმოსავლიანი, ისე ახალგაზრდა და სუსტი პლანტაციებისათვის.“¹

1 აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლექციის 1960 წ. 31 მაისის დადგენილება № 27. კოლექციის ოქმები.



ასეთ პირობებში გამომუშაების ნორმები ტრადიციული ხდება და კარგავს მუშაკთა დახელოვნებისა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლების მასტიმულირებელ ძალას. უხვმოსავლიან პლანტაციასა და ჩაის ფოთლის მაქსიმალური შემოსულობის პერიოდში ჩაის კრეფის ნორმა, ცხადია, უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე დაბალმოსავლიან პლანტაციაში და იმ დროს, როდესაც ჩაის ბუჩქებზე ნაკლებად არის მოსაკრეფი ფოთოლი. ეს საჭიროა იმისათვის, რათა ყოველი მეჩაიე ცდილობდეს თავისი შესაძლებლობის შობილიხადად, დახელოვნების გაუქონებებით გაზარდოს შრომის მწარმოებლურობა და უზრუნველყოს გამომუშაების ნორმის შესრულება.

მაშასადამე, გამომუშაების ნორმა რომ ასრულებდეს მარეგულირებელ როლს მკრეფაეის დახელოვნებისა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისათვის ბრძოლაში, ამისათვის აუცილებელია იგი დაეწესოს დიფერენცირებულად, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ეს პირობები იცვლება დროთა ვითარებაში, შრომის მექანიზაციისა და მკრეფავთა დახელოვნების ზრდის კვალობაზე, ე. ი. დროდადრო საჭიროება მოითხოვს გადასინჯოთ გამომუშაების ნორმები და განესაზღვროთ ისეთი ზომით, რომ მისი შესრულება შეეძლოს მკრეფავთა ძირითად მასას. ეს იქნება რაღაც საშუალო დონე მოწინავეთა და ძირითადი მასის გამომუშაებულ ოდენობას შორის. გამომუშაების ასეთი ნორმა ხელს შეუწყობს კოლმეურნეებს მასობრივი დახელოვნებისა და შრომის მწარმოებლურობის გადიდების საფუძველზე მიაღწიონ ნორმის გადაჭარბებით შესრულებას.

არაფრით არ შეიძლება გავამართლოთ გამომუშაების მეტად მაღალი ნორმების დადგენის პრაქტიკა, რასაც ჯერ კიდევ ვხვდებით ზოგიერთ კოლმეურნეობაში. ასე, მაგალითად, ჩაის ფოთლის კრეფის საშუალო დღიური ნორმა ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში 1955-1957 წლებში

13 კილოგრამით განისაზღვრებოდა, მის შემდეგ ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში კი 25 კილოგრამით, ხოლო ციხისძირის კოლმეურნეობაში — 31-32 კილოგრამით. ამიტომ საკვირველი როდია, რომ გამომუშაების ნორმის საშუალო ფაქტიური შესრულება ციხისძირის კოლმეურნეობაში 1957 წელს 73 პროცენტს ძლივს აღწევდა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჩაის კრეფის საშუალო ნორმას მკრეფავთა დღიური უმრავლესობა ვერ ასრულებს წლების მანძილზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღემდე მაინც ინარჩუნებენ ერთხელ დაწესებულ ნორმებს. ასეთი პრაქტიკა ცუდია იმითაც, რომ მას ბუნდოვანება შეაქვს ჩაის მწვანე ფოთლის თვითღირებულების გაანგარიშებაში და იწვევს დანახარჯთა ფაქტიურ შემცირებას მთელი მისი უარყოფითი შედეგებით.

ასე, რომ თვითონ ცხოვრება მოითხოვს დაუყოვნებლივ გადასინჯოთ კოლმეურნე მეჩაიეთა გამომუშაების ნორმები საბჭოთა მეურნეობის მუშათა ნორმების გათვალისწინებით და დავადგინოთ გამომუშაების ახალი, რეალური ნორმები შეიღსაათიან დღეზე გაანგარიშებით. რა თქმა უნდა, კოლმეურნე ჩაის ფოთლის მოძალბებული კრეფის პერიოდში შვიდ საათზე მეტს იმუშაებს, მაგრამ გამომუშაების ნორმის განსაზღვრა არ შეიძლება ზაფხულის დღის სიდიდეს შეგუფარდოთ. ამ საქმის მოგვარება კოლმეურნეობებს უშუალოდ, საკუთარი ძალებით, ალბათ, გაუძნელდებათ. ამიტომ პირველ ხანებში საჭირო გახდება სათანადო ორგანოებისა და აგროსპეციალისტების მაქსიმალური დახმარება. კარგი იქნება, თუ გამოცემთ გამომუშაების ნორმების გადასინჯვისა და სწორად განსაზღვრის ინსტრუქციას ან მეთოდური ხსიათის დამხმარე სახელმძღვანელოს.

ყველა ეს ღონისძიება, ვფიქრობთ, ფრიად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კოლმეურნეობათა მუშახელით უზრუნველყოფის, პლანტაციათა მოსავლიანობისა და კოლმეურნეობათა შემოსავლის გადიდებისათვის ბრძოლაში.



მოთხრობები ჩვენს თანამედროვეებზე

კაპიტონ რუსიძე არც თუ ისე დიდი ხანია, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, მაგრამ უკვე მრავალი რომანისა და მოთხრობის ავტორია. აღსანიშნავი მარტო ის კი არ არის, რომ იგი ნაყოფიერად მუშაობს, არამედ ისიც, რომ მისმა წიგნებმა მკითხველებისაკენ გზა გაიყვანა და სწრაფად ვრცელდება. ზოგიერთი მათგანი მეორედაც კი გამოიცა („მოუსვენარი ადამიანები“).

რით დამისახურა მწერალმა მკითხველთა ასეთი ყურადღება და პატივისცემა? ჩვენი აზრით, თანამედროვე, მდიდარ ცხოვრებაში გაბედული შეპრით და დღევანდლობის თემატიკის ყველაზე აქტუალური საკითხების შერჩევით. ფაქტია, რომ მწერალი იმ უდიდეს ძვრებს, რომლებიც ჩვენს სინამდვილეში ხდება, კარგად უსწორებს თვალს და ეპოქის აჩქარებულ ისტორიულ ნაბიჯებს ერთი წუთითაც უკან არ რჩება. ამას მოწმობს მისი შემოქმედების თემატიკა. ამავე დროს ავტორი ამბებსა და მოვლენებს ავითარებს ისეთ სიტუაციებში, რომლებშიც უახლოესი ცხოვრების მაჯისცემა მძლავრად ფეთქს. იგი კარგად ერკვევა ცხოვრებაში და პარტიის იდეების მხურვალე აგიტატორად გვევლინება.

გავიხსენოთ თუნდაც მისი ერთ-ერთი ფართო ტილო „მოუსვენარი ადამიანები“, სადაც დაგომობილია მუშაობის მანკიერი სტილი მთელი თავისი უარყოფითი მხარეებით. იმ ხანებში, როდესაც ეს რომანი დაიწერა, პარტიული მუშაობის ეს მანკე სტილი საქმაოდ გავრცელებული იყო და ამიტომ ნაწარმოებს დიდად საჭირობოტო შინაარსი ჰქონდა. დღეს იგი უკვე განვლილი ეტაპია და სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღდგენისათვის ბრძოლაში მწერალმა თავისი წვლილი შეიტანა.

მაგრამ დასახლებული და სხვა ნაწარმოებები მარტო დღევანდლობის თემატიკით კი არ არის

აღსანიშნავი, არამედ იმიტაც, რომ მათში მკაფიოდ ჩანს ავტორის ხელწერა, ანუ თხრობის თავისებური მანერა, სტილი. ეს მარტო თხრობას და ენას არ ეხება, იგულისხმება ამბების განვითარების თავისებური ხერხებიც: საყურადღებო დეტალების მიგნება, მძაფრი და დაძაბული სიტუაციების შერჩევა და სხვ. ავტორი ამ ხელწერას, საბედნიეროდ, თანდათანობით ავითარებს, თუმცა სრულყოფას ჯერ კიდევ ვერ მიაღწია.

ერთი სიტყვით, კ. რუსიძე უძველესად თავისებური თხრობისა და სიუჟეტის განვითარების კარგი ოსტატია, მაგრამ მისი ნაწარმოებები გემოვნებაგანვითარებული მკითხველის მოთხოვნილებას სრულად მაინც ვერ აკმაყოფილებს. მართალია, მოქმედი პირები სქემები არ არის, ისინი უძველესად სინამდვილიდან აღებული ცოცხალი სახეებია, მაგრამ ასახულის სიღიადესა და ბრწყინვალეობას რამდენადმე ფერს უკარგავს მხატვრობის შედარებით დაბალი დონე. კ. რუსიძის ნაწარმოებებში განსაკუთრებით საგონიობა პლასტიკური სურათების სიმცირე და რეპორტაჟული თხრობის მოძალეობა. პლასტიკური სურათები კი ის ფონია, სადაც მოქმედი პირობის მხატვრული სახე მოქმედებაში, ცხოვრების დინამიკაში პოულობს გამოსახულებას.

ამ თვალსაზრისით გვიანდა განვიხილოთ კ. რუსიძის უკანასკნელი წიგნი „კაქის ნატეხი“. იგი ორიგინალურ და ნათარგმნ მოთხრობათა საკმაოდ ვრცელი კრებულია.

„კაქის ნატეხის“ თემა დროული და საჭირობოტოა. იგი მიმართულია ფუფუნებითა და პირადი კეთილდღეობით ზომამზე მეტად გატაცების წინააღმდეგ. ნაწარმოებში ნაჩვენებია სახელმწიფო ქონების დამტაცებელი და მექრთამე თენგიზი. მოდას აყოლილ და ხელგაშლილ, მდიდრული ცხოვრების მოყვარულ თავის მეუღლემ იზოლდასთან ერთად მან სახლი მუხუტუმად გადააქცია. მაგრამ საიდან, რა სახსრებით? თენგი-

ზის მამის ქიშვარდისათვის, ისევე როგორც ბევრისათვის, დღესაც ნათელია, რომ თენგიზი ხელფასით ამას ვერ შეძლებდა.

ქიშვარდი პატიოსანი და უმწიკვლო ადამიანის იშვიათი განსახიერებაა. მოხუცებულობამდე შეერჩა მას ძვალ-რბილში გამჭდარი სიმართლისა და პატიოსნების ერთგულება. ბევრი რამ უნახავს და განუღღია ქიშვარდის ცხოვრებაში, მაგრამ პატიოსნებისათვის არასოდეს უღალატია. და აი ერთხელ წამოაყვედრეს — ბოროტებასთან ბრძოლა შენი შვილით რომ დაგეწყო, უფრო მართალი იქნებოდიო. ამ საყვედურმა თავზარდამცემად იმოქმედა ქიშვარდიზე. ნაწარმოების მთელი მოქმედებაც აქეთ არის წარმართული. ავტორის ჩანაფიქრი სიუჟეტთან უთუოდ კარგად და საინტერესოდ ვითარდება.

და მაინც, კომუნიზმის მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე უპატიოსნობასთან ბრძოლის, მორალური სიწმინდის საკითხი დასახელებულ ნაწარმოებში, ვფიქრობთ, არ არის აყვანილი ისეთ დონეზე, როგორც სინამდვილეშია, როგორც იგი იმსახურებს. ქიშვარდის მტკიცება და ქადაგი ამ საგანზე, რასაკვირველია, სრული სიმართლეა, მაგრამ შაბლონურად, ტრაფარეტულად ნათქვამი. „თქვენ და თქვენისთანები, ჭირიმე, — ეუბნება ქიშვარდი გზასაცდენილ შვილს, — ვერასოდეს ვერ შევლენ კომუნიზმში. საბუნდევროდ, თქვენ გამოხალისი ხართ, თორემ თქვენისთანები რომ გამრავლდნენ და ქვეყანას მიედონ, მაშინ კომუნიზმს კი არა, სოციალიზმსაც დავკარგავთ და ვინ იცის სად ჩახიბიანებიტო. თქვენ ნივთებისა და ქინჯის მონა გამხდარხართ, ძვალ-რბილში გაჯდომიათ კერძომესაკუთრული ბურჟუაზიული სენი, გახრჩობთ გამდიდრების წყურვილი, ისიც ხალხისა და სახელმწიფოს ხარჯზე“ და სხვ.

ქიშვარდის ეს სიტყვები დიდი სიმართლის შემცველი, მაგრამ ძლიერ ტრივიალურია. ასეთი შაბლონური და სტანდარტული მტკიცება, საერთოდ, გამართული პათოსიანი თხრობის ნიმუშად ვერ ჩათვლება. აქ საქმეს ვერ შევლის სიუჟეტური კვანძების დამამაყოფილებლად გახსნა და სიტუაციათა საინტერესოდ განვითარება, როდესაც სწორ გზას ამცდარი შვილი მამის ქადაგების შემდეგ მაცდურ ცოლს თავს აღწევს და მიტოვებულ პატიოსან ოჯახს უბრუნდება. და თუ სიუჟეტის განვითარების ზოგიერთ მომენტში ამა თუ იმ სიტუაციის დაძაბულობა მოკითხველს ძლიერ აღელვებს და ასეთი ადგილების შეუქრყოლებლად წაკითხვა შეუძლებელია ამას მწერალი დეტალების მიგნების დიდი უნარითა და თვით ამბის მოულოდნელი განვითარებით უფრო აღწევს, ვიდრე ნაწარმოების საერთო მხატვრული დონით.

აწეული, პათეტიკური მტკიცებითი კლანამედროვე ცხოვრების ზოგიერთი სიბრძნე და სიმართლის საჩვენებლად ეფექტურად და მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ იგი არ სწყვეტს ჩვენების თუ ასახვის საკითხს. სრულქმნილი მხატვრულობისათვის მთავარია თვით ენა და არა ენის პათოსი. ამალღებულ, მოძალებული მშფოთვარე კითხვებით აღსავსე თხრობა, თუ ენის სტიქიით, მისი ბოზობრობით არ არის შეჯერებული, ცხადია, სათანადო მხატვრულ ეფექტს ვერ შექმნის.

კაპიტან რუსიძეს ენის სრულყოფისათვის კვლავ ბევრი შრომა დასჭირდება. სხვას რომ თავი დავანებოთ, დღევანდელ მის ენას კიდევ დაკარავს კუთხური იერი. მაგალითად, იგი იშვიათად როდი ხმარობს ასეთ გამოთქმებს: „თოვლდაპენტილი“, „თავი უქმყოფილოდ გააქანტურა“, „სიჯიუტემ სძლია და ისევ ააკაკანა“, „გულში ჩაეფხვანება“ და სხვა მრავალი.

სარკეცნოო კრებული, გარდა მოთხრობისა „კაის ნატეხი“, შეიცავს სხვა მოთხრობებსაც, რომლებიც დაწერილია ასეთივე ნაკლით და ღირსებით.

პატარა მოთხრობას „მორცხვი ქალშვილი“ პირველი პირით თხრობა ერთგვარ თავგადასავლურ ხასიათს აძლევს. მასში ავტორი გვიხატავს კომკავშირის საქმიანობის ერთ მხარეს კარგად მიგნებული დეტალით და ასევე კარგი განზოგადებით. უქნარა და უდისციპლინო თამაზის იმედი, რომ უენო და მორცხვი ნარგიზა ყოველ კრებაზე ძველი მღიანითი არ გამჯობროს, ანდა წელიწადში ერთ-ორი კრება თუ მივსვოვა, ისიც დიდიო, არ გამართლდა. პირიქით, ნარგიზამ დამამაქლავნა ხელმძღვანელობის საუცხოო უნარი. თამაზს იმედი სხვა მხრივაც არ გაუმართლდა. მისი დაუსრულებელი უქნარობა საკუთარი ოჯახის წევრებისთვისაც აუტანელი გახდა. ყველას თავი მოაბეზრა და ყველამ ზურგი უჩვენა. ესეც თამაზის ოჯახზე ნარგიზას გავლენის შედეგი იყო. ოჯახის წევრებმაც დასცინეს თამაზს, აძარახეს უსაქმურობა და ქუჩა-ქუჩა ხტიალი. ბოლოს და ბოლოს, კომკავშირისა და ოჯახის გავლენით თამაზში ხდება გარდატეხა. იგი თანდათანობით მოუბრუნდება სწორ გზას და ოჯახურ ბედნიერებასაც აღწევს. შრომის ფრონტზე გამარჯვება და ყოფაცხოვრებაში ოჯახური ბედნიერების მიღწევა — აი რით მთავრდება ეს პატარა მოხდენილი მოთხრობა.

მიუხედავად ამისა, ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ეს დიდი თემა, ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის თემა სარკეცნოო მოთხრობაში სათანადო სისრულთა და სიზრცესისმით როდია ასახული. ნაწარმოებში ბევრია რეპორტაჟული თხრობა და ცოტა პლასტიკური სურა-

თები. ამბები და მოვლენები თვით ნაწარმოებში
კი არ ვითარდება, არამედ მზამზარეულად შემო-
დის. მოთხრობა უფრო ემოციური იქნებოდა,
რომ მასში განვითარებული დიდი მოვლენები
თავის მდინარებაში, თავის მოძრაობაში პლასტი-
კური სურათების სახით გადაეშალა მწერალს
მკითხველის წინაშე.

ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მას
თანამედროვე ცხოვრებაზე დაკვირვების საკმა-
ოდ განვითარებული უნარი აქვს. ამას ადასტუ-
რებს სარეცენზიო წიგნში დაბეჭდილი მოთხრო-
ბა „ბეგლარი“. კარგად არის ეს ტიპი ჩვენს ცხო-
ვრებაში შემჩნეული, გამოკერძოებული და ნაჩვენები.
ერთი შეხედვით, ბეგლარი ახირებული ადამი-
ანის შთაბეჭდილებას ტოვებს, ყოველ შემთხვე-
ვაში, თავისებურია, სხვებისაგან განსხვავებულ-
საინტერესოა ბეგლარის ინდივიდუალური სახე.
თვითონ მართალი და პატიოსანი, იგი ვერ ური-
დება სხვების უპატიოსნობას. ეს არის დავის სა-
განი. მას უნდა, რომ ყველა სიმართლით ემსა-
ხურებოდეს საქმეს.

ამ მხრივ ბეგლარი შორეულად მოგვაგონებს
გიორგის (ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ჭკრივის“
გმირი). ორივეს გულისწუხილი ისაა, რომ ყვე-
ლანი საქმეს ერთგულად და პატიოსნად არ ემ-
სახრებიან. მაგრამ ბეგლარის გულსტიკი-
ცილი თანამედროვე ეპოქის სიყვარულით არის
ნაკარნახევი, მაშინ როდესაც გიორგის ეს სიყ-
ვარული თავისი ეპოქისადმი არ ჰქონდა და არც
შეიძლებოდა ჰქონოდა ბეგლარი, როგორც დი-
ადი თანამედროვე ეპოქის შვილი, ნაწარმოებში
ამის შესადგერისად არის ნაჩვენები.

მოთხრობა „ახლანდელი ქალი“ ცხოვრების
ერთ მეტად აქტუალურ პრობლემას აშუქებს. ეს
არის ოჯახური ურთიერთობის საკითხი. განთა-
ვისუფლებული საბჭოთა ქალი — ნიგარი ოჯა-
ხის ვიწრო ნაუჭუში, რა თქმა უნდა, შეზღუდუ-
ლად გრძნობს თავს, ოჯახზე უფრო შორს იხე-
დება და სურს აქტიური მონაწილეობა მიიღოს
დიად მშენებლობაში, დღეს რომ მთელ ქვე-
ყანაში წარმოებს. ამ ნიდაგზე ოჯახში უთანხ-

მოება ჩამოვარდება. უთანხმოების ცეცხლი
ავი დედამთილი ნათეს ასხამს და შიოს ჯერ
ცოლთან გაცილებას უქადაგებს. გაყრის შემდეგ
კი უწონებს ამ ცუდ საქციელს. მაგრამ თანამე-
დროვე ცხოვრების, ახალი ვითარების გავლენით
ამბების განვითარებას ცოლ-ქმარი ისევ შეერთ-
ბისაკენ მიჰყავს და ავტორის სასახლოდ უნდა
ითქვას, რომ ეს ხელახალი შეერთება თანამე-
დროვე ცხოვრების დიდი გამარჯვების სიმფო-
ნიად გვევლინება ნაწარმოებში. მხოლოდ მოთ-
ხრობის მხატვრულ ფეფქტიანობას რამდენადმე
ანელებს ტრივიალური, გაცვეთილი გამოთქ-
მები, როგორც არის: „ოქროთი გადალალული
ავტომანქანები მიგრუხუნებდნენ“, „ხელკრულ
ქალს“, „ფუი მოგესპოთ სახელი და სახსენებე-
ლი თქვე ატროკინებულეობა“, „ჩუჩჩულში ნია-
ვივით გაიშრიალა“ და სხვ.

მოთხრობა „უმტყუნა“ სატირული ენარის ნა-
წარმოებია. იგი ამხილებს და მწვავედ ამოთა-
ხებს ერთ უარყოფით ტიპს — ტიტკოს. იგი
ყოყლოჩინა და ქვეშობრომი ადამიანია, ყველა
უფროსს დანიშვნისას რომ ქებით ხვდება და გი-
ნებით აცილებს. მის დაწესებულებაში რევიზიაა,
არავინ იცის დირექტორის ბედი. ტიტკო
ფიქრობს, რომ გადააყენებენ. ყოველ შემთხვე-
ვაში მას ორი სიტყვა აქვს მზად — ერთი გა-
დაყენების, ხოლო მეორე დატოვების შემთხვე-
ვაში წარმოსათქმელად. მაგრამ ანგარიში შეც-
და — ეგონა, დირექტორს გადააყენებენო და
გინებით მონიღომა მისი გაცილება. სამწუხა-
როდ, ეს საინტერესო თემა მთლად კარგად ვე-
რაა დამუშავებული. შეინიშნება ზერელობა, შა-
რჩი, „ავტიკით“ გატაცება. ამის გამო მოთხრობა
ნაკლებ ემოციურია და პლაკატის შთაბეჭდილე-
ბას ტოვებს.

სარეცენზიო წიგნში მოთავსებულია აგრეთვე
სამამულო ომის თემაზე დაწერილი მოთხრობები
(„თენილე“, „სიკვდილის დამარცხება“, „არწი-
ვი ვნახე დაჭრილი“, „ნასახტრეველი ბერიკა-
ცი“), ბენ ვილიამსის, აზიზ ნესინისა და სხვა უც-
ხოელ მწერალთა ნოველების ქართული თარგმ-
ნები.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/VI, 1962 წ. საბეჭდი 6 (პირობითი 8), საგამომცემლო 7
თაბახი, შეკვეთის № 3128, ემ 00653, ქალაქის ზომა 70X108. ტირაჟი 2000.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობისა და
გამომცემლობათა მთავარი სამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ლუქსემბურგის, 22).

Батумская типо-литография Грузглавополиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
(Батуми, ул. Р. Люксембург, 22)